

ირაკლი ანდრონიკაშვილი

80
564

საქართველო
ე. ლეონიძის
უნივერსიტეტი

3805-



საბჭოთა მწერალი
თბილისი
1953

ლი სოფელ გერგეთში. ამ გადმოცემის მიხედვით მიუვალ მონასტერში ცხოვრობდა შვიდი ბერი, ერთი მათგანი განსაკუთრებით უმწიკვლო ცხოვრებას ეწეოდა და ღმერთმა სასწაული მოუვლინა: ყოველთვის, როცა კი მზის სხივი შემოა-ნათებდა საკანში, ბერი სალოცავად ემზადებოდა და ამ სხივზე სდებდა თავის ლოცვანს. ლოცვანი არ ეცემოდა, თითქოს სხივი ბაჯალლო ოქროსი ყოფილიყო. სხვებს შურდათ ღვთისმოსავი ძმისა და, რათა იგი ეცდუნებინათ, მიმართეს სოფელ ღვილეთში მცხოვრებ ლამაზ ქალს.

ცბიერმა ქალმა დახმარება სთხოვა და აიძულა განდევნილი დაერღვია სამონასტრო წესი — სენაკში შემოეშვა ქალი. თითქოსდა ღვთისმოსავი ბერის მფარველობა უნდაო, ქალმა სთხოვა ნება მიეცა მისთვის ბერის წმიდა ტანისამოსს შეხე-ბოდა და აი, ქალის ხელი უკვე ბერის მძიმე ჯაჭვზეა...

მონაზონი გამოერკვა, როცა სავეანეში მზის სხივი შემოიჭ-რა. იგი იჩქარის ლოცვანისკენ, ჩამოდებს სხივზე...

მაგრამ სხივმა არ დაიჭირა ლოცვანი, წიგნები ხმაურით დაეცემა მის ფეხთ.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ბერმა მოიძულა მიუვალი სავეანე და იქაურობა დატოვა. ძმებმაც მის მაგალითს მიჰბა-ძეს და მონასტერი საბოლოოდ გაუდაბურდა.*

ეს თქმულება საფუძვლად დაედო ჩვენი დიდი პოეტის ილია ჭავჭავაძის „განდევნილს“. მის პოემაში აგრეთვე მოთხ-რობილია ბერის შესახებ, რომელიც ბეთლემის გამოქვაბულ-ში ცხოვრობდა. ამ გამოქვაბულში მხოლოდ ჯაჭვის საშუა-ლებით შეიძლებოდა ასვლა.

მაგრამ ყველაზე საოცარი ის არის, რომ, როგორც ირ-კვევა, ყველა ეს ლეგენდა რეალურმა სინამდვილემ წარმოშვა.

1811 წელს მოგზაურმა ფრ. პაროტმა, რომელიც მყინვარ-წვერზე ავიდა, 3520 მეტრის სიმაღლეზე მიაკვლია მაღალ ქვის ჯვარს. ჯვრის ახლოს ღობე იყო, ღობეს იქით კი — რამ-დენიმე საფლავის ქვა, ხოლო ჯვარს უკან ქვებისაგან ნაგები საკმაოდ დიდი პირამიდა ნახა, რომლის გვერდით იდგა გრანიტის შავი ბოძი.

* А. Висковатов. С Казбека. „Русский вестник“, 1865, т. 60, кн. 2-я, стр. 411.

ამ ადგილიდან პაროტმა მალლა შეამჩნია გამოქვაბული, გამოკვეთილი ციკაბო კლდეში.

„კლდედან თხემზე, — წერს პაროტი, — გამოკვეთილია შესანიშნავი გამოქვაბული, ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ მონასტრად წოდებული. მონასტერში. ადგილობრივ მკვიდრთა ნაამბობის მიხედვით, იწინებდა... აურაცხელი განძი“.*

მოგზაურის სიტყვებით, ეს გამოქვაბული მდებარეობს 457 საყენით მალლა თოვლის ხაზზე და დაახლოებით ნახევარი ვერსის მანძილზე მყინვარწყვერიდან.**

გამოქვაბულამდე პაროტს არ მიუღწევია.

გავიდა ას ოცდათექვსმეტი წელი.

1947 წელს მაღალი მთიანეთის მეტეოროლოგიური სადგურის თანამშრომელმა შ. წერეთელმა ყაზბეგის ფერდობზე თხილამურებით სეირნობისას 400 მეტრის სიმაღლის კლდეზე ჩამოკიდებული რკინის ჯაჭვი და რკინით მოჭედილი პატარა კარი დაინახა.

ამის შესახებ წერეთელმა თბილისში აცნობა და 1948 წელს საქართველოს მთავრობამ გამოქვაბულ ბეთლემის გამოსარკვევად სპეციალური ექსპედიცია გაგზავნა, ცნობილი ალპინისტი ქალის ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

ექსპედიციამ მართლაც აღმოაჩინა ფრიადო კლდეზე გამოქვაბული, ზღვის დონიდან 4100 მეტრის სიმაღლეზე. მაგრამ ვერაფრითარ კვალს ვერ მიაგნო გამოქვაბულისაკენ მიმავალი ბილიკისა.

გამოქვაბულში აღმოჩნდა ტრაპეზი, XI საუკუნის დროშა, VII საუკუნის ბრინჯაოს შანდალი, ხის ჯამები, ისრის წვერები, XV და XVIII საუკუნის ქართული და ირანული ფული. გამოქვაბულში აღმოჩენილი ტანსაცმლის ნაკუწების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აქ ვიღაც ყოფილა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. იატაკის გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ შესაძლოა იატაკქვეშ ჯერ კიდევ იყოს აღმოუჩენელი საფარი.

* „Восхождение на Казбек в 1844 году доктора Коленати“. „Отечественные записки“, 1845, XVI, отд. VIII, смесь, стр. 116.

** „Закавказский вестник“, 1845, № 20, часть неофициальная, стр. 196-197.

ეს შეს
მა ნიკოლ
ალექს
მნიშვნელ
ბეთლ
ვარი მწ
მონაწილ
შეამჩნი
ნაშთით
ს. აღი
დირეკ
ამ
ცნობ
ბე
ნიშვი
ველი
და
აბრ.
თაც
ხუმ
რი.
ლი

თ
უ
რ
ე

ეს შესანიშნავი აღმოჩენა აღწერა თავის ნარკვევში პოეტ-
მა ნიკოლოზ ტიხონოვმა.*

ალექსანდრა ჯაფარიძის სტატიაში არის კიდევ ერთი
მნიშვნელოვანი ცნობა:

ბეთლემის გამოქვაბულები გამოკვეთილია ყაზბეგის მთა-
ვარი მწვერვალის ციცაბო ფერდობზე. იქიდან ექსპედიციის
მონაწილეებმა უფრო დაბლა, ყაზბეგის მცირე მწვერვალზე,
შეამჩნიეს ძველი ტაძრის ნანგრევები საეკლესიო ნაგებობათა
ნაშთითურთ**. ამას ადასტურებს ექსპედიციის მონაწილე
ს. ალიბეგაშვილი, ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის
დირექტორი.

ამ მონასტრის არსებობის შესახებ დღემდე არაფერი იყო
ცნობილი.

ბეთლემის გამოქვაბულის შესახებ იცოდა ვახუშტი ბატო-
ნიშვილმა, რომელმაც XVIII საუკუნეში შეადგინა საქართ-
ველოს ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა. მაგრამ გარ-
და ჩვენთვის ცნობილი ლეგენდისა, ქრისტეს ბავისა და
აბრაამის კარვის შესახებ, ვახუშტი წერს: „იტყვიან... სხვა-
თაც საკვირველთა, არამედ მე ვდუმებ“. თავის ცნობებს ვა-
ხუშტი ასე აბოლოებს: „კვალად ძირს მისსა არს მონასტე-
რი, კლდესა შინა გამოკვეთილი უდაბნოდ, და აწ ცა-
ლიერი“***.

რა არა თქვა ვახუშტიმ?

თავდაპირველად იგი ამბობს, რომ ძველად ბერები მცხე-
თის საგანძურს მყინვარზე ინახავდნენ, რათა შემოქრილი
უცხოელების იავარყოფისაგან გადაერჩინათ. იქნებ ისინი,
რომელთაც ამ საიდუმლოს შენახვის ფიცი დასდეს, ისე დაი-
ღუპნენ, რომ ამის შესახებ არავის არაფერი უთხრეს, იქნებ
ისე დაიკარგა ეს საიდუმლოება, როგორც დაიკარგა ბეთლე-
მის გამოქვაბულის გზა? მაგრამ იქნებ ვახუშტი სხვა რამეს
გულისხმობს?

* Н. Тихонов. Тайна пещеры Ветлеми. „Огонек“, 1948, № 16,
стр. 21-22.

** А. Джапаридзе. Пещера Ветлеми. „Заря Востока“, 1948,
№ 30 (1781).

*** ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და
ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1941, გვ. 67.

უცნობია თამარ მეფის დაკრძალვის საიდუმლოება. მისი საფლავის შესახებ მრავალი ლეგენდა არსებობს, მაგრამ საღ არის იგი დაკრძალული, — გელათის მონასტერსა თუ ბეთანიაში, ან იქნებ ბეთლემის გამოქვაბულის მიდამოში, — დღემდე არ ვიცით.*

მეტად თავისებურად ხსნის ამ საიდუმლოს წარმოშობას ერთ-ერთი ქართული გადმოცემა.

თავისი ახლობლებიდან თამარ მეფემ ორი მამაცი და კეთილშობილი ახალგაზრდა შეარჩია. სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, ისინი მოიხმო და უთხრა, როცა მოვკვდები, საქართველოს სხვადასხვა ადგილს ცხრა კუბო დაკრძალეთ, მაგრამ არავინ უნდა იცოდეს, რომელ მათგანშია ჩემი ცხედარი, თორემ მტრები მომაგნებნო.


თამარი გარდაიცვალა. ახალგაზრდა რაინდებმა მისი უკანასკნელი სურვილი შეასრულეს, სხვადასხვა ადგილს დაფლეს ცხრა კუბო. ერთ-ერთ მათგანში განისვენებდა თამარი. როცა თამარის სურვილი აღასრულეს, ახალგაზრდებმა ერთმანეთი დახოცეს, რათა არავინ დარჩენილიყო ისეთი, ვისაც თამარის დაკრძალვის საიდუმლოება ეცოდინებოდა. აი რატომღა, — გვამცნობს გადმოცემა, — რომ არავინ იცის სადაა დაკრძალული თამარის ცხედარი და საქართველოს ყოველ კუთხეში ცდილობენ საიდუმლოს გახსნას და დიდი თამარის საფლავის აღმოჩენას.**

დაცულია ლეგენდა, რომლის მიხედვით კავკასიის ერთ-ერთ მწვერვალზე არის თამარ მეფის სასახლე. „ბევრი ეცადა იქ ასულიყო, მაგრამ ვერვინ შესძლო, უწმინდურები უშლიდნენ ხელს“, — ეს უწმინდურები ქვებს ესროდნენ მათ, ვინც კი იქ ასვლას მოინდომებდა.

სულ ისევე, როგორც მყინვარწვერზე მდებარე მიუვალი მონასტრისა და იქაური განდევნილის თქმულებაშია, აქაც მხოლოდ ერთმა მღვდელმა შესძლო მწვერვალზე ასვლა და იქ სასახლე და მის გვერდით მონასტერი დაინახა.

* Н. Тихонов. Тайна пещеры Ветлеми. „Огонек“, 1948, № 16, стр. 21-22.

** ხალხური გადმოცემა მაცნობა პოეტმა ქალმა მარიჯანმა.



სოფელი სიონი ყაზბეგის მახლობლად.
ეტიოლოგიურად ლერმონტოვისა

ზარბად დარაჯობს ნადავლს დიდებულს,
და კაცთა დრტვინვა განუწყვეტელი
მათ ვერ შეუწყვეტს ძილს დამშვიდებულს.*

გამოძახილს ლეგენდისა მყინვარის შესახებ, რომელიც
ოთორქოჩორა ქარბუქს აყრის ყველას, ვინც კი მიუვალ ტა-
ძარში ასელას განიზრახავს, ვპოულობთ ლერმონტოვის
ლექსში „როცა დავშორდი შორეულ საზღვრებს“:

ო, თუ ასეა, აქ რაღად ვრჩები,
მთაო, მაჩვენე შენი სიავე,
მიუსაფარი ცხედარი ჩემი
ამ უფსკრულებში გაანიავე.**

თამარ ციხერი

საქართველოს სამხედრო გზაზე, დარიალის ხეობაში, მგზავ-
რების ყურადღებას დღემდე იპყრობს ძველებური ციხე-კოშკის
ნანგრევები. ეს ციხე-კოშკი აგებულია მიუვალი კლდის თავზე.

ქვემოთ ონავარი თერგი ზვირთაქოჩრილი ტრიალებს,
ღუღილით ფრთონავს, თქაფუნით ასკდება ქვებს და მასზე
გადაკიდებულ ხიდს ადანდგარებს, თერგის ღრიალიცა და
ხეობის გრილი ბინდუნდიც, რომელშიაც ცა გაზაფხულის
დღესაც კი მტრედისფერ ზოლად ჩანს, უცნაურად ხვეული
გზა ფრიალო კლდეზე შებობილი, მჩქეფარე ჩანჩქერების
ნაკადულებიცა და ეს დანგრეული ციხე, სადაც გადმოცემის
მიხედვით მხოლოდ საიდუმლო გვირაბით შეიძლება ასვლა,
და ეს გვირაბი, რომელიც კლდეშია გამოკვეთილი და ნაპი-
რებამდე გადის, — ყოველივე ეს როგორღაც განსაკუთრებულ
რომანტიკულ ელფერს აძლევს გარემოს სურათს.

ახლა ყველა ექსკურსანტისათვის ცნობილია, რომ ეს
არის თამარის ციხე, რომელიც ლერმონტოვმა აღწერა თა-
ვის განთქმულ ბალადაში:

* „დემონი“, ნაწილი მეორე, თარგმანი კ. კიკინაძისა.

** თარგმანი მ. პატარიძისა.

შორს დარიალის უდაბურ ზეგნი,
იქ, სადაც თერგი ბობოქრობს ქვებზე,
ძველებურ კოშკის კედლები მთებში
შავად მოჩანდა პიტალო კლდეზე.
იმ ვიწრო კოშკში მალალი თალით
ცხოვრობდა ქალი — მეფე თამარი:
ცის ანგელოზი, წარმტაცი საბით
და ვერაგობით დემონის დარი.*

ლერმონტოვამდე, სხვას არავის არ შეურქმევია ამ კოშკში მცხოვრებ მეფე ქალისათვის თამარი. პირიქით, 1830-იან წლებში მოგზაურნი, რომელთაც საქართველოს სამხედრო გზით უვლიათ, მას სულ სხვა სახელით მოიხსენიებენ.

„გადმოცემით, — წერს პლატონ ზუბოვი, ავტორი „წერილებისა საქართველოს შესახებ“, — აქ ძველ დროს ცხოვრობდა ვინმე ქალი დარია, ყაჩაღების მეთაური; ეს ყაჩაღები გარემოს შიშის ზარსა სცემდნენ“. იმავე ზუბოვის თქმით, კლდეზე შემორჩენილ ციხეს „დარიას სახლს“ უწოდებენ.**

მეორე მოგზაური ასევე ირწმუნება, რომ ციხე ეკუთვნის ვინმე დარიას, მაგრამ ამ დარიას იგი „მეფეს“ ეძახის. „ქეშმარიტად საკვირველია, როგორ შეიძლებოდა ასეთ მიუვალ კლდეზე ციხის აგება, — კითხულობს იგი და იქვე დაურთავს, — თუმცა ადგილობრივი მცხოვრებლები ადვილად წყვეტენ ამ საკითხს: მეფე დარიას კავშირი პქონდა სატანასთან, ხოლო ამ უკანასკნელისათვის არაფერია შეუძლებელი“***.

ფრანგი მოგზაურის გამბას წიგნში ნათქვამია: „თუ ადგილობრივ თქმულებას დაეუჯერებთ, დარიალის ციხე საშუალო საუკუნეებში ეკუთვნოდა თავადის ასულს დარიას, რომელიც ყველა მოგზაურიდან დიდ სასყიდელს იღებდა. ხოლო იმას, ვინც მოეწონებოდა, თავისთან დაიტოვებდა, რათა მათთან სარეცელი გაეყო და დილით თერგში გადააგდებდა, ვისიც უკმაყოფილო რჩებოდა“****.

* „თამარი“, თარგმანი კ. ნადირაძისა.

** „Шесть писем о Грузии и о Кавказе, писанные в 1835 году Платоном Зубовым“. М., 1835, стр. 41.

*** „Письма Х... III... к Ф. Булгарину, или поездка на Кавказ“. „Северный архив“, 1826, № 7, часть 34-я, стр. 231.

**** Gamba. Voyage dans la Russie meridionale... Paris, 1826, II, pp. 21-22.

მეოთხე სოციალური გვატყობინებს, რომ ციხეში ცხოვრობდა ახალგაზრდა მეფის ასული. *

მეხუთე ირწმუნება, რომ ეს იყო „ჯადოქარი ქალის დარბაზის სამყოფელი“. **

სინამდვილეში არ არსებობდა არავითარი თავადის, არც მეფის ასული, არც დედოფალი და, მითუმეტეს, ჯადოქარი ქალი დარბაზი. ეს სახელი წარმოდგება თვით დარბაზის სახელწოდებიდან. „დარბაზის პირდაპირ, ციცაბო კლდეზე მოჩანს ციხის ნანგრევები, — წერს პუშკინი თავის წიგნში „არზრუმში გამგზავრება“. გადმოცემა გვეუბნება, რომ აქ ვიღაც დედოფალი დარბაზი იმალებოდა, რომელმაც თავისი სახელი ხეობას გადასცაო. ზღაპარია. ძველ სპარსულ ენაზე დარბაზი კარს ნიშნავს“. ***

ლერმონტოვმა იცოდა დარბაზს ლეგენდა თუნდაც გამბას წიგნიდან, რომელიც მან „ჩვენი დროის გმირში“ მოიხსენია: „ჯვრის მთის (ან როგორც მას მეცნიერი გამბა უწოდებს „Le Mont st-Christophe“) გადასასვლელი ღირსია თქვენი ცნობისმოყვარეობისა“.

აქამდე გაურკვეველი იყო, თუ რატომ დაუკავშირა ლერმონტოვმა თავის ბალადაში მრუში ქალის სახელი ისტორიულ თამარ მეფეს. მათიანეები და გადმოცემები თამარს წარმოგვიდგენენ როგორც ძლიერსა და სამართლიან მეფეს, რომლის სახელთან დაკავშირებულია XII საუკუნის საქართველოს კულტურისა და სახელმწიფოებრივობის აყვავება, წარმოგვიდგენენ როგორც სათნო და უბიწო ქალს. რუსულ ზეპირ ტრადიციას შემოუნახავს ივანე მრისხანის მიერ შეთხზული ქება, მიძღვნილი „ივერიის ძლიერი და მამაკაცური ჭკუის დედოფლისადმი“.

ამ საკითხის გამორკვევას თავის დროზე ხელი მოჰკიდა ალექსანდრე ვესელოვსკიმ. იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლერმონტოვმა იცოდა დარბაზს ლეგენდა, მაგრამ სრულიად

* „Из записок Н. Н. Муравьева“. 1816. „Русский архив“, 1886, № 4, стр. 461.

** Н..... Н..... Записки во время поездки из Астрахани на Кавказ и в Грузию в 1827 г. М., 1829, стр. 128.

*** პუშკინი. არზრუმში გამგზავრება. თავი პირველი.

თვითნებურად შესცვალა იგი თამარ მეფის სახელით. ვესე-
ლოვსკი ყბადაღებულ პარალელებს გამოეკიდა და ინტერესი
არ გამოიჩინა ქართული ფოლკლორისადმი, მაშინ, როდესაც
პასუხი ამ კითხვაზე უნდა მოიძებნოს ქართულ ხალხურ
გადმოცემებსა და ლეგენდებში, საქართველოს ისტორიის
ფაქტებში.

ლერმონტოვის ბალადის მეფე ქალს ჰგავს არა თამარი,
არამედ უფრო მისი ქალი რუსუდანი, რომელსაც გამაგრებულ
კოშკში ერთდროულად ტყვედ ჰყავდა ხოლმე ორ-ორი შემ-
თხვევითი სატრფო მაინც,* ან XVIII საუკუნის დედოფალი
დარეჯანი.

მაგრამ თამარს ჰყავდა არა მარტო ასული რუსუდანი და
რუსუდან მამიდა, არამედ დაც რუსუდანი.** ამიტომ ხალხურ
ლეგენდებში ძნელი არ იყო მრუში დედოფალი თამარ მეფის
დად ქცეულიყო. და მართლაც, გასული საუკუნის დასასრულს
დუშეთის რაიონში ჩაწერილი იქნა ლეგენდა, რომელშიც
გამოყვანილია თამარის მრუში და. „ჯერ კიდევ თამარის
მეფობაში ჰყავდა მას, — ასე იწყება ეს ლეგენდა, — გარყვნილი,
მრუში და. ბევრი ეწვალა თამარი და ბოლოს სირცხვილის
შიშით დარიალის ციხეში ჩაკეტა. ვისაც არ უნდა გაეცლო
ხეობაში, ბილწი ქალი ყველას იწვევდა ციხე-სიმაგრეში, ხოლო
შემდეგ იმ საცოდავებს ჰკლავდა და ახლაც მათი სულები
ერთმანეთზე მიყოლებული დაძრწიან დარიალის ხეობაში.
ხოლო, როცა იქ, დევდორაკის ხეობაში ქარია, ეს კავკასიის
ტანჯული საბრალონი კვნესიან და დასტირიან თავიანთ
ცოდვებს“***.

თერგის კოშკის ლეგენდა დაკავშირებულია დარეჯან დე-
დოფლის სახელთანაც. ლეგენდის ერთ-ერთი ვარიანტი საფუძვ-
ლად დაედო უცნობი ავტორის მოთხრობის სიუჟეტს „საი-
დუმლო ქალი ანუ კავკასიური შურისგება“ (სპბ, 1836). ამ
მოთხრობის მთავარი გმირია „ყაჩალი ქალი დარეჯანი“.

* Вл. Зубов. По поводу легенд о царице Тамаре. „Исторический
вестник“, 1901, № 12, стр. 1311.

** ვ. დონდუა. თამარ მეფის და რუსუდანი. „ენიმკის მოამბე“, თბილისი
1940, გვ. 321—328.

*** А. Грен. В горах Душетского уезда. „Россия и Азия“. 1897,
пробный номер от 7 октября, стр. 6.

ხალხურმა პოეზიამ, რომელიც თამარის სახელითაა საესე, მეტწილად შემთხვევაში არ შემოგვინახა სხვა დედოფლების სახელები და ამრიგად რუსუდანისა და დარეჯანის ლეგენდები თამარ მეფის — ერთადერთი სამახსოვრო მეფე ქალის — სახელს დაუკავშირდა. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ქართული ხალხური გადმოცემები თამარს მიაწერს თითქმის ყველა ტაძრისა და ციხის აგებას, ნათელია, რომ რომელიღაც ლეგენდებში დარია ანუ დარეჯანი ან თამარ მეფის „მრუში და“ უსათუოდ უნდა გადაქცეულიყო თამარ ცბიერად.

ასეც მოხდა.

დარიალის ხეობის ციხის ლეგენდის ერთ-ერთ ვერსიაში ქართული ლიტერატურის ისტორიკოსმა ა. ხახანაშვილმა აღმოაჩინა თამარ მეფის გარყვნილი დის სახელი. მას ერქვა... თამარი.

ამ გადმოცემაში მოთხრობილია ორი დის შესახებ, რომელთაც ერთი და იგივე სახელი ჰქონდათ. ღვთისმოსავი თამარი ანანურის ციხე-ქალაქში ცხოვრობდა, ჯადოქარი თამარი კი თერგის ციხე-კოშკში. ეს ჯადოქარი ღამლამობით შეიტყუებდა მგზავრებს, დილით თავს მოჰკვეთდა ხოლმე და დარიალში გადააგდებდა. იგი მოჰკლა რუსმა მეომარმა ჩათქმული ტყვიით, მისი გვამი თერგში გადააგდეს, სიმაგრე დაინგრა, ხოლო გრძნეული ქალის სახელი დაწყევლილი იქნა.*

პროფ. ხახანაშვილმა, აღნიშნა რა თამარის სახის გაორება ამ ლეგენდაში, პირველმა მიაქცია ყურადღება გადმოცემისა და ლერმონტოვისეული ლექსის სიუჟეტის მსგავსებას.

მოყმე და ვეფხვი

პოემა „მწირის“ ცენტრალური ეპიზოდი — ვეფხვთან შებრძოლება — ლერმონტოვს შთააგონა მოყმისა და ვეფხვის

* А. Хаханов. Из грузинских легенд. Новая версия сказания о царице Тамаре. „Этнографическое обозрение“, 1898, № 4, стр. 140.

დატყვევებულმა მწირმა მხოლოდ ერთი რამ იცის —
ლტოლუა თავისუფლებისაკენ, მას იზიდავს მშობლიური მთები.
გადაუწყვეტია გაიგოს რად შობილა ადამიანი ამქვეყნად —
საპყრობილესა თუ თავისუფალ ცხოვრებისათვის. საპყრობი-
ლე, ლერმონტოვის აზრით, მარტო მონასტერი როდია, რო-
მელშიაც მწირი იტანჯება. საპყრობილე ანსახიერებს ნიკო-
ლოზისა და ბენკენდორფის მთელ რეგიმს.

ეს უკვე „აღსარება“ არაა — უბრალო პოემა მონასტერში
გამომწყვდეულ ყმაწვილზე, და არც სხვა დეკორაციებში ხე-
ლახლა წარმოქმნილი „ბოიარინ ორშა“. ამ პოემის მთავარი
პათოსია პროტესტი საეკლესიო კანონმდებლობის წინააღმდეგ,
რომელიც ამართლებს სოციალურ უთანასწორობას და სჯის
უწმინდეს ადამიანურ გრძნობებს.

„მწირი“, ესაა პოემა რუსეთის თვითმპყრობლის ტყვის
შესახებ, პოემა ჭაბუკზე, რომელიც მოკლებულია თავისუფ-
ლებას და სამშობლოსაგან მოშორებით იღუპება. ესაა პოემა
ლერმონტოვის თანამედროვეზე, მის ტოლზე, პოემა იმ
დროის საუკეთესო ადამიანებზე.

ამიტომაც თუნდაც ლერმონტოვს მართლაც ენახა მოხუცი
ბერი, მოვლენათა ქრონოლოგია, მისი ჩანაფიქრი, უპირვე-
ლეს ყოვლისა, განსაზღვრულია პოეტის დამოკიდებულებით
თანადროულობისადმი, კავკასიის ომისადმი, მისი თაობის
ბედ-იღბლისადმი. ხოლო ნანგრევთა ძველი დარაჯი, „ერთი
მოხუცი ძლივს ფეხზე მდგარი“, პოემის პირველ სტროფში
იმიტომ გაჩნდება, რომ „მწირის“ ბედი მცხეთასთან დაკავ-
შირებულიყო.

ამრიგად „მწირის“ შემოქმედებითი ისტორია ისე მარ-
ტივი არაა, როგორც ეს წარმოედგინა ვისკოვატოვს. ხოლო
მისი შეხედულება იმის შესახებ, რომ „აღსარებაში“, „ბოი-
არინ ორშაში“ და „მწირში“ ლერმონტოვმა ერთი და იგივე
აბსტრაქტული სიუჟეტი დაამუშავა, თანმიმდევრობით მო-
ქმედება ესპანეთიდან და შემდეგ ლიტვის საზღვრიდან საქარ-
თველოში გადმოიტანა, როგორც ვხედავთ, წარმოადგენს მცდარ,
დაუსაბუთებელ შეხედულებას. თუმცა ეს შეხედულება დღემდე
ფართოდაა გავრცელებული.

თავდაპირველად ლერმონტოვს უნდოდა თავისი პოემისა-

თვის „ბერი“ ეწოდებინა, ეს სახელი ხელნაწერის თავფურცელზე დაწერა და იქვე შენიშვნა დაურთო: „ბერი—ქართულად მონაზონი“, * მაგრამ სიტყვა ბერი არ უდგებოდა ჭაბუკს, რომელიც ჯერ კიდევ არ აღკვეცილიყო მონაზვნად. ამიტომ 1840 წელს, როცა პოემა ლექსთა კრებულში შეიტანა, ლერმონტოვმა მას „მწირი“ უწოდა. ამ სიტყვასაც დაურთო განმარტება, რომ „მწირი“ ქართულ ენაზე ნიშნავს მორჩილს.

ამრიგად, მოხუცი, რომელიც ჯერ კიდევ პატარაობისას ერმოლოვს დაუტყვევებია, არ შეიძლება არსებულები. საინტერესოა, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში მცხეთაში აღარ არსებობდა მამათა მოქმედი მონასტერი, სადაც ერმოლოვს შეეძლო ტყვე მთიული გაეზარებინა. სვეტიცხოველი, — ამაზე ზემორე იყო თქმული, — საკათედრო ტაძარს წარმოადგენდა. ჯვარის საყდარში VII საუკუნიდან იყო მონასტერი, მაგრამ შეათე საუკუნეში გააუქმეს. სამთავრო—დედათა მონასტერი იყო. ანთიოქიის ეკლესია გაუქმებული იყო, სარკინეთი ნანგრევებად იყო ქცეული, ოდესღაც ზედაზნის მთაზე, მცხეთიდან 11 კილომეტრის ანძილზე იყო მამათა მონასტერი, მაგრამ იგი ჯერ კიდევ 1705 წელს ლეკებმა ააოხრეს, ხოლო 1830 წელს იგი ნანგრევებიდა იყო. „ზედაზნის მონასტრის ნანგრევებში“—ასე ერქვა ერთ დიდ სტატიას გაზეთ „Закавказский вестник“-ში დაბეჭდილს 1849 წელს. სტატიაში წამოყენებული იყო ამ ნანგრევების რესტავრაციის საკითხი, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ დაუტოვებიათ ლეკებს.**

ამრიგად ლერმონტოვმა მცხეთა თავისი პოემის მოქმედების ადგილად იმიტომ კი არ აირჩია, რომ აქ მოხუცი ბერი ნახა და არც იმიტომ, რომ აქ რაღაც რეალური მონასტერი არსებობდა, რომელშიაც ერმოლოვმა ტყვე ბავშვი გააზარა. ლერმონტოვმა მცხეთა იმიტომ აირჩია, რომ ეს პატარა ქალაქი მტკვრისა და არაგვის შესართავთან საშუალე-

* Пушкинский Дом Академии Наук СССР. Рукописное отделение, ф. 534, оп. 1, № 13, XIII лермонтовская тетрадь.

** А. Натроев. Мцхет и его собор Святи Цховели. Тифлис, 1900, стр. 21. „В развалинах Зеда-Зенского монастыря“. „Закавказский вестник“, 1849, № № 20 и 21.

ბას აძლედა თავისი ჩანაფიქრი დაეკავშირებინა არა მარტო საქართველოს ბუნებასთან, არამედ მის ისტორიასთან—ქვეყნის სიძველეების ძეგლებთან, ფიქრებთან ამ ხალხის ბედ-იღბლის შესახებ. საფლავის ქვების შესახებ ჯერ ლერმონტოვს ასე დაუწერია „მწირის“ ხელნაწერში:

ლოდთა წარწერებს მტრისაგან იცავს,
წარსულ ბრძოლებზე რომ გვაუწყებენ.

შემდეგ ლერმონტოვმა გაასწორა და დაწერა:

წარსულ დიდებას რომ გვაუწყებენ.*

პოეტმა ასე იმიტომ გადაასწორა, რომ წარსული დიდება საქართველოსი, ძველი კულტურისა და რუსთაველის ქვეყნისა, ლერმონტოვისათვის, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მარტოდენ სახელმძღვანელო ბრძოლები, რომლებშიც ქართველი ხალხი თავის მტრებს ამარცხებდა. და ერეკლე მეფის საფლავის ქვის წარწერაც ხომ წარსულ დიდებაზე ლაპარაკობდა.

„მწირის“ შავების მიხედვით

„მწირის“ შავების მიხედვით ჩვენთვის ნათელია, რომ ლერმონტოვი ფიქრობდა რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიულ აუცილებლობაზეც. თავდაპირველად პოემის შესავალში ასეთი შინაარსის წინადადება იყო: მაშინ უკვე იყო საქართველო რუსთა ძალაუფლების ქვეშ, მაგრამ ჰყვოდა, შიში არ ჰქონდა მტრების, რადგან მეგობრული ხიშტები იცავდნენო.

ეს ადგილი მოწმობს იმას, რომ კავკასიის ხალხებისადმი თანაგრძნობა ხელს არ უშლიდა ლერმონტოვს რუსეთის წინსვლა კავკასიაში გაეგო, როგორც გარდაუვალი და ისტორიული პროგრესული მოვლენა. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს წინაშე ასე იდგა საკითხი: ან იგი უნდა შთაენთქა ჩამორჩენილ ფეოდალურ ქვეყნებს—შაჰის სპარსეთსა და სულთანის თურქეთს, ანდა შეერთებოდა რუსეთს. რუსეთთან შე-

* Лермонтов, т. III, стр. 420 и 432.

სტუმართმოყვარე სახლი

3. ეისკოვატოვის ვარაუდი იმის შესახებ, რომ ლერმონტოვი ადგილობრივ ლეგენდებს სწავლობდა, როცა დარიას ხეობასა და არაგვის ნაპირებზე მოგზაურობდა ხან გამყოლითურთ, ხან მარტო,* თუმცა, როგორც დავინახავთ, მართალია, მაგრამ მთლიანად აღებული მაინც დამაჯერებელი არ ჩანს.

ლერმონტოვმა ქართული ენა არ იცოდა, ხოლო ადგილობრივ მცხოვრებთაგან ცოტა ვინმე თუ იყო რუსულ ენაზე მოლაპარაკე. თუკი გამყოლისაგან, რომელიც, ალბათ, რომელიმე მაქსიმ მაქსიმიჩი იქნებოდა—პირველი შეხვედრილი ადამიანი, ლერმონტოვს შეეძლო რამდენიმე ლეგენდა მოესმინა, მაგრამ ის კი შეუძლებელი იყო, რომ პოეტი ყოველმხრივ გაცნობოდა ქართულ ხალხურ პოეზიასა და ფეოდალურ-თაყვადურ ყოფას, რაიც ესოდენი სიზუსტითაა ასახული „დემონში“. და, მით უმეტეს, ქართული ენის უცოდინარ პოეტს არ შეეძლო გამყოლთან საუბარი საქართველოს ისტორიული ბედის შესახებ.

* П. А. Висковатов. Михайл Юрьевич Лермонтов. Незданное юношеское его стихотворение „Исповедь“, 1829-30 гг. „Русская старина“, 1887, № 10, стр. 124.

მაშასადამე, ლერმონტოვის გარშემო საქართველოში იყვნენ ადამიანები, რომელთა წრეშიაც იგი აკვირდებოდა ქვეყნის ყოფა-ცხოვრებას და ეცნობოდა საქართველოს ისტორიასა და ქართულ ხალხურ პოეზიას.

რადგან რაევსკისადმი მიწერილ წერილში იმაზე არავეთარი ცნობა არ არის, ამიტომ საკითხი იმის შესახებ, თუ ვის ხვდებოდა ლერმონტოვი ნიჟეგოროდის პოლკში ყოფნისას, უნდა გავარკვიოთ არაპირდაპირი ცნობების მიხედვით.

ნიჟეგოროდის ღრავუნთა პოლკს ბინა ჰქონდა კახეთში, ყარაღაჯის მიდამოებში, არცთუ ისე შორს წინანდლიდან — თავად ჭავჭავაძეთა მამულიდან. პოლკის შტაბ-ოფიცერი, მცირე ვადით უფროსიც კი, იყო შესანიშნავი ქართველი პოეტი ალექსანდრე გარსევანის-ძე ჭავჭავაძე.

„ნიჟეგოროდელთა შორის... გამოჩნდა თავადი ალექსანდრე გარსევანის-ძე ჭავჭავაძე და თან მოიტანა ქართულ საზოგადოებასთან დაახლოების შესაძლებლობა, — წერდა ნიჟეგოროდის პოლკის მეისტორიე ე. პოტო. — ჭავჭავაძის პოლკში ჩამოსვლასთან ერთად სტუმართმოყვარე ქართულ საზოგადოებაში გულღია ლხინებზე ჩვენმა ნიჟეგოროდელებმაც იწყეს გამოჩენა. მათ შორის შემაკავშირებელი რგოლი იყო ქართველი კაცი და იმავე დროს ნიჟეგოროდის პოლკელი. ეს იყო სწორედ ის თავადი ჭავჭავაძე, მთელი საქართველო რომ პატივსა სცემდა, როგორც წარჩინებული გვარის შვილს, როგორც ერთ-ერთ უმაღლეს მეომარს და, რაც მთავარია, როგორც უდიდეს პოეტს, რომელსაც მშობლიურ ლიტერატურაში ბადალი არ ჰყავდა... ბუნებრივია, რომ დაახლოების პირველი ნაბიჯები იმავე თავად ჭავჭავაძის სახლში იქნა გადადგმული, მის ცნობილ მამულ წინანდალში...“*

მას შემდეგ, რაც ჭავჭავაძემ სამსახურს თავი დაანება, ეს კავშირი მცირე ხნით შესუსტდა, მაგრამ 1835 წლიდან პოლკის უფროსად ს. დ. ბეზობრაზოვის დანიშვნის შემდეგ წინანდალში სტუმრობანი განახლდა** და ნიჟეგოროდელებსაც

* В. Потто. История 44-го драгунского Нижегородского полка, т. II, СПб, 1893, стр. 152—154.

** В. Потто. История 44-го драгунского Нижегородского полка, т. IV, СПб, 1894, стр. 50.

კვლავ გულუბნად ხედებოდნენ ცნობილი პოეტის სახლში, რომლის ერთი ასული—ნინო ალექსანდრე სერგის-ძე გრიბოედოვის ქვრივი იყო.

ყველა, ვისაც კი ჰავკავადის ნახვა ხვდომია წილად, ერთხმად აღნიშნავს მის დიდ დამსახურებას კავკასიაში ჩამოსულ რუსთა და ქართულ საზოგადოებას შორის მტკიცე კავშირის დამყარების საქმეში.

„მისი შესანიშნავი ოჯახი ერთადერთი იყო თბილისში, სადაც ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ჩამოსულ სტუმრებს ხედებოდა წმინდა ქართული სტუმართმოყვარეობა, რომელიც კარგად პასუხობდა განათლებული ევროპული საზოგადოების წესებს.“*

„ვინც კი ჩამოდიოდა პეტერბურგიდან, მოხუცი თუ ახალგაზრდა, თავადის ოჯახის ხშირი სტუმარი ხდებოდა. იგი ცხოვრობდა ხელგაშლილად, უდარდელად და მხიარულად, როგორც ეს შეეფერებოდა მდიდარ ადგილობრივ მემამულესა და რუს გენერალს.“**

„ყოველდღე დიდი სტუმრობა ჰქონდათ. ვინც კი მოვიდოდა პეტერბურგიდან გვარდიიდან და სხვა დიდკაცობა ექსპედიციაში აქ მოდიოდნენ და აქედამ... ფლიგელადიუტანტი, ლეიბ-გუსარი, პრეობრაჟენეცი და ა. შ.“***

„დიდი გარუსებული სახლი: ყოველი რუსი, ვინც გადმოვიდოდა, იმათ სახლებში იყო.“****

ეს მხოლოდ ოთხია თანამედროვეების მრავალრიცხოვან მოგონებათაგან ალექსანდრე ჰავკავადის შესახებ.

თანამედროვენი ალექსანდრე ჰავკავადეს ქართველობის რუსული კულტურის წარმომადგენლებთან სრული დაახლოების ცოცხალ რგოლს უწოდებდნენ. ამასთანავე აღნიშნავდნენ,

* Д. Кипиани. [ა. ჰავკავადის ნეკროლოგი]. „Кавказ“, 1846, № 5, стр. 178.

** „Воспоминания Андрея Михайловича Фадеева“. Одесса, 1897, ч. II, стр. 116.

*** გრიგოლ დადიანის მოგონებანი. იბ. ს. ცაიშვილის სტატია „მასალები ალექსანდრე ჰავკავადის ბიოგრაფიისათვის“. „ლიტერატურის მატიაზე“, წიგნი 1-2, თბილისი, 1940, გვ. 395.

**** ქეთევან ორბელიანის მოგონებანი. იბ. ს. ცაიშვილის სტატია „მასალები ალექსანდრე ჰავკავადის ბიოგრაფიისათვის“, იქვე, გვ. 390.

რომ ამით იგი თავისი მამის გარსევან ჭავჭავაძის საქმეს აგრძელებდა, რომელიც იყო სრულუფლებიანი ელჩი ერეკლე მეფის ეკატერინე მეორის კარზე და რომელმაც მოამზადა საქართველოს რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესვლის ტრაქტატი.

ალექსანდრე გარსევანის-ძე ჭავჭავაძე დაიბადა 1787 წელს პეტერბურგში. განათლება მიიღო ერთ-ერთ კერძო პანსიონსა და შემდეგ პაეთა კორპუსში. კარგა ხანი დაჰყო რუსეთში, მონაწილეობდა 1813—1814 წლების საზღვარგარეთულ ლაშქრობებში. ამასთანავე პარიზის აღებისას იყო მთავარსარდლის ბარკლაი დე ტოლის ადიუტანტი. დაიჭრა ლაიფციგთან, პარიზის მისადგომებთან. 1809 წლიდან მოკიდებული შვიდი წლის მანძილზე ჭავჭავაძე მსახურობდა ლეიბ-ჰაუსართა პოლკში, რომელიც დაბანაკებული იყო ცარსკოე სელოში.

1818 წელს პოლკოვნიკის ჩინის მქონე ჭავჭავაძე გადავიდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, რომელიც მის მშობლიურ კახეთში იდგა. ამრიგად, იგი იმავე სამხედრო ნაწილებში მსახურობდა, რომლებშიაც იყო შემდეგ ლერმონტოვი.

როცა პოლკიდან გამოვიდა, ჭავჭავაძემ მიიღო ბრძანება ოფიციო ერმოლოვის განკარგულებაში, ხოლო ამის შემდეგ იგი, უკვე გენერალ-მაიორის ჩინის მქონე, სომხეთის ოლქის გამგებლად დაინიშნა.

ჭავჭავაძე იყო არა მხოლოდ ჩინებული პოეტი, არამედ ეზოპეს, ვოლტერის, რასინის, კორნელის, ლაფონტენის, ჰიუგოსა და სპარსელი ლირიკოსების მთარგმნელიც. იგი რუსულ ლიტერატურას აცნობდა ქართველებს და ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაიწყო პუშკინის ლექსების თარგმნა ქართულ ენაზე.* „დღემდე იმდერიან ქართველი ქალები პუშკინის რომანსებსა და სტანსებს, რომლებიც ქართულ ენაზე გადმოიტანა ალექსანდრე ჭავჭავაძემ“, — წერდა 1870-იან წლებში რუსი მოხელე კ. ბოროზდინი.**

1820—40 წლებში ჭავჭავაძიანთ სასტუმრო წარმოადგენ-

* К. Дондуа. Пушкин в грузинской литературе. Сборник статей „Пушкин в мировой литературе“. Л., 1926, стр. 107-108.

** К. Бороздин. Закавказские воспоминания. Мингрелия и Сванетия с 1854 по 1861 год. СПб, 1885, стр. 7.

და, როგორც დავინახეთ, ქართველი და რუსი საზოგადოების კულტურული და პოლიტიკური გაერთიანების ცენტრს, და არცაა გასაკვირი, რომ მის სახლში მოდიოდნენ ხოლმე გრიბოდოვი, კიუხელბეკერი, პოლონსკი, სოლოგუბი და მხატვარი გრიგოლ გაგარინი.*

ქავჭავაძეს უნდოდა მის უფროს ქალს ნინოს დედაქალაქური აღზრდა მიეღო და გასაზრდელად ჩააბარა იგი პრასკოვია ნიკოლაევნა ახვერდოვას, რომელიც „ღირსეული, მეტად ქვიანი და ფრიად განათლებული ქალი იყო“, მის სახლში „ცოდნისა და ხელოვნებისადმი სიყვარული გულდია სტუმართმოყვარეობას ერწყმოდა“.**

მაგრამ ამ ქალის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ვინაიდან ისე გაუგებარი იქნებოდა ზოგიერთი ფაქტი, რომელიც ეხება ლერმონტოვის ყოფნას თბილისში.

ახვერდოვები

პრასკოვია ნიკოლაევნა არსენიევამ ყმაწვილქალობა პეტერბურგში გაატარა და იქ ჩინებული განათლება მიიღო. წარმატებით მეცადინეობდა ფერწერასა და მუსიკაში და ძალიან ნაკითხი ქალი იყო.

1812 წლის შემდეგ იგი მითხოვდა მამაც კავკასიელ გენერალს თევდორე ესაის-ძე ახვერდოვს. 1816 წელს, საქართველოში ა. პ. ერმოლოვის დანიშვნის შემდეგ, გენერალი ახვერდოვი ცალკე ქართული პოლკის არტილერიის უფროსის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა. პრასკოვია ნიკოლაევნა ქმარს ჩამოყვანა თბილისში და ქავჭავაძეთა ოჯახს დაუმეგობრდა. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ქავჭავაძის ოჯახთან ახვერდოვებს გარდა მეგობრობისა აკავშირებდა ახლო ნათესაობა.

* ა. ქავჭავაძის შვილის პორტრეტი—გ. გაგარინის ნამუშევარი—ინახება ლენინგრადის სახელმწიფო რუსული მუზეუმის ნაბატის სექციაში, № 2922.

** П. (Бартенев). К биографии Грибоедова. „Русский архив“, 1881, стр. 177-178.

დავით ბატონიშვილი „ახალ ისტორიაში“ წერს, რომ გენერალ-მაიორი ახვერდოვი იყო „გვართა პუპულაშვილი, ქრცხინვალელი მოსახლე სომეხი“.* იგივეს გვამცნობს მასზე კავკასიისმცოდნე ე. გ. ვეიდენბაუმი**: „წარმოშობით სომეხი, გვარად პაპულაშვილი, სოფელ ცხინვალიდან, გორის მაზრიდან, სეკუნდ-მაიორის შვილი“. „რუსულ ბიოგრაფიულ სიტყვარში“ ახვერდოვებზე ასეა ნათქვამი: „ქართველი აზნაურები, რუსთა სამსახურში შევიდნენ ანა იოანოვნას დროს, 1739 წელს“. პეტერბურგის პაეტა კორპუსის აღზრდილების ბიოგრაფიული სიტყვარიდან ვტყობილობთ, რომ ახვერდოვები წარმოშობით იყვნენ ძველი აზნაურული გვარიდან, ამჟამად შთამომავლობის წიგნში ჩაწერილი არიან კალუგის გუბერნიის მიხედვით.***

ახვერდოვების ფორმულარულ სიაში ნათქვამია: „კითხულობს და წერს რუსულად, ქართულად, იცის ქართული, თათრული, სომხური...“ ****

თუ ამ მონაცემებს დავუპირისპირებთ პ. გ. ბუტკოვის გამოკვლევას „მასალები კავკასიის ახალი ისტორიისათვის 1727 წლიდან ვიდრე 1803 წლამდე“, ნათელი გახდება, რომ ახვერდოვები ეკუთვნოდნენ იმ ქართველთა რიცხვს, რომლებიც თავიანთი ნებით ემსახურებოდნენ რუსებს გილანში (გილანი აზერბაიჯანული პროვინციაა, პეტრე პირველის მიერ ჩრდილოეთ აზერბაიჯანთან შემოერთებული, მისი გარდაცვალების შემდეგ ისევ სპარსეთმა დაიბრუნა.—ი. ა). ისინი 1736 წლიდან ყიზლარში დასახლდნენ. „მიიღეს საყანე მიწები და ფულადი სახსრები დასახლებისათვის“ და ჯამაგირით გათანაბრებულ იქნენ ასტრახანის საგარნიზონო სამსახურის პოლკებთან. ზოგიერთი ამ ქართველთაგანი, 1739 წელს „ფელდ-მარშალ გრაფ მინიხის მიწვევით“, შევიდა ქართველ ჰუსართა სამ ასეულში. ეს ასეულები შედგა თავადებისა და აზნაურე-

* დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია. გამოსცა თამარ ლომოურმა, თბილისი, 1941 წ., გვ. 44.

** ე. გ. ვეიდენბაუმის კართოტეკა. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

*** О. Фрейман. Пажы за 183 года (1711—1894). СПб, 1894, стр. 197.

**** ე. გ. ვეიდენბაუმის კართოტეკა.

ბისაგან, ვახტანგ მეექვსეს რომ გაჰყვნენ რუსეთში.* რუსთა ხელმწიფის სამსახურში შესული ყიზლარელი ქართველების რიცხვში იყო თევდორე ესაის-ძე ახვერდოვის მამაც. „ახვერდოვი ყიზლარელი იყო“, — გვაუწყებს მის შესახებ ქეთევან ორბელიანი.** იგივე დასტურდება ახვერდოვის ძმის ფორმულარით. XIX საუკუნის დამდეგს იგი იყო ყიზლარის საგარნიზონო პოლკის შეფი და ყიზლარის სიმაგრის კომენდანტი. ყიზლარში საკუთარი სახლი ჰქონდა.*** გავიხსენოთ, რომ იმავე ყიზლარში დაიბადა ცნობილი მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი, რომლის მშობლები XVIII საუკუნეში საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლდნენ.

როგორც ჩანს, თევდორე ესაის-ძეს და პრასკოვია ნიკოლაევენას თბილისში დასახლების შემდეგაც უხდებოდათ ყიზლარში ჩასვლა. თავისი „ჩანაწერების“ ერთ-ერთ გვერდზე 1818 წლის თარიღით ნ. ნ. მურავიოვი წერს: „დიდადრიან თბილისიდან ხაზზე გაემგზავრა გენერალ-მაიორი ახვერდოვი ოჯახითურთ.**** ერთი შეხედვით ოჯახთან ერთად საბრძოლო მოქმედებათა ხაზზე გამგზავრება სულ მთლად გასაგები ვერაა. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ ხაზზე მდებარეობდა ციხე-სიმაგრე ყიზლარი, საიდანაც იყო წარმოშობით ახვერდოვი, ეს საოჯახო მგზავრობა არავითარ გაუგებრობას აღარ გამოიწვევს.

მაგრამ ქავჭავაძეებისა და ახვერდოვების ნათესაობა სხვა მხრივ მოდიოდა. ნ. ნ. მურავიოვის იმავე „ჩანაწერებში“ მითითებულია, რომ ისინი ერთმანეთს ენათესავებოდნენ „ჩოლოყაელების მხრივ“.***** ისტორიკოსი ნ. ტარსაიძე დამეხმარა

* П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. СПб. 1869, т. I, стр. 155.

** ქეთევან ორბელიანის მოგონებანი. ს. ცაიშვილის ციტირებული სტატია „მასალები ალექსანდრე ქავჭავაძის ბიოგრაფიისათვის“, გვ. 390.

*** ა. ი. ახვერდოვის ფორმულარული სია (1804). ე. გ. ვეიდენბაუმის კართოტეკა.

**** Н. Н. Муравьев-Кареский. Записки. „Русский архив, 1889, 11, стр. 303.

***** „Из записок Н. Н. Муравьева“. „Русский архив“. 1887 11, стр. 133.

თბილისში მსახურობდა. მგზნებარე მეგობრობა ახვერდოვა-სადმი მთელი ცხოვრება გაჰყვა კიუხელბეკერს. სვეაბორგის საპატიმროში ყოფნისას, პატიმრობის მეშვიდე წელს, კიუხელბეკერი სიხარულით აღნიშნავს თავის დღიურში: „მივიღე დედის წერილი, ჩემთვის ძალზე სასიხარულოა, რომ იგი ყოფილა ჩემს მეგობარ პრასკოვია ნიკოლაევნა ახვერდოვასთან, როგორც კი გაუგია ახვერდოვას პეტერბურგში ყოფნა“.*

„ხედებით თუ არა პრასკოვია ნიკოლაევნას? — ეკითხებოდა კიუხელბეკერი თავის დისწულს ნ. გ. გლინკას იმავე სვეაბორგიდან მოწერილ 1834 წლის 21 აგვისტოს წერილში. — სად გაატარებს ამ ზაფხულს, ნუთუ ქალაქში?“ (იგულისხმება პეტერბურგი — ი. ა.).**

„პრასკოვია ნიკოლაევნას გადაეცით ჩემი უმდაბლესი სალამი“, — ავალებს იგი მეორე დისწულს — ა. გ. გლინკას ერთი თვის შემდეგ.***

1881 წელს ახვერდოვას ერთადერთმა ქალმა დარია ფეოდოროვნამ, ქმრის გვარით ხარლამოვამ, სწორედ იმ პატარა „დაშინკამ“, რომლის შესახებაც სწერდა ახვერდოვას გრიბოედოვი და სთხოვდა „ნაზად დაეკოცნა გოგონა“, პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკას გადასცა დედამისის 9 წერილი. ეს იყო გრიბოედოვის წერილები, რომლებიც პ. ი. ბარტენევმა იმავე წელს გამოსცა თავისი „Русский архив“-ის ფურცლებზე და თან მოკლე შენიშვნა დაურთო თვით ხარლამოვას ნათქვამიდან.**** ოცი წლის შემდეგ, 1901 წელს, ხარლამოვას ესაუბრა გრიბოედოვის ბიოგრაფი ნ. ვ. შალომიტოვი. მისგან მიღებული ცნობები მან გამოიყენა თავის სტატიაში — „გრიბოედოვი და მუსიკა“.***** ამ მცირე ცნობებით, რომელიც

* „Дневник В. К. Кюхельбекера“. „Прибой“, Л., 1929, стр. 38. 1832 წლის 30 იანვრის ჩანაწერი.

** ვ. კ. კიუხელბეკერის გამოუქვეყნებელი წერილი ა. გ. ბურცევის კოლექციიდან, აღმოჩენილი ქ. აქტიუბინსკში. ცენტრალური სახელმწიფო ლიტერატურული არქივი.

*** ვ. კ. კიუხელბეკერის გამოუქვეყნებელი წერილი ვ. ი. ნეიშტადტის კოლექციიდან (მოსკოვი).

**** Письма А. С. Грибоедова к П. Н. Ахвердовой. „Русский архив“. 1881, II стр. 178—186.

***** Н. В. Шаломытов. Грибоедов и музыка. „Исторический вестник“, 1910, VI, стр. 865—883.

ახვერდოვას ქალიდანაა მიღებული, ამოიწურა ის კინი რამ, რაც ჩვენ პრასკოვია ნიკოლაევნას შესახებ ვიცით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ხსენებას ნ. ნ. მურავიოვ-კარსკის „ჩანაწერებში“. ამ უკანასკნელმა ცოლად შეირთო ახვერდოვას გერი.

ამასთანავე მოსკოვში, ა. ა. ბახრუშინის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, ინახება დ. ფ. ხარლამოვას გამოუქვეყნებელი მოგონებანი. მოგონებებს უჭირავს 7 ფურცელი, ეწოდება: „კიდევ რამდენიმე სიტყვა გრიბოედოვზე“.*

ეს მოგონებანი ავსებენ მის, რაც ახვერდოვას ქალმა თავის დროზე გრიბოედოვის შესახებ უამბო ბარტენევსა და შალომიტოვს და, რაც მთავარია, მოგონებებში ვნახულობთ სრულიად უცნობ ფაქტებს ახვერდოვასა და ქავჭავაძეების ოჯახის მეგობრობის შესახებ. ეს მოგონებანი ჩაწერილია 1901 წელს 84 წლის მოხუცის კარნახით, ჩაწერილია მისი ქალის მ. ნ. შმიდტის მიერ, რადგან ხარლამოვას მხედველობა ძალზე შესუსტებოდა, ხელიც გაუგებარი გახდომოდა. ამრიგად, ეს ჩანაწერები იწერებოდა სამოცდაათი წლის შემდეგ მომხდარი ამბებიდან, რაც გვავალებს განსაკუთრებული სიფრთხილით მოვეყიდოთ ამ მოგონებებს.

მიუხედავად ამისა, ამ დოკუმენტის უტყუარობა ექვს არ იწვევს. ეს ასეა უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ იმ ნაწილში, რომელიც ეხება ახვერდოვას და მის დამოკიდებულებას გრიბოედოვისადმი, ხარლამოვა ძირითადად იმეორებს იმ ფაქტებს, რაც მან ოცი წლის წინათ გადასცა ბარტენევს. ამ ფაქტებს დღემდე არავისი დაეჭვება არ გამოუწვევია.

შემდეგ: მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მოგონებებში ხარლამოვა აღწერს მხოლოდ ბავშვობის შთაბეჭდილებებს და ამასთანავე არა ერთგზის შეახსენებს მკითხველს, რატომაც ეს შთაბეჭდილებანი ასე შეზღუდული. „სამწუხაროდ, — წერს იგი, — ამ ამბების დროს სულ მთლად პატარა ვიყავი“. „ეს მხოლოდ სხვათა ნაამბობიდან ვიცი“. „სამწუხაროდ, მე უმ-

* დ. ხ(არლამოვა). კიდევ რამდენიმე სიტყვა გრიბოედოვზე. ზელნაწერი, ა. ა. ბახრუშინის სახელობის სახელმწიფო თეატრალური მუზეუმი. შიფრი ტმ 163494. იხ. დამატება ამ წიგნის ბოლოს, გვ 241-250.

ცროს თაობას ვეკუთვნოდი და ამიტომ მხოლოდ ის მახსოვს, რაც ჩვენ, ბავშვებს, გვეხებოდა და უფროსთა ნაამბობიდან არაფრის მოყოლა არ შემიძლია“, — და ა. შ.

და მართლაც, უფროსების ნაამბობიდან იგი ერთ სიტყვასაც არ გადმოგვცემს, მით უფრო კმეტი საფუძველი გვაქვს დაუუჯეროთ მას, როცა იგი წერს, რომ თბილისში ახვერდოვებს ჰქონდათ „მთის ფერდობზე, სალილაკის ლელესთან (ე.ი. სოლოლაკის ნაკადულთან.—ი. ა.) სახლი და შესანიშნავი ზღაპრული ბაღი“.

„იქაური ვენახებიდან საუკეთესოა, — ადასტურებს თანამედროვე, რომელიც 1828 წელს თბილისში ყოფილა, — არტილერიის ყოფილი უფროსის ახვერდოვის ვენახი“.*

„თავად აღუქსანდრე გარსევანის-ძე ჰავეჭავაძეს, — განაგრძობს ხარლამოვა, — რომელიც დედაჩემთან ერთად ჩემი დის სოფის და ძმის ეგორუშკას აპეკუნი იყო, ეჭირა არცთუ ისე დიდი ფლიგელი ჩვენი სახლის გვერდით. აქ ცხოვრობდნენ თავადის დედა, მეუღლე კნეინა სალომე და შვილები ნინო, კატენკა და დავითი. გოგოები მთელი დღეობით ჩვენთან იყვნენ ხოლმე, ხოლო კატინკა კიდევაც ცხოვრობდა ჩვენსა. მე, მას და გუვერნანტ ქალს ნადეჟდა აფანასევნას ერთი ოთახი გვქონდა. ეს ის გუვერნანტი ქალია, რომელსაც გრიბოედოვმა დედაჩემისადმი მიწერილ წერილში მოკითხვათა მთელი აკაფისტო უძღვნა. ზაფხულობით ხშირად დავდიოდით ჰავეჭავაძეთა შესანიშნავ მამულში — წინანდალში, მოგზაურობისას 20 ჯარისკაცისაგან მაინც შედგენილი ამაღლა გვახლდა მთიელების თავდასხმის საშიშროების გამო. თავადი სხვებზე ნაკლებად მახსოვს. იგი ხშირად სახლში არ იყო, ხოლო ერევნის დაპყრობის შემდეგ იქაური გუბერნატორი შეიქნა, მაგრამ მისი ოჯახი თბილისში დარჩა“.

ეჭვი არაა, რომ თორმეტი წლის ხარლამოვას შეეძლო ყოველივე ეს მშვენივრად ცოდნოდა და დაემახსოვრებინა. ამის გარდა, მისი ცნობები დასტურდება სხვა არაპირდაპირი მონაცემებით.

* „Из воспоминаний и впечатлений покойника“. „Библиотека для чтения“. 1848, т. 86, отд. III, стр. 52.

თავისი „ჩანაწერების“ ერთ-ერთ ადგილას ნ. მურავიოვ-კარსკი იგონებს, როგორ აცილებდა ერთხელ ა. ჭავჭავაძეს შინამდე (სახლობდა თავად ახვერდოვის ახლოს), როგორ გააჰყენეს ცხენები და მივიდნენ მთასთან, რომლის ძირს იყო ეს სახლები და როგორ გადავიდა პატარა ხიდი, გადებული ამ სახლების გამყოფ არხზე მას შემდეგ, რაც ჭავჭავაძეს გამოემშვიდობა.*

შევადაროთ ეს მონათხრობები ხარლამოვას მოგონებების ტექსტს. იგი ამბობს, რომ მათი სახლი, მას შემდეგ, რაც ისინი წამოვიდნენ თბილისიდან, „ხაზინამ შეისყიდა კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტისათვის“. თუ თბილისის გეგმებს გადავავლებთ თვალს, გეგმებს შედგენილს გასული საუკუნის პირველ ნახევარში, დავინახავთ, რომ კეთილშობილ ქალთა სახაზინო ინსტიტუტი მართლაც მდებარეობდა სადოვაიას ქუჩაზე (ახლანდელი ენგელსის ქუჩის ზემო ნაწილი).** გეგმებზე აღნიშნულია არა მარტო ვრცელი ბაღი, გადაჭიმული ახლანდელ ლერმონტოვის ქუჩამდე (ამ ქუჩაზე მაშინ ჩამოდიოდა სოლოლაკის დეღე), არამედ აღნიშნულია სახლებიც და ამ ორი სახლის გამყოფი არხიც კი. ახვერდოვების სამფლობელოს ეჭირა სივრცე, რომელიც შემდეგ დაიჭირა სერგეევის ქუჩისა (დღევანდელი მაჩაბლის ქუჩა) და ლაბორატორიის ქუჩის კვარტალის სახლებმა. ლაბორატორიის ქუჩა (ამჟამად ძერჟინსკის ქუჩა) 1840-იან წლებში ჰკვეთდა სოლოლაკს და თვით მთის პირამდე მიდიოდა. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ახვერდოვებისა და ჭავჭავაძეების სახლები იმ ადგილას იდგა, საცა ახლა საქართველოს მწერალთა კავშირის სახლია. ხოლო ამ სახლსუკანა ბაღი წარმოადგენს ახვერდოვების ყოფილი ბაღის ნაწილს.

ეს კიდევ ერთი ფაქტით დასტურდება: მურავიოვს უნდოდა ახლო ყოფილიყო თავის საცოლესთან, სოფი ახვერდოვასთან, და ამიტომ „დაიჭირა პატარა სახლი მისი სახლის

* Н. Н. Муравьев - Кареский. Записки. „Русский архив“, 1889, 9, стр. 65.

** План г. Тифлиса с окрестностью. Составлен и гравирован при Генеральном штабе отд. Кавказского корпуса в 1850 году. „Кавказский Календарь на 1851 год“-ის დამატება.

ახლოს, კათოლიკეების სასაფლაოსთან, ქალაქგარეთ, ცალკე-
კათოლიკეთა სასაფლაო მართლაც ახლო იყო. იგი იწყებოდა
იმ ადგილიდან, საცა ახლა ლერმონტოვის და მახარაძის ქუჩის
კუთხეა და გადაჭიმული იყო დღევანდელი ჯაფარიძის
ქუჩისაკენ. ასე, რომ მურავიოვი ცხოვრობდა იქ, საცა ახლა
ხელოვნების მუშაკთა სახლია და ხელოვნების მუშაკთა სახლი
ხომ იქვეა, სადაც მწერალთა კივშირია. ამ რაიონს მაშინ
კლდის უბანი ერქვა.

აი, აქ, ახვერდოვების სახლში, რომელიც მთის ძირას
მდებარეობდა, ყოველდღე დადიოდა გრიბოედოვი 1820-იან
წლებში. ჩვენსა ჩაისახა და განვითარდა მისი სიყვარული
თავად ქავჭავაძის ასულისადმი, ჩვენს სახლში იგი ბედნიერი
სასიძო შეიქნა და ერთი ხნით დაივიწყა თავისი იპოხონდრია*.

კარგა ხნით თბილისში არყოფნის შემდეგ გრიბოედოვი
ქალაქში დაბრუნდა და თითქმის ყოველდღე სადილობდა
ახვერდოვებთან, ხოლო სადილის შემდეგ ბავშვებისათვის
უკრავდა საცეკვაოებს. ბავშვები კი ჩვენსა ძალიან ბევრი
იყო, იმდენი, რომ ერთ პატარა პანსიონს შეადგენდა — ორი
ასაკის; უფროს თაობას ეკუთვნოდნენ: მამაჩემის უფროსი
ქალიშვილი, პირველი ცოლისაგან ნაშობი, სოფია თევდორეს
ასული, შემდეგში რომ ნ. ნ. მურავიოვ-კარსკიზე გათხოვდა,
ჩემი ძმა იაგორ თევდორეს-ძე, მამის ღარიბი ძმისწული ანა
ანდრეას ასული ახვერდოვა, მოდიოდნენ საერთო სწავლისა-
თვის ცნობილი თავადის ასული ნინო ქავჭავაძე, თავადის ქალი
მარია ივანეს ასული (მაიკო ორბელიანი), თავადის ქალი
ეკატერინე ალექსანდრეს ასული ქავჭავაძე, შემდეგში რომ
დადიან-მინგრელსკის ცოლი შეიქნა, თავადის ქალი სოფიო
ივანეს ასული (სოფიკო) ორბელიანი, ვარინკა თუმანოვა და
მე უმცროს თაობას შევადგენდით*.

ამრიგად, ნათელი ხდება, რომ ახვერდოვებისა და ქავჭა-
ვაძეების ოჯახს არა მარტო ახლო მეგობრობა აკავშირებდა,
არამედ ეს ორი ოჯახი თითქმის ერთ სახლად ცხოვრობდა
და ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდათ.

* Н. Н. Муравьев-Карсский. Записки. „Русский архив“, 1889, 9,
стр. 66-67.

„ლიბერალური სამოქალაქო ახალგაზრდობაც მომავალ დეკაბრისტთაგან, — გვაუწყებს ხარლამოვა, — ჩამოდიოდა კავკასიაში და ესტუმრებოდა ხოლმე დედაჩემს, განსაკუთრებით ხშირად ვ. კ. კიუხელბეკერი — ჩვენი ოჯახის ძველთაძველი მეგობარი“.

ეს შენიშვნა გვაფიქრებინებს, რომ ახვერდოვა ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას იცნობდა კიუხელბეკერს. გავიხსენოთ ციტირებული ადგილები კიუხელბეკერის წერილებიდან, რომლებიც მოწმობენ, რომ კიუხელბეკერის პატიმრობის დროს მის დედასა და დისწულებს — გლინკებს მიმოსვლა აქვთ ახვერდოვასთან. ამის ახსნა მარტო თბილისის ნაცნობობით ვერ მოხერხდება.

„25 წლის შემდეგ ბევრი, ვინც ოდნავ მაინც იყო გარეული დეკაბრისტების ამბოხში, კავკასიას გაგზავნეს ჭკუის გასამწეურებლად“. ხარლამოვას მხოლოდ ორი მათგანის გვარი დაუმახსოვრებია: რინკევიჩი და ისკრიცკი.

თავისი დედის მეგობართა შორის, რომლებიც თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ მის სახლში, ხარლამოვა ასახელებს თავად ალექსანდრე არკადის-ძე სუვოროვს. თუმცა მოგონებათა იეტორი არას გვატყობინებს მის შესახებ, მაგრამ ამის-და მიუხედავად გასაგებია, საიდან მოდის ეს მეგობრობა.

ალექსანდრე არკადის-ძე სუვოროვი იყო შვილიშვილი დიდი მხედართმთავრისა, ხოლო პრასკოვია ნიკოლაევნა ახვერდოვას მამა, სახელმოხვეჭილი გენერალი ნიკ. დიმ. არსენიევი ერთ დროს ა. ვ. სუვოროვთან მსახურობდა შტაბის უფროსად, მას-თან ერთად მონაწილეობდა იზმაილის ალებაში და პოლონეთის ბრძოლებში, გარდაიცვალა 1796 წელს ბრძოლებში მიღებული კრილობებისაგან.

იზმაილის ალებაში მონაწილეობისათვის არსენიევს მესამე ხარისხის წმიდა გიორგის ჯვარი ჰქონდა. ბაირონი თავის „დონ-ჟუანში“ ასახელებს რა დიდი სუვოროვის უახლოეს თანამებრძოლებს, მათ შორის მოიხსენიებს არსენიევსაც.*

როცა ა. ა. სუვოროვი თბილისში ჩამოვიდა, ცხადია, მას

* В. С. Арсеньев. Преди и родственники М. Ю. Лермонтова со стороны Арсеньевых. ზელნაწერი.

არ შეეძლო გვერდი აეველო ახვერდოვას სახლისათვის. ამ-
რიგად, ჩვენ კვლავ გვეძლევა საშუალება მიკვლევულ მოგო-
ნებათა უმეტესობა ვირწმუნოთ.

ალექსანდრე არკადის-ძე სუვოროვს ხარლამოვა „მიაკუთ-
ვნებდა ბრწყინვალე სამხედრო ახალგაზრდობის ნაღებს“, რო-
ნელსაც კავკასიისაკენ ეწეოდა მოდა და პატივმოყვარეობის
გრძნობა. ხარლამოვას არ შეეძლო სცოდნოდა, რომ 1826
წელს სუვოროვის შვილიშვილი კავკასიის კორპუსში გამო-
გზავნეს იმის გამო, რომ იგი დეკაბრისტების საიდუმლო
საზოგადოებასთან იყო დაკავშირებული.*

ხარლამოვა ასახელებს ახვერდოვას სხვა მუდმივი სტუმრე-
ბის გვარებსაც — ერმოლოვის ადიუტანტს გრაფ სამუილოვს,
ოფიცრებს: ბუტურლინს, ვერეგინებს, სიმბორსკის და არსე-
ნიევს. მართლაც, ყველა ესენი ამ პერიოდში ან ცხოვრობდნენ
თბილისში, ან ხშირად ჩამოდიოდნენ აქ. ხარლამოვას ცნო-
ბები ძალიან ზუსტია.

მაგრამ აი კიდევ ახალი მნიშვნელოვანი ცნობა:

„1829 წლის ახლო ხანებში გვესტუმრა და ჩვენსა ისა-
დილა ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინმაც. მე ის ძალიან კარ-
გად მახსოვს, თუმცა ეს იყო ჩვენთვის ბუნდოვან დროს —
გრიბოედოვის გარდაცვალების შემდეგ“.

იმის შესახებ, რომ პუშკინი სადილად იყო დედამისთან,
ხარლამოვამ უამბო შალომიტოვს. შალომიტოვს თავის სტატი-
აში მოჰყავს ხარლამოვას ეს სიტყვები. საკვირველია, რომ
ეს ცნობა გამოეპარათ პუშკინისმცოდნეებს. არც ერთ, ჩვენ-
თვის ცნობილ შრომაში პუშკინის შესახებ არაა ეს ცნობა
გამოყენებული და არც უარყოფილი. ეს ცნობა, როგორც
ჩანს, უცნობია იმ ავტორებისთვისაც კი, რომლებსაც ეკუთ-
ვნის გამოკვლევები საქართველოსთან პუშკინის კავშირის
შესახებ.

გასაგებია, რომ ხარლამოვას ამ ცნობას დიდი სიფრთხი-
ლით უნდა მოვეკიდოთ. ერთია, როცა იგი ჰყვება, თუ სად
მდებარეობდა სახლი, რომელშიც მას ბავშვობა გაუტარებია,

* Алфавит декабристов. Восстание декабристов. Материалы,
т. VIII, под редакцией и с примечаниями Б. Л. Модзалевского и А. А.
Славерса. Л., ГИЗ, стр. 180 и 398.

და სხვა ამბავია, როცა იგი 70 წლის შემდეგ იგონებს პუშკინს.

მაგრამ აქაც ყურადღებას იპყრობს ერთი დეტალი, რო. მელიც ამ ფაქტის უტყუარობას მოწმობს. ხარლამოვა წერს, რომ პუშკინი მათ ეწვია „1829 წლის ახლო ხანებში“. აქედან ნათელია, რომ პუშკინის ჩამოსვლის დროს იგი მეხსიერებით აღადგენს და არა წერილობითი ფაქტებით. ეს მისთვის დაკავშირებულია კიდევ უფრო მნიშვნელოვან ამბავთან: „ეს იყო ჩვენთვის ბუნდოვან დროს — გრიბოედოვის სიკვდილის შემდეგ“. ხოლო 1830 წლით, როგორც დავინახეთ, საერთოდ იფარგლება მისი ცხოვრების თბილისური პერიოდი. ამიტომ ასეთი არცთუ ისე ზუსტი თარიღი — „1829 წლის ახლო ხანებში“ — ამ შემთხვევაში უფრო სანდოა, ვინემ ზუსტი. მით უმეტეს ხარლამოვა ჰყვება ისეთ რასმე, რაც შემდეგში არა ერთგზის შეეძლო დედის საშუალებით შეემოწმებინა. ხოლო პრასკოვია ნიკოლაევნა გარდაიცვალა უკვე მოხუცებული 1851 წელს, როცა თვითონ ხარლამოვა იყო არა 12 წლისა, არამედ 34-სა.

ამასთანავე ახვერდოვებთან პუშკინის სტუმრობა პოეტის ბიოგრაფიის არც ერთი ჩვენთვის ცნობილი ფაქტით არ უარიყოფა. პირიქით, მათი შეხვედრა ბუნებრივი ჩანს და გარდაუვალიც კი.

„თბილისში თითქმის ორი კვირა დაეყავი, — წერს პუშკინი, — გავეცანი იქაურ საზოგადოებას“. *

ერზრუმიდან მომავალმა პუშკინმა კვლავ ჩამოიარა თბილისში პირველ აგვისტოს. „აქ დაერჩი რამდენიმე დღე თავაზიან და მხიარულ საზოგადოებაში, — აღნიშნავს იგი, — რამდენიმე საღამო ბალებში გავატარე მუსიკისა და ქართული სიმღერების მოსმენაში“. **

ვისთან შეეძლო ყოფნა პუშკინს? რა საზოგადოებას გაეცნო? „გამგზავრებაში“ იგი მხოლოდ „თბილისური უწყებების“ რედაქტორს სანკოვსკის და გენერალ-გუბერნატორს სტრეკალოვს ასახელებს.

* პუშკინი. ერზრუმს მგზავრობა 1829 წლის ლაშქრობის დროს. თავი მეორე.

** იქვე, თავი მეხუთე.

მაგრამ პუშკინის თანამედროვე კ. ი. სავოსტიანოვის მოკონებებიდან ცნობილია—„ყველა, ვისაც კი ამის საშუალება ჰქონდა, აწყობდა მის საპატივცემულოდ ზეიმს, სადილს, საღამოს ან საუზმეს“.*

ასეთ ვითარებაში როგორ შეეძლო პუშკინს არ შეხვედროდა ახვერდოვას, რომლის სახლი, როგორც სამართლიანად ირწმუნება ხარლამოვა, „მთელი ათი წლის განმავლობაში თბილისის კულტურული საზოგადოების თავშესაყარს წარმოადგენდა“.

მართალია, პუშკინი ჩამოვიდა თბილისში გრიბოედოვის სიკვდილის შემდეგ, მაშინ, როცა, ხარლამოვას სიტყვებით რომ ვთქვათ, „მათი სახლი თითქმის გლოვის სუღარაში გახვეულიყო“ და აქედან გასაგებია, რომ ჭავჭავაძეების სახლში არავის ეცალა საგანგებო სადილებისათვის, მაგრამ ირკვევა, რომ ამ დროს ისინი ახვერდოვებთან ერთად აღარ ცხოვრობდნენ. „თავრიზიდან ჩამოსვლის შემდეგ ნინა ალექსანდროვნა თავისი ნათესავებითურთ უკვე ჩვენს ფლიგელში კი არ დასახლდა, არამედ ქალაქში“.

პუშკინმა „მგზავრობაში“ არ დაასახელა ისინი, ვისთანაც გაატარა „რამდენიმე საღამო მუსიკასა და ქართულ სიმღერებში“. ეს იმიტომ, რომ მისი თბილისელი ნაცნობებისაგან ბევრი აღმოჩნდა 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, რომელნიც 1836 წლისათვის, როცა „მგზავრობა“ გამოქვეყნდა, შერისხული იყვნენ. მაგრამ სრულიად მართალნი არიან მკვლევარნი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ იმ დღეებში, როცა დაქვრივებული ნინო გრიბოედოვა და ძაძით მოსილი ჭავჭავაძეები გრიბოედოვის ნეშტის ჩამოსვენებას ელოდნენ, იმქამად თბილისში მყოფ პუშკინს არ შეეძლო არ მისულიყო მათთან, რათა თავისი თანაგრძნობა გამოეხატა. ამრიგად უნდა გაცნობოდა იგი გრიბოედოვის სიმამრსა და ქვრივს.**

* „Рассказ К. И. Савостьянова о встречах с Пушкиным в 1829 и 1833 годах“. Сообщил А. Достоевский. „Пушкин и его современники“, вып. 37-й, Л., изд. Академии Наук СССР, 1928, стр. 144—151.

** შეად. И. Ениколопов. Пушкин на Кавказе. Тбилиси, изд. „Заря Востока“, 1938, стр. 87-88.

Л. Асатиани. Пушкин и грузинская культура. Тбилиси, изд. „Заря Востока“, 1949, стр. 32.

ეს შეხედულება, ისევე, როგორც ბევრი სხვა მნიშვნელოვანი მოსაზრება რუსეთ-საქართველოს კულტურული კავშირის შესახებ ეკუთვნის პოეტ-აკადემიკოსს გიორგი ლეონიძეს. დ. ფ. ხარლამოვას მოგონებანი აღასტურებს გ. ლეონიძის ვარაუდის შესაძლებლობას და ამტკიცებს, რომ პუშკინმა „მგზავრობაში“ თბილისის აღწერისას შეგნებულად არ მოიხსენია არავინ, გარდა ოფიციალური პირებისა, მათ რიცხვში ახვერდოვაც. სხვათა შორის, როცა პუშკინი მოგონებებზე მუშაობდა, ახვერდოვა უკვე საქართველოში აღარ ცხოვრობდა.

მასთან საუბარი პუშკინმა „მგზავრობის“ იმ ადგილს მოიხსენია, სადაც მოთხრობილია იმაზე, თუ როგორ შეხვდა პუშკინი გრიბოედოვის გვამს. სწორედ ახვერდოვასაგან შეეძლო გაეგო მას გრიბოედოვის ცხოვრების იმ დროის ამბები, „როცა იგი საქართველოში ჩამოვიდა და ის შეირთო, ვინც უყვარდა“, დაწვრილებით გაეგო „მისი მშფოთვარე ცხოვრების უკანასკნელი წლებისა და სიკვდილის შესახებ“, „როცა სასიკვდილო ლახვარი ჩაეცა გაბედულ და უთანასწორო ბრძოლაში“. შეძველია, რომ გრიბოედოვის „ძველ მეგობარ ქალს“ უნდა ეამბნა პოეტისათვის თავისი აღზრდილის შესახებ და „თავად ჰავჰავაძეზეც“ (ასე უწოდებს მას პუშკინი „მგზავრობის“ შავ ხელნაწერებში). *

1830 წლის მაისში პრასკოვია ნიკოლაევნა ახვერდოვამ სამუდამოდ დასტოვა თბილისი და რუსეთში დაბრუნდა. ესეც ჩვენთვის სრულიად ახალი ცნობაა. აქამდე მიღებული იყო (და მეც ვიმეორებდი ამ შეცდომას), რომ ახვერდოვა თბილისში ცხოვრობდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე. არავის მოფიქრებია, რომ თავისი უკანასკნელი 20 წელი ახვერდოვამ პეტერბურგში გაატარა და რომ მასზე ცნობები ლენინგრადის არქივებში უნდა შეგროვდეს. **

* Пушкин. Полное собрание сочинений. Изд. Академии Наук СССР, 1940, т. 8, полутом 2, стр. 1025.

** 1832 წელს ახვერდოვა იყო პეტერბურგში (ვ. კ. კიუხელბეკერის დღიური), აქ ინახულა იგი 1883 წელს ნ. მურავიოვმა („Русский архив“, 1894, II, стр. 511 и 527). 1834 წლის ზაფხული, როგორც ამას კიუხელბეკერის წერილი გვამცნობს, მან ქალაქში გაატარა, ხოლო 1835 წლის ზაფხული—ცარსკოე სელოში („Русский архив“, 1894, III, стр. 375 и 419). იქ იმ დროს ლეიბ-ჰესარად მსახურობდა ლერმონტოვი.

ხარლამოვას მოგონებებში, ჩვენთვის, ვგონებ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის ცნობა, რომ ახვერდოვების რუ-ოჯახთან არ შეწყვეტილა. ხარლამოვა ამბობს, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე მეგობრულ ურთიერთობაში იყო ჭავჭავაძის უმცროს ქალთან ეკატერინესთან, და თუმცა დიდი ხანი არ ენახათ ერთმანეთი, სიკვდილამდე არ შეუწყვეტიათ მიწერ-მოწერა.

ამრიგად, ცხადია, რომ პრასკოვია ნიკოლაევნა ახვერდო-ვა კვლავ მეგობრულ ურთიერთობაში იყო თავის თბილისელ მეგობრებთან. და როცა ჭავჭავაძის შვილი, დავითი, პეტერ-ბურგში ჩავიდა გვარდიის პოდპრაპორშჩიკებისა და კავალე-რიის იუნკერთა სკოლაში შესასვლელად* (შევნიშნავთ, რომ ამ სკოლაშივე სწავლობდა ლერმონტოვი), ახვერდოვას იგი უნდა მიეღო როგორც ნათესავი.

მაგრამ არის უფრო მნიშვნელოვანი ფაქტები. 1834—36 წლებში პეტერბურგში იყო თვით ალექსანდრე ჭავჭავაძე. იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში ჩავიდა იგი იქ, ჩვენ დაწ-ვრილებით ქვემოთ მოგვიხდება ლაპარაკი. ამ შემთხვევაში, მთავარია აღინიშნოს, რომ დედაქალაქში ყოფნისას პოეტი სულ მუდამ ხვდებოდა ახვერდოვას, კვლავ ძველებურად მეგობრობდა მასთან.

პეტერბურგშიაც კი ახვერდოვა იგებდა თბილისურ ახალ ამბებს და იმდენად იყო აქაურ საქმეებში ჩახედული, რომ თვით ჭავჭავაძეზე აღრე გაიგო პოეტის დედის სიკვდილი და პირველმა აცნობა წინანდლიდან მიღებული ამბავი. მის მი-სამართლებე მოდიოდა, როგორც შეგვიძლია დავრწმუნდეთ, ჭავჭავაძის წერილები. „პრასკოვა ნიკოლაევნასაგან, — წერ-და იგი 1836 წ. 22 ივნისს პეტერბურგიდან თბილისის სამო-ქალაქო გუბერნატორს ნ. ო. ფალავანდიშვილს, — ვსცან გუშინ ჩემზედ მოწვენილი უბედურება, რომლისაც გავგონე-

* В. Потто. Исторический очерк Николаевского кавале-рийского училища. Школа гвардейских подпрапорщиков и кавале-рийских юнкеров. СПб, 1873. Приложения, стр. 207.

ბას ყოველ დღე მოველოდი; და თქვენი წიგნიცა იმისგანვე მივიღე... *

ამრიგად, უნდა დავიხსოვოთ, რომ 1834-36 წლებში აბ. ვერდოვა და ჭავჭავაძე კარგა ხანი ხვდებოდნენ ერთმანეთს პეტერბურგში.

წინანდაღი

უკანასკნელ დრომდე არავისთვის იყო ცნობილი, რომ ლერმონტოვი და პრასკოვია ნიკოლაევნა ახვერდოვა ახლო ნათესავეები იყვნენ, ამასთანავე იგი, — ქალიშვილობაში არსენიევა, — ლერმონტოვის განსვენებული დედის ბიძაშვილი იყო, ასე რომ ლერმონტოვს დეიდად მოხვდებოდა. **

უფრო მეტიც, ლერმონტოვი ხვდებოდა მას 1830-იან წლებში, როცა ახვერდოვა უკვე პეტერბურგსა და ცარსკოე სელოში ცხოვრობდა, იგი მუდმივ ახლო ურთიერთობაში იყო პოეტთან და მის დიდებისთან — ელიზავეტა ალექსეიევნა არსენიევასთან. „მე ხშირად ვხვდები დარია ნიკოლაევნას და პრასკოვია ნიკოლაევნას და ყოველთვის თქვენზე ვლაპარაკობ“, — წერდა ე. ა. არსენიევა პეტერბურგიდან ერთ თავის ნათესავ ქალს — ტამბოველი მემაშულის მეუღლეს, პრასკოვია ალექსანდროვნა კრიუკოვას. თუმცა წერილის კომენტატორი შენიშნავს, რომ დარია ნიკოლაევნასა და პრასკოვია ნიკოლაევნას პიროვნება დაუდგენელიაო ***, მიუხედა-

* ალექსანდრე ჭავჭავაძის 1836 წლის 22 ივნისის წერილი ნ. ფალანდიშვილისადმი ინახება აკად. ს. ჯანაშიას საბ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში, ფონდი *Sd*, № 1826. გამოქვეყნებულია ი. გრიშაშვილის მიერ (იხ. ალექსანდრე ჭავჭავაძე. თხზულებანი. თბილისი, „ფედერაცია“, 1940 წ., გვ. XII და ი. გრიშაშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები“. თბილისი, სახელგამი, 1952 წ., გვ. 15).

** В. С. Арсеньев. Род дворян Арсеньевых (1389—1901). Тула, издание М. Т. Яблочкова, 1903, стр. 65 и 68.

*** Л. Модзалевский. Письма Е. А. Арсеньевой о Лермонтове. „Литературное наследство“, № 45-46. М. Изд. Академии Наук СССР, 1949, стр. 650-651 и 655 (примечание 50).

ვად ამისა, ჩვენთვის გასაგებია, რომ ესენი არიან პრასკო-
ვია ნიკოლაევნა ახვერდოვა და მისი და დარია ნიკოლაევნა
ხვოსტოვა, პ. ა. კრიუკოვას ბიძაშვილები და განსვენებული
მ. ვ. არსენიევის — ე. ა. არსენიევის მეუღლის ძმისწულები.*

სრულიად ბუნებრივია, რომ არსენიევისა და ახვერდოვას
შეხვედრისას საერთო ნათესავის პ. ა. კრიუკოვას პიროვნება
მათი საუბრის ხშირი თემა ყოფილიყო. გასაგებია, როცა
არსენიევა წერს, სულ თქვენზე ვლაპარაკობთ.

იმაზე, რომ ლერმონტოვი იცნობდა ახვერდოვას, ჩვენ
გუშინი უკვე წინათ ავიღეთ, როცა ერთ ჩანაწერს მივაქციეთ
ყურადღება. ამ ჩანაწერს ეპოულობთ 1840 წლის ალბომ-
ში: „ახვერდოვ[ა] კიროჩნ[აიას] ქუჩა[ზე]. გ[რაფინია] ზავა-
დოვსკაია], ლეონ გოლიცი[ნი] როსტოვეცის სახლში.“**

უკვე ახვერდოვას ეს პეტერბურგის მისამართი, ჩაწერილი
ლერმონტოვის ალბომში, იმის სერიოზულ ეჭვს ბადებდა,
რომ პოეტი იცნობდა ახვერდოვას. ეს ჰიპოთეზა მე ჯერ კი-
დეც 1939 წელს გამოეთქვი.***

მაგრამ ამ საკითხს საბოლოოდ სწყვეტს 1848 წლის დე-
კემბერში ქალაქ აქტიუბინსკში მიკვლეული ლერმონტოვის
წერილი ბებიასადმი.

თუმცა წერილს არც თვე და არც წელი არ აქვს, მაგრამ
შინაარსით იგი ადვილად შეგვიძლია დავათარილოთ 1836
წლის აპრილის მეორე ნახევრით, როცა ლერმონტოვი ცარსკოე
სელოში მსახურობდა და ხშირად ჩამოდიოდა ხოლმე დედა-
ქალაქში.

„ძვირფასო ბებია, — სწერდა პოეტი, — რადგან თქვენი ჩა-
მოსვლის დრო ახლოვდება, მე უკვე ბინას დავედებ, კარე-
ტაც შევათვალეირე, მაგრამ მაღალია. პრასკოვია ნიკოლაევნა

* В. С. Арсеньев. Род дворян Арсеньевых (1389—1901). Тула,
издание М. Т. Яблочкова, 1903, стр. 64-65.

** ლერმონტოვის ალბომი, რომელიც შეიცავს 29 ფურცელს, დაცუ-
ლია ლენინგრადის მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო სა-
ჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერების განყოფილებაში (ფურც.).

*** „Красная новь“. 1939, № 10-11, стр. 251.

ახვერდოვა მაისში აჭირავენს თავის სახლს, ვგონებ გამოგ-
ვადგეს, ეს კია, რომ შორსაა*.

ამ სტრიქონებით შეგვიძლია დამტკიცებულად ჩაეთვა-
ლოთ მათი ნაცნობობა. არსენიევა და ლერმონტოვი ახვერ-
დოვას პეტერბურგში ხვდებოდნენ.

ყოველივე ეს სწორედ მაშინ ხდებოდა, როცა იქ იყო
ქავჭავაძეც.

ლერმონტოვის ბიოგრაფიაში 1834—36 წლები მცირედია
გარკვეული, ხოლო ქავჭავაძის ბიოგრაფიაში სულაც შეუსწავ-
ლელია. ორივე პოეტის შეხვედრის საკითხის შესახებ ჯე-
რაც არაერთი ცნობები არ არის. სამაგიეროდ ჩვენ სხვა
რამ მიგვაჩნია უეჭველად. 1837 წელს ახვერდოვას, — გრი-
ბოედოვის, კიუხელბეკერის, ქავჭავაძის ახლო მეგობარს, —
მონაწილეობა მიუღია თავისი ნათესავის ლერმონტოვის ბედის
გადაწყვეტაში, როცა იგი დასჯილი იქნა პუშკინის სიკვდილ-
ზე დაწერილი ლექსების გამო და შერისხული პოლკში გაემ-
გზავრა. ეს პოლკი თბილისთან ახლო იდგა და კიდევ უფრო
ახლო წინანდალთან, სადაც ახვერდოვა დიდი ხნით ჩადიო-
და ხოლმე სტუმრად თავის უახლოეს მეგობრებთან.

ცხადია, მზრუნველი ბებია შეეცდებოდა პოეტის საქარ-
თველოში გამგზავრებამდე სარეკომენდაციო წერილები ეშოვ-
ნა მისთვის ადგილობრივი გავლენიანი პირებისადმი: ცალკე
ქავკასიის კორპუსის კომანდირის ბარონ გ. ვ. როზენისად-
მი, რომლის შეილთან ერთად მსახურობდა ლერმონტოვი
ლეიბ-ჰუსართა პოლკში, შტაბის უფროსს ე. დ. ვალხოვსკი-
სადმი, სახაზო ჯარების უფროსს ა. ა. ველიამინოვისადმი,
რომელთანაც ერთად იბრძოდა არსენიევას ძმა აფანასი სტო-
ლიპინი 1812 წლის სამამულო ომში. ერთ ერთი ასეთი წე-
რილი ჩვენთვის სულ ახლახან გახდა ცნობილი. პოეტის ბე-
ბიის ნათესავი გენერალი ა. ი. ფილოსოფოვი, როგორც
ირკვევა, თხოვნით მიპართავდა ლერმონტოვის შესახებ გე-
ნერალ ვალხოვსკის.**

* „Огонек“, 1949, № 2, стр. 15-16.

** А. Н. Михайлова. Лермонтов по документам архива Фило-
софовых. „Литературное наследство“, № 45-46, М., изд. Академии
Наук СССР, 1948, стр. 678—680.

ამიტომ უმეტესად, რომ საქართველოში მომავალ ლერმონტოვს ახვერდოვან წერილები გამოატანა თავის თბილისელ მეგობრებთან — უპირველეს ყოველისა ალექსანდრე გარსევანის — ქვეყანადესთან. ამრიგად, ლერმონტოვი ქვეყანადეების სახლში უსათუოდ უნდა მისულიყო არა მხოლოდ როგორც პოეტი, რომელმაც სახელი გაითქვა პუშკინის სიკვდილის გამო დაწერილი ლექსით, არამედ როგორც იმ ქალის ნათესავი, რომელსაც ქვეყანადეებთან ხანგრძლივი და მყარი მეგობრობა აკავშირებდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ლერმონტოვს შემთხვევით არ ესარგებლა და არ შეხვედროდა სახელგანთქმულ ქართველ პოეტს და გრიბოედოვის ქვრივს.

ყველაფერი იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ისინი ერთმანეთს გაეცნენ. ამას ამტკიცებს ლერმონტოვის დღი-დაშვილისა და მეგობრის აკიმ შან-გირეის სიტყვები. იგი თავის „მემუარებში“, იგონებს რა ლერმონტოვთან საუბარს „დემონის“ შესახებ, წერს:

„აქვე აღვნიშნავ პოემის ზოგიერთ უზუსტობებს: ის ბატონია სინოდალისა...“

საქართველოში არ არის სინოდალი, არამედ არის წინანდალი (!!! — ი. ა.), „ძველისძველი საბატონო, თვალწარმტაცი მღებარეობისაა, კახეთში, ეკუთვნის საქართველოს ერთ-ერთ ძირძველ თავადთა — ქვეყანადეების გვარს“.*

როგორც ვხედავთ, შან-გირეისათვის ცნობილი იყო, რომ თამარის საქმროს სინოდალის ბატონად გამოყვანა ლერმონტოვს აზრად მოუვიდა წინანდალში, ქვეყანადეების ოჯახში ყოფნასთან დაკავშირებით. სხვაგვარად შან-გირეის რაზე უნდა მოფიქრებოდა სიტყვა „სინოდალისა“ და „წინანდალის“ დაპირისპირება და, მით უმეტეს, ლაპარაკი ამაზე, როგორც უზუსტობაზე.**

* А. П. Шан-Гирей. М. Ю. Лермонтов. В книге: Е. Суцкова. „Записки“, Л. „Academia“, 1928, стр. 388-389.

** ამაზე მეტს შან-გირეი იმიტომ აღარაფერს გვამცნობს, რომ იგი მოგვითხრობს არა საერთოდ ლერმონტოვზე, არამედ მხოლოდ თავისი მოგვითხრობის შესახებ და ერიდება იმაზე ლაპარაკს, რის მოწმეც თვითონ არ ყოფილა. ამიტომაც წინანდალზე გაკვრით აქვს ნათქვამი „დემონის“ შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმასთან დაკავშირებით.

მოსაზრება ლერმონტოვის წინანდალში ჩასვლის შესახებ კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდება, თუ მოვიგონებთ, რომ ლევ სერგის-ძე პუშკინმა, პოეტის ძმამ, როცა 1835 წელს თბილისში ჩამოვიდა და კავკასიის კორპუსის უფროსს როზენს ელოდა, „15 დღე გაატარა ა. ს. გრიბოედოვის ქვერვის სოფელში“. ნ. ო. პუშკინა, რომელმაც მისგან სოფელ წინანდლიდან წერილი მიიღო, ქალიშვილს აცნობებდა: „იგი ამბობს, რომ ეს მისი ცხოვრების საუკეთესო დღეებია და რომ ის მანდილოსანი სავსებით მომხიბვლელია“.*

ლ. ს. პუშკინი მიწვეული იყო, ეს ჩვენთვის სავსებით ნათელია, როგორც დიდი პოეტის ძმა, რომელსაც ჰავჭავაძეთა ოჯახი 1829 წლიდან პირადად იცნობდა, მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ 1827—29 წლებში თვით ლევ პუშკინი ნიჟეგოროდის პოლკში მსახურობდა და როგორც ამ პოლკის ოფიცერს, საკმაო წარმოდგენა ჰქონდა ქართველი პოეტის სტუმართმოყვარე ოჯახის შესახებ.

როგორც დავინახავთ, ლერმონტოვისათვის ძალიან ძნელი იყო გვერდი აეგლო ალექსანდრე ჰავჭავაძის მამულისათვის. შემთხვევითი არაა პოლკის მეისტორიეს განცხადება, რომ 1830-იან წლებში ნიჟეგოროდელებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ წინანდალთან და რომ კახელ მემამულეებთან სტუმრობაში მთავარ როლს თამაშობდა წინანდალი.**

ნიჟეგოროდის პოლკში ლერმონტოვი გაეცნო, როგორც თვითონ წერდა რაევსკის, „ბევრ კარგ ახალგაზრდას“. ამ ახალგაზრდებს შორის ცოტა როდი იყო ქართველი: 1837 წელს პოლკში მსახურობდა პოდპოლკოვნიკი ბარათაშვილი, მაიორი ყორღანაშვილი, შტაბს-კაპიტნები: ფაულენიშვილი და შალიკაშვილი, პრაპორშჩიკები—ანდრონიკაშვილი, იოსელიანი, ერისთავი, მაჩაბელი, საყვარელიძე-ბეჟანიშვილი.*** მაგრამ ჯერ უნდა დავასახელოთ პოლკის ვეტერანები—ორი ჰავჭავაძე:

* „Архив Раевских“, II, стр. 460.

** В. Потто. История 44-го драгунского Нижегородского полка, т. IV, СПб, 1894, стр. 50.

*** В. Потто. История 44-го драгунского Нижегородского полка. Список офицеров, служивших в полку, т. X. СПб, 1895, стр. 30, 31, 34, 36, 37.

იასონი და სპირიდონი—ძმები თავისი სტუმართმოყვარეობით ცნობილი გულბაათ ჭავჭავაძისა, რომელიც ძველ ყაიდაზე ცხოვრობდა იმავე წინანდალში.*

„როგორც კი წინანდალში ნიჟეგოროდელები გამოჩნდებოდნენ ხოლმე,—გადმოგვცემს პოეტი,—ალექსანდრე ჭავჭავაძის „ტრამაღივით გადაშლილი კარ-მიდამო“ სტუმრებით აივსებოდა. დაიწყებოდა ცხენების ჭენება, დოღი, სროლა. იარაღით თავს იწონებდნენ რუსებიც და ქართველებიც. თითქმის ყველას ჰქონდა ძვირფასი საბურღიანი ხანჯალი და ხმალი, დამბაჩა ქამარში გარკობილი და თოფი მხარზე გადადებული. მაგრამ ნიჟეგოროდელებს ყაბარდოს ცხენები ჰყავდათ, მსუბუქი ჩერქეზული უნაგირებით, ხოლო ქართველებს ძვირფასი ყარაბაღული ულაყები, სპარსული ყაჯარებით და ყოველ მოძრაობაზე მოქლარუნე ბალთებით რომ შეუკაზმავთ.“**

დაცულია ქართველ მხედრების ტანისამოსისა და საჭურვლის დაწვრილებითი აღწერა: „მათ თავს მაღალი ბუხრის ქუდი ეხურათ, ჩოხები ეცვათ გადაგდებული სახელოებით, რომელსაც ყველა ნაკერზე სირმა ჰქონდა შემოვლებული. ეცვათ მაღალი ყავისფერი ჩექმები და აბრეშუმის მწვანე ან წითელი შარვლები, გულზე სალტეები ჰქონდათ გადაკიდებული ოქროსა და ვერცხლის ბალთებით. შეიარაღებულნი გრძელი, უშალთო თოფებით, რომლებიც მარცხენა მხარზე მოეგდოთ, და კაუჭა სპარსული ხმლებით, ისინი,—წერს თანამედროვე,—სწორუპოვარ მხედრებსა ჰგვანდნენ. ყარაბაღული ულაყები, რომლებზედაც მაღალკეხიანი სპარსული უნაგირები იყო და აღვირის სადავეები ვერცხლით, ოქროთი და ძვირფასი თვლებით ბრწყინავდა, მოუსვენრად ახრამუნებდნენ ლაგმებს და ფლოქვებს ურტყამდნენ მიწას.“***

ასეთია 1830-იანი წლების ქართველი ცხენოსანი პოლკის ოფიცრის აღწერილობა.

* В. Потто. История 44-го драгунского Нижегородского полка, т. IV, стр. 50.

** В. Потто. История 44-го драгунского Нижегородского полка, т. II, стр. 156.

*** Т(орнау Ф.). Воспоминания о Кавказе и Грузии. „Русский вестник“, 1869, т. 79, стр. 438-439.

უნებლიეთ გვაგონდება როგორ დახატა ლერმონტოვმა
„სინოდალის ბატონი“ — მამაცი თავადი:

თასმით გაჟვრავს წერწეტი წელი,
მზეზე უელავს მკრეფი თვალისა,
მოჭედნილობა ხმალ-ხანჯალისა;
მხარზე ჭკიდიან ხარნიშინი
თოფი სიათა. ირგვლივ სრულიად
ჩოხა იმისი მოსირმულია.
მიაფრიალებს ქარი ფრთიანი
ყურთმაჯებს მისას. ფერადი ძაფით
ტურფად ნაკერი ჩანს უნაგირი,
და შემკობილი ფოჩით ალვირი.
ცხენს გაფიცებულს გადასდის ქაფი,
ყარაბალული იორლა სწრაფი,
იგი უებრო ოჭროსფერია.
ფრუტუნებს, აკრთობს უფსკრული შავი;
ყურებდაცქვეტილს ლამაზი თავი
მას აღმაცერად გადუღერია
და მჩქეფარ ტალღებს დაჰყურებს ფრთხილი.*

ჩვენ სულ ახალ და ახალ საბუთებს ეპოულობთ იმის და-
სადასტურებლად, რომ „დემონში“ ლერმონტოვმა ასახა კა-
ხეთში მოგზაურობისას მიღებული კონკრეტული შთაბეჭდი-
ლებანი.

რამდენიმე წლის წინათ კიევში აღმოჩნდა ლერმონტოვის უც-
ნობი ნახატი, ზეთის საღებავებით შესრულებული: კავკასიის
პეიზაჟი, აქლემების ქარავანი, მარცხნივ მთებია აღმართუ-
ლი, ერთ-ერთ მწვერვალს კოშკი აგვირგვინებს. ეს არის ე. წ.
„თამარ მეფის ციხე“, მაგრამ მდებარეობს არა დარიალის ხე-
ობაში (ეს ის ციხე როდია, რომელიც ლერმონტოვმა ბალა-
და „თამარში“ აღწერა), არამედ სოფელ ყარალაჯსა და წი-
თელ (დედოფლის) წყაროს შუა. როგორც კი შევხედავთ ლერ-
მონტოვის სურათს და მას თუნდაც გრ. გაგარინის სურათს
„ნიქეგოროდის დრაგუნთა პოლკის სამყოფელი სოფელ ყა-
რალაჯში“ შევადარებთ, ზემოთქმულში დავრწმუნდებით. ამას-
თანავე სამუდამოდ უარეყოფთ სახელწოდებას „კავკასიური

* ლერმონტოვი. „დემონი“, ნაწილი პირველი, ხანა X. თარგმანი კ. ჭიჭი-
ნაძისა.

ხედი აქლემებითურთ“, ლერმონტოვის ტილოს რომ მიუღია მუზეუმში. და ამასთან ერთად უარყოფთ უსუსურ წინადადებას, რომლის მიხედვით ამ სურათზე ლერმონტოვმა დახატა სომხეთის ტბის სევანის ნაპირები, სადაც ლერმონტოვი არც ყოფილა და არც ენახა. მით უმეტეს, რომ სურათზე არავითარი ტბა არ არის.*

გზას, რომელიც კლდეს ეკვრის, მიჰყვებიან დატვირთული აქლემები. გაცხარებულ ცხენს აკავენ მხედარი, მას ბუხრის ქუდი ხურავს, ქარს მისი ჩოხის სახელოები გაუშლია. მხედარს მხარდამხარ მიჰყვება შეიარაღებული ნაბდიანი კაცი. ეს გამოსახულება დამახასიათებელია 1830-იანი წლების კახეთისათვის. და გონებაში კვლავ „დემონის“ ის ხანა გაგვახსენდება, სადაც აღწერილია მხიარული ქარავნის მგზავრობა, რომელიც „სასიძო ფიცხსა“ მოჰყავს. ამ შემთხვევაში ლერმონტოვი—მხატვარი თითქო მოსწრებულად თარგმნის პოეტ—ლერმონტოვს ფერწერის ენაზე.

დაკლანჩილ გზაზე მალევით და ჩენით
მას აქლემები გამწკრივებული
ძლივს მიჰყვებიან, მდიდრულის ძღვენით
დატვირთული და დამძიმებული.
ზართა წკრიალი მოისმის ნელი...
ის ბატონია სინოდალისა
და ქარავანიც მისია გრძელი.**

ის კი მართალია, რომ სურათზე გამოხატულია არა დიდი ქარავანი, არამედ ერთი მხედარი და ორი აქლემი, რომლებსაც მეაქლემეები ახლავან. მაგრამ სამაგიეროდ ეს ხომ პოემის ილუსტრაცია არ არის. ნიშანდობლივია, რომ ლერმონტოვის ერთი და იგივე შთაბეჭდილებანი აღბეჭდილია ლექსებში და ტილოზე და ეს შთაბეჭდილებანი დაკავშირებულია პოეტის კახეთში ყოფნასთან, იმ დროს, როცა იგი ნიქეგოროდის დრაგუნთა პოლკში მსახურობდა და წინანდალში იყო ხოლმე ქავჭავაძეებთან.

* Н. П. Пахомов. „Живописное наследство Лермонтова“. — „Литературное наследство“, № 45-46. М., изд. Академии Наук СССР, 1948, стр. 91-92.

** ლერმონტოვი. „დემონი“, ნაწილი 1, ხანა X. თარგმანი კ. კიკინაძისა.

ქვეყანაშიანთ მაღალი სახლი მდინარე კისისხევის დაპირზე იდგა. განიერი აივნიდან გადაშლილიყო ალაზნის ველი.

ბევრი დაუკარგავს მას, ვინც კახეთში არ ყოფილა, ვისაც წინანდალში მზის ამოსვლა არ უნახავს—შორეული ქვეყანისა. ონიდან ამოცურებული მზე. მთები აღმოსავლეთიდან ეჭარებიან ალაზნის ველს. დილით ჰაერში სიგრილე იგრძნობა, მაშინ შუქთა ცვლით ღრუბლები სადაფის ყველა შეფერილობას იღებს, ხოლო ფერდაკარგული ცა მტრედისფერი გამკვირვალეებით იფარება. მაგრამ აი, ერთი ახლობელი მწვერვალთაგანი, თოვლის ვერცხლით დაფარული, ცოცხლდება, აიალება, აინთება და მზის წითური დისკო ამოვარდება დაკბილული ჰორიზონტიდან. მაშინ ნისლი, რომელიც ველს ჩამოფარებია, აიხდება ვით თეატრალური ფარდა და მნახველის თვალწინ გადაიშლება კახეთი—დაუსრულებელი ბაღი, ალაზნის ვერცხლით მოსარტყლული.

ახლო გადაშლილია სოფლები, მთლად ჩაფლული ვენახების სიმწვანეში, რომლებსაც შუქს ფენს კაკლის ხეები, კადრები. შორს ძველი კოშკების ნანგრევები ჩანს, ალვის ხეები, ყანა, მდინარე, გზა, კელავ სოფელი, კიდევ უფრო შორს მოჩანს მთაში შეჭრილი ძველი თელავი. ოცი კილომეტრის დაშორებით დიდებული ალავერდის ტაძარია. ყოველივე ამას მთელ სიგრძეზე გასდევს მთები, თოვლით დაფარკვეული მთები:

იქ, სადაც რბის ალაზანი,
მოჰბერს სიო და სიგრილე.

ასე იწყება გრიბოედოვის ლექსი, რომელიც მან წინანდალში დაწერა. და ალბათ, იქვე, იქნებ თვით ნინოსაგან მოისმინა ლერმონტოვმა გრიბოედოვის ამბავი, მისი ტრაგიკული დაღუპვა თეირანში.

ჩვიდმეტი წლისა ნინო დაქვრივდა და უარყო სიყვარული არა ერთი და ორი ღირსეული მამაკაცისა, რომელიც მამამისის სახლში სტუმრობდა. იგი გრიბოედოვის სიყვარულის ერთგული დარჩა. მას შეეძლო გაემეორებინა ლერმონტოვის გმირი ქალის თამარის სიტყვები:

სულ ამაოა, როცა გამაღებთ
საჭმრონი აქეთ მოიტარებან...
საქართველოში ბევრნი არიან
გასათხოვარი ტუფა ქალები.
არავის ცოლი მე არ ვიქნები.*

მან გრიბოედოვი თბილისში დაკრძალა, მთაწმინდაზე, პატარა მღვიმეში მამა დავითის ეკლესიის მიხლობლად. საფლავი მტირალი ქალის ბრინჯაოს გამოსახულებით შეამკო. ეს ქალი ჯვრის ფეხთ იყო დამთხვეული, ხოლო ზეძირკველზე შთამაგონებელი ეპიტაფია გამოსახა: „Ум и дела твои бессмертны в памяти русской, но зачем тебя пережила любовь моя“.

ალბათ, ლერმონტოვი ნინო ქავჭავაძესა და მამამისს ესაუბრებოდა, ლექსებს უკითხავდა და უთუოდ მასპინძლის ლექსებსაც ისმენდა და რუსთაველის უკვდავი პოემის სტრიქონებსაც, რომელსაც ვინმე სტუმართაგანი ჩონგურზე დამლეროდა.

ვენახში გაშლილ სუფრაზე, ასწლოვანი კადრების ჩრდილში, სადღეგრძელოები გაისმოდა, ღვინით ივსებოდა აზარფეშა, კინკილა, ყანწი, მოოქროვილი და მოვერცხლილი. ჰქუხდა ქართული სუფრული სიმღერა, გაისმოდა ზურნის გაქიმული მძაფრი კიკყინი, დოლის შეწყობილი ბათქაბუთქი და ხელისგულების ერთმანეთზე ტლაშატლუში, ჩოხის სახელოების გადაკეცვით, წარბებამდე ფაფახის ჩამოწვევით და მოხდენილ ტანზე ხანჯლის სწორებით წრეში გადმოხტება შავგვრემანი მოცეკვავე ლამაზთა შორის ულამაზესის გასაწვევად. და ლერმონტოვი აღფრთოვანებული იყო ხოლმე ლეკურიტ—იმ ცეკვით, რომელიც მან ისე საკვირველად აღწერა „დემონში“:

ზეზე წამოდგა თამარი მაშინ,
და გაძლიერდა გარშემო ტაში,
ცეკვა დაიწყო კენარმა რხევით,
შეთამაშა დაირა ზევით,
დაჰკრა ზელი და მოივლო თავსა...
ხან გატანდებო ფრინველის მსგავსად,
ხანაც შესდგებო, და, თითქოს ხარბი,
დასველებია თვალი ნამითა,

* ლერმონტოვი. „დემონი“, ნაწილი მეორე, ხანა I, თარგმანი კ. კიტი-ნაძისა.

ბ. ი. ანდრონიკაშვილი

შემოჩრდილული შავ წამწამითა,
ხან აეწევა უმცრად წარბი,
ხანაც ის ოდნავ იხრება ტანში,
და მისრიალებს, მიცურავს მაშინ
ხალზე იმისი ფეხი ნარნარი. *

ლერმონტოვი დიდი გულისყურით მოეკიდა მანამდე მის-
თვის უცნობ ზნე-ჩვეულებებს, კითხულობდა, იმახსოვრებდა
ქართული სიტყვების მნიშვნელობას. შემდეგში, როგორც
დავინახეთ, ლერმონტოვმა უხვად გამოიყენა ეს დაკვირვებანი
„დემონზე“ მუშაობისას და პოემას პატარა ქართულ-რუსული
ლექსიკონიც კი დაურთო, რომელშიაც ახსნა: ჩადრა, ზურნა,
ფაფახი, ჩინგარი, პწკარს „წამოდგა უზანგზე“ შენიშვნა გაუ-
კეთა: „უზანგი ქართველებს მოწკრიალე რკინისაგან აქვთ,
ბაშმაკის მსგავსი“.

მართალია, ლერმონტოვმა სიტყვა „ჩოხა“ და „ჩონგური“
სულ მთლად ზუსტად ვერ დაიხსომა, მაგრამ ეს არა ცვლის
საქმის ვითარებას. დაბოლოს ირკვევა, თუ სად ნახა ლერ-
მონტოვმა ქართული ფეოდალური ყოფა, ესოდენი სიზუსტით
აღწერილი „დემონში“, და თუ ამის შესახებ არავითარი ცნობა
არ შემონახულა, ეს იმიტომ, რომ ნინო და ალექსანდრე
ქავჭავაძეების არქივი დაიწვა.

1854 წელს, როცა თვით ალექსანდრე ქავჭავაძე უკვე გარ-
დაცვლილი იყო, ხოლო ნინო ალექსანდრეს ასული თავის
დასთან იყო სამეგრელოში სტუმრად, წინანდალი ლექებმა
დაარბიეს, პოეტის ძის დავითის ოჯახი ტყვედ წაიყვანეს,
იქაურობა ცეცხლს მისცეს და თვალს მოეფარნენ. ნიჟეგორო-
დებებს აცნობეს ამის შესახებ, მაგრამ ლექები ტყვე ქართვე-
ლებითურთ უკვე შორს იყვნენ, ხოლო წინანდალი ცეცხლის
ალში იყო გახვეული. ** ცეცხლმა შთანთქა ქავჭავაძეთა ოჯა-
ხის დოკუმენტები. ეს ხანძარი რომ არ ყოფილიყო, ჩვენთვის,
ალბათ, დიდი ხნის ცნობილი იქნებოდა, რომ ლერმონტოვი
სტუმრობდა ქავჭავაძესთან.

* ლერმონტოვი „დემონი“, ნაწილი I, ხანა VI, თარგმანი კ. ჭიჭინაძისა.

** „Шенники Шамилы. Воспоминания г-жи Дрансе“. Перевод с французского К. Дзюбинского. Тифлис, 1858.

ეს მკვიდრის ქართველი პირმშვენიერი ასულისადმი სიყვარულის რომანტიკულ პოემაში ლერმონტოვმა მხოლოდ თავად-აზნაურული ყოფა ასახა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ლერმონტოვი არა გრძნობდა ღრმა სოციალურ წინააღმდეგობებს ქართული სოფლის ცხოვრებაში, ვერ ამჩნევდა როგორ ცხოვრობდა ქართველი გლეხობა სწორედ იმ დროს, 1830-იან წლებში, როცა ქართლის მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ედგა ლეგენდარული არსენა ოძელაშვილი.

„ჩვენი დროის გმირში“ ლერმონტოვმა იგვიწერა საქართველოს სამხედრო გზის პირას მდგარი ლარიბი ქართული სახლი. ეს რეალისტური ეპიზოდი არა მარტო ერთი საუკეთესოთაგანია ლერმონტოვის პროზისა, არამედ ერთი პირველი და ძლიერი ასახვაა ლიტერატურაში იმხანად უუფლებო ქართველი გლეხობისა.*

მაიკო მაია

1837 წლის 10 ოქტომბერს თბილისში, დიდუბის მოედანზე, შედგა იმ პოლკების სამეფო დათვალიერება, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საზაფხულო ექსპედიციაში მთიულეთის წინააღმდეგ. ამ ალღუმში მონაწილეობდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოთხი ესკადრონი. მეფე „ნიჟეგოროდელების“ კმაყოფილი დარჩა და ამან არაპირდაპირი გავლენა იქონია ლერმონტოვის ბედზედაც, თუმცა თვით ლერმონტოვი ალღუმში, როგორც ჩანს, მონაწილეობას არ იღებდა. ნიკოლოზისათვის წინასწარ მოეხსენებიათ არსენიევას მცდელობა, რომელმაც ოცნებობდა „ღირსებოდა მისი შვილიშვილის შეწყალებას მეფისაგან“. ალღუმიდან რამდენიმე დღე გავიდა და იმაზეც დაიწყეს ლაპარაკი, რომ ეუკოვსკი გამოეჭო-მაგა ლერმონტოვს, და ბენკენდორფს იმას უხსნიდა, თუ რა დიდ

* Вано Шадური. Грузия в русской литературе. В книге „Русские писатели о Грузии“, т. I, Тбилиси, изд. „Заря Востока“, 1948, стр. XXVI-XXVII.

იმედებს იძლეოდა ლერმონტოვი რუსული ლიტერატურისათვის.*

დაბოლოს, 1 ნოემბერს „Русский инвалид“-ში გამოქვეყნებული იყო „უმაღლესი ბრძანებულება“ 11 ოქტომბრით დათარიღებული ლერმონტოვის ლეიბ-გვარდიის გროდნენსკის ჰუსართა პოლკში გადაყვანის შესახებ.** ლერმონტოვს რუსეთში დაბრუნების საშუალება მიეცა, მაგრამ სამსახური ახალ პოლკში, არაქვეყნის სამხედრო დასახლებულებაში ნოვგოროდის მახლობლად, როდი ახარებდა პოეტს. „ბეზია რომ არ ყოფილიყო,—სწერდა იგი რაევსკის,—მე, სიმართლე გითხრა, სიამოვნებით დავრჩებოდი აქ,—ფრთხილად განაგრძობდა იგი,—არა მგონია დასახლებულება საქართველოზე მზიარული ადგილი იყოს“.

თბილისიდან „უმაღლესი ბრძანებულების“ პეტერბურგამდე მისვლას სამი კვირა მოუწია. ამდენ ხანსვე იქიდან თბილისამდე მოგზაურობდა „Русский инвалид“-ის ის ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო „უმაღლესი ბრძანებულება“. ასე რომ ბრძანებულება თბილისს მოვიდა არა უადრეს 22 ნოემბრისა. ყარაღაჯამდე, სადაც დაბანაკებული იყო ნიჟეგოროდის პოლკი, ეს ბრძანებულება მხოლოდ სამი დღის შემდეგ მივიდა. ახლა გასაგებია, რატომ დარჩა ლერმონტოვი 25 ნოემბრამდე პოლკში. ამით საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ლერმონტოვი საქართველოში იყო ოქტომბრის მეორე ნახევარი და ნოემბერიც.***

ჩვენთვის ნათელია, რომ იგი ჰავჭავაძეს თბილისშიაც ხვდებოდა. ამის საბუთს ვპოულობთ ლერმონტოვის 1838 წლის

* „Дневники В. А. Жуковского“, с примечаниями И. А. Бичкова. СПб, 1903, стр. 369.

** „Русский инвалид“, 1837, № 273, 1 ноября.

*** ავტორი წიგნისა „Путешествие по южной России и главным образом по Закавказским провинциям в 1820-1824 гг.“ ფრანგი კონსული გამბა წერს, რომ ჩვეულებრივი ფოსტა თბილისში პეტერბურგსა და ოდესიდან 25-ე დღეს მოდიოდა. (ნახ. წიგნი: М. Полневков и Г. Натадзе. „Старый Тифлис в известиях современников“. Тифлис, Госиздат Грузии, 1929, стр. 81). პასუხი თბილისიდან პეტერბურგს ფელდგერის მეშვეობით გაგზავნილ შეკითხვაზე მოდიოდა მე-40 დღეს. („Акты Кавказской Археографической Комиссии“, т. VIII, стр. 395).

ჩანაწერში, რომელსაც აქამდე არავინ აქცევდა ყურადღებას, რადგან მასში ვერავითარ აზრს ვერ ნახულობდნენ.

იმ ფურცლის მეორე გვერდზე, რომელზეც დაწერილია ლექსი „როცა დავშორდი შორეულ საზღვრებს“, ლერმონტოვს საჩქაროდ წაუწერია ფანქრით: „მაიკო მაია“.*

მაიკო—ამ საალერსო სახელს უწოდებდნენ ცნობილ ქართველ ლამაზ ქალს, ქაიხოსრო ორბელიანის ასულს მარიამს, ვისაც პოლონსკიმ 1840-იან წლებში ერთ-ერთი თავისი ლექსი უძღვნა:

გადადიოდა აზარტეშა ბაგით ბაგებზე,
ასობით ხელი ტაშს გიკრავდა ერთი გზნებითა.
როცა, მაიკო, მომხიბლავი და მოალერსე
ცმევად იწვევდი ვისმე კვალუც მეგობრებიდან.
ვით ნახვიმევეს ღვინის სმაში პოულობს ლხენას
დარდიმანდი და ხარობს, ასე დრო რომ ატარა,
ასე მალბენდა მზრუნველობით დამტკბარი მხერა,
მაიკო შენი, მოცუვავე, ჩემო პატარავ. **

ეს ქალი ნიკოლოზ ბარათაშვილის გულითადი მეგობარი იყო და მისი გულმოდგინე კორესპონდენტი, როცა ახალგაზრდა მგოსანს თბილისის დატოვება მოუხდა და განჯაში გაემგზავრა.

მართალია, პოლონსკის ლექსი იმის საშუალებას არ გვაძლევს, რომ ლერმონტოვის ჩანაწერი „მაიკო“ უსათუოდ მაიკო ორბელიანად მივიჩნიოთ, მაგრამ რომ აქ არავითარი შეცდომა არ არის და რომ ლერმონტოვს მხედველობაში ჰყავდა სწორედ ეს ქალი, ამაში გვარწმუნებს ჩანაწერის მეორე სახელი. მაია მეორე ლამაზი ქალის მაია ორბელიანის სახელია.

„აბა ვინ აუვა იმდროინდელი ლამაზი ქართველი ქალების ჩამოთვლას?! — კითხულობს აღტაცებული რუსი ოფიცერი

* იხ. ლერმონტოვის ავტოგრაფების რვეული (რვეული „ჩერტოვის ბიბლიოთეკისა“) მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფურ. 44.

** Я. П. Полонский. Стихотворение „После праздника“, „Стихотворения и поэмы“. Редакция и примечания Б. М. Эйхенбаума („Библиотека поэта“, большая серия). Л., „Советский писатель“, 1935, стр. 56. თარგმანი გ. ხუბაშვილისა.

ტორნაუ, 1830-იან წლებში თბილისში ნამყოფი,—ვის არ მოსტაცებდა თვალს ტანწერწერა თავადის ქალი ელენე, ანდა მისი შავგვრემანი, სათუთნაკეთებიანი და მაიკო, გასაოცრად მშვენიერი მაიკო ქაიხოსროს ასული. ვის არ ახსოვს ივანე ორბელიანის ქალი მარიამი?..“ *

ელენე და მისი და მაიკო (ანუ, როგორც მას მეორე მაიკოსაგან გასარჩევად ეძახდნენ, მაია) ლუარსაბ ორბელიანის ქალები იყვნენ, სალომე ჭავჭავაძის—პოეტის მეუღლის—მკვიდრი ძმისწულები. მაიკო—ქაიხოსრო ორბელიანის ქალი—სალომეს მკვიდრი ბიძაშვილის ასული იყო და ნინო გრიბოედოვასაც ბიძაშვილად ერგებოდა.

1830-იან წლებში სოლომონ რაზმაძემ, იმხანად გადასახლებაში მყოფმა, მოიგონა უდრტვინველი ცხოვრება თბილისში და თავისი წრის თორმეტი ულამაზესი მანდილოსანი შეამკო: ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები, მანანა და მაიკო ორბელიანები, ანა ორბელიანი და მისი ქალები—ელენე და მაია, სოფიო ორბელიანი, ვარვარა თუმანიშვილი, მელანია და დარია ერისთავები და ჩვენთვის უცნობი იაკონა. თვითეულ მათგანს მიუძღვნა ლექსი „დიანას მეჯლისი“—ზმა. **

გ. ნეტარ მას რაღა სურს ამა სოფელსა

რომელმა იკონა

ეს ვარდის კონა.

შექსვი? რასთვის ჭფარავ ბროლისა ყელსა?

შესვი? გაამოს!

.

ე. ხმა იადონისა, ელეა მთვარისა

გაქვს, შენი სახე

არს ძნელი მაზე,

ვინც მას გაებას, ვაჟ იმის ბრალსა.

შესვი? გაამოს!

1882 წელს, უკვე ცხოვრების მიწურულს, გრიგოლ ორბელიანი თავის მეგობარ ქალს ანასტასია ოკლობეიოს აცნო-

* Т(орнау). Воспоминания о Кавказе и Грузии. „Русский вестник“, 1869, т. 79, стр. 434.

** სოლომონ რაზმაძე. „დიანას მეჯლისი“. „ცისკარი“, 1858, № 12, გვ. 205.

უფრო ზუსტი ტექსტი დაცულია ს. ჯანაშიას საბ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, შიფრი А. 1784. ვმადლობ ქრისტიანე შარაშიძეს, რომლის მეოხებით გავეცანი ხელნაწერს.

ოფიცერი ტორნაუ, რომლის მოგონებებიდანაც ამოღებულია ზემორე სტრიქონები, გვიამბობს, რომ „თავისი გულ-ლია შეხვედრით“ ცეკვის საღამოზე ალექსანდრე გარსევანის-ქემ და მისმა მეუღლემ გამაბედვინეს მეორე დღეს ვწვეოდი მათ და ჩემი უმდაბლესი საღამი მომეხსენებინაო. „ერთი თვეც არ გასულა და მე თუმცა არ გავშინაურებულვარ მათსა,—წერდა ტორნაუ,—მაგრამ ყოველდღე დავდიოდი. ხშირად ვსადილობდი და ზამთრის გრძელ საღამოებსაც იქ ვატარებდი, როცა თვით მასპინძლები სადმე არ იყვნენ ხოლმე მიწვეულნი“.*

როცა ამ ახალ ფაქტებს ვიხილავთ და ერთმანეთს ვადარებთ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ლერმონტოვს შესაძლებლობა ჰქონდა ენახა ქავჭავაძე თბილისში.

1837 წლის 11 ოქტომბერს, ხელმწიფის ჩამოსვლის მეოთხე დღეს, საქართველოს მთავარმმართველმა ბარონ როზენმა მოაწყო წვეულება, რომელზეც, თანამედროვეთა თქმით, გამოირჩეოდნენ ნინო გრიბოედოვისა და მაიკო ორბელიანი.** ასე რომ იმ დროს, როცა ლერმონტოვი საქართველოში ჩამოვიდა (ხოლო თბილისისათვის გვერდი არ შეეძლო აეხვია), ქავჭავაძიანნი ქალაქში იყვნენ.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ წინანდალში როდისღა შეხვდნენ ისინი ერთმანეთს?

ამაზედაც შეიძლება ზუსტი პასუხის გაცემა. „ბარონ როზენის აქ ყოფნისას,—წერს ტორნაუ,—ქავჭავაძეებმა ქალაქში მხოლოდ ერთი ზამთარი გაატარეს“. მისივე სიტყვებიდან ვიცით, რომ ეს იყო 1831—32 წლის ზამთარი.***

ასე რომ ხელმწიფის წასვლის შემდეგ ქავჭავაძეები საზამთროდ კვლავ წინანდალში დაბრუნდნენ. მაგრამ, ალბათ, ლერმონტოვი მათ თბილისში გაეცნო, იმათ სალონში შეხვდა პირმშვენიერ მაიკოსა და მაია ორბელიანებს და ქალაქის

* Т(орнау). Воспоминания о Кавказе и Грузии. „Русский вестник“, 1869, № 4, стр. 696-697.

** Б. Л. Модзалевский. Кавказ николаевского времени в письмах его воинских деятелей (из архива Б. Г. Чилиева). „Русский архив“, 1904, № 1, стр. 131.

*** Т(орнау). Воспоминания о Кавказе и Грузии. „Русский вестник“, 1869, № 4, стр. 698.

ფურცელზე დაწერა მათი სახელები, რომლებიც აქამდე არ
გაეგონა. შემდეგ სადღაც, საქართველოს სამხედრო გზის
სადგურში, ეს ფურცელი თავისი ჩემოდნიდან ამოიღო და
მეორე მხარეს დაიწყო წერა ახლად მოფიქრებული ლექსისა:

როცა დაეშორდი შორეულ საზღვრებს,
დავაგდე მხარე სხივით ნაბანი,
აღმოსავლეთის დარაჯო, ყაზბეგ,
მოგაშურე და გითხარ საღამო.

ამრიგად, ეს ღღემდე ამოუკითხავი და გამოუქვეყნებელი
ხელნაწერი ამტკიცებს, რომ ლერმონტოვი იცნობდა ქავ-
ჭავაძეს. და რაკი ეს დასტურდება, ისიც შეიძლება ვივარა-
უდოთ, რომ იმავე სახლში ლერმონტოვი გაეცნო მეორე შესა-
ნიშნავ პოეტს—გრიგოლ ორბელიანს. გრიგოლ ორბელიანი,
1832 წლის შეთქმულების მონაწილე, როგორც ვიცით, რამ-
დენიმე წელს იყო გადასახლებული რუსეთში და იქ მსახურობ-
და ბალტიის პირეთში ნარვის ქვეითი პოლკში. სწორედ 1837
წელს მას მისცეს ერთი წლის შვებულება თბილისში.*

ქავჭავაძის სახლში პოეტს შეეძლო გაეცნო ნიკოლოზ ბა-
რათაშვილი, ჯერ კიდევ 21 წლის ქაბუკი და უკვე გენიალუ-
რი ლექსების ავტორი.

შესაძლოა დაიბადოს სრულიად სამართლიანი კითხვა: რა-
ტომ ამაზე არც ერთი თანამედროვე ერთ სიტყვასაც კი არ
ძრავს?

ამაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის: ქართული საზო-
გადოების წარმომადგენლები, რომლებიც შეიძლება გაეცნო
ლერმონტოვს, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და მათი ყო-
ველდღიური ცხოვრების ამბები აღუბეჭდავია დღიურებსა და
წერილებში. გრიგოლ ორბელიანიც კი, რომელსაც გადასახ-
ლებაში ყველა ახალ ამბავს სწერდნენ, ამ დროს თბილისში
იყო.

თბილისში ლერმონტოვი ხვდებოდა ვლადიმერ დიმიტრის-
ძე ვალხოვსკის—„ქავჭავაძის ძველ მეგობარს“, როგორც მას
ტორნაუ ეძახის. ვალხოვსკი პუშკინის მეგობარი ლიცეიდან,
კეთილდღეობის კავშირის წევრობისათვის 1826 წელს კავკა-

* გრიგოლ ორბელიანი. წერილები, ა. გაწერულია რედაქციით. თბი-
ლისი, 1936, ტ. I, გვ. 241.

სიას გამოგზავნეს. მას 1836 წლიდან 1837 წლის დეკემბრამდე ეკავა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსის თანამდებობა. ნიკოლოზ პირველის თბილისიდან წასვლას მალე მოჰყვა ბრძანება ვალხოვსკისა და კავკასიის კორპუსის უფროსის როზენის გადაყენების შესახებ, რომლებითაც ხელმწიფე უკმაყოფილო დარჩა. მაგრამ ორივეს ეს თანამდებობანი ეკავათ 1838 წლის გაზაფხულამდე.*

ჩვენ ამ რამდენიმე წლის წინათ გამოვთქვით მოსაზრება ლერმონტოვისა და ვალხოვსკის ნაცნობობის შესახებ. ეს დასტურდება ახლახან მიკვლეული წერილით, რომელშიც ვალხოვსკი თურქეთის კამპანიის საბრძოლო ამხანაგს ა. ი. ფილოსოფოვს აცნობებდა, რომ წერილი, სადაც იგი სთხოვდა ყურადღება მიექცია კავკასიაში გადმოსახლებული ლერმონტოვისათვის, მიიღო და თვით ლერმონტოვსაც გაეცნო. «ვეცდები, — აუწყებდა იგი ფილოსოფოვს, — ვიმოკმედო მის მხარეზე ისე, როგორც ეს შენ გესმის».**

აქ ჩამოთვლილი პიროვნებანი შეადგენდნენ თბილისის იმდროინდელი ინტელიგენციის პატარა წრეს, ყველა ისინი თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს და თუკი თბილისში მოხვდებოდა ახალი ადამიანი და ისიც პოეტი, და მერე ისეთი, როგორიც ლერმონტოვი იყო, მას მალე მთელი საზოგადოების გაცნობა უნდა მოესწრო. თუ გავიხსენებთ, რომ არა მარტო გრიბოედოვი, კიუხელბეკერი, ლევ პუშკინი, პოლონსკი, გაგარინი, არამედ სხვანი მრავალნიც, რუსეთიდან ჩამოსულნი ოფიცრებიც და მოხელენიც, თავისუფლად მიდიოდნენ ქავეჭავაძიანთა, მაშინ საჭირო აღარ გახდება რაღაც განსაკუთრებული საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ ლერმონტოვი გაეცნო თბილისის ლიტერატურულ წრეს და მოხვდა სტუმართმოყვარე ქართველი პოეტის სახლში. ჩვენთვის ცხადია, რომ ლერმონტოვი ყოფილა ამ სახლში.

* А. С. Исарлов. Письма о Грузии. Тифлис, изд. З. Чичинадзе, 1899, стр. 185.

А. Э. Розен. Записки декабриста. СПб, 1907, стр. 235 и 237.

** Л. Н. Михайлова. Лермонтов по документам архива Философовых. „Литературное наследство“, № 45-46, М., изд. Академии Наук СССР, 1948, стр. 678-680. См. также: Ираклий Андрионкашвили. Лермонтов в Грузии. „Красная новь“, 1939, № 10-11, стр. 252.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოლიტიკური სახე

ამასთანავე საჭიროა გვახსოვდეს, რომ თვით ალექსანდრე ჭავჭავაძე საქართველოში მხოლოდ ამაზე ცოტა ადრე დაბრუნდა ტამბოვიდან, სადაც იგი გადასახლებული იყო 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის.

ეს შეთქმულება 1830 წელს წარმოიშვა, როცა ქართული ფეოდალური არისტოკრატიის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა და აგრეთვე ქართველმა ბატონიშვილებმა — ბაგრატიონთა დინასტიის ჩამომავლებმა, რომლებიც ამ საუკუნის დამდეგს რუსეთში გადაასახლეს, განიზრახეს შეიარაღებული ამბოხებით დაემხოთ საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობა.

მაგრამ ისინი სრულებითაც არ ისწრაფვოდნენ მონარქიული ხელისუფლების გაუქმებისაკენ. არა, მათ სურდათ ალედგინათ საქართველოში ფეოდალური მონარქია და სამეფო ტახტზე კვლავ ბაგრატიონთა დინასტია აეყვანათ.

თავის შესანიშნავ შრომაში „როგორ ესმის სოციალდემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“ ამხანაგი სტალინი იძლევა ამომწურავ განმარტებას ქართველი თავადაზნაურობის ლტოლვისა „საქართველოს განთავისუფლებისაკენ“.

„იყო ჩვენში, მაგალითად, ეგრეთწოდებული, თავადაზნაურობის ნაციონალური საკითხი, — წერს ამხანაგი სტალინი, — როცა — საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ — ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკადრისა ლებრალო ქვეშევრდომობა და მოინდომა საქართველოს განთავისუფლება. ამით მას უნდოდა საქართველოს სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედ-იღბალი! ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმი. ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ამ მოძრაობამ ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მი-

ვიღებთ
რუსი
ასე
აზნაურ
საქენა
183
ციონა
ალ
მიუღ
გებლ
თათვ
რომ
ნეთს
ვით
ლო
ბრძ
ლო
ორ
ნაწ
ტუ
ბი
ნე
მი

გ
ა
*

ვილებთ ქართველი თავად-აზნაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში*.

ასე განსაზღვრავს ამხანაგი სტალინი ქართველი თავად-აზნაურობის ლტოლვას „საქართველოს განთავისუფლები-საქენ“.

1832 წლის შეთქმულება ფეოდალურ მონარქისტული ნა-ციონალიზმის ერთი ყველაზე აშკარა გამოვლინება იყო

ალექსანდრე ჭავჭავაძეს შეთქმულებაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ იმ პოპულარობის გამო, რომლითაც იგი სარ-გებლობდა ქართულ საზოგადოებაში ახალგაზრდა შეთქმულ-თათვის, რუსეთის იმპერიიდან საქართველოს ჩამოშორებაზე რომ ოცნებობდნენ და მის სახლში რომ ხვდებოდნენ ერთმა-ნეთს, ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისი მიზიდვა. „მე გეტყ-ვით, თავადო, რომ თქვენს ერთს სიტყვას მთელი საქართვე-ლოს შეიარაღება შეუძლიან, რადგან ყველანი მხოლოდ თქვენს ბრძანებას ელიან და ყველანი მზად არიან თქვენ გემორჩი-ლონ-მეთქი“, — არწმუნებდა ჭავჭავაძეს შეთქმულების ერთი ორგანიზატორთაგანი. „არც ერთ შეთქმულს არ უნდოდა მო-ნაწილეობის მიღება გენერალ ჭავჭავაძის გარეშე“, — ადას-ტურებდა სხვა შეთქმული თავის ჩვენებებში.** აგრეთვე ცნო-ბილია, რომ შეთქმულნი მომავალი გეგმების შედგენისას გე-ნერალ ჭავჭავაძეს „დამოუკიდებელი“ საქართველოს სამხედრო მინისტრად ვარაუდობდნენ.

მაგრამ ჭავჭავაძემ უარყო შეთქმულთა წინადადებანი და გულმოდგინედ არწმუნებდა მათ, სულაც ხელი აეღოთ თავი-ანთ განზრახვაზე, ხოლო ერთს ისიც კი განუცხადა, რომ „უკეთესია რუსებისათვის დავდო თავიო“***.

იბადება კითხვა: რატომ არ მიიღო ჭავჭავაძემ შეთქმულე-ბაში მონაწილეობა, იგი ხომ ცარიზმის ერთგული არ იყო და არც ერთგული ქვეშევრდომის გრძნობები ჰქონდა დეკაბ-

* ი. სტალინი. თხზულებანი, ტ. 1, გვ. 32-33.

** გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. თბილისი, 1935, გვ. 41—44.

*** „Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией“, т. VIII, стр. 406.

გ. გოზალიშვილი. ციტირებული ნაშრომი, გვ. 44.

რისტების ჯალათის იმპერატორ ნიკოლოზისადმი. არა, ეს გრძნობები უცხო იყო ქვეყანათათვის. უფრო მეტიც: დუკაბრისტების მეგობარი, თავისუფალი აზროვნების პოეტი, თავისი დროის ერთ-ერთი მოწინავე ადამიანი ალექსანდრე ქვეკვაძე მტრულად იყო განწყობილი ცარიზმისადმი. 1832 წლის შეთქმულებაში კი მან მონაწილეობა არ მიიღო სულ სხვა მოტივის გამო: იგი შეთქმულთა აზრებს არ იზიარებდა. ჩვენ გვაქვს ყველა საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ქვეკვაძეს არ სურდა განხეთქილება თავის სამშობლოსა და რუსეთს შორის, რომელიც დიდ, მძლავრ და წინმავალ ქვეყანას წარმოადგენდა და რომლის მომავალთან დაკავშირებული იყო საქართველოს მომავალი. რუსეთთან კავშირის გაწყვეტა და, როგორც ეს ბატონიშვილებს უნდოდათ, შაჰის სპარსეთის დახმარებაზე ორიენტაციის აღება, ქვეკვაძეს საქართველოსათვის დამლუპველად მიაჩნდა: „ჩემი სიძის, კეთილშობილი გრიბოედოვის სპარსთაგან მოკვლის შემდეგ, — წერდა იგი თავის ჩვენებებში. — ისე არ მინდა რა, როგორც მოვესწრომს ამ მტარვალთა წინააღმდეგ, რუსების განსადევნად სპარსთა ლოდინი? საიდან უნდა დამბადებოდა ესოდენ ჯოჯოხეთური აზრი!..“ *

უეჭველია ამ სიტყვების გულწრფელობა, მით უმეტეს, რომ ყმაწვილკაცობაში ქვეკვაძე თვით იყო გარეული ბატონიშვილ ფარნაოზის შეთქმულებაში, ასე რომ ხარკი გადაუხადა თავდაზნაურულ ნაციონალიზმს. შემდეგ ეს შეცდომა შეიგნო და არ შეეძლო შეთქმულებთან შეხვედრისას ეს მწარე გამოცდილება არ გაეხსენებინა.

იგი შეთქმულებს არ მიემხრო, მაგრამ მან საიდუმლო ორგანიზაციისა და მისი მიზნების შესახებ იცოდა და ამიტომაც არაპირდაპირად საქმეს დაუკავშირეს, რადგან არ შეეძლო ნიკოლოზ პირველის მთავრობისათვის გაეცა საზოგადოების არსებობა. შემდეგში, უარყოფდა რა საგამომძიებლო კომისიის წინაშე თავის მონაწილეობას შეთქმულებაში, ის წერდა: „კიდევ რომ მცოდნოდა ის, რაიცა აწ გამოაშკარავდა, მაშინაც თავს არ დავიმცირებდი და ამგვარი უაზრო ქარაფ-

* ЦГИА Грузинской ССР, ф. ОВД, д. 166, стр. 426-27.

შუტობი
ტიმრებ
მაიორ
თანამე
დაუმა
ობათი
ნეს იმ
შესახ
1834
ლობ
კ
და
გაც
ამტ

შუტობის დაბეზღებას არ ვიკისრებდი".* მაგრამ სხვა დაპა-
ტიმრებულთა ჩვენებიდან კომისიამ დაასკვნა, რომ გენერალ-
მაიორ ჭავჭავაძემ „დიდი ხნით იცოდა თავის ნათესავთა და
თანამემამულეთა ბოროტი ზრახვები და ესენი მთავრობას
დაუშალა და ამით ქვეშევრდომის ერთი უპირველესი მოვალე-
ობათაგანი დაარღვია".** ამის საფუძველზე ჭავჭავაძე მიაკუთვნ-
ეს იმ პირთა კატეგორიას, რომლებმაც „იცოდნენ განზრახვის
შესახებ და ამასთან ერთად თანხმობა არ განუცხადებიათ“***
1834 წელს საქმის დასრულების შემდეგ უმაღლესი ბრძანებუ-
ლობით პოეტი საცხოვრებლად ტამბოვს გადასახლეს.

ჭავჭავაძისათვის უცხო იყო ქართული ტახტის აღდგენისა
და „დამოუკიდებელი საქართველოს“ შექმნის გეგმები. ამას
გაცილებით მეტი დამაჯერებლობით, ვინემ მისი ჩვენებანი,
ამტკიცებს ლექსი „კავკასის“ ბოლო სტროფები:

ესე არს თვით მთა იგი, სად პრომეტეს დაბმულსა,
ღმერთთა მიერ შერისხვით ყოვანი ჰხოვდა გულსა,—
მთა როცა განგებ ზღუდეთ აღშენებული სალად,
დასაბამით სოფლისა ცნობილი შეუალად.

იმავე ლექსში ჭავჭავაძე წერს:

შეიპრნენ ჩრდილოს ვაშტნი წიაღსა გრანიტთასა,
არა ჰრიდეს ღელეთ სიღრმეს, არც სიმაღლეს მთათასა,
ფოლადნი, ჭვათ მკვეთელნი ათასთა შინა ხელთა,
ხელოვნებითნი მეხნი, შედგრაღ მჩენელნი ცეცხლთა,
ჰსცემდენ, ჰგლეჯდენ, ჰუხოდენ,—და კავკასი მკვნესარედ
ეხოთა მიერ წყლულთა თვისთა ცხად ჰყოფთა მწარედ.
განიხსნა გზა და ვშვათ ივერელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება.****

ჭავჭავაძის ლექსები, კერძოდ ეს ლექსი, არაა ზუსტად და-
თარიღებული. მაგრამ უეჭველია, რომ იგი, შვილი გარსევან
ჭავჭავაძისა—საქართველოსა და რუსეთის დაახლოების ერთ-
ერთი მოსურნისა და თვითონაც აქტიური მომხრე ქართველი
საზოგადოებისა და მოწინავე რუსი ადამიანების დაახლოები-

* ЦГИА Грузинской ССР, ф. ОВД, л. 166, стр. 426-27.

** „Акты, собранные Кавказкой Археографической Комиссией“,

т. VIII, стр. 392-93.

*** ЦГИА Грузинской ССР, ф. ОВД, л. 166, л. 5259.

**** აღუქსანდრე ჭავჭავაძე. თბზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით,
წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით. თბილისი, 1940, გვ. 17.

კორპუსში გადმოყვანილი ღვკაბრისტები — აი, ის გარემო, რომელთანაც 1810—20 წლებში ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჰაუკვაძეს და, უმეტესად, რომ ამ დროს შეითვისა მან ზოგიერთი ღვკაბრისტული იდეები. ამის შესახებ შეგვიძლია ყველაზე უკეთ ვიმსჯელოთ მეორე ლექსის მეშვეობით: „ვაჰ, სოფელსა ამასა“:

ვაჰ, სოფელსა ამას და მისთა მდგურთა,
ბორცვებისა და სივრცის კურთა,
კეთილ მოყვარების დათრგუნვის მსურთა
უსაფუძველოთა

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ზევით!

აქ აქებენ ძვირსა მზავარნი სულნი,
სძრაბვენ კეთილ-მოქმედთ შერიტ შემკულნი;
ზოგადნი არიან გამდიდრებულნი,—

განა რითა, ძმანო?

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ზევით.

სამეფონი ურთიერთსა მტკცელობენ,
შეუწყალოდ, მზევბრ კაცთა მზევლობენ;
მდიდრდებიან, რომელნიცა მძლელობენ

და ყვაეილოვნებენ

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ზევით.

.....

გარნა მძლეცა შემდგომ სხვისგან იძლევის,
თვისგან კმნილი თვისადმე მოგტყვევის,
ყველაკი წარუვალს, განელევის,
რაცა ჰქონდა პოვნილ

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ზევით.

.....

რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორებას.

არ მარადის იშვით

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ზევით.*

კვლავ სინანული უნდა გამოვთქვათ იმის გამო, რომ ეს გაბედულად დაწერილი ლექსიც არ არის დათარიღებული, მაგრამ ეს ვერ ცვლის მის შინაარსს, ეს ლექსი მიმართულია ტირან

* აღუქსანდრე ჰაუკვაძე. ციტირებული გამოცემა, გვ. 30.

სა, ამ ლექსში გამოხატავს არა დროებითს განწყობილებას, არამედ მყარ, მუდმივ წარმოდგენას საქართველოს მომავლის პრობლემაზე. ეს მომავალი, მისი წარმოდგენით, დაკავშირებული იყო საქართველოს განვითარებასთან რუსეთის მფარველობის ქვეშ.

ყოველივე ეს, ცხადია, არ გამორიცხავდა ქვეყანადის უარყოფითს დამოკიდებულებას რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკისადმი საქართველოში. პირიქით, დადგენილია, რომ ქვეყანაში იყო ავტორი ანონიმური „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევისა და მდგომარეობისა 1801-დან 1831 წლამდე“. ეს მეტად ღრმად გააზრებული და მძაფრი პოლიტიკური დოკუმენტი ქართველმა პოეტმა მიმართა თვით იმპერატორის სახელზე.*

მკვლევარების მიერ, რომელთაც ქვეყანადის „ნარკვევი“ შეადარეს ა/კ. ეკონომიური გარდაქმნის გრიბოედოვისეულ პროექტს, აღნიშნულია ამ ორი ავტორის შეხედულებათა მსგავსება. ეს მსგავსება არ გამოჰპარვია იმ დროის კავკასიის კორპუსის უფროსის თვალს. საიდუმლო მოხსენებაში სამხედრო მინისტრის ჩერნიშოვის სახელზე ბარონი როზენი იუწყებოდა, რომ ქვეყანაში, „განსვენებული გრიბოედოვის“ სიმამრს, საშუალება ჰქონდა თავისი თავისუფალი აზრები განემტკიცებინა.**

როზენის დახასიათება ერთხელ კიდევ გვარწმუნებს ქვეყანადის შეხედულებების პროგრესულობაში.

როზენი არ ცდებოდა, როდესაც ქვეყანადის თავისუფალი აზროვნების შესახებ მსჯელობდა. 1813-14 წლების საზღვარგარეთული ლაშქრობებისა, ცარსკოე სელოში ლეიბ-ჰუსარად სამსახურისა თუ საქართველოში დაბრუნების პერიოდში პოეტი ერთთავად თავისი ეპოქის პროგრესული იდეების ატმოსფეროში ტრიალებდა. ჩაადაევი, პუშკინი, კიუხელბეკერი, ალექსანდრე და ნიკოლოზ რაევსკები, პროგრესული განწყობილების ოფიცრების წრე, ხოლო 1825 წლის შემდეგ კავკასიის

* В. Шадури. Грибоедов и грузинская культура. Тбилиси, изд-во „Заря Востока“, 1946, стр. 27-28.

** ვ. ვირსალაძე. ნ. ბარათაშვილის თანამედროვენი. „ლიტერატურული ძიებანი“, III, 1947, გვ. 127.

ხელმწიფეთა და ძმათა შურ-მტრობის მოსურნე დიდებულ მოხელეთა წინააღმდეგ. იგი სავსეა მუქარით იმათზე, ვინც მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით განდიდებულა. ეს ნაწარმოები ნაწილობრივ გვაგონებს რილეევისა და ბეს-ტუქევის სააგიტაციო სიმღერებს და ენათესავება ბოლო სტრიქონებს ლერმონტოვის ლექსისას, რომელიც მან პუშკინის სიკვდილზე დაწერა. ამ ლექსში ვერ ვპოვებთ ქართველი ფეოდალების იდეების ვერავეითარ ნიშანს, იმ ქართველი ფეოდალებისას, რომლებიც ოცნებობდნენ რუსეთიდან გამოყოფასა და ქართული ტახტის აღდგენაზე. იგი წინააღმდეგაა ქართველი არისტოკრატის ნაციონალისტურ იდეებს და მათ წინააღმდეგაცაა მიმართული. საბოლოოდ ირკვევა, რომ ჭავჭავაძე 1832 წლის შეთქმულებას არ მიემხრო იმიტომ კი არა, რომ გადაწყვიტა ლოიალური ყოფილიყო რუსეთის თვითმპყრობელობის მიმართ, არამედ იმიტომ, რომ ქართველი ხალხის ერთადერთ ხსნას სპარსი და თურქი დამპყრობლები-საგან იგი ხედავდა მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთებაში. ნათელი ხდება, რომ იგი არ თანაუგრძნობდა და არც შეეძლო ეთანაგრძნო შეთქმულთათვის იმიტომ, რომ თავისი პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით გაცილებით ახლო იდგა რესპუბლიკელ დეკაბრისტებთან, ვინც ქართველ ბატონიშვილებთან და მათ თანამოაზრეებთან.

იმასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ნიკოლოზ პირველმა, რომელიც უაღრესად დაინტერესებული იყო ქართველი თავადაზნაურობის მოთვინიერებით და რომელმაც სპეციალური ბრძანება გასცა „დაესაჯათ მხოლოდ ყველაზე უფრო დამნაშავენი და არ დაემძიმებიათ იმ პირთა ბედ-ილბალი, რომელნიც მხოლოდ არაპირდაპირ დამოკიდებულებაში იყვნენ შეთქმულებასთან“, მიუხედავად ამისა, მაინც გადაასახლა ჭავჭავაძე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამაში მთავარი როლი ითამაშა პოეტის პოლიტიკურმა რეპუტაციამ. ცნობილია, რომ 1829 წელს ჭავჭავაძემ თავი აარიდა ნიკოლოზ რაევსკის დაპატიმრების ბრძანების შესრულებას. რაევსკიმ იმპერატორის რისხვა გამოიწვია იმით, რომ თავისუფლად, მეგობრულად ეპყრობოდა გადასახლებულ დეკაბრისტებს. იმპერატორმა იცოდა თვით ა. ჭავჭავაძის მეგობრული დამო-

კიდებუ
ლების
ტორს
განცხა
ლების
არ აც
შემთხ
ყველა
რობის
მოექ
ხმოზ
სხვებ
რომ
თავი
შ

ყურ
სად,
ან
მასწ
რაზ
დნ
ვად

ლ
ბი
თ
შ
ბ
რ

კიდებულება დეკაბრისტებისადმი: როცა 1832 წლის შეთქმულების გამო დაპატიმრებულთა საქმეებს ეცნობოდა იმპერატორს არ შეიძლება ყურადღება არ მიექცია ქავეკავადის თამაში განცხადებისათვის: იგი, კიდევაც რომ ცოდნოდა შეთქმულების შესახებ, მეფის ხელისუფალთ არასდროს არ აცნობებდა, არ აცნობებდა, რომ მათზე თავდასხმა მზადდებოდა. ყოველ შემთხვევაში ნიშანდობლივია, რომ შეთქმულების ზოგიერთ ყველაზე უფრო აქტიურ წევრს, „ბოროტგანმზრახველს მთავრობის წინააღმდეგ“, ნიკოლოზ პირველი უფრო რბილად მოექცა, ვინემ ქავეკავადეს, რომელსაც კომისიის აზრით, „თანხმობა არ უთქვამს, არ მოწონდა შეთქმულება... არწმუნებდა სხვებს, თავი დაენებებინათ ამ უაზრო წამოწყებისათვის, ისე, რომ შეთქმულნი მას ერთხმად მიაწერენ, რომ უარი თქვენს თავიანთ დამლუპველ განზრახვაზე“.*

შეთქმულების ზოგიერთი მონაწილე პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ თბილისში დატოვეს, სხვანი, ქავეკავადის მსგავსად, საცხოვრებლად რუსეთის შიდა ქალაქებში გადაასახლეს ან შორეულ გარნიზონებში გადაიყვანეს. ორი შეთქმული — მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი და პოეტი სოლომონ რაზმაძე, რომლებიც თავადაზნაურთა წოდებას არ ეკუთვნოდნენ, სხვადასხვა შორეულ ქალაქებში გადაასახლეს დიდი ვადით.

სხვა შეთქმულთაგან განსხვავებით, სოლომონ დოდაშვილის ოცნება იყო საქართველოს რუსეთის თვითმპყრობელობისაგან განთავისუფლება „იმიტომ კი არა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს, არამედ რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მაგვარ სახელმწიფოდ“.** დაპატიმრებისას მის ქალაქებში იპოვეს რილეევის ცოლისადმი მიწერილი უკანასკნელი ბარათის პირი. ყოველივე ამის მიხედვით, დოდაშვილისათვის უცხო არ იყო დეკაბრისტების პოლიტიკური იდეები. და აღვილი შესაძლებელია, რომ სწორედ მისი გავლენით თარგმნა გრიგოლ ორბელიანმა „ნალივაიკოს აღსა-

* ЦГИА Грузинской ССР, ф. ОВД, дело № 166, лл. 504 и 505.

** გ. გოხალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. თბილისი, 1935, გვ. 92.

რება“ რილევისა, საქართველოს შეუფარდა და „გივი ამი-
ლახვრის აღსარება“ შეარქვა.

დოდაშვილი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა: იგი გარ-
დაიცვალა ვიატკაში 1836 წელს, ამის მომდევნო 1837 წელს
შეთქმულების ერთ-ერთმა მონაწილემ, ყოფილმა ლეიბ-ჰუსარმა
გიორგი რომანოვის-ძე ერისთავმა მოახერხა საქართველოში
დაბრუნება და ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში დაინიშნა,
სადაც იმხანად სასჯელს იხდიდა ლერმონტოვი.* ამავე წელს
თბილისში დაბრუნდა გრიგოლ ორბელიანი.

ქვეყანადის გადასახლება კიდევ უფრო ადრე დასრულდა.
მაგრამ რადგანაც ბიოგრაფიულ ლიტერატურაში ამაზე ზუსტი
ცნობები არ მოგვეპოვება, ამიტომ საჭიროა მოკლედ აღვნიშ-
ნოთ იმის შესახებ, თუ რამდენი ხანი დაჰყო ქვეყანაძე
ტამბოვში და როდის დაბრუნდა სამშობლოში.

იგი დაპატიმრებული იყო პირადად მეფის ბრძანებით
1833 წლის 15 იანვარს. 8 სექტემბერს გაანთავისუფლეს
და თავის მამულში, წინანდალში წასვლის ნება მისცეს. იქ
საიდუმლო მეთვალყურეობაში ცხოვრობდა. 1834 წლის 18
იანვარს გაგზავნეს საცხოვრებლად ტამბოვში.**

გავრცელებული ვერსია, რომ იგი ტამბოვში გადასახლეს
ოთხი წლით, არაფერზე არაა დაფუძნებული, როგორც და-
ვინახავთ, მან ტამბოვში დაჰყო არა ოთხი წელი, არამედ
ორთვე-ნახევარი.

ა. ქვეყანაძე ტამბოვში ჩავიდა 18 თებერვალს და უმაღლეს
წერილი მისწერა პასკევიჩს, რომლის სარდლობითაც იბრძოდა
თურქთა წინააღმდეგ. პოეტი სთხოვდა პასკევიჩს მოეხერხე-
ბინა მისთვის მეფის სანახავად პეტერბურგს ჩასვლის ნება-
რთვა. ამასთანავე ფელდმარშლის საშუალებით მეფეს უგზავ-
ნიდა მოხსენებითს ბარათს.***

* В. Потто. История 44-го драгунского Нижегородского полка,
т. IV, СПб, 1894, стр. 57.

** ЦГИА Грузинской ССР, фонд ОВД, дело № 164, лл. 169,
442, 464-467; дело № 166, л. 482, дело № 167, л. 458.

*** ЦГИА Грузинской ССР, фонд ВУА, дело № 1121, лл. 1-1а
შეად.: ს. შალვაკელიძე. მასალები ალექსანდრე ქვეყანაძის ბიოგრაფიისათ-
ვის. საისტორიო შრომები, № 2, 1946, გვ. 245-247.

მეფემ შეიწყნარა პასკევიჩის თანამდგომლობა (როგორც ეს მოხდა გრიბოედოვის მიმართ, რომელიც დააპატიმრეს დეკაბრისტების საქმის გამო): 1834 წლის 24 აპრილს ჰავაძე გადასახლებიდან პეტერბურგს გაიწვიეს და 4 მაისს გამოემგზავრა ტამბოვიდან.* მალე ამ ცნობამ თბილისამდე მოაღწია. 1834 წლის აგვისტოს 30-ს ბარონი როზენი სამხედრო მინისტრს მოახსენებდა იმ ხმების შესახებ, რაც გავრცელდა ქალაქში „აქედან ტამბოვს საცხოვრებლად გადასახლებულ გენ.-მ. თავად ჰავაძის ს.-პეტერბურგში ჩასვლის გამო“. ** რომ იმპერატორი „მოწყალედ“ მოეპყრო შერისხულ პოეტს, ცხადია, თვით მისდამი დამოკიდებულებით არ იყო გამოწვეული, არამედ იმპერატორს სურდა ნაბიჯი გადაედგა ქართველი თავადაზნაურობის შესარიგებლად. ნიკოლოზ პირველს იზიდავდა ჰავაძის უაღრესი პოპულარობა ქართველთა შორის. მისი ბედი სხვათა ნამდვილი მამობრივი შეწყნარების მაგალითად გამოდგებოდა „ქართული კეთილშობილი წოდების ცდომილი ნაწილისათვის“.

ყველაფერი იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ჰავაძემ პეტერბურგში გაატარა შემდეგი 1835 წელიც. გრიგოლ ორბელიანი, რომელიც იმ დროს რიგაში იყო, თბილისელ მეგობრებს ატყობინებდა პეტერბურგის უკანასკნელ ახალ ამბებს. მას უნახავს ბარონი როზენი. როზენს გრიგოლ ორბელიანისათვის უამბნია, როგორ ცხოვრობს თბილისში ჰავაძედიანთ ოჯახი, გადაუცია ახალი ამბები თვით „კნიაზზე“, რომელიც დედაქალაქში უნახავს, და თეკლე ბატონიშვილის დაბრუნებაზე საქართველოში. „ეს კი ვიცი, რომ კნიაზი ძალიან კარგად არის მიღებული პეტერბურგში“, — სწერდა ორბელიანი ჰავაძეზე.***

ორბელიანის წერილი დათარიღებულია 1835 წლით. თეკლე ბატონიშვილი თბილისში დაბრუნდა 1835 წელს. ასე რომ ეს ცნობები განეკუთვნება იმავე დროს. არაპირდაპირ ეს დასტურდება პოეტის ცოლისა და ქალიშვილების წერილებით,

* Тамбовское областное архивное управление. Фонд тамбовского гражданского губернатора, № 4, дело № 18, лл. 17, 21, 28 и 36.

** Акты Кавказской Археографической Комиссии, т. VIII, стр. 423.

*** გრიგოლ ორბელიანი. წერილები. თბილისი, 1936, ტ. I, გვ. 33.

საიდანაც ჩანს, რომ 1835 წელს ჰავჭავაძე საქართველოში არ იყო.

1836 წელი, როგორც ამაზე იყო ნათქვამი, ჰავჭავაძემ პეტერბურგს გაატარა. 22 ივნისითაა დათარიღებული წერილი თბილისის სამოქალაქო გუბერნატორისადმი. 16 სექტემბერს თხოვნა მისცა პასკევიჩს. დოკუმენტზე აღნიშნულია „ს-პეტერბურგი“.*

არა უგვიანეს 1836 წლის ნოემბრისა ჰავჭავაძე სამშობლოში დაბრუნდა. გერმანელ მოგზაურს კოხს დეკემბერში უნახავს იგი თბილისში. კოხი გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებას ჰავჭავაძეზე: „უგანათლებულესი ქართველი, რომელსაც თავისი ხანგრძლივი ყოფნისას პეტერბურგში და დასავლეთ ევროპაში ისეთი ცოდნა შეუძენია, როგორიც საძებნელია შორეულ ამიერკავკასიაში“.**

ჰავჭავაძე რომ იმ დროს თბილისში იყო, როცა აქ ლერმონტოვი ჩამოვიდა, ეს დასტურდება ვილბრეჰემის მემუარებით. ინგლისელ კაპიტანს თბილისში უნახავს გენერალი ჰავჭავაძე 1837 წლის 12 (ახალი სტილით 24) ოქტომბერს.***

და აი 1838 წელს სამშობლოში დაბრუნდა ალექსანდრე ჰავჭავაძე, შესანიშნავი პოეტი, გენერალი, სპარსეთისა და თურქეთის ომებში სახელმოხვეჭილი, თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ქართველი, მოწინავე აზრების ადამიანი, გონიერი პატრიოტი, თვითმპყრობელურ-ბატონყმური რეჟიმის მოწინააღმდეგე, სტუმართმოყვარე მასპინძელი, რომლის სახლში გულლიად ხვდებოდნენ გადასახლებულებს და შერისხულებს — ასეთი ადამიანი ლერმონტოვის თვალში უმეტესად მიმზიდველი და კეთილშობილი პიროვნება იყო. აი, ვინ შეეძლო ეგულისხმა ლერმონტოვს, როცა რაევსკის სწერდა „თბილისში არიან ძალიან რიგიანი ადამიანებიო“.

* ს. მალაყელიძე. მასალები ალექსანდრე ჰავჭავაძის ბიოგრაფიისათვის. „საისტორიო მოამბე“. № 2, 1946, გვ. 247.

** K. Koch. Reise durch Russland nach dem Kaukasischen Jsthmuss in den Jahren 1836, 1837 und 1838. Stuttgart und Tübingen, 1843, B. II, ss. 314, 191, 310.

*** Travels in the Transcaucasishen provinces of Russia in the autumn and winter of 1837 by capitain Wilbraham. Londres, 1839.

ცნობილია
შეხვედრა და
ოლოფესკის. 1
იქნა საქართვე
მსახურობდა
და იმავე დრ

მე მას ვ
აღმოსა
ვიყოფი

ასე იწ
"ა. ი. ოდ
დაბოლ

შეხვედა ვ
იქნა დეპ

ასე დ
დეკაბრი
თან მრ

ახლ

ძუნწი
მეტად

ახლა

და ის

ლობა

რომ

"ნამ

კვეთ

კაბ

ვიღ

ედ

ლ

ლ

რ

რ

ცნობილია აგრეთვე, რომ ლერმონტოვი საქართველოში
შეხვდა და დაუმეგობრდა დეკაბრისტ ალექსანდრე ივანეს-ძე
ოდოევსკის. 1837 წელს ოდოევსკი ციმბირიდან გადმოყვანილ
იქნა საქართველოში და ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში
მსახურობდა იქ გადაგზავნილ ლერმონტოვთან ერთად ერთ
და იმავე დროს.*

მე მას ვიცნობდი—ორნი ერთად ემოგზაურობდით
ალმოსავლეთის მაღალ მთებში... განდევნის სევდას
ვიყოფდით ძმურად...

ასე იწყება 1839 წელს დაწერილი ლერმონტოვის ლექსი
„ა. ი. ოდოევსკის ხსოვნას“.

დაბოლოს, ცნობილია, რომ ლერმონტოვი თბილისში
შეხვდა ვალხოვსკის, რომელიც საქართველოში გამოგზავნილი
იქნა დეკაბრისტების ორგანიზაციაში მონაწილეობის გამო.

ასე და ამრიგად წერილში რაევსკისადმი ლაპარაკი იყო
დეკაბრისტებზე და იმ ადამიანებზე, რომლებსაც დეკაბრისტებ-
თან მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებდათ.

ახლა გასაგებია, რატომ ამჯობინა ლერმონტოვმა ერთი
ძუნწი ფრაზა ეთქვა წერილში: „კარგი ახალგაზრდა აქ ბევრია,
მეტადრე თბილისში არიან ძალიან რიგიანი ადამიანები“.
ახლა ჩვენთვის გასაგებია ვინ იყო პოეტის თვალში რიგიანი
და ისიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, ვინ ჰყავდა მას მხედვე-
ლობაში. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდება, თუ გავიხსენებთ,
რომ „ჩვენი დროის გმირში“ ლერმონტოვმა მხოლოდ ახსენა
„ნამდვილი რიგიანი ადამიანები“ და, როგორც ეს ახლა გამოჩ-
კვეულია, ამ ადამიანებში კავკასიაში გადმოსახლებული დე-
კაბრისტები იგულისხმა. ამაზე კიდევ უფრო დაწვრილებით
ვილაპარაკებთ. და ბოლოს ისიც გავიხსენოთ, რომ გრიბო-
ედოვმა 1820-იან წლებში საქართველოდან გაგზავნილ წერი-
ლებში სწორედ ასევე არ დაასახელა გვარები და გადაკრუ-
ლად თქვა რიგიან ადამიანებზე. მ. ვ. ნეჩკინამ დაადგინა,
რომ იგი გულისხმობდა „ერმოლოველებს“ — რუს ოფიცრებს,
რომლებსაც საქართველოში ერმოლოვის გარშემო მოეყარათ

* А. Е. Розен. Записки декабриста. СПб, 1907, стр. 243.

თავი და რომლებიც დეკაბრისტების შეხედულებებს იზიარებდნენ.*

ლერმონტოვის ტერმინოლოგია დეკაბრისტების ტერმინოლოგიას დაემთხვა.

მოწინავე პოეტები რუსეთისა და საქართველოს კავშირის შესახებ

ახლა გასაგები ხდება სხვა რამეც: ვისთან შეეძლო სჯაბაასი ლერმონტოვს საქართველოს პოლიტიკური ისტორიისა და ქვეყნის რუსეთთან შეერთების დადებითი მნიშვნელობის შესახებ. ჩვენ ახლა ეპოულობთ იმის ახსნას, როგორ აღმოჩნდა „მწირის“ ხელნაწერში შემდეგი სიტყვები: „მაგრამ ჰყვოდა“.

გავიხსენოთ ჭავჭავაძის ლექსის „კავკასიის“ დასასრული სტრიქონები, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების პრობლემას ეხება:

განიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება.

მხოლოდ მარტო ჭავჭავაძე როდი ფიქრობდა ასე.

1839 წელს, იმ დროს, როცა „მწირზე“ მუშაობა დასრულებული იყო, ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაწერა თავისი ისტორიული პოემა „ბედი ქართლისა“. პოემაში გადმოცემულია, როგორ განუმტკიცდა მეფე ერეკლეს საქართველოს მძლავრი მეზობლის — რუსეთის მფარველობისათვის გადაცემის აზრი, როგორ გადაწყვიტა ეს აზრი გაეზიარებინა თავისი მრჩეველის სოლომონ ლეონიძისათვის:

ამის გამგონი, ჩვენი მსაჯული
უპყრებდა მეფეს განცვიფრებული;
მას არ ჰსჯეროდა, რომ ირაკლის გულს
ჰხედვიდა იგი ესთ შეცვალეზულს.

* М. В. Нечкина. А. С. Грибоедов и декабристы. М., ОГИЗ
ГИХЛ, 1947, стр. 190.

„რასა მიბრძანებ! ჰყადრა მან მეფეს,
ბატონო, ლმერთი გადღერებულედეს,
ნუ გააგონებ მაგ ჯმას ქართველთა,
ეხდენ შენზედა მსასოებელთა!
ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება?

„იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
სატელმწიფოსა ერთობა სჯულის
არა რას არგებს, ოდეს მისს შორის
თვისება ერთა სხვადასხვაობდეს.
ვინ იცის მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეეწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა?
მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალთ
მოუკლან გული ტანჯვით იდუმალთ!
მაშინ ირაკლის სახსენებელი
ვინლა ახსენოს, აწ სატებელი?
ნუ, კელმწიფეო, მას ნუ ინებებ;
შენგან კი მაგას ნუ გაგვაგონებ,
და მერე ვინც ვერ განაგოს ქართლი,
მაშინ მან უწყის, რაც ჰყოს კეთილი;
ხოლო ირაკლი ვიდრე ჰყავთ ქართველთ,
უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ!“
„ჩემო სოლომონ, მეფემ უბრძანა,

მე ვე ყოველი არ ვიცი, განა?
მაგრამ კეთილთა დღეთა თვს ქართლის,
რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?
მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე,
თვისს დიდების თვს სისხლთა აღმჩქეფე;
არამედ ვითა მამა კეთილი,
რომელსაც ჰსურს, რომ თავისი შვილი
თვის სიცოცხლეში დაასაზღვროს.
ძნელ-არს ცხოვრება სამეფოსი, როს
უპერეტდეს იგი ომსა დღე დღითი!
აი, ხომ ნახე აწ მაგალითი,
რა ჰქნა ამ ერთმან დამარცხებამან!
კარგი, რომ კიდევ აღა-მაჰმად-ხან
ქალაქს დასჯერდა განძვინებული,
სხვით არ აღივსო მან საწყაული!

„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნაზოს საქართველოში.
მან საფარს-ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის,
და მხოლოდ მაშინ უმჯობედ გერწამდეს,
რომ ქრისტიანთ კმა მარად ისმოდეს
საფლავთ ზედ ჩვენთა მამა-პაპათა
და განისვენონ აჩრდილთა მათთა!

.....
მაგრამ აბა სთქვი, ქართველთა რა ჰყონ
ამ უზედობის და დარღვევის დროს?
აბა ირაკლიმ რა მოაგვაროს
მშვიდობისა თვის საყვარელ ყმათა?
აი მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ ჩემსა გულის თქმას;
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,
რომ დღეს იქნება, თუ ზვალ იქნება,
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფებამ! *

ამის შემდეგ კვლავ წაიკითხეთ „მწირის“ შემდეგი სტრი-
ქონები:

და საქართველოს გადმოიფინა
მადლი უფლისა! ტანჯული წინათ,
ყვაოდა თავის ბაღების ჩრდილში,
მტრის შემოსევის არ ჰქონდა შიში,
მას მფობრების იცავდა ბიშტი.

ეს სტრიქონები თითქოს ერეკლესა და მისი მრჩევე-
ლის საუბრის შედეგადაა დაწერილი. აქ იგივე თემაა ხორც-
შესხმული, რაც ბარათაშვილს ალელვებდა.

მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის ერთ-ერთი ნახვის შემ-
დეგ ბარათაშვილმა დაწერა ლექსი „საფლავი მეფე ირაკლი-
სა“, რომელშიაც იგი მიმართავს „წმიდას აჩრდილსა“ და
ეუბნება, რომ ქართველობამ შეასრულა მისი ანდერძი და
ქედს იხრის მეფის საფლავის წინაშე: „თაყვანსა ჰსცემს შენსა
საფლავს, ცრემლით აღნავსა!“

ამრიგად, ლერმონტოვის აზრები საქართველოს ისტორი-
ული ბედის შესახებ ემთხვევა იმას, რასაც ფიქრობდნენ და

* ნ. ბარათაშვილი. ლექსები, პოემა, წერილები. თბილისი, 1939 წ.,
გვ. 53, 54, 55.

გრძნობდნენ იმხანად საქართველოს საუკეთესო შვილები —
ალექსანდრე ქავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი.

მაგრამ მხოლოდ ლერმონტოვი როდი ეხებოდა ამ თემას.
ქართველებთან საუბარში. გრიბოედოვის უახლოესი მეგობარ-
ი პოეტი დეკაბრისტი ალექსანდრე ოდოევსკიც თბილისში
ჩამოსვლისას გაეცნო ნინო გრიბოედოვას და ა. ქავჭავაძეს.
და მათ სახლში სიარული დაიწყო. მაშინ, როგორც ჩანს,
თარგმნა ქავჭავაძემ ქართულ ენაზე ოდოევსკის ლექსი „ვარდი
და ბულბული“.

1838 წლის აპრილში, მ. ი. ლერმონტოვის რუსეთში გამ-
გზავრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, თბილისში მყოფმა
ოდოევსკიმ დაწერა ლექსი, რომელშიაც ალექსანდრე ფორ-
მაში გამოიყვანა საქართველო — „შავთვალწარბა მზეთუნახავ სა-
პატარძლოდ, ხოლო რუსეთი — სასიძოდ, ქერათმიან მშვენიერ
რაინდად“:

აწ გარდასულ შავბნელ წლებზე
არ გიმძიმებს გულს ნაღველი,
საქმროები ბევრი გყავდა —
შენ ბუმბერაზს მიეც ხელი.

წარსულ დრო-გაშზე მწუხარებით ახლა არ შეფოთავ,
რუსეთისადმი მარად გწავდა შენ სიყვარული.
და შეუდუღდი, როგორც უდრეკ სამარ ფოლადს,
ვით განთიადი ფერმეწამული.*

რედაქტორებს ამ ლექსისათვის პირობითად შეურქმევიათ
„საქართველოსა და რუსეთის სამეფოს ქორწინება“. სათაური
ფრიად უხეიროდაა მოგონილი. ბუმბერაზის სახით ოდოევს-
კიმ იგულისხმა არა რუსეთის იმპერია, არამედ გმირი რუსი
ხალხი, რომლის ჰიპერბოლურ სახეს ლერმონტოვიც გვი-
ხატავს.

ამ ლექსის წაკითხვისას უნდა გვახსოვდეს, რომ „დეკაბ-
რისტები საქართველოსა და კავკასიის მომავალს თავისუ-
ფალ რევოლუციურ რუსეთთან კავშირში წარმოიდგენდნენ“
(მ. ვ. ნეჩკინა).

* А. И. Одоевский. Полное собрание стихотворений и писем.
М.—Л., „Academia“, 1934, стр. 225—226. თარგმანი გ. ხუბაშვილისა.

ამრიგად, ოთხი თანამედროვე — ბარათაშვილი, ჭავჭავაძე, ლერმონტოვი და ოდოევსკი ერთსა და იმავე დროს ფიქრობდნენ საქართველოსა და რუსეთის კავშირის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ და ძირითადად ერთსა და იმავე დასკვნამდე მიდიოდნენ. ეს კავშირია ქართველი ხალხის ფიზიკური მოსპობისაგან ხსნის ერთადერთი გზა, ეს გაერთიანება იქნება საქართველოს მომავალი განვითარების საწინდარი.

ქართველი და რუსი პოეტების აზრთა თანადამთხვევა ამ საკითხში აიხსნება, უპირველეს ყოვლისა, მათი აზრების პროგრესულობით, საერთო მიმართულებით. ოთხივენი თავისი დროის ყველაზე მოწინავე ადამიანთა რიგს ეკუთვნოდნენ. მაგრამ გარდა ამისა, ისიც გასაგები ხდება, რომ ამის შესახებ ცალ-ცალკე კი არ ფიქრობდნენ, არამედ ერთად და ლერმონტოვი, ისევ როგორც ოდოევსკი, ამ თემაზე მსჯელობდა თავის ქართველ მეგობრებთან ერთად. ეს ქართველები არ შეიძლება ყოფილიყვნენ 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი — ჩვენ ვიცით, რომ ისინი სხვა თვალსაზრისზე იდგნენ. ყველა მონაცემს ერთ ყველაზე შესაძლებელ დასკვნამდე მივყავართ: ამ მეგობრების რიცხვს ეკუთვნოდა ალექსანდრე გარსევანის-ძე ჭავჭავაძე.

ძველი თბილისი. გრიბოედოვის საფლავი

იმხანად თბილისში ჩამოსულ რუსთა ყურადღებას ყველაზე მეტად ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი იპყრობდა. ქალაქის ახლანდელ ცენტრალურ ნაწილში (მაშინ მას გარეუბანი ერქვა) ის იყო შენდებოდა ახალი სახლები და ადმინისტრაციული შენობები. ეს შენობები ერთმანეთისაგან კარგა მანძილით იყვნენ დაშორებული და თანაც ვრცელი ბალებით გამოყოფილი.

ერევნის მოედნის — ქალაქის დღევანდელი ცენტ. ნაწილის — იქით, სადაც იმ დროს ყველაზე დიდი შენობები იდგა: კავკასიის კორპუსის შტაბი, პოლიციის სამმართველოს შენობა, გიმნაზია, რესტორაცია და სასულიერო სემინარია, იწყებოდა სომ-

ხური ბაზარი — ვიწრო და ოღროზოვანი შესახვევებისა და
ჩიხების ლაბირინტი. იქ ცხოვრობდნენ თბილისელი ხელოს-
ნები. სომხურ ბაზარსა და სიონის ქუჩას მოსდევდა დახურუ-
ლი ბაზა-ხანა, ამას კი თათრის მაიდანი — სავაჭრო ადგილი
და მიმყოფი ქარვასლა.

თბილისის აღმოსავლეთ ნაწილში, ძველ თბილისში, მთე-
ლი დღე ხალხი ირეოდა. აქ ცის ქვეშ ასევადებდნენ ვერცხლს,
სწვავდნენ მწვადებს, ცხენებს ნალებით სკედდნენ, პარსავდნენ
თავს, ჰკერავდნენ ნაბდებსა და ჩექმებს, სინჯავდნენ ნაირ-
ნაირ აბრეშუმს, ევაკრებოდნენ ძვირფასი სპარსული ხალხების
გამყიდველს, ქლიბავდნენ დამბაჩებს, თამაშობდნენ ნარდს.
დილიდან საღამომდე გაისმოდა ჩაქუჩის ხმა, მკედლების ქუ-
რის ქშინვა, კამათლების ჩხრიალი, აშულთა სიმღერები, მე-
ეტლეთა ყვირილი, ზურნის გაქიმული კიკყინი, გაისმოდა
დოღლის მხიარული ხმიანობა — ვილაცას ლექურის ტაქტი გა-
მოჰყავდა. და ყოველივე ეს ინთქმებოდა, იკარგებოდა, იძი-
რებოდა საერთო ღრიანცელში, ხალხის ხმაურიან დუდილში,
ქართული, სომხური, რუსული, აზერბაიჯანული, სპარსული
და თურქული სიტყვების ნარევში. დახლზე და პირდაპირ მი-
წაზე ეწყოთაფლივით ტკბილი ყურძნის, წითელი ბოლოკის,
სიმინდის ქარვისფერი ტაროების, წითელლოყა პამიდორის
მთები. თეთრად კიაფობდა ცხვრის ყველის თავები. მაყალს
ოშხივარი ასდიოდა. ჰაერში ტყავის, ნედლი თევზის, სანე-
ლებელი ბალახეულის სურნელი იდგა. ღვინის სარდაფთაგან
ამოდისოდა ნესტიანი სიგრილე. მოთოხარიკობდნენ ხურჯინ-
გადაკიდებული სახედრები, მთლად ოფლში გაღვარული, მძი-
მე ტვირთისაგან ღონემიხდილი, ძონძებში გახვეული მუშა
რკინით მოქედილ სკივრს მოალასლასებდა. მას ფეხდაფეხ
მისდევდა ალისფერწვერა და შეღებილ ფრჩხილებიანი ვაჭა-
რი. ვაჭარს ჩალმა ეხურა, ხალათი ეცვა, ფეხთ — მწვანე ქოშები.
აგერ ვაჭარმა უხეშად ხელი ჰკრა აზერბაიჯანელ ხელოსანს
და თავაზიანად დაუთმო გზა სახაზინო ვიცემუნდირში გამო-
წყობილ რუს მოხელეს, აათვალიერ-ჩაათვალიერა ტანწერწეტა
ქალი, თვალებამდე სულ თეთრ ჩადრში გახვეული. ქალს ფეხ-
შიშველა ბიჭი ახლავს. ვაჭარს წინ დენშიჩიკი შემოხვდა, რო-
მელიც მოდაზე გამოწყობილ მანდილოსანს მოჰყვება. ვილაც

დარდიმანდი გზიდან გადავა, რომ „დროშა“ გაიტაროს და დამფრთხალი ცხენებიც გვერდს უვლიან აქლემს; მოდის ურემი, რომელშიც ორი უღელი კამეჩი აბია, ურემი კერფარდაგ-გადაფარებული, ამ საფარქვეშ რიცხვმრავალი ოჯახი მოთავსებულია და ბაეშეებს თვალები დაუჭმეტიანთ დროგუნის კივერზე.

ბაზრიდან მიხვეულ-მოხვეული პატარა შესახვევებით შეიძლება თურქთა და სპარსთა რბევა-თარეშის დროის ციხის-ნარიყალას ნანგრევებზე ისეღა, შეიძლება ბნელი გადასასვლელებისა და დაკლანძვილი ჩასახვევების ავლა, პატარა ოთახისტოლა მოედნის გაღლა—და რაც მალა გორისაკენ აღის ადამიანი, მით უფრო ფართოდ იშლება დაკბილული კიდეები მთებით წარმოქნილი ტაფობისა, რომელშიც მდებარეობს ქალაქი; მით უფრო ფართოდ ჩანს მთელი „მრავალაიენიანი“ თბილისი, სახლების მეორე სართულის გრძელი ღია გალერეები ჩუქურთმიანი რიკულებით, პატარა ეზოებით, ბანიანი სახურავებით, რომლებიც, როგორც კიბის საფეხურები, ისე ეშვებიან ცისფერი მერყეთისაკენ, მტკვრის სწრაფი დინებისაკენ. მტკვარს გაღმა, პიტალო კლდეზე, როგორც ახლა, მაშინაც მოჩანდა მეტეხის ციხე და წმ. შუშანიკის ეკლესია. მარჯვნივ, რასაც თვალი მიწვდება, ამ ციცაბო კედელს ლავ-გარდანივით ეკვროდნენ პატარა ხის სახლები, გალერეები და აივნები. კიბის გადასასვლელები ეკიდა მალა, ზედ მდინარეზე. გასწვრივ, მთის ქვემოთ, იქ, სადაც ცნობილი თბილისის აბანოებია და მთის ნაპრალიდან გოგირდის ცხელი წყაროები ორთქლავს, დედაკაცები წყალში ავლებენ პრელ ძონძებს. ქუჩის აქეთ-იქით მხარეს ხმამალა მასლაათობენ ბან-ზე გადმომდგარი დედაბრები. აბანოებს იქით გადაჭიმული იყო სეიდ-აბადის ჩრდილოვანი ბალები, სადაც უქმეობით თბილისელები ისვენებდნენ და ნადიმობდნენ ხოლმე. „რაც აქ ნამდვილად განცხრომაა, — წერდა აღტაცებული ლერმონტოვი, — ესაა თათრული აბანოები“.

არც ისე დიდი ხნის წინათ მიაკვლიეს პოეტის ნახატს, რომელზეც გამოსახულია მეტეხის ციხე ციცაბო კლდეზე, წმ. შუშანიკის ეკლესია, ხრამისპირა სახლები, ვიწრო ავლაბრის ხიდი, ერთადერთი იმდროინდელ თბილისში—ძველი თბილი.

სის შენობები.
პლანზეა აქლემი
მოქავეს ცხენი
ამათ შესახვევ
ბაღ, თიხატყ
შუშანიკი ჩაფ
აივნებითური
ნისკენ მივსა
ადგილი გაღ
მონტოვი რ
მატეს... ნა
ამ კოლმეტკ
ბინდისა
და დარაბე
ედანსა და
ლების ბან
და სიმღე
სილუმბ
მედროვე
დაუდგმე
კარს შე
მეორეზე
მეორ
ხასიათე
იქითაა
წვეტია
მაგ
და თბ
ვიდაც
ურემი
რე მ
კოშკ

ახეთქებს კლდოვან ნაპირს და გაქანებით მიაქვს მაღალ ხიდ-
ქვეშ მღვრიე წყალი.*

თვით ოთხი წლის შემდეგაც კი, როცა დაიწერა ლექსი
„პაემანი“, ლერმონტოვის მეხსიერებაში კვლავაც ცოცხალი
იყო იმ დღეთა შთაბეჭდილებანი, როცა იგი, მტკვრის ხიდზე
მდგომი, ათვალიერებდა, როგორ მოედინებოდა წყალი და
როგორ უნანავებდა ქალაქს მდინარის დუღუნი:

მთელმარე მთის მიღმა უკვე
ჩამოუშვა ღამე ფარდა,
ვიწრო ლარში მობუტბუტე
ცხელი წყაროც აელვარდა..
სურნელეა ამო, გრილი
ავსებს ბაღებს, ამკობს ეშხით.
მდუმარება მოსავს თბილისს
და სიბნელე წეება ხევშიც.

.....
ჩირადნები საგუშაგოდ
ხიდზე იწვის თითო-თითოდ,
სამრეკლონი შავზე შავი
დარაჯებად დგანან თითქოს...
თითქოს ვინმეს გაჰპაროდნენ
მოკრძალებით განაბულნი,
გამოდინან აბანოდან
ქალნი, ჯაჭვად გადაბმულნი.
ზოგი მოსდევს დაცლილ ქუჩებს,
ზოგი დაღმართს ფრთხილად ჩადის.
შეგზუდი, ვერ გიცანი უცებ,
რადგან გბურავს გრძელი ჩადრი.**

რამდენიმე წლის წინათ ქ. ივანოვოს სამხატვრო გალე-
რეაში აღმოჩნდა ლერმონტოვის ნახატი, შესრულებული ნა-
ტურიდან ზეთის საღებავებით. ნახატი წარმოადგენს თბილი-
სის საერთო ხედს ავლაბრის მხრიდან. ლერმონტოვს ეს
ხედი დაუხატავს ისე, რომ უნდა ვიფიქროთ, მისი მოლბერტი
მდგარა მდინარის ფლატეებიან ნაპირზე, იქ, სადაც მტკვარი

* იხ. ა. ა. ბესტუჟევის 1834 წლის 3/V წერილი ნ. ა. და კ. ა. პოლ-
ვოებისადმი. „Русский вестник“, 1861, т. 32, стр. 456.

** თარგმანი გ. ხუბაშვილისა.

სის შენობები, რომლებიც აღიოდნენ მარჯვენა ნაპირზე. წინა პლანზეა აქლემები, მებაქლემები. სქელ მამაკაცს სადევით მოჰყავს ცხენი, პატარა ძაღლი ფეხებში შეჰყვებს აქლემებს; ამათ შესახვედრად მხედარი მოაგელვებს ფიცხ მერანს. დაბალ, თიხატყეპნილ გალავანს იქით მოჩანს მთლად ბაღების მწვანეში ჩაფლული სახლები, ირიბ ბრჯენებზე დაყრდნობილი აივნებითურთ. ქარავეანი სუმბათოვის აბანოებისაკენ — მოედნისკენ მიემართება. „მე სახელდახელოდ ყველა შესანიშნავი აღგილი გადავიღე, სადაც კი ვყოფილვარ, — იუწყებდა ლერმონტოვი რაევსკის, — ასე რომ კარგა ბლომა კოლექცია მომაქვს...“ ნახატი, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ამ კოლექციიდანაა.

ბინდისას ქარვასლაში იკეტებოდა ხელოსნების დუქნები და დარაბები და სიცოცხლე ჩაკვდებოდა ხოლმე საეპრო მოედანსა და უსწორმასწორო მოსახვევებში. სამაგიეროდ სახლების ბანიან სახურავებზე იწყებოდა სიცოცხლე. დაირისა და სიმღერის ხმაზე ბინდში კიაფობდნენ მოცეკვავე ქალების სილუეტები. „იმ დროს თბილისში სახლები, — ამბობს თანამედროვე, — ისე იყო მოწყობილი, რომ ქვაფენილზე ფეხის დაუდგმელად მთელ უბანს შემოივლიდით, ყოველი სახლის კარს შეაღებდით, საჭირო იყო მხოლოდ ერთი სახურავიდან მეორეზე გადასვლა.“*

მეორე დაცულ ნახატზე ლერმონტოვს აღუბეჭდავს დამახასიათებელი სცენა: ლეკური თბილისის ბანიან სახლზე. სახლს იქითაა პირამიდული ალვის ხეები და ქართული ეკლესიის წვეტიანი გუმბათი.

მაგრამ აი ცეკვებიც დასრულდა. მიწყდა სიმღერის ხმა და თბილისიც ძილს მიეცა. იშვიათად თუ გააქენებს ცხენს ვილაც მხედარი, ძაღლი შეჰყვებს ან კიდევ დაცარიელებული ურემი გაიქრაქუნებს და კვლავ ყოველივე მიწყნარდება. მთვარე მუქ ჩრდილებს აფენს განაპირა მთებსა და მიუყრებულ კოშკებს, მტკვარი ტალღას ტალღაზე მოაგორებს, გამეტებით

* Т(орнау). Воспоминания о Кавказе и Грузии. „Русский вестник“, 1896, № 2, стр. 426.

უბრუნეს. ცოტა ზევით „გოგილოს“ აბანოებზე. აქ იწყებოდა გარეუბანი — მიწა-აბადი, რომელიც მერე „ძალის უბნად“ იწოდებოდა. ამის შემოწმება ძნელი არ არის: საკმარისია აღამიანი შალშიანის ქუჩიდან მტკვრის ნაპირზე გავიდეს, „გოგილოს“ აბანოს მახლობლად ბორცვზე აიაროს და მის თვალწინ გადაშლილი პანორამა ნახატის რეპროდუქციას შეაღწიოს. იქვე, ახლოს, ერმოლოვის დროს აშენებული ოფიცრების ყაზარმები მდებარეობდა, რომლებსაც შემდეგ პოკროვსკის ყაზარმები შეარქვეს. ბევრი ოფიცერი კერძო ბინაში ცხოვრობდა, ყაზარმის მახლობლად*. ალბათ, ლერმონტოვმა მოინახულა ვინმე სამხედროთაგანი, რომელსაც ავლაბარში ჰქონდა ბინა, ალაფრთოვანა პოეტი თბილისის პანორამამ, აქედან რომ იშლებოდა, და ერთ ან ორ სენსში (მუშაობდა იგი საოცარი სისწრაფით) დაასრულა ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი თავის ნახატთა შორის.

საერთოდ ეს ნახატი რომანტიკული ფერწერის იშვიათი ნიმუშია. მარჯვნივ ციცაბო მოყვითალო-ოქროსფერ მთაზე აღმართულა მეტეხის ციხე. გაღმა წინა პლანზე მოჩანს ორთაქალის მწვანე, ქოჩორა ბაღები, მინისებური, მოცისფრო-მწვანე წყალი გაშმაგებით, რკალივით უვლის დამრეც ნაპირს, რომელზეც გამოხატულია ორი პატარა ფიგურა. ნახატის ცენტრშია მოყავისფრო-ნაცრისფერი, წაწვეტილი გორაკი, ხოლო „მოღუშულ მთაზე“ აზიდულა ამ „ძველი სიმაგრის“ (იხილეთ ლექსი „პაემანი“) იქით, სინათლით გაჯერებულ, გამკვირვალე პაერში შთანთქმული სახლების სახურავები და თავწვეტიანი გუმბათები თბილისისა, და ბოლოს, უკანა პლანზე ნაზლილისფრად მოცემული, მთელ ქალაქზე გადმოშორალი მთა-წმინდა, რომლის კალთაზედაც, წმიდა დავითის მონასტრის ძირში არის საფლავი გრიბოედოვისა. ამ ადგილს გრიბოედოვი თბილისის ყველაზე უფრო პოეტურ კუთხეს ეძახდა და იმის მოსურნე იყო, რომ აქ, ამ ძველი ტაძრის მახლობლად, ყოფილიყო დაკრძალული.

პოეტის ქალაქებში არ არის რაიმე ჩანაწერი, რომელიც

* О размещении г. г. офицеров на Авлабаре — отношения фон дер Ховена к О. С. Осипову от апреля 1834 года. ЦГИА Грузинской ССР, ф. 6, № 4753, л. 21.
8. ი. ანდრონიკაშვილი

გვაუწყებდეს, რომ ლერმონტოვი იყო გრიბოედოვის საფლავზე. შესაძლოა ამის შესახებ კიდევ წერდა ვისმე, მაგრამ ასეთი წერილს ჩვენამდე არ მოუღწევია. 1837 წლის ავტოგრაფთან სულ რამდენიმე ნაკუწებად ქცეულმა ქაღალდმა მოაღწია ჩვენამდე. დაცულ ნახატებშიაც არ მოიძებნება ისეთი, რომელიც დაგვიდასტურებდეს, რომ ლერმონტოვი იყო მამადავითის საყდარში. მაგრამ ნახატთან ჩვენ ხომ მხოლოდ ოთხი გვაქვს, ყველა დანარჩენი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

თუმცა ახლა უშუალო საბუთის გარეშეც ნათელია, რომ ლერმონტოვმა ნახა და არც შეიძლებოდა არ ენახა გრიბოედოვის საფლავი, რომელიც მოწინავე რუსი ადამიანებისა და, უპირველეს ყოვლისა, რუსი მწერლების თაყვანისცემის ადგილი იყო.

არზრუმიდან მომავალმა პუშკინმა თბილისში რუსეთს გამგზავრების წინაღობით ინახულა გრიბოედოვის ჯერ კიდევ ახალი საფლავი, „რომლის წინაშე... მუხლი მოიყარა და კარგა ხანი იდგა თავჩაქინდრული. ხოლო როცა ზეწამოდგა, თვალებში ცრემლი უბრწყინავდა“.

ეს იყო 1829 წელს, აგვისტოში.

რვა წლის შემდეგ, 1837 წლის თებერვალში, იმხანად თბილისში მყოფმა ბესტუევე-მარლინსკიმ მიიღო პუშკინის დალუპვის ცნობა. მეორე დღესვე, განთიადისას გაეშურა მამადავითისაკენ, გრიბოედოვის საფლავზე, რათა პანაშვიდი გადაეხადა. „როცა ჩამესმა მღვდლის გალობა: „მოკლულ ბოლიართა ალექსანდრე და ალექსანდრესათვის“, ცოტა დამაკლდა, ცრემლმა არ დამახრჩო, — წერდა ბესტუევევი შინაურებს. — ეს ასამაღლებელი არა მხოლოდ მიცვალებულთა მოხსენებად მომეჩვენა, არამედ წინასწარმეტყველებადაც. დიახ, გული მითქვამს, რომ ჩემი სიკვდილიც ძალადური იქნება და მალე მომადგება კარს“.

იმ წუთს ისე მოეჩვენა, რომ მან — ალექსანდრე ბესტუევევმა ალექსანდრე გრიბოედოვისა და ალექსანდრე პუშკინის სახელზე შეუქვეთა პანაშვიდი და ამით საკუთარი პანაშვიდი გადაიხადა.

* Н. Б. Потокский. Встречи с Александром Сергеевичем Пушкиным в 1829 г. „Русская старина“, 1880, т. 28, стр. 582.


წინაგრძნობამ არ მოატყუა. სამი თვის შემდეგ, 1837 წლის 7 ივლისს, ადლერის კონცხზე ცეხელდინელებთან ბრძოლაში ნაქუწ-ნაკუწ დაჩეხეს. მისი წინაგრძნობა სრულიადაც არ შეიკავდა უჩვეულო რამეს. ეს იყო თითქმის გარდაუვალი აღსასრული მწერალი-დეკაბრისტისა, რომელსაც „მოწყალე“ ნიკოლოზ პირველმა ციმბირს გადასახლება გაუგრძელა ჯარისკაცური სამსახურით „თბილ ციმბირში“, როგორც მაშინ კავკასიას უწოდებდნენ გადასახლებული დეკაბრისტები.

ბესტუჟევის დალუპვიდან რამდენიმე თვის შემდეგ თბილისში გზად გამოიარა ციმბირიდან ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში მიმავალმა მეორე დეკაბრისტმა-პოეტმა ალექსანდრე ოდოევსკიმ. იმანაც გრიბოედოვის საფლავს მიაშურა. „ოდოევსკი თბილისში დამხვდა, — იგონებს დეკაბრისტი როზენი, — ხშირად დადიოდა თავისი მეგობრის გრიბოედოვის საფლავზე. კეთილხმოვანი ლექსებით უმღერა მის ხსოვნას, ლექსები მიუძღვნა საქართველოს“.

ორი წლის შემდეგ, 1839 წლის 12 სექტემბერს, ცოცხლებში აღარ იყო ალექსანდრე ოდოევსკიც. იგი დაიღუპა შავი ზღვის ექსპედიციაში ციებისაგან და მაშინ ლერმონტოვმა მას ერთ-ერთი თავისი უგულწრფელესი ლექსი მიუძღვნა.

როცა იმაზე გვექნება ლაპარაკი, რომ ლერმონტოვს იმდროს მოფიქრებული ჰქონდა რომანი, რომელიც უნდა დაესრულებინა გრიბოედოვის სიკვდილის აღწერით, ჩვენთვის ექვემოთნაწილი შეიქნება: ლერმონტოვი მდგარა გრიბოედოვის საფლავთან, უფიქრია მის ტრაგიკულ ბედზე, თვალი გადაუვლია წარწერისათვის, რომელიც იქვე სასაფლაო მღვიმეზეა: „აქ განისვენებს ნეშტი გრიბოედოვისა. მეუღლემ მისმა ნინომ, თავად ალექსანდრე ქავკაზაძის ასულმა, აღვმართე ძეგლი ესე 1832 წელს“.

მაგრამ ლერმონტოვი ისე დაიღუპა, რომ ვერ მოასწრო ამ განზრახვის განხორციელება. ეს იყო გარდაუვალი, აუცილებელი ბოლო მისი — პუშკინისა და გრიბოედოვის მემკვიდრისა, დეკაბრისტული პოეზიის მემბრზე ტრადიციებზე აღზრდილისა.



თავი

III

„მე თბილისში ვარ...“

ჩერტკოვსკის ბიბლიოთეკის ერთ-ერთი რვეულის ფურცელზე, რომელსაც აზის ციფრი 45, არის ლერმონტოვის ჩანაწერი. ამ ჩანაწერის შინაარსი უკანასკნელ დრომდის გამოურკვეველი იყო. მოგვაქვს დედანი ზუსტად—წაშლილი იდგინებით კუთხოვან ფრჩხილებში:

„მე თბილისში ვარ პეტრ-თან, გ:—სწავლული თათარი ილი და აჰმედო:—მივდივარ ქართ. ქალთან, აბანოებისაკენ: იგი გვანინიშნებს: მაგრამ ჩვენ არ შევდივართ, რადგან დღეს შაბათია: იგი გამოდის და კვლავ ნიშანს გვაძლევს: მე თათრების გასართობად კედლებზე ვხატავდი და მასაც ზურგზე ხაზი დავუსვი; მიფუცები: იგი თანხმდება... მხოლოდ ფიცსა მთხოვს ისე მოვიქცე როგორც იგი მიბრძანებს. საჭიროა ცხედრის გატანა. მე გავაქვს და მტკვარში ვაგდებ, მე გული მიმდის. [მე და] მე შიპოვეს და ჰაუპტვახტაში წამიღეს: მე დამავიწყდა ნამდვილად მისი სახელი. ჩვენ გადავწყვიტეთ ვიპოვოთ, მიცვალებულს საბუთად ხანჯალი ავართვი. მიგვაქვს გეურქასთან. იგი ამბობს, რომ ეს ხანჯალი მან გოუკეთა რუს ოფიცერს. ჩვენ ვეუბნებით აჰმედს გაიგოს ვინ ჰყავდა იმ ოფიცერს. დენშჩიკიდან იგებენ, რომ ის ოფიცერი კარგა ხანია დადიოდა მეზობელ მოხუც დედაკაცთან; ამ დედაკაცს ქალიშვილი ჰყავს. მაგრამ ქალიშვილი გათხოვდა; და ერთი კვი-

ჩის შემდეგ
თბილისში
ჩანს: აჰმედო
ვილიცინი
ფანჯარი
ერთხელ
ყო იმ
ჩვენ ჩანაწერი
მათავად
[მაგრამ]
ვთქვით
მი გავ
სა
ნაწიერ
რამ
ყო ი
ჩიო
მოგ
ხარ
ბის
საქ
ხი
დ
დ
ვ
ვ

ჩის შემდეგ ოფიცერი დაიქარგა: ბოლოს გაევიგეთ ვის მის-
თხოვდა ეს ქალიშვილი. ვპოულობთ სახლს. თვითონ ის კი არ
ჩანს: აჰმედის გარშემო უვლის და იგებს ქმარი ჩამოვიდა და
ვილატამ უთხრა წინა დღით დავინახეთ როგორ გამოძვრა
ფანჯრიდან კაცი. ქმარმა დაჰკითხა და მთელმა ოჯახმა. —
ერთხელ მივდივართ ქარვასლაში [ლამით]—ვხედავ მოდის კა-
ცი იმ ქალთან ერთად, ისინი გაჩერდნენ და შემოგვხედეს.
ჩვენ ჩავიარეთ და დავინახეთ ქალმა ჩემზე აჩვენა. ბოლო ქმარ-
მა თავი დაუქნია;—შემდეგ ლამით [ორნი] ერთი დამესხენ ხიდზე
[მაგრამ მე გა] [რა] მომკიდა ხელი და მკითხა სახელი: მე
ვთქვი:—იგი: მე ამა და ამ ქალის ქმარი ვარ და უნდოდა ჩე-
მი გადაგდება, მაგრამ მე დავასწარი და გადავაგდე**.

სამოცდათხუთმეტი წლის მანძილზე აქვეყნებდნენ ამ ჩა-
ნაწერს ლერმონტოვის თხზულებათა სრულ კრებულში. მაგ-
რამ მისი გაგება მხოლოდ ახლახან ვცადეთ ჩვენ**. მანამდის
კი ისიც არ იყო ცნობილი, ეს ავტობიოგრაფიული ჩანაწე-
რია თუ რაღაც განუხორციელებელი ჩანაფიქრის გეგმა.

როცა ამ ჩანაწერს ვკითხულობთ, ძალიან რეალურად წარ-
მოგვიდგება ძველი თბილისი: მეტეხის აღმართი, სადაც მდე-
ბარეობდა ცნობილი თბილისელი მესაქურველების, „ხანჯლე-
ბისა და ხმლების ოსტატების“ დუქნები და სადაც იყო მე-
საქურვე „გეურქას“ დუქანი, მტკვრის ვიწრო ხიდი მეტე-
ხის ციხესთან და მთავარი ჰაუპტვახტა მაიდანზე. წარმოგვი-
დგება ბანიანი აბანო დამრეცილ მთასთან და ხიდს იქით
დიდი ქარვასლა მეტეხთან. ქარვასლას ქვედა სართული ეკა-
ვა დუქნებსა და სავაჭრო წერტებს, მაღლა ცხოვრობდნენ
ვაჭრები.

ასე რომ ამ ჩანაწერში ყველაფერი რეალურია. და მიუხე-
დავად ამისა, არავითარი საფუძველი არ ჩანს მივაწეროთ ეს
ამბები თვით ლერმონტოვს. ამ შემთხვევაში უნდა გვეფიქრა,
რომ თბილისში ყოფნისას ლერმონტოვი რაღაც საიდუმლო
ბოროტმოქმედების მონაწილე გახდა. გამოიტანა აბანოდან

* ლერმონტოვის ავტოგრაფების რეული (ჩერტკოვსკის ბიბლიოთეკისა),
მოსკოვის საბელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება,
ფ. 45.
** „Красная новь“, 1939, №10-11, стр. 252.

რუსი ოფიცრის გვამი და მტკვარში ჩააგდო და მერე, როცა თავზე დაესხნენ, თავდაცვის მიზნით, მტკვარში გადააგდო მეორე უცნობი კაცი. ამის გარდა, ეს ისტორია ლერმონტოვზე იმიტომაცაა დაუჯერებელი, რომ მას არ შეეძლო უშედეგოდ ჩაეარა გადასახლებული ოფიცრისათვის. ესეცაა, რომ „1837 წლის მესამე მესამედის საქართველოში მომხდარი ამბების“ საქმეთა აღწერაში, საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში რომ ინახება, არ არის ამ ისტორიის მსგავსი რამ.

პირიქით, ამ თავგადასავლის სწორედ მძაფრი დრამატიული ბოლო — შებრძოლება ხილზე და მოწინააღმდეგის დაღუპვა — გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს რაღაც ნაწარმოების თავდაპირველ გეგმასთან. ეს უნდა ყოფილიყო მოთხრობა პირველ პირში.

„მე“, — ამ ჩანაწერის გმირი, — ქალის სიყვარულით გატაცებული, შემთხვევით სხვისი საიდუმლოს მოწმე ხდება. იგი შეიქრა მისთვის უცნობ ცხოვრებაში, მაგრამ ვერ გაიგო ამ ცხოვრების კანონები და მერე თავდაცვისას წყალში გადაისროლა ამ საიდუმლო ისტორიის ერთი მონაწილე.

როგორც ჩანს, ამ ჩანაწერში მოხაზულია სიუჟეტი, რომელიც შემდეგ გამოყენებულია „ტამანში“. ამ მოთხრობის მოქმედი პირები იმავე ურთიერთდამოკიდებულებაში არიან. ტყუილად როდია, რომ ჩანაწერშიაც და „ტამანშიაც“ გამოყვანილია მოხუცი დედაკაცი და მისი ქალიშვილი („კარგა ხანია დადიოდა მეზობელ მოხუც დედაკაცთან; ამ დედაკაცს ქალიშვილი ჰყავდა“). ჩანაწერშიც და „ტამანშიც“ ბოლოს გამოჩნდება კაცი, რომელსაც მისთხოვდება ქალი.

იმას, რომ ჩანაწერი „მე თბილისში ვარ...“ ნამდვილად წარმოადგენს მოთხრობის გეგმას და არა ავტობიოგრაფიულ ჩანაწერს, ამტკიცებს ავტოგრაფის შეცდომათა და გასწორებათა ხასიათი. ღამის თავგადასავლის მოყოლისას ლერმონტოვი წერს: „ღამით [ორნი] ერთი დამესხენ ხილზე“. სავსებით ცხადია, რომ როცა იგი ამ ფრაზას წერდა, ჯერ კიდევ მოფიქრებული არ ჰქონდა, რამდენი კაცი უნდა ყოფილიყო თავდამსხმელი. ეს არ მოხდებოდა, რომ ლერმონტოვის მიერ აღწერილი შემთხვევა ნამდვილი ყოფილიყო.

„დამესხენ ხიდზე“—ამ სიტყვების შემდეგ ლერმონტოვს დაუწერია „მაგრამ მე გა“ [უნდოდა დაეწერა „მაგრამ მე გადავაგდე“] და წაუშლია. დაუწერია „რა“ [უნდოდა დაეწერა „რა გქვიან“] და ისევ წაუშლია. ამის შემდეგ უკვე აღარ შეჩერებულა: „მომკიდა ხელი და მკითხა სახელი: მე ვთქვი — იგი: მე ამა და ამ ქალის ქმარი ვარ და უნდოდა ჩემი გადაგდება, მაგრამ მე დავასწარი და გადავაგდე“. აქედან ნათელია, რომ ლერმონტოვი ფრაზის დაწერისას ფიქრობდა ხიდზე გამართული მოკლე დიალოგის შესახებ.

სხვა ადგილას—მე „გული მიმდის“, ამ სიტყვების შემდეგ ლერმონტოვმა დაწერა „მე და“, გაჩერდა „მე და“ შესცვალა „მე“-თი და განაგრძო: „მე მიპოვეს და ჰაუპტვახტაში წამიყვანეს“. ამის შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა „მე და“-ს და დაწერა „მე დამავიწყდა ნამდვილად მისი სახელი“. ასე რომ ჰაუპტვახტაზე ლერმონტოვი თავდაპირველად არ ფიქრობდა, სიუჟეტის ეს საყურადღებო დეტალი მან წერის პროცესში მოიფიქრა*.

ლერმონტოვის ავტოგრაფის ამ „შეცდომებში“ აღბეჭდილია ახალი ჩანაფიქრის წარმოქმნის პროცესი. ჩვენ თითქოს ვხედავთ როგორ ღელავენ მისი აზრები, როგორ ირევიან და ერთმანეთს აწყდებიან სიტყვები, როგორ აჩქარებენ კალამს და კალამიც ზოგჯერ წინ გარბის, მთელი ფრაზის წარმოქმნას უსწრებს. ლერმონტოვის არც ერთ წერილში არაა, მსგავსი რამე, ამას მხოლოდ პროზის შავ ჩანაწერებში ვხვდებით.

იმის სასარგებლოდ, რომ ჩანაწერს „მე თბილისში ვარ...“ კავშირი აქვს პეჩორინის დღიურთან, ლაპარაკობს მაქსიმ მაქსიმოვიჩის სიტყვებიც, რომ ბელას გარდაცვალებიდან სამი თვის შემდეგ პეჩორინი განაწესეს ე....-ის პოლკში და ისიც საქართველოში გაემგზავრა.

შესაძლებელია, ლერმონტოვს განზრახვა ჰქონდა პეჩორინის ჩანაწერები დაეწყო ამ ეპიზოდით, რომლის მოქმედებებიც თბილისში—თათრულ აბანოებში, ქარვასლაში, მე-

* ულრმეს მადლობას მთავარსწინებ პროფ. ს. მ. ბონდის, რომლის დახმარებით წავიკითხე ხელნაწერის წაშლილი და გასწორებული ადგილები.

ტეხის მახლობელ ხიდზე, მესაჭურვლის დუქანში, აღმოსა-
ღური ქალაქის უსწორმასწორო ქუჩებსა და შესახვევებში.
აქ გაჩერდა გმირი თავის ნაცნობთან, აქ შეხვდა სწავლულ
თათარი ალი, შემდეგ შემთხვევით გაიცნო საიდუმლოებით
მოცული ქართველი ქალი და უნებლიეთ რაღაც უჩვეულო ის-
ტორიაში აღმოჩნდა გახვეული. დაცულია თანამედროვეთა
ცნობა იმის შესახებ, რომ ლერმონტოვს თვითონ გადახდა
თავს „ტამანში“ აღწერილი ამბის მსგავსი რამ*. მით უფრო
მეტე საფუძველია ვიფიქროთ, რომ ჩანაწერი „მე თბილისში
ვარ“ მოთხრობის გეგმა და არა ავტობიოგრაფიული დო-
კუმენტი, რადგან თუკი ლერმონტოვი საიდუმლო მზვერავად
მიიჩნის ტამანში, ძნელი წარმოსადგენია, იგივე ისტორია
განმეორებულიყო თბილისში.

ტამანში ლერმონტოვი უფრო ადრე იყო, ვინემ თბილის-
ში. როგორც ჩანს, სიუჟეტი, ნაპარნახევი ტამანში მომხდ-
არი ნამდვილი ამბით, თბილისში მიღებული შთაბეჭდილებე-
ბით გამძაფრდა და „თბილისური მოთხრობის“ ჩანაფიქრად
იქცა, რომელიც ფაბულის მხრივ უფრო რთულია, ვინემ „ტა-
მანი“. ტყუილად ხომ არ არის, რომ ჩანაწერი „მე თბი-
ლისში ვარ“ აერთიანებს არა ერთი, არამედ ორი მოთხრო-
ბის სიუჟეტს – „ტამანისა“ და „ფატალისტის“ სიუჟეტს. მოკ-
ლეული ოფიცრის ამბავი ეს ხომ ვულიჩის ავბედითი თავგა-
დასავალია. ასეთივე ისტორია მეორდება მოთხრობელისათ-
ვის, მაგრამ იმავე ადამიანებთან შეტაკებაში იგი გამარჯვე-
ბული გამოდის. ასეთ დაპირისპირებაზე ორი ოფიცრის ბე-
დისა, რომელთაგან ერთს კეთილი დასასრული აქვს, ხო-
ლო მეორეს ავი დასასრული — აგებულია „ფატალისტი“.
ვულიჩი, რომელიც წინასწარ განწირულია სასიკვდილოდ,
იღუპება. კადნიერად ბედის გამომწვევი პეჩორინი შეიჭრება
იმ ქოხში, სადაც ჩაკეტილია ვულიჩის მკვლეელი, მაინც უ-
ნებელი რჩება და მკვლელთან ხანმოკლე შეტაკების შემდეგ
გამარჯვებას მიაღწევს. მე მგონია, რომ ჩანაწერიდან „მე თბი-

* М. Цейдзе) р. На Кавказе в 1830-х годах. „Русский вест-
ник“, 1888, №9, стр. 139. ზედ. С. Н. Мартынов. История дуэли
Н. С. Мартынова с М. Ю. Лермонтовым. „Русское обозрение“
№1, стр.317.

ლისში ვარ...“ წარმოიშვა ორი მოთხრობის სიუჟეტი—„ტამანისა“ და „ფატალისტისა“, და რომ ეს ჩანაწერი წარმოადგენს პეჩორინის დღიურის თავდაპირველ გეგმას.

შესაძლოა წარმოიშვას სრულიად კანონიერი კითხვა: რად დასჭირდა ლერმონტოვს „ტამანისა“ და „ფატალისტის“ მოქმედების გაშლა ჩრდილოეთ კავკასიაში?

ეს იმიტომ, რომ კავკასიის ომის პირობებში ორივე შემთხვევა სრულიად ბუნებრივია, მას ეცლება ეგზოტიკური კოლორიტი. „მე თბილისში ვარ...“ — ამ ჩანაწერის სიუჟეტს, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ გადაადგო წყალში ოფიცერმა მრისხანე მზეთუნახავის ბრძანებით ქალისგანვე მოკლული მეორე ოფიცერი, ფინალს, რომელშიც საიდუმლო მღვდარი აქაფებულ მდინარეში ვარდება მაღალი ხიდიდან, — ყოველივე ამას გაცილებით მეტი აქვს საერთო მარლინსკის კავკასიურ მოთხრობებთან და თვით ლერმონტოვის ყრმობის პროზასთან, ვიდრე პეჩორინის მომავალ „ქურნალთან“. ლერმონტოვმა „ჩვენი ქვეყნის გმირის“ წერისას არა მარტო ჩამოაშორა პირვანდელ ჩანაფიქრს ზედმეტი რომანტიკული ფერები, კიდევ მეტი, გადმოსცა ეს თავგადასავალი მწარე ირონიით რომანტიკული მოთხრობების მიმართ: მან ხიდზე შეჯახება ნავში შებრძოლებით შეცვალა, ამით მან ირონიულად გახაზა ამ ბრძოლის არაჩვეულებრივი ხასიათი: პეჩორინის დახრჩობა სწადია ქალიშვილს. მოწინააღმდეგის დაღუპვა და ოფიცრის გამარჯვება მოჩვენებითია: ქალიშვილი ნაპირზე გამოდის, ხოლო პეჩორინი გაძარცული აღმოჩნდება. ტყუილად როდი აღნიშნავს „ჩვენი დროის გმირში“ პეჩორინი გრუშნიცკის მისამართით: „ის ერთი იმ ადამიანთაგანია, რომელთაც ცხოვრების ყოველი შემთხვევისათვის მზადაა აქვთ გაპრანჭული ფრაზები. მათ უბრალო მშვენიერება არ აღელვებთ, ისინი თავმომწონედ ეხვევიან არაჩვეულებრივ გრძნობებში, დიად ვნებებში და უმაგალითო ტანჯვებში. ეფექტის მოხდენა მათი უდიდესი სიამოვნებაა“*. უკაცრიელ ზღვისპირა ქალაქში, ხაზზე, ოფიცრის თავგადასავალი, რო-

* ლერმონტოვი. „ჩვენი დროის გმირი“. 1946, თბილისი, გვ. 78, თარგმანი გ. ქიქოძისა.

მელიც „მოქმედ ჯარში ხელისუფლების დავალებით მიემგზავ-
რებოდა“, კავკასიის ომის ყოველდღიურ ეპიზოდად გვე-
ლინება, ხოლო მოთხრობის მთავარი კონფლიქტი სულ სხ-
ვაზეა.

ტამანის მოსახლეობა, რომელიც ზღვის დამრეც ნაპირზე
ცხოვრობს, საიდუმლოდ აწვდის იარაღს მთიელებს. დაკვირ-
ვებული პეჩორინი მათ საშიშ მტრად მიაჩნიათ და უნდა
თავიდან მოიშორონ იგი, რადაც არ უნდა დაჯდეს. ლერმონ-
ტოვმა შესძლო ამ ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება
ეჩვენებინა — ცხოვრება ასახული ტიპიურ სახეებში. ასე ზე-
იქმნა მოთხრობა, რომელსაც სავსებით შეიძლება მივაკუთ-
ვნოთ ბელინსკის სიტყვები, თქმული „ბელას“ შესახებ: „ამ
შესანიშნავი მოთხრობის ღირსება ისიცაა, რომ იგი მარლინ-
სკის მოთხრობების შხამის საწინააღმდეგო საშუალებაა“.

მაგრამ, როგორც ჩანს, არსებობდა კიდევ სხვა მიზეზი,
რამაც აიძულა ლერმონტოვი „ტამანში“ დაბრუნებოდა ნამ-
დვილ ამბებთან დაკავშირებულ გარემოს. 1838 წლის ზაფხულ-
ზე, კავკასიიდან პეტერბურგს დაბრუნებული ლერმონტოვი
სვიატოსლავ რაევსკის წერილში განუმარტავდა, რამ აიძულა
იგი უარეყო „თავადის მეუღლე ლიგოვსკაიაზე“ შემდგომი
მუშაობის აზრი. „რომანი, მე და შენ რომ დავიწყეთ, გაქია-
ნურდა, — წერდა ლერმონტოვი, — და არცა მგონია და-
სრულდეს, რადგან მოვლენები, რომლებიც საფუძვლად დაედო
მას, შეიცვალა, და მე, შენ კარგად იცი, არ შემოძლია ამ
შემთხვევაში დავშორდე ქეშმარიტებას“ **.

ეს სიტყვები ხშირად მოჰყავთ, როგორც თვით ლერმონ-
ტოვის ექვმიუტანელი მითითება იმაზე, რომ პირველი, პეტერ-
ბურგული რომანი პეჩორინზე „თავადის მეუღლე ლიგოვ-
სკაია“ მოფიქრებული იყო რაევსკისთან ერთად. მაგრამ
რატომღაც არასოდეს ყურადღებას არ აქცევენ ფრაზის გაგ-
რძელებას, რომელიც შეიცავს ლერმონტოვის საყურადღებო
გამონათქვამს მისი შემოქმედებითი მეთოდის შესახებ. ამას-

* В. Г. Белинский. Литературная хроника. „Московский на-
блюдатель“, 1839, II, № 4, отд. 4, стр. 131.

** Лермонтов, т. V, стр. 397.

თმელ საფუძვლით წაიფლავა, რომ იმ დროს, როცა ლერმონ-
ტოვი „ჩვენი დროის გმირის“ ჩანაფიქრს იახრებდა, მას
მისთვის განუყოფელია სიუკოტლის მოვლენებთან, რომ-
ლებიც ნაწარმოების საფუძველს შეადგენენ.

ამ რატომ აღმოჩნდა „ტანინის“ მოქმედება დაკავშირე-
ბული ტანინთან და არა თბილისთან, იმ რატომ შეიქმნა
„თბილისური სიუკოტის“ მასალაზე რამდენიმე წლის შემდეგ
ლექსი „პაემანი“. ორივე შემთხვევაში ლერმონტოვმა არ
ისტორიულ ნამდვილი ამბებიდან გადახვევა, რომლებთანაც და-
კავშირებული იყო მისი ნაწარმოებების ჩანაფიქრი.

დაქარავემებული გვარები

თუკი ჩანაწერი „მე თბილისში ვარ“ მოთხრობის გვეჩვენა,
მაშინ ვის გულისხმობს ლერმონტოვი პირველ პეყარში? ვინ
არის „პეტრ“, „ვ“, „სწავლული თათარი აღი“, „ამგელი“ „გე-
ურტა“, რომელმაც დაღუპულ ოფიცერს ხანჯალი დაუმზადა?
რატომღა მათი სახელები შემოკლებული?

შეშველია, რომ ეს სახელები ლერმონტოვმა დაქარავემა
იმეფე მიზეზით, რა მიზეზითაც არ დაასახელა თავისი თბი-
ლისელი ნაცნობები რაევსკისადმი მიწერილ ბარათში. ჩანა-
წერში მოხსენებულია რეალური აღამიანების სახელები: ესე-
ნი არიან ლერმონტოვის თბილისელი ნაცნობები, მომავალი
მოთხრობის პროტოტიპები. ის მცირეოდენიც კი, რაც „ჩვე-
ნი დროის გმირის“ შექმნის ისტორიიდან ვიცი, ნებას გვაძ-
ლევს სრული დარწმუნებით გამოვთქვათ ეს მოსაზრება.

ჩვენ ვიცი, მაგალითად, რომ ლერმონტოვმა 1837 წლის
ზაფხულის თვეები პიატიგორსკში გაატარა სამხედრო ექსპე-
დიციის მოლოდინში, სადაც იმხანად იყო ბელინსკი და სა-
ტინი. ერთი წლის შემდეგ მინერალურ წყლებზე სამკურ-
ნალოდ ჩამოვიდა ნ. პ. ოგარევი. „იქ მყოფი, — წერდა ბე-
ლინსკი „თავადის ასულ მერიში“ ასახულ კავკასიის მოაგარა-
კეთა შესახებ, — აკვირვებდათ ის მიუწვდომელი უტყუარობა,

რომლითაც ბ-ნმა ლერმონტოვმა დახატა სულ მცირე დღე
რილბანიც კი*.

„იმათ, ვინც პიატიგორსკს იყო 1837 წელს, — აღსატუ-
რებდა სატინი, — ალბათ, კარგად იცნეს თავადის ასული
მერი, გრუშნიცკიც და განსაკუთრებით კი საყვარელი, პეტია-
ნი და ორიგინალური ექიმი მაიერი“**.

და არა მხოლოდ სატინი, ოგარევი, მიკლაშევსკი, ტო-
ნაუ, დეკაბრისტები როზენი და ლორერი, რომელთაც კავკა-
სიაში ყოფნისას უნახავთ ექიმი მაიერი, აღნიშნავენ, თუ რა გა-
საოცარი ხელოვნებით გადმოგვცა ლერმონტოვმა ექიმ მაიერის
პორტრეტი „ჩვენი დროის გმირში“ ექიმ ვერნერის სახით.

„აუწერელია, რაოდენ მომხიბლავი იყო მისი ულამაზო
სახე, — წერდა ოგარევი მაიერის შესახებ. — თმები მოკლედ
ჰქონდა შეკრეპილი, თავი დიდი, ისე რომ შუბლი ბლაგვ ქუ-
თხეს მიუგავდა, ღრმა, პატარა თვალები, სახის მკრთალი
ფერი, სქელი ტუჩები. ულამაზო ტანზე მუნდირის სერთუკი,
ერთი ფეხი მეორეზე მოკლე, ეს კი აიძულებდა ცალი ჩექმა
მაღალ კორპზე ეტარებინა, კოჭლობდა... თითქოს ყოველივე
ეს ძალზე ულამაზოა, მაგრამ ამასთანავე არ შეიძლებოდა არ
გყვარებოდათ ეს სახე. სქელ ტუჩებზე სიკეთე ისახებოდა,
ღრმა თაფლისფერი თვალების გამოხედვა ცოცხალი იყო და
აზრიანი, მაგრამ მათში უმაღლესი ღრმა ადამიანური ნალღის
კვალს ჰპოვებდით, რომელიც კი არ შეგზარავდათ, არამედ
გიზიდავდათ. ფართო შუბლზე ფიქრი აღბეჭდოდა. ამ ადა-
მიანს განსაკუთრებულ იერს აძლევდა კოჭლი მიხრა-მოხრა,
რომელსაც არა მარტო ეჩვეოდა თვალი, არამედ უთვისდე-
ბოდა კიდევ“***.

სახის არასწორი ნაკვთები, „დიდი ტლანქი თავი, თმები
მოკლედ შეკრეპილი“, კოჭლი, ტანი გამხდარი და პატარა, —

* В. Г. Белинский. Полное собрание сочинений, т. XIII. Редак-
ция и примечания В. С. Спиридонова. Л., ОГИЗ. 1948. стр. 50.

** Из воспоминаний Н. М. Сатина, с предисловием Е. С. Не-
красовой. „Почин“ — Сборник Общества любителей российской
словесности на 1895 г., стр. 239.

*** Н. Огарев. Кавказские воды. „Полярная звезда“. Лондон, 1861,
стр. 346.

მაიერის ყველა ეს თვისება აღწერილია ფილიპსონის მიერ
ნარკვევში „ბრბოდან შორს წასული“, რომელშიაც მოთხრო-
ბილია ექიმ მაიერის შესახებ. იგი მაიერს ხედებოდა დეკაბ-
რისტების საზოგადოებაში, რომლებიც ციმბირიდან კავკა-
სიის კორპუსის ჯარში გადმოიყვანეს. „იმდენი რამ იყო მის-
კეთილ და ნათელ თვალებში სიმპატიური, — წერს ფილიპ-
სონი, — იმდენი ჭკუა და სული იყო მის საუბრებში, რომ
საესებით გასაგებია ის ძლიერი და ღრმა გრძნობა, რასაც
მაიერი აღუძრავდა ზოგიერთ შესანიშნავ ქალს“.*

ამ მემუარულ დახასიათებას ავსებს ნიკოლოზ ვასილის-ძე
მაიერის ავტოპორტრეტის რეპროდუქცია, რომელიც მისი
ძის შვილიშვილმა, გორკის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორმა ა. გ. მაიერმა გადმომცა და, გარდა ამისა,
ლერმონტოვის მეგობრების სიტყვიერი და გრაფიკული ასახ-
ვის შედარება „ჩვენი დროის გმირის“ ექიმ ვერნერის
აღწერილობასთან.

„მისი გარეგნობა ისეთი იყო, — ვკითხულობთ პეტრონის-
დლიურში, — რომელიც პირველი შეხედვისას არასასიამოვნო
დ გეჩვენებოდა, ხოლო შემდეგში თანდათან მოგეწონებოდა,
როცა თვალი ეჩვევა სახის უსწორმასწორო ხაზებში გამოც-
დილი მაღალი სულის ნიშნის ამოკითხვას. იყო შემთხვევები,
რომ ქალებს გაშმაგებით შეჰყვარებოდათ ასეთი მამაკაცები.
ისინი მათ გონჯ სახეს არ გასცვლიდნენ თვით ყველაზე ქორ-
ფა და ვარდისფერ ენდემიონზე. სამართლიანობა მოითხოვს.
ითქვას, რომ ქალებს აქვთ სულიერი სილამაზის ინსტინქტი,
ალბათ, სწორედ ამიტომ არის, რომ ვერნერის მსგავს მამა-
კაცებს ასე ვნებიანად უყვართ ქალები“.

„ვერნერი დაბალი ტანის, გამხდარი და ბავშვივით სუსტი
იყო, — აგრძელებს ლერმონტოვი, — ბაირონივით ერთი ფეხი
მეორეზე მოკლე ჰქონდა. ტანთან შედარებით მისი თავი
ძალიან დიდი ჩანდა. თმა მოკლედ ჰქონდა შეკრუპილი და
მისი გაშიშვლებული თავის ქალის უსწორმასწორობანი ფრე-

* „Воспоминания Григория Ивановича Филиппона“. М., 1885,
стр. 106-107.

ნოლოგს გააკვირვებდნენ მოწინააღმდეგე მიდრეკილებათა უცნაური შეერთებით. მუდამ მოუსვენარი პატარა შავი თვალები ცდილობდნენ თქვენს აზრში ჩაწედომას. მის ტანსაცმელს გემოვნება და სიფაქიზე ეტყობოდა, გამხდარ, ძარღვიან ხელებს ღია ყვითელი ხელთათმანები ამშვენებდა, სეროთუკი ყელსახვევი, ჟილეტი მუდამ შავი ფერისა ჰქონდა*.

ექიმის თვალთა ფერის გარდა, რომელიც ლერმონტოვის ნაწარმოებში შავთვალაა, ყველა დანარჩენი დეტალი მისი გარეგნობისა მაიერის ავტოპორტრეტსა და თვით მხილველთა შთაბეჭდილებებს ემთხვევა, მაგრამ ამ გარეგნულ ნიშანთა გარდა, ლერმონტოვის კალამმა შესძლო მოეცა უფრო მახვილი და ღრმა დახასიათება, ვიდრე ეს ოგარევეს აქვს, და უკვე განზოგადებული დახასიათება, რომელმაც ლერმონტოვს ნება მისცა ელაპარაკა არა ერთ ადამიანზე, არამედ ვერნერის მსგავსთა შესახებ.

ლერმონტოვი როდი შეიზღუდა მაიერის გარეგნობის, აღწერით, რომელშიც შეიძლება ვივარაუდოთ ამ ადამიანის შინაგანი სამყარო. თუმცა გაკვირვებით, მან მაინც ახსნა, რა ამაღლებდა მის თვალში ყველაზე უფრო მაიერს, — ეს იყო ექიმის მეგობრობა დეკაბრისტებთან. „მისი მეგობრები, — წერდა ლერმონტოვი ვერნერის გარშემო მყოფ ხალხზე, — ე. ი. ის ჰუმბოლტად რიგიანი ადამიანები, რომელნიც კავკასიაში მსახურობდნენ...“ რამდენიმე სტრიქონის ქვემოთ პეჩორინის დღიურში წერია: „მე შევხვდი ვერნერს ს-ში, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდების მრავალრიცხოვან წრეში“.

ახლა უკვე გამორკვეულია, რომ ლერმონტოვს ს-ში მცხოვრებ ჰუმბოლტად რიგიან ადამიანებად მიაჩნდა სტავროპოლში მცხოვრები დეკაბრისტები**.

დავუპირისპიროთ ეს ფორმულა ერთ წინადადებას ლერმონტოვის წერილიდან: „თბილისში არიან ძალიან რიგიანი ადამიანები“, და კვლავ დავრწმუნდებით, რომ ამ ფრაზაში გატარებულია მრავალმნიშვნელოვანი აზრი.

თუმცა „ჩვენი დროის გმირის“ მეორე გამოცემის წინა-

* „ჩვენი დროის გმირი“, გვ. 85.

** С. Н. Дурьин. „Герой нашего времени“ М. Ю. Лермонтова. М. Государственное учебно-педагогическое изд-во, 1940, стр. 132-133.

საქართველოში ლერმონტოვმა საჭიროდ დაინახა შეკამათებო-
ლა მკითხველებსა და ჟურნალებს, რომლებმაც რომანში ავ-
ტორისა და მისი ნაწინაშეების პორტრეტები დაინახეს, მაგ-
რამ ეს მან იმიტომ ჩაიდინა, რომ თავიდან აეცილებინა პი-
როვნების შეურაცხყოფის გამო იმ ადამიანთა საყვედურები,
რომლებიც თავიანთ თავს იცნობენ რომანში. განსაკუთრე-
ბით კი იმიტომ, რომ ბნელეთის მოციქულის ბურაჩოკის რე-
ცენზიის შემდეგ ლერმონტოვისათვის საჭირო იყო აეცილე-
ბინა პოლიტიკური ბრალდება. ეს პოლიტიკური ბრალდებანი
უზნეო პეჩორინს წარუდგინა რეაქციულმა კრიტიკამ. რო-
გორც ექიმი მაიერის მაგალითი გვარწმუნებს, „თავადის ქალ
მერის“ მკითხველთ სრული საფუძველი ჰქონდათ ეძებნათ
მსგავსება მოთხრობის პერსონაჟებსა და მათ რეალურ პრო-
ტოტიპებს შორის. მართალია, ეს ეხება არა მარტო „თავა-
დის ქალ მერის“.

ოფიცერი ნ. ი. ცეიდლერი, სწორედ ის, რომელსაც ლერ-
მონტოვმა მიუძღვნა შესანიშნავი ექსპრომტი („ქერა რუსი
გერმანელი მიემგზავრება შორეულ მხარეს“) 1838 წელს მიე-
ღიწებულ იქნა კავკასიაში. მას მოუხდა ტამანში ყოფნა. ნახევა-
რი საუკუნის შემდეგ ცეიდლერმა თავის ნარკვევში „1830-იან
წლების კავკასიაში“ აღწერა ეს მოგზაურობა. ნარკვევში
ცეიდლერმა მოიხსენია თავისი მეზობლები, რომლებიც ცხოვ-
რობდნენ ზღვისპირას მდებარე პატარა სახლში. ალტაცებით
ვეება იგი მისი მეზობელი ქალის სილამაზეზე — აღწერს „მის
ანტიკურ პროფილს, დიდ ცისფერ თვალებს, შავი გრძელი
წამწამებით დამშვენებულს, შესანიშნავ ნაწნავებს, მხრებზე
რომ სცემდა. ლამაზ ქალს ეცვა აბრეშუმის თათრული ბეშ-
მეთი და ფართო აბრეშუმის შარვალი. თავზე ეხურა პატარა
შავი ხავერდის ქუდი. საერთოდ იგი იყო ტანწერწერა, —
წერს ცეიდლერი, — მისი სახე ფარულ ნალველს გამოხა-
ტავდა“.

მეორე მეზობელი ბიჭი იყო. თვალებზე ლიბრი ჰქონდა
გადაფარებული, სერმიაკში გამოწყობილი, ფეხშიშველა, უქუ-
დო. „მისი სახე გულისხმიერებას, სიცელქესა და გამბედაობას
გამოხატავდა, — ამბობს ცეიდლერი. — მიუხედავად ლიბრისა,
შესანიშნავად დადიოდა კლდოვან ნაპირებზე“. დაინტერესე-

ბულმა ოფიცერმა ყოველივე გამოიწვლილა და აი რა გაიყო
ლამაზი ქალი მოხუცი ყირიმელი თათრის, ოქრომქედლის
ცოლი ყოფილა, რომელიც იარაღს ჰყიდის. თვით იგი ტამანში
არ ცხოვრობდა, მხოლოდ საქმეებზე ჩამოდიოდა ხოლმე.

„ჩემი ნაამბობისა და ტამანზე „ჩვენი დროის გმირი“
ლერმონტოვის პოეტური მონათხრობის მსგავსება, — შენიშ-
ნავს ბოლოს ცეიდლერი, — მაიძულებს ვთქვა: როგორც
ჩანს, მე ბედმა იმავე სახლში იმავე ცხოვრება მარჯუნა, სა-
დაც იგი ცხოვრობდა. იმავე ბრმა ბიჭმა, საიდუმლოებით აღ-
სავსე თათრის ქალმა შეადგინეს მისი მოთხრობის სიუჟეტი.
ახლა მახსენდება, როცა ამხანაგების წრეში დაბრუნებისას
ვუამბე მათ ჩემი გატაცება მეზობელი ქალით, ლერმონტოვმა
ქალაქის ნაგლეჯზე დახატა კლდოვანი ნაპირი და პატარა
სახლი, რომლის შესახებ ვლაპარაკობდი“ *.

ცეიდლერის შთაბეჭდილებანი დაწერილია 1880-იან წლებში:
მის მონათხრობს შეიძლება განეცადა ლერმონტოვისეული
„ტამანის“ გავლენა. თუმცა მხარეთმცოდნეთა მიერ უკვე და-
მტკიცებულია, რომ ტამანში ხრამის პირას იდგა კაზაკ ფეოდორ
მისნიკის ქოხი, მისი ქალი მართლაც მისთხოვდა თათარს
1830-იან წლებში **, მაგრამ, გარდა ამისა, კიდევ ერთი რამ
ფრიადი უეჭველობით ამტკიცებს არა მარტო იმას, რომ ცეიდ-
ლერის მოთხრობა სანდოა, არამედ იმასაც, რომ ამ მოთხ-
რობას დიდი სიზუსტე ახასიათებს.

1919 წელს უფაში თეთრგვარდიელთა განიავებულ და
მიტოვებულ დოვლათს შორის აღმოჩნდა ნახატი, რომელზეც
გამოსახულია კლდოვანი ნაპირი, ნაპირზე თეთრი ქოხი,
ზღვაში პატარა გემი და მეზადურის ნავის წაფერდებული
რალქანი. ნახატის კუთხეში წერია: „დახატა მ. ლერმონ-
ტოვმა“. როგორც ჰგავს, ეს უნდა იყოს ის ნახატი, რომე-
ლიც ლერმონტოვმა დახატა ცეიდლერთან საუბრისას.

* М. Цейдле) р. На Кавказе в 1830-х годах. „Русский вест-
ник“, 1888, № 9, стр. 139.

** В. В. Соколов. Лермонтов и Тамань. „Известия Таврического
об-ва истории, археологии и этнографии“. Симферополь, 1928, II,
стр. 127-128; Л. П. Семенов. Лермонтов на Кавказе. Пятигорск, 1939,
стр. 86-87.

„ფატალისტში“ კიდევ უფრო ნათლად ჩანს ლერმონტოვის
ლომე აღამიანის ხასიათის ხორცშესხმა. ირკვევა, რომ არა
მარტო თავდაპირველ ჩანაწერებში, არამედ ჩვენი დროის
ინარჩუნებდა რეალური აღამიანების სახელებს.

ფილიპსონი, რომლის მოგონებიდან მოვიტანეთ ექიმ
მაიერის დახასიათება, სხვა ადგილას აგვიწერს თავის ამხა-
ნავს, ლეიბ-გვარდიის ცხენოსანი პოლკის პორუჩიკს, მასთან
ერთად რომ სწავლობდა სამხედრო აკადემიაში, გვარდიის
გენერალურ შტაბთან მივლინებულს, ივანე ვასილის-ძე ვუიჩს.
„ვუიჩი იდეალური ყმაწვილი იყო, — წერს მასზე ფილიპ-
სონი. — ლამაზი, ბერძნისა თუ სერბიელის ტიპი, ზრდილი,
პკვიანი, თავმდაბალი, კეთილი, თავაზიანი. ვუიჩი ისეთი პიროვ-
ნება იყო, რომელიც არ შეიძლებოდა არ შეგემჩნიათ.“

„როგორც მისი გვარიდან ჩანს, ის წარმოშობით სერბი-
ელი იყო, — წერს ლერმონტოვი „ფატალისტში“, — პორუჩიკ
ვუიჩის გარეგნობა სავსებით შეეფერებოდა მის ხასიათს. მა-
ღალი ტანი და შავგვრემანი პირისახე, შავი გამსკვალავი თვა-
ლები, დიდი, მაგრამ სწორი ცხვირი, მისი ნაციის კუთვნი-
ლება, სევდიანი და ცივი გაღიმება, რომელიც მუდამ ამო-
ძრავებდა მის ტუჩებს, ყოველივე ეს თითქმის შეთანხმებული
იყო, რათა მისთვის განსაკუთრებული არსების გარეგნობა
მიეცა....“

შავად ნაწერ „ფატალისტში“ სწორედ „ვუიჩი“ ეწერა.
გვარი „ვუიჩი“ მას შემდეგ წარმოიშვა, რაც გაჩნდა „ფატა-
ლისტის“ თეთრი პირი. ვგონებ დაეკვება ზედმეტია, რომ
ლერმონტოვი და ფილიპსონი ერთსა და იმავე პიროვნებას
გულისხმობენ. ამასთანავე თუ დავაკვირდებით პორუჩიკ ვუი-
ჩის სურათს, რომელსაც ჩვენ მივაკვლიეთ ლენინგრადის
საარტილერიო მუზეუმში, ეს ნათელი გახდება.

* „Воспоминания Григория Ивановича Филиппсона“. М., 1885,
стр. 85.

** ავტოგრაფი დაცულია მ. გ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლე-
ნინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.
9. ი. ანდრონიკაშვილი

მას შემდეგ, რაც გამოვარკვეეთ, რომ ლერმონტოვი ხელ-
ნაწერებშიაც კი თავისი პროტოტიპების ნამდვილ გვარებს
წერდა, ჩვენ სავსებით სამართლიანად მოვიქცევით, თუ სახელ-
დახელო ჩანაწერებში „მე თბილისში ვარ...“ ლერმონტოვის
ნაცნობების რეალურ სახელებს ვიგულისხმებთ.

და მართლაც ძნელი დასადგენი როდია, რომ გეურქა,
რომელზეც ლაპარაკობს ლერმონტოვი თავის ჩანაწერში,
სინამდვილეში არსებული ადამიანია, თბილისელი მესაქურდულ
გეურქა ანუ გეორქ (უფრო სწორად გეგორქი), წარმოშობით
სომეხია, მას მთავრობისაგან უპირატესობანი აქვს მინიჭე-
ბული და სახელგანთქმულია საუკეთესო ხანჯლის პირების
დამზადებითა და წრთობით, რომელიც დამასკურს არ ჩამო-
უვარდება. * ამ გეურქას სახელი ლერმონტოვს მოხსენებული
აქვს ლექს „პოეტის“ ხელნაწერში.

გამომდინარე აქედან ჩვენ შევეცდებით გავშიფროთ თბი-
ლისური ჩანაწერის საკუთარი სახელები და რამდენადმე გავა-
ფართოოთ ჩვენი წარმოდგენა ლერმონტოვის ამიერკავკასიელ
ნაცნობთა წრის შესახებ.

ძველი კავკასიელები

უპირველეს ყოვლისა, ვინ არის „პეტრ“?

ლერმონტოვის ბიოგრაფი ვ. ა. მანუილოვი დარწმუნე-
ბულია, რომ ეს არის პავლე ივანეს-ძე პეტროვი, გენერალ-
მაიორი, კავკასიის ხაზისა და შავი ზღვისპირეთის ჯარების
შტაბის უფროსი. „იგი მოყვარედ ერგებოდა ლერმონტოვს, —
წერს მანუილოვი, — მისი განსვენებული ცოლი ანა აკიმოვნა
ხასტატოვა პოეტის დედის დეიდაშვილი იყო. ლერმონტოვი
მასთან ჩერდებოდა, როცა სტავროპოლს ჩადიოდა. თბილის-
ში პეტროვი ხშირად ჩამოდიოდა სამსახურებრივი მოვალეო-

* „Письма Х... III... к Ф. Булгарину, или поездка на Кавказ“,
„Северный архив“, 1828, № 10, стр. 283.

პაპ ჯამო და ლერმონტოვს შეეძლო თბილისშიაც ესარგებლა
 მისი სტუმართმოყვარეობით. *
 ჩვენამდე მოაღწია ლერმონტოვის წერილმა პეტროვი-
 ხელში. ჩვენამდე მოაღწია ლერმონტოვის სურათმა, რომელიც
 პეტროვს აჩუქა. მოაღწია ლექსმა, ლერმონტოვმა რომ
 პეტროვის შვილს უძღვნა. და ბოლოს, ამ შვილის ჩანაწერმა
 იმის შესახებ, რომ როცა ლერმონტოვი სტავროპოლში იყო,
 პოეტადლე მოდიოდა პ. ი. პეტროვთან. მაგრამ იმაზე, რომ
 ლერმონტოვი თბილისში პეტროვთან ცხოვრობდა, არავითარი
 ცნობა არ შემორჩენილა. არც იმის რაიმე ხელშესახები ცნობა
 გვაქვს, რომ 1837 წლის შემოდგომაზე პეტროვი სამსახურის
 საქმეების გამო თბილისში იყო. ცნობილია, რომ მეფეს
 თბილისში პეტროვი არ ახლდა. გამომდინარე აქედან, 1837
 წლის ოქტომბერს იგი სტავროპოლში შეხვდა მეფეს და არც
 შეეძლო ქალაქის დატოვება. ასე რომ ამ დროს პეტროვს
 სამსახურისა არა ესაქმებოდა რა თბილისში. ** გარდა ამისა
 „მე თბილისში ვარ პეტრ:-თან“ სრულიად არ ნიშნავს, რომ
 ლერმონტოვი გაჩერდა პეტროვის სახლში და მისი სტუ-
 მართმოყვარეობით სარგებლობს, მას სხვაგანაც შეეძლო მი-
 სულიყო, მით უმეტეს ძნელი იყო სტავროპოლელი გენერლის
 პეტროვის სტუმართმოყვარეობის გამოყენება, რომ თვითონ
 იგი, კიდევაც რომ ჩამოსულიყო რამდენიმე დღით თბილისში,
 სხვასთან უნდა გაჩერებულიყო. „ეს იყო“ კაცი საკმაოდ უმნიშ-
 ვნელო, უსიმპათიო, ცუდი რეპუტაციისა, — წერდა პავლე
 ივანეს-ძე პეტროვზე ერთ-ერთი მისი თანამშრომელი, —
 საქმეებზე და განსაკუთრებით სამხედრო საქმეებზე მას არა-
 ვითარი გავლენა არ ჰქონდა. ველიამინოვი არ იყო მისდამი

* В. А. Мануилов. М. Ю. Лермонтов и его запись сказки „Ашик-Кериб“. Сборник, изданный в связи с постановкой балета Б. В. Аса-
 фьева в Ленинградском Государственном ордене Ленина академи-
 ческом Малом Оперном театре. Л., 1941, стр. 24.

** А. П. Берже. Николай I на Кавказе в 1837 году. „Русская
 старина“, 1884, № 8, стр. 381; ბ. გარსკის (მოდხალესკის) სტატია
 „Русский биографический словарь“-ში — „Петров Павел Иванович“
 შეად. ლერმონტოვის წერილი პეტროვისადმი (Лермонтов, т. V, стр. 384)
 და ვლასოვის ცნობა „Лермонтов в семье П. И. Петрова“. Литератур-
 ный сборник. Кострома, 1938, стр. 3—10.

კეთილად განწყობილი. პეტროვი თითქმის არაფერს აკეთებდა მარტოოდენ თავი მოჰქონდა გენერალური შტაბის მუშაობით, რომლის ტარების ნება არც ჰქონდა.*

რაიმე ჰიპოთეზა რომ წამოვაყენოთ, აუცილებელია ლაპარაკი დავიწყოთ ადამიანზე, რომელიც ლერმონტოვს მართლაც შეეძლო ენახა თბილისში.

ჩვენთვის ზუსტადაა ცნობილი, რომ იმ დროს თბილისში იმყოფებოდა მეორე პეტროვი — არა პავლე ივანეს ძე, არამედ პავლე ექვთიმეს ძე პეტროვი. მეოთხე, ცალკე კავკასიის კორპუსის შტაბის მორიგი შტაბს-ოფიცერი, რომელმაც თავისი ხანგრძლივი სამსახური ამიერკავკასიაში იუნკერის ჩინით დაიწყო და რომელმაც თბილისში დაჰყო სიკვდილამდე.**

ეს პეტროვი უფრო შეიძლება ეგულისხმა ლერმონტოვს თავის ჩანაწერში და აი რატომ: თუკი „პეტრ“ ხაზის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი პეტროვია, „ძვირფასი ძია“, რომელიც ლერმონტოვს მფარველობდა, რაღა საჭირო იყო მისი სახელის შემოკლება?

ხოლო თუკი „პეტრ“ — კავკასიის ოფიცერია, რომელსაც ლერმონტოვი პირველად შეხვდა თბილისში, დაქარაგმება უფრო გასაგები ხდება: ლერმონტოვი შეგნებულად არ ასახელებს თავისი ახალი ნაცნობების გვარებს.

თუ „პეტრ“ — შტაბის უფროსია, რამდენიმე დღით სტავროპოლიდან ჩამოსული, მაშინ როგორღა აკავშირებს მას ლერმონტოვი სწავლულ თათარ ალის, აჰმედს ანდა მესაქურვლე გეურქას? და რატომღა, რომ ჩანაწერში ყოველთვის წერია „ჩვენ“: „ჩვენ გადავწყვეტიეთ მოგვენახა“, „გაგვაქვს“, „ჩვენ ვეუბნებით აჰმედს“, „ვიცანით“, „ვიპოვეთ სახლი“, „მივდივართ ქარვასლაში“, „ვხედავთ“, „იგი ჩვენ გვიყურებს“, „ჩვენ ჩავიარეთ და დავინახეთ და“ მერე „ქალმა ჩემზე მიუთითა“.

* „Воспоминания Григория Ивановича Филиппова“. М., 1885, стр. 92.

** „Кавказ“, 1846, № 19, стр. 4. (როცა პავლე ექვთიმეს ძე გარდაიცვალა, პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა, ხოლო 1837 წელს პოდპოლკოვნიკი იყო).

კი მაგრამ, ვინ არის ეს „ჩვენ“? მოთხრობის ავტორი და მოქმედი პირი, რომლის პროტოტიპია სტავროპოლელი გენერალ-მაიორი? ძალიან საეჭვოა.

თუკი „პეტრ“ კავკასიელი ოფიცერია, რომელსაც ნახევარი ცხოვრება საქართველოში გაუტარებია, „ძველი კავკასიელი“, მაშინ ერთბაშად ყველაფერი ნათელი ხდება: ლერმონტოვი მასთან ხვდებოდა ადგილობრივ მცხოვრებთ — სწავლულ თათარ ალის, აჰმედს. ოფიცერს დაჟავდა იგი ძველ მესაქურდელსთან, ათვალეერებინებდა ძველი თბილისის ღირს-შესანიშნავ ადგილებს. ასეთი ოფიცერი უფრო გამოადგებოდა ლერმონტოვს მომავალი მოთხრობის პროტოტიპად. უფრო შეეძლო იქ მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა, ვინემ სტავროპოლელ გენერალს, დეიდის ქმარს. ძველ კავკასიელს, საქართველოში რომ ერმოლოვის დროიდან მსახურობდა (სხვაგვარად არ შეიძლება ყოფილიყო, პეტროვმა ხომ სამსახური ამიერკავკასიაში იუნკერის ჩინით დაიწყო), შეეძლო ეამბნა და ენახებინა ლერმონტოვისათვის ბევრი რამ საინტერესო. ახლა საკითხავია, ხვდებოდა თუ არა მას ლერმონტოვი?

ამ კითხვას შეიძლება სრული დარწმუნებით ვუპასუხოთ: ხვდებოდა, უნდა შეხვედროდა!

მასთან, შტაბის მორიგ ოფიცერთან, ლერმონტოვი მოვალეც იყო გამოცხადებულიყო, რათა მისთვის წერილობითი ბრძანება ეჩვენებინა და შემდგომი გზის მოწმობა მიეღო.

ეს კიდევ ცოტაა. პეტროვი შტაბის უფროს ვალხოვსკისთან მსახურობდა, ხოლო ვალხოვსკის, როგორც ვიცით, ლერმონტოვი გაეცნო 1837 წლის გაზაფხულზე ჩრდილოეთ კავკასიაში, ჯერ კიდევ თბილისში ჩამოსვლამდე; ვიცით, რომ ფილოსოფოვის თხოვნით ვალხოვსკი მფარველობდა პოეტს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ: ვალხოვსკიმ უბრალოდ ჩააბარა მორიგ ოფიცერს გადასახლებული პოეტი.

„ასომთავრულით დაწერილი „გ“ უნდა გავხსნათ, — აცხადებს ვ. ა. მანუილოვი, — როგორც გეურქა“. * მაგრამ იმას კი აღარ ხსნის, რატომ დასჭირდა ლერმონტოვს გეურქას

* В. А. Мануилов. М. Ю. Лермонтов и его записи сказки „Ашик-Кериб“, Митითებული გამოცემა, გვ. 24.

სახელის შემოკლება მაშინ, როცა ქვემოთ მისი სახელი მოყვანილია სრულად.

სავსებით ნათელია, რომ „გ“-ს ამოფარებულია სხვა პირი. შევეცდებით დავასახელოთ იგი.

ეს არის ფრანც პეტრეს-ძე გერარდი, თბილისის სამხედრო ჰოსპიტლის შტაბს-მკურნალი, რომელსაც იმხანად საქართველოში მყოფი ჯარების მთავარი ექიმის თანამდებობა ეკავა.

იგი კავკასიაზე რომანტიკულმა წარმოდგენამ გაიტაცა (სწორედ ასეა ნათქვამი მის შესახებ „რუსულ ბიოგრაფიულ სიტყვარში“) და 1818 წელს პირადი თხოვნით გამწესებული იქნა კავკასიაში შირვანის ქვეითი პოლკის უმცროს მკურნალად. შემდეგ გადაყვანილი იქნა ნავაგინსკის ქვეით პოლკში შტაბს-მკურნალად. ორივე პოლკი მონაწილეობდა ცხარე ბრძოლებში მთიელთა წინააღმდეგ.

1820-იანი წლების დასასრულიდან გერარდი თბილისში გადმოვიდა სამხედრო ჰოსპიტალში. აქ გაატარა ცხოვრების დარჩენილი 30 წელი.* ცხადია, მთელი ქალაქი იცნობდა მბცოვან ექიმს, ისიც თავის მხრივ ყველას იცნობდა. ასეთი ადამიანი უნდა ყოფილიყო მშვენება ოფიცერთა პატარა საზოგადოებისა, რომელთაც ბედმა არგუნა მრავალ წელს ერთად ცხოვრება კავკასიაში.

გერარდი ცხოვრობდა ქალაქგარეთ — ნავთლულში. ერთი თანამედროვე წერს, რომ თბილისში ჩამოსვლისთანავე გავეშურე „მოხუც ექიმ გ-თან, რომელიც ცხოვრობდა სამხედრო ჰოსპიტალში ატლულში“.**

1837 წ. 28 ნოემბერს გერარდიმ შეებულება მიიღო და ევროპის გუბერნიაში გაემგზავრა, ასე რომ იმავე დღეებში წავიდა რუსეთს, რა დროსაც ლერმონტოვი.***

თავს ვერ ვიდებ იმის მტკიცებას, რომ ლერმონტოვი

* „Протоколы заседаний Общества русских врачей в С-Петербурге, 1857-1858 года“. Год 24-й, № 8, стр. 205-207. შეად.: „Русский биографический словарь“, т. „Гаак-Гербель“, стр. 466.

** „Из впечатлений и воспоминаний покойника“. „Библиотека для чтения“, 1848, т. 86, отд. III, стр. 47.

*** ЦГИА Грузинской ССР, ф. 548, оп. № 2, № 104. Приказы по Отдельному Кавказскому корпусу, № 100, стр. 260-261.

იცნობდა გერარდს. ამისათვის საკმარისი ცნობები არ არის, მაგრამ გავიხსენოთ ლერმონტოვის ნარკვევი „კავკასიელი“, სადაც ნათქვამია, რომ „ქეშმარიტ კავკასიელს საქართველოში სამოქალაქოებში მხოლოდ პოლკის მკურნალთა შორის ნახავთ“. * ლერმონტოვს არ შეეძლო ეს დაეწერა, თუკი არ შეხედებოდა საქართველოში ნამდვილ კავკასიელს, სწორედ ამ წრიდან გამოსულს. როცა ქვემოთ იმაზე გვექნება საუბარი, რომ ლერმონტოვს განზრახვა ჰქონდა დაეწერა რომანი კავკასიის ომისა და ერმოლოვის დროის თბილისის შესახებ, საბოლოოდ დამტკიცდება, რომ პოეტი თბილისში შეხვდა ძველ კავკასიელებს, რომლებიც ჯერ კიდევ ერმოლოვის დროიდან მსახურობდნენ აქ.

და მართლაც, სრულიად არ არის შეუძლებელი, რომ ძველი კავკასიელის პეტროვ მეოთხის სახლში ლერმონტოვი შეხვედროდა ექიმ გერარდს და „სწავლულ თათარ ალის“, რომელიც, როგორც დავინახავთ, პეტროვთან ერთად მსახურობდა.

მაგრამ ჯერ რამდენიმე სიტყვა ზღაპარ „აშიკ-ქერიბის“ შესახებ.

აშიკ-ქერიბის ზღაპარი

ლერმონტოვის გარდაცვალების შემდეგ პეტერბურგს დარჩენილ მის ქალაქებში აღმოჩნდა მოხეტიალე მომღერლის აშიკ-ქერიბის ზღაპარი. ვ. ა. სოლოგუბმა 1842 წელს გამოაქვეყნა ეს ზღაპარი აღმანახში „გუშინდელი და დღევანდელი დღე“ სათაურით „აშიკ-ქერიბი. თურქული ზღაპარი“. ხოლო თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1892 წელს, მასწავლეთი ბელმა მაჰმუდბეგოვმა აზერბაიჯანში, შემახიის რაიონში, სახალხო მომღერლის ორუჯას მიერ წარმოთქმულ მეტად

* Лермонтов, т. V, стр. 322.

მსგავსი ზღაპრის ტექსტი ჩაიწერა *. ამის შემდეგ საესტეტიკური ნათელი გახდა, რომ ლერმონტოვის „აშიკ-ქერიბი“ წარმოადგენს აზერბაიჯანული ხალხური ზღაპრის ჩანაწერს.

„აშიკ-ქერიბის“ ტექსტში ლერმონტოვს აქვს მრავალი აზერბაიჯანული სიტყვა და ფრაზები მათი განმარტებით: ალა (ბატონი), ანა (დედა), ოლლან (ყმაწვილი კაცი), რაშიდ (მამაცი), სააზ (ჩონგური), გერურსეზ (ვაიგეთ), მისირიული ღვინო (ე. ი. ეგვიპტური). თბილისის სახელიც ჩაწერილი აქვს აზერბაიჯანული გამოთქმით „თიქლიზ“. ** აშიკი აზერბაიჯანულად ნიშნავს მიჯნურს, გადატანითი მნიშვნელობით მომღერალს, მგოსანს, ხოლო ქერიბი — მოხეტიალეს, ყარბს. მაგრამ ამავე დროს იგი საკუთარი სახელიც არის. სიტყვათა ამ თამაშზეა აგებული აშიკ-ქერიბის საუბარი ბრმა დედას. თან: იგი თავის სახელს ქერიბს ეუბნება დედას, მოხუც ქალს კი ჰგონია, რომ მას თავშესაფარს სთხოვს ყარბი.

ასე რომ, უეჭველია, ეს ზღაპარი ლერმონტოვს სმენია აზერბაიჯანელისაგან (იმხანად აზერბაიჯანელებს თათრებს ეძახდნენ).

უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა რამდენიმე სტატია, რომლებიც შეიცავენ საინტერესო დაკვირვებებს ლერმონტოვისეული ზღაპრის ტექსტზე. ამ სტატიებში გამოთქმულია საქმიანი შენიშვნები ზღაპრის ფოლკლორული წყაროს შესახებ. მაგრამ მთლიანად საკითხი კვლავ ნაკლებად არის შესწავლილი. უპირველეს ყოვლისა, დღემდე მკვლევართა შეცბუნებას იწვევდა ზღაპრის სათაური. იყო იმის ცდა, რომ აეხსნათ, რატომ უწოდა ლერმონტოვმა თავის ზღაპარს თურქული. ვ. ა. მანუილოვის აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ „ამიერ და იმიერკავკასიაში თურქული ზღაპარი ფართოდაა გავრცელებული“ ***

* Махмудбеков, учитель Кельвинского земского училища. „Ашик-Кериб. Сказка с приложением татарского текста песен Ашик-Кериба“. „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, вып. XIII, Тифлис, 1892, стр. 173—229.

** М. Рафили. Лермонтов и азербайджанская литература. „Бакинский рабочий“, 1939, № 237.

*** В. А. Мануилов. М. Ю. Лермонтов и его записи сказки „Ашик-Кериб“, Митითებული გამოცემა, გვ. 26.

ს. ა. ანდრეევ-კრივიჩმა დაიწყო ამ თქმულებისა და „მთელი აღმოსავლური ლიტერატურის კავშირის“ დადგენა. *
 ა. კ. ენიკოლოპოვი ფიქრობს, რომ განსაზღვრა „თურქული“ შეიძლება აიხსნას სომხური ენის ნიადაგზე—სომხურად სიტყვა „თურქული“ აზერბაიჯანულს ნიშნავს, მაშინ, როცა თურქ-ოსმალოებს „ტაჯიკებს“ უწოდებენ. **
 ნამდვილად ყოველივე ეს აღვილი ამოსაცნობია. სათაური ლერმონტოვის მიერ კი არ არის შერჩეული, იგი ეკუთვნის სოლოგუბს, რომელმაც ზღაპარი გამოაქვეყნა ალმანახში „გუშინდელი და დღევანდელი დღე“, ან შან-გირეის, რადგან სოლოგუბმა მისგან მიიღო ხელნაწერი. 1936 წელს მსოფლიო ლიტერატურის ა. მ. გორკის სახელობის ინსტიტუტმა ა. ს. გოლიცინასაგან შეიძინა ალბომი ლერმონტოვის ავტოგრაფით. ეს ის ავტოგრაფია, რომელიც სოლოგუბს ხელთ ჰქონია. მასში არაერთი სათაური არ არის. ზღაპარი პირდაპირ ასე იწყება: „დიდი ხნის წინათ თიქლიზში ცხოვრობდა ვინმე მდიდარი თურქი“. რამდენიმე სტრიქონის ქვემოთ არის განმარტება: „სააზი (ჩონგური, თურქ.)“ *** როგორც ჩანს, ამის საფუძველზე გამომცემლებმა შეარქვეს თურქული ზღაპარი და თვით უწოდეს „აზიკ-ქერიბი“. 1837 წელს ლერმონტოვისეული ზღაპრის ტექსტი შეჯერებული იქნა ავტოგრაფთან და დაიბეჭდა ამ ვარიანტების თანდართვით, ქვესათაური „თურქული ზღაპარი“, უყურადღებობის გამო, ისევ დარჩა, თუმცა საჭირო კი იყო მისი მოცილება. სწორედ ამან შეიყვანა შეცდომაში კომენტატორები. ახლა უკვე უეჭველია, რომ ლერმონტოვმა მოისმინა აზერბაიჯანული ხალხური ზღაპარი. თურქულად თვით აზიკის სახელიც კი სხვაგვარად აქლერდებოდა: არა ქერიბი, არამედ „ლარიბი“. კურშუდ-ბეგს თურქულად უნდა რქმეოდა კურშუდ-ბეი. ****

* С. А. Андреев-Кривич. Кабардино-черкесский фольклор в творчестве Лермонтова. „Ученые записки Кабардинского научно-исследовательского института“, т. I, Нальчик, 1946, стр. 269—275.

** И. К. Ениколопов. К сказке „Ашик-Кериб“. В книге: М. Ю. Лермонтов. Ашик-Кериб, „Грузхудожник“, 1941, стр. 15.

*** Лермонтов, т. V, стр. 177.

**** И. К. Ениколопов. К сказке „Ашик-Кериб“, მითითებული გამოცემა, გვ. 15.

პირველი, ვინაც ყურადღება მიაქცია ლერმონტოვის ტექსტის სიახლოვეს აზერბაიჯანულ ზღაპართან, იყო მასწავლებელი ა. ბოგოიაველენსკი, რომელსაც ეკუთვნის 1892 წელს გამოცემული „კავკასიის აღგილთა და ტომთა აღწერილობის მასალათა კრებულის“ წინასიტყვაობა. „სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით,—წერდა ბოგოიაველენსკი ამ ზღაპრის შესახებ,—რომ იგი ნაწილობრივ ცნობილია რუსული საზოგადოებისათვის იმ გადმოცემით, რომელიც ეკუთვნის განსვენებულ პოეტს მ. ი. ლერმონტოს“*.

ეს ძალიან სუსტი შენიშვნაა. მართლაც, ლერმონტოვის ტექსტით მკითხველნი მხოლოდ ნაწილობრივ გაეცნობოდნენ ზღაპარს, რადგანაც ზღაპრის ტექსტის მისი გადმოცემა და შემახიის რაიონში ჩაწერილი ტექსტი საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

უპირველეს ყოვლისა, ლერმონტოვისეული ზღაპარი შემახიის ვარიანტზე საგრძნობლად მოკლეა. ვარიანტში თბრობის ფორმასთან ერთად მოცემულია პოეტური იმპროვიზაცია და შეიცავს 87 სიმღერას. აშიკ-ქერიბი მღერის თბილისს მიახლოებისას, მღერის, როცა სტოვებს ქალაქს, მღერის, როცა დედასა და დას ეთხოვება, მღერის, როცა გულის სატრფოს შორდება და სატრფოც, დედაც, დაც სიმღერებით პასუხობენ მას.

„თუ ღმერთმა ინება დღეთა ჩემთა გაგრძელება,—მღერის ქერიბი,—ნუ ტირი, სატრფოვ გულისა, მოვალ. თუ ჩემი აღსასრულის საათი შეიცდის, ნუ ტირი, სატრფოვ, მოვალ“.

„უცხო (ქერიბი) ცხოვრობს სხვათა ქვეყანაში,—პასუხობს შაჰ-სანამი,—ტყუპი ირემი მინდვრად რჩება. შენ მიდიხარ და მე მოთმინებით აღვივსები და დაგელოდები, გასწი, ჩემო ქერიბ, და კეთილი იყოს შენი დაბრუნება“.

„ო, პირადვარდო სანამ,—მღერის დედა,—იტირე, სანამ, მოკვდა ქერიბი, ველარ მოვა ქერიბი, ველარ მოვა, რომლის ნალველს დღედაღამ ვატარებდი, ველარ მოვა...“

ყველა ეს ლირიკული წიაღსვლები ლერმონტოვის ზღაპარში არ არის.

* А. Богоявленский. Предисловие к XIII выпуску „Сборника материалов для описания местностей и племен Кавказа“, стр. XXIV.

საქსებით განსხვავებულია ხალხური ზღაპრის დასაწყისიც. ხალხური ზღაპრის თავში მოთხრობილია, როგორ გახდა აშიკ-ქერები აშიკი. მისი მოქმედება იწყება არა თბილისში, არა-ქველ თავრიზში. მდიდარი ვაჟრის შვილი რასული სულ მოკლე ხანში გაფლანგავს მემკვიდრეობას და გადასწყვეტს აშიკებს-ნიუბაროს. ისინი გააგდებენ მას, რადგან ჭაბუკს არა აქვს წესიკალური ნიჭი. და აი სიზმრად გამოეცხადება აშიკთა მფარველი ხიდირ-ილიასი და ეტყვის: ამიერიდან შენ აშიკი ხარ და ქერები (უცხო) უნდა შეირქვაო. და იგი სიზმარში აჩვენებს მას მომავალ მიჯნურს, ცისფერთვალემა მზეთუნახავს შაჰ-სანამს, ბაჰრამ-ბეკ თბილისელის ქალს, რომელიც მისთვის განგებას მიუცია.

აშიკ-ქერებმა დედა და დაი წაიყვანა და თბილისს მიმავალ ქარავანს გაჰყვა. კარგა ხანი იხეტიალეს მათ ქალაქში, კარგა ხანს ეძებეს თავშესაფარი, სანამ მდიდარმა ვაჟარმა არ შეიკრდომა ისინი. ეს ვაჟარი ბაჰრამ-ბეკი გამოდგა, მამა მზეთუნახავ შაჰ-სანამისა, რომელიც აშიკისათვის განუმზადებია ზეგარდმო ნებას. ვაჟარი თავის სახლში მიიყვანს მოგზაურთ. შაჰ-სანამი კუჭრუტანიდან თვალს მოჰკრავს აშიკ-ქერებს და იმ ახალგაზრდას შეიცნობს, რომელიც სიზმრად აჩვენა ხიდირ-ილიასმა.

აქედან მოკიდებული, აშიკ-ქერები, რომელიც ბაჰრამ-ბეგის სახლის ახლო დასახლდა, ბალში ყოველდღე ხვდება შაჰ-სანამს, ხოლო მდიდარ ვაჟარს აზრადაც არ მოსდის, რომ მის ქალს — მდიდარ და დიდგვაროვან შაჰ-ველედის საცო-ლეს შეუძლია შეიყვაროს უმიწაწყლო მოხეტიალე.

აშიკი დედას ავალებს შაჰ-სანამის მაჰანკლობას, მაგრამ ვაჟარი დიდ ყალიმს მოითხოვს. მაშინ აშიკ-ქერები ფიცსა სდებენ, რომ შვიდი წელი იხეტიალებს ქვეყნიდან ქვეყანაში და შორეულ მხარეში იშოვის ფულს.*

ყველა ეს ამბავი, რომელსაც ოცი გვერდი უჭირავს, ლერ-მონტოვის ზღაპარში გამოტოვებულია. მისი მოქმედება იწყება პირდაპირ თბილისში. ღარიბი აშიკ-ქერები ერთ ქორ-

* „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, вып. XIII, стр. 173—192.

წილზე შეხვდა მაგულ-მეგერს და მისდამი ტრფიალებით ალენთო. ქალი ურჩევს სთხოვოს მისი თავი მამამისს, მაგრამ ქერიბი გაუმხელს მას თავის მიზანს: შვილი წელი უნდა ვიხეციალო, ან ქონება უნდა მოვიგო, ან დავიღუპო. "ვინაა იმის თავდები, — ამბობს იგი, — რომ შენ შემდეგში არ გი-საყვედურებ, არა რა გქონდა და ყველაფერს მე უნდა მიმად-ლოდეო".*

შემდეგ ლერმონტოვის ზღაპარში ძირითადად იგივე თან-მიმდევრობაა, რაც შემახიის ვარიანტში, მაგრამ მთელი რიგი ეპიზოდებისა სხვაგვარადაა გადმოცემული. ლერმონტოვის ზღაპარში ქერიბის რაყიფი ყურშუდ-ბეგი იპარავს მგოსნის ტანსაცმელს, როცა ეს უკანასკნელი ცურვით გადადიოდა მდინარეზე, თბილისში მოვა, ქერიბის დედას ვაჟის ტანისა-მოსს მოუტანს და ეტყვის, რომ მისი შვილი დაიღუპა. შემა-ხიის ვარიანტში აშიკ-ქერიბი თავის მეტოქეს შაჰ-ველედს შეხვდა ალექოში და სთხოვა წერილი წაიღოს მგოსნის ში-ნაურებთან თბილისში. შაჰ-ველედი თავის მსახურს ქელ-ოლლანს დაავალებს მოჰკლას კურდღელი და მის სისხლში ამოავლოს აშიკ-ქერიბის პერანგი, მერე აშიკ-ქერიბის დედას წაუღოს და უთხრას, რომ მისი შვილი გზაში მოჰკლეს ყაჩა-ღებმა.

ლერმონტოვის ზღაპარში არ არის აშიკთა პაექრობა, არაა კითხვები, აშიკ-ქერიბმა რომ შესთავაზა აშიკებს გამოსაცნო-ბად, არ არის შაჰ-სანამის მეტოქე ახალგაზრდა აღჯაყიზი, რომელსაც ფარულად უყვარს ქერიბი. გამოტოვებულია სხვა დეტალებიც. ლერმონტოვის ზღაპრის მხოლოდ ერთი ეპი-ზოდი ემთხვევა ჩვენთვის ცნობილ შემახიის ვარიანტს, — აშიკ-ქერიბის დაბრუნება თბილისში მშვენიერ მხედართა შე-ხვედრიდან, ვიდრე ბრმა დედასთან საუბრამდე.

განსხვავებულია ზღაპარში საკუთარი სახელებიც. შემა-ხიის ვარიანტში აშიკ-ქერიბის სატრფოს ჰქვია შაჰ-სანამი, ლერმონტოვისაში კი მაგულ-მეგერი. შემახიის ზღაპარში რა-ყიფს შაჰ-ველედი ჰქვია, ლერმონტოვისაში — კურშუდ-ბეგი. შემახიის ვარიანტში მამა ბაჰრამ-ბეგია, ლერმონტოვისაში —

* Лермонтов, т. V, стр. 177-178.

...შემახიის ზღაპარში აშიკ-ქერიბის ნამდვილი სახე-
ლო რასულ, ხოლო ლერმონტოვისაში — რაშიდი. „რა გქვიან
შენ“, — ეკითხება აშიკ-ქერიბს ბრმა დედა. „რაშიდი“, — პა-
უზობს მგოსანი და თავის ნამდვილ სახელს ამბობს, მაგრამ
მოხუცი ქალი ამ სახელს მისი ზოგადი მნიშვნელობით იგებს:
„ჩამაცი“.*

ჰველა ეს სახელი, ცხადია, ლერმონტოვს არ შეუთხზავს.
ეს სახელები ერქვა იმ ზღაპრის პერსონაჟებს, რომელიც მო-
ისმინა და ჩაიწერა ლერმონტოვმა. ამრიგად, მისთვის ცნო-
ბილი იყო აზერბაიჯანული ზღაპრის არა 1892 წელს შემახი-
აში ჩაწერილი ვარიანტი, არამედ სხვა. რომელი ვარიანტი
მოისმინა ლერმონტოვმა?

1911 წელს ელიზავეტოპოლის (აწინდელი კიროვობადის).
გაზეთ „Южный Кавказ“-ში მოთავსებული იყო აშიკ-ქერიბის
ზღაპრის დასაწყისი — „აშიკთა საყვარელი სიმღერა, რო-
მელიც შემახიის რაზმში ჩაიწერა, თავისუფალი გადაკეთება“.
მაგრამ გამოირკვა, რომ ეს პუბლიკაცია მხოლოდ და მხოლოდ
ჩვენთვის ცნობილი შემახიის ვარიანტის გადამღერებას წარ-
მოადგენს.**

არის აგრეთვე აშიკ-ქერიბის ხალხური ზღაპრის მესამე
ჩანაწერი, მოთავსებული „აზერბაიჯანის პოეზიის ანთოლო-
გიაში“*** მაგრამ ამ შემოკლებულ ვარიანტშიც ფაბულა სავ-
სებით ემთხვევა ჩვენთვის ცნობილ ზღაპარს, ხოლო მოქმედ
პირებს იგივე სახელები აქვთ: აშულ-ლარიბი, შაჰ-სენამი,
შაჰ-ვალედი, გიულ-ოლლანი. ამასთანავე შევნიშნავთ, რომ
ცნობილი თურქული ზღაპარი „საყოველთაოდ სახელმოხვე-
ტილი და ცნობილი აშიკ-ლარიბის შესახებ“ არც სიუჟეტითა-
და არც მოქმედ პირთა სახელებით არ ემთხვევა ლერმონტო-
ვის ზღაპარს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ქერიბს“****.

* Лермонтов, т. V, стр. 178.

** „Южный Кавказ“, 1911, № 26, 27 и 30.

*** „Антология азербайджанской поэзии“. Редактор В. Лугов-
ской. Баку, 1938, стр. 346—349.

**** „თევატურ ილე მეშგურ ვე მუტე არაფ ოლან ჩაშიკ-გარიბ ხიკაია-
ესი“ („საყოველთაოდ ცნობილი და სახელმოხვეტილი აშიკ-ლარიბის ამბა-
ვი“), კონსტანტინეპოლი, 1880 წ. (თურქულ ენაზე). ამ წიგნის ტექსტი
გამაცნო გ. ი. არისტოვამ.

ამასთანავე, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ლერმონტო-
მა ზღაპარი მოისმინა და მხოლოდ ფრთხილი რედაქცია გა-
უქეთა მას, აქა-იქ შეუსწორებელი დაუტოვებია ზოგიერთი
სიუჟეტური უსწორობა და შეუსაბამობა. ასე, მაგალითად,
იგი სხვადასხვანაირად წერს: „ხადრილიაზი“ და „ხადრი-
ლიაზი“, „არზერუმი“ და „არზრუმი“, „შინდი გერურსე-
და“ და „შინდი გერურეზ“. სიტყვა „სააზი“ მისთვის ხან მდელ-
რობითი სქესისაა, ხან მამრობითი. ასე რომ ეს ისეა ჩაწე-
რილი, როგორც ესმოდა და შემდეგ დამოუკიდებელივე ვერ
გადაეწყვიტა, რომელი ფორმაა უმჯობესი. გაუგებარია, რის
საფუძველზე აცხადებს აშიკ-ქერიბი, რომ იგი თბილისელი
ვაჭრის დუქანში გამოფენილ ოქროს ლანგარის პატრონია.
მოულოდნელია და არაავითარი მოტივით არ არის გამარ-
თლებული აშიკის მოგზაურობა წინასწარმეტყველის თეთრ მე-
რანზე. ლერმონტოვის ვარიანტში ხომ სიტყვაც არ არის და-
ძრული იმაზე, რომ ხადრილიაზ აშიკთა მფარველია, რომ მან
უბოძა ქერიბს სიმღერის ნიჭი, მან უწინასწარმეტყველა პირ-
მშვენიერი მაგულ-მეგერი ცოლად. ზღაპრის დასასრულს აშიკ-
ქერიბი აცხადებს, რომ მის მახვილს ქვის გაკვეთა ძალუძს,
მაგრამ არაფრით არ ამტკიცებს ამას. შევნიშნავთ, რომ არც
ქერიბის ხმაზე, არც იმაზე, რომ ხადრილიაზმა მას მისცა
სიმღერის ეს ნიშანი — ქვათა განკვეთის უნარი, ზევით არა-
ფერია ნათქვამი. ნათელია, ლერმონტოვს რომ ხალხური
ზღაპრის გადამუშავებისათვის მოეკიდა ხელი, იგი თავიდან
აიცილებდა ყველა ამ უსწორობას და აშიკ-ქერიბის სიტყვასა
და საქმეებს სათანადო მიზეზს უპოვნიდა. ცხადია, რომ
ზღაპარი ჩაწერილია ისე, როგორც მოსმენილი იქნა.

ახლა ხანს დადგინდა, რომ ლაჩინის რაიონში (აზერბაი-
ჯანის სსრ) გავრცელებულია ზღაპრის სხვა ვარიანტი, რო-
მელშიაც გმირ ქალს ჰქვია არა შაჰ-სანამი, არამედ „მაჰუ-
მეჰრი“, ხოლო რაყიდს — „რაშიდ-ბეგი“. სამწუხაროდ, ეს ვა-
რიანტი დღემდე ჩაწერილი არაა.*

ლერმონტოვის ვარიანტთან კიდევ უფრო ახლო აღმოჩნდა

* ეს ცნობები მიღებული მაქვს ნიზამის საბელობის ბაქოს ლიტერატუ-
რული ინსტიტუტისაგან.

ამის შემდეგ აშული მიდის ქალაქ ჰალაფში (ლერმონტო-
ვის მიხედვით ჰალაფში, ყველა დანარჩენ ვარიანტში — ალ-
პოში). განშორებისას აშული თავის სატრფოს აძლევს ოტორის
თასს, როცა დაბრუნების უამი დაჰკრავს, სატრფო ამ თასს
ჩალაგადარს მისცემს და სთხოვს მისი თხოვნა გადისცეს
იმას, ვინც თავს თასის პატრონად გამოაცხადებს. ჩალაგა-
დარი ალეპოში ხვდება ქერიბს. „აი, როგორ იმღეროდა ამ
შეხვედრის ამბავს თათრულ სიმღერაში“, ნათქვამია ზლაპარ-
ში. ჩანაწერში შემდეგ მოდის თურქული სიმღერის ტექსტი,
ქართული ასოებით ჩაწერილი, ამიტომაც ძნელად ამოსაკით-
ხავი. მაგრამ წაკითხული ტექსტი სავსებით ემთხვევა ლერ-
მონტოვის ტექსტს:

გუშინ ღამით, გუშინ ღამით,
ქალაქ ჰალაფში,
ღმერთმა მიბოძა ფრთები
და აქ მოვფრინდი.

დილის ნამაზი
ალვაელინე არზრუმში,
შუადღის ნამაზი
ყარსის ველზე,
ღამის ნამაზისთვის
თბილისში ვიყავი.*

„ქალაქ ჰალაფში, — ვკითხულობთ ლერმონტოვის ჩანაწე-
რებში, — მე მისირიის ღვინო მისვამს, მაგრამ ღმერთმა ფრთე-
ბი გამომასხა და აქ მოვფრინდი. დილის ნამაზი არსიანის
ველზე ალვაელინე, შუადღისა ქალაქ არზრუმში, სამხრის ნა-
მაზი ყარსში, ხოლო ვახშმის ნამაზი თბილისში ალვაელინე,
ალაჰმა მიბოძა ფრთები და აქ მოვფრინდი...“.

ეს სიმღერები, რომლებიც შექრილია ქართული ვარიან-
ტის ტექსტში, გაცილებით ახლოა ლერმონტოვის ჩანაწერ-
თან, ვინემ შემახიის ვარიანტის სიმღერები. ძალიან ახლოა ლერ-
მონტოვის ზლაპართან ხადრილიაზის შეხვედრის ეპიზოდი, მისი
მერნის ქენება და ყარიბის დის საუბარი ბრმა დედასთან. ზლა-
პარი ისევ თავდება, როგორც ლერმონტოვისეულ ტექსტში.

* „აშულ-ყარიბის“ ტექსტის ქართული ვარიანტი მომწოდა ელენე
ვირსალაძემ.

„ნუ შეწყვეტთ ქორილს, — ამბობს ყარბი, — მე მივცემ შაჰ-ვალათს ჩემს დის ცოლად“. „და მართლაც, — მთავრდება თხრობა, — შაჰ-ვალათმა შეირთო ყარბის და, ხოლო ყარბმა თავისი სატრფო შაჰ-სანაში“.

მუსლიმანური გადმოცემით წინასწარმეტყველ ხიდრას სულმა გადაინაცვლა წინასწარმეტყველ ილიას სულში. ამიტომ მუსლიმანთათვის ეს ორი წინასწარმეტყველი ერთი და იგივეა. მიუხედავად ამისა, ლერმონტოვი იძლევა განმარტებას, რომ ხადერილიაში „წმიდა გიორგია“. ამასთანავე უკვე გამოკვეთულია, რომ ხადერილიაზისა და წმიდა გიორგის სახელთა აღრევა ხშირია, მაგრამ არა აზერბაიჯანულ, არამედ სომხურ და ქართულ ფოლკლორში.* იმ ქართულ ვარიანტში, რომელიც ჩაწერილია ახალციხის მახლობლად, საესებით გამოვრებულია ის, რაც ლერმონტოვთან არის. უცნობი ჰაბუკის შესახებ ნათქვამია, რომ იგი არის „ხიდირი ელი ანუ წმიდა გიორგი“.

ამრიგად, საესებით ნათელია, რომ ლერმონტოვმა ჩაიწერა აშიკ-ქერიბის ზღაპრის ის ვარიანტი, რომელშიაც საგრძნობლად ასახულია არა მარტო სომხური, არამედ ქართული ფოლკლორის ელემენტები.

ისტორიული პირობების გამო, ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ფოლკლორში ფრიად მნიშვნელოვანია მსგავსი ელემენტები, მაგრამ ყველაზე ხშირად ეს საერთო ელემენტები გვხვდება თბილისში — იქ, სადაც ძველი დროიდანვე ქართულთან ერთად ძალზე გავრცელებული იყო სომხური და აზერბაიჯანული ენა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ლერმონტოვმა ეს ზღაპარი გაიგონა თბილისში. ჩვენ ახლაც არავითარი ეჭვი არ გვეპარება, რომ ლერმონტოვს ზღაპარი ჩააწერიან აზერბაიჯანელმა. გავიხსენოთ, რომ თურქულად აშიკისათვის უნდა შეერქმიათ არა ქერიბი, არამედ ღარიბი. კურ-

* В. А. Мануйлов. М. Ю. Лермонтов и его записи сказки „Ашик-Кериб“, стр. 28.

Н. Ф. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. СПб, 1871, т. I, кн. 2-я, стр. 25. შეად.: И. Эпиколопов. К сказке „Ашик-Кериб“, стр. 16.

10. ი. ანდრონიკაშვილი

შუღ-ბეგსაც უნდა რქმეოდა კურშუდ-ბეი. ზღაპარში არ იქნებოდა აზერბაიჯანული სიტყვები.

ამასთანავე ლერმონტოვის შესახებ უკანასკნელად დაწერილ გამოკვლევათა ავტორები, ეყრდნობიან რა იმას, რომ აშიკ-ორუჯას ვერსია ჩაწერილი იქნა შემახიაში, ფიქრობენ: პოეტმა შემახიაში გაიგონა აშიკ-ქერიბის ზღაპარი და იმავე აშიკის სიტყვების მიხედვით ჩაიწერა იგი. „სწორედ აქ, შემახიაში ან მის მიდამოებში, გაიგონა პოეტმა და შემდეგში გადაამუშავა შესანიშნავი ზღაპარი, გაიგონა მოხეტიალე მომღერლის—აშულისაგან“,—სავსებით საფუძველს მოკლებული დამაჯერებლობით აცხადებს ამას წინათ გამოქვეყნებული წიგნაკის ავტორი პოპოვი.*

მართალია, 1837 წელს ლერმონტოვი იყო შემახიაში, მაგრამ პოპოვს მაინც ნაჩქარევი დასკვნები გამოაქვს. ლერმონტოვს არ შეეძლო ჩაეწერა აშულის სიტყვები, მან არ იცოდა აზერბაიჯანული ენა. ამრიგად, მას ზღაპარი მოუსმენია არა „დესტანის“ ფორმაში, სადაც თხრობა და სიმღერა ურთიერთშორის მონაცვლეობს, არამედ მოუსმენია მისი შინაარსი პროზად რუსულ ენაზე. უმიზეზოდ როდი გადმოგვცა ლერმონტოვმა ზღაპარი პროზის სახით. რომ ლერმონტოვს ჰქონოდა ზღაპრის სრული ჩანაწერი ლექსებითურთ, საფიქრებელია, თარგმანშიაც სიმღერებს ლექსად გადმოიტანდა. თვით „ბელაშიაც“ კი, სადაც თხრობა ვითარდება მაქსიმ მაქსიმინის პირით, პოეტმა კაზბიჩის სიმღერა გალექსილი გადმოიტანა და თან დაუმატა, რომ მისთვის „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია“. „ვადიმში“ მღერის პუგაჩოვის კაზაკი, სელიმიც „იზმაილ-ბეიში“ და ქალიშვილიც „ლტოლვილში“, მღერიან გუსლიარები „სიმღერაში მეფე ივან ვასილევჩიზე...“, მღერის თევზიც კი, როცა მწირს უნანაებს, ხოლო მომღერალთა მომღერლის ზღაპარში არ არის სიმღერები. მისი სიმღერები პროზითაა გადმოტანილი. ამიტომ უეჭველია, რომ მოხეტიალე აშიკ-ქერიბის ისტორია ლერმონტოვს მო-

* А. Попов. М. Ю. Лермонтов в первой ссылке. Ставрополь, 1949, стр. 73.

უსმენია არა აშიკთა შესრულებით და არც მათი ტექსტის თარგმანი, არამედ მხოლოდ შინაარსი.

მართალია, არის ცნობები იმის შესახებ, რომ შემახიაში ნიჟეგოროდის დრაგუნები აზერბაიჯანელი ბეგებისა და ალა-ლარების სტუმართმოყვარეობით სარგებლობდნენ, ესენი ხომ მათი თანამებრძოლნი იყვნენ რუსეთ-თურქეთის ომში.* ცხადია, მათ შეეძლოთ პოეტისათვის ეამზნათ პოპულარული ხალხური ზღაპარი. მაგრამ ჩვენ სწორედ ის დავამტკიცეთ, რომ ლერმონტოვისეული ტრანსკრიფცია საგრძნობლად სხვაობს აზერბაიჯანში გავრცელებულ ყველა სხვა ვარიანტთან, მათ შორის შემახიის ვარიანტისაგან, და უფრო ახლოა ქართულ და სომხურ ვერსიასთან. ამიტომაც მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლერმონტოვს ეს ზღაპარი ჩაუწერია თბილისში, არა თუ არ შესუსტდა, არამედ, პირიქით, ახალი მოსაზრებებით განმტკიცდა კიდევ.

მაგრამ ვინემ იმას გავარკვევდეთ, თუ ვინ უამბო პოეტს ეს ზღაპარი, საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ სიზუსტის იმ მცირე დარღვევაზე, რაც ლერმონტოვის ავტოგრაფში გაიპარა.

ლერმონტოვისეულ ზღაპარში რაყიფს, როგორც ცნობილია, კურშუდ-ბეგი ჰქვია. მაგრამ სულ მთლად ბოლოს, როცა აღწერილია აშიკ-ქერიბის გამოჩენა მაგულ-მეგერის ქორწილში, ლერმონტოვს მცირე შეცდომა მოსვლია.

„სალამ ალეიქუმ, — ამბობს აშიკ-ქერიბი ქორწილში შესვლისას, — თქვენ აქ მზიარულობთ და ღრეობთ. ნება მომეცით მეც, მოხეტიალეს, თქვენთან დავჯდე, ამის სამაგიეროდ სიმღერებს გიმღერთ“.

„რატომაც არა, — თქვა შაჰ-ვალათმა (ქეიფის უფროსმა)... — დაუწერია ლერმონტოვს, მერე თვითონვე შეუმჩნევია შეცდომა და გაუსწორებია: „რატომაც არა, — თქვა კურშუდ-ბეგმა“.**

ახლა ეს მეორე სახელი საიდანღა გაჩნდა? შაჰ-ვალათი

* В. Потто. История 44-го драгунского Нижегородского полка. СПб., т. IV, 1895, стр. 77.

** Лермонтов, т. V, стр. 182 и 458. შეად. ჩვენი სტატია „Лермонтов в Грузии“. „Красная новь“, 1939, № 10-11, стр. 254.

ხომ იგივე შაჰ-ველედია, რომელიც ზღაპრის ყველა სხვა ვარიანტში იხსენიება. როგორ მოხვდა ეს სახელი ლერმონტოვის ავტოგრაფში? იქნებ ლერმონტოვმა იცოდა ზღაპრის სხვადასხვა ვარიანტი. როგორც ვარაუდობს მანუილოვი.*

არა, ასეთი დასკვნისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. უფრო მეტიც, ეს მოსაზრება სავსებით დაუჯერებელია. აზერბაიჯანული ზღაპრის სხვადასხვა ვარიანტის შესწავლა და შეჯერება ლერმონტოვს არ შეეძლო თუნდაც იმიტომ, რომ ამისათვის საჭირო იყო აზერბაიჯანული ენის ცოდნა.

ამიტომ ლერმონტოვის ხელნაწერის „შაჰ-ვალათი“ არის არა ლერმონტოვის, არამედ მთხრობელის შეცდომა. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ნებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ლერმონტოვმა ზღაპარი მოისმინა არა პროფესიონალი შემსრულებელისაგან, არამედ ვინმე განსწავლული აზერბაიჯანელი-საგან, რომელმაც იცოდა ზღაპრის რამდენიმე ვარიანტი. მაგრამ ვისგან შეეძლო ლერმონტოვს მოესმინა აზერბაიჯანული ზღაპარი მოხეტიალე მომღერლის შესახებ? ვცადოთ ამის გარკვევა.

თათრული ენის მასწავლებელი

თბილისში ლერმონტოვი მხოლოდ ქართველებს როდი ხვდებოდა, ქვეყანადის სახლით როდი იზღუდებოდა მისი ინტერესი ახალი ქვეყნისადმი. „დავიწყე თათრული ენის სწავლა, ენა, რომელიც აქ და საერთოდ აზიაში ისევე აუცილებელია, როგორც ფრანგული ევროპაში, — წერდა იგი რაევსკის, — სამწუხაროდ, ვერ მოვასწრებ, მომავალში კი გამომადგებოდა“.

ჩანს, ლერმონტოვი თბილისში ხვდებოდა აქ მცხოვრებ აზერბაიჯანელებს და ერთ-ერთ მათგანთან სწავლობდა აზერბაიჯანულს.

* В. А. Мануйлов. М. Ю. Лермонтов и его запись сказки „Ашик-Кериб“, стр. 27.

ამრიგად, ლერმონტოვს ჰყავდა მასწავლებელი. მაგრამ მასწავლებელს რომ პოეტისათვის აზერბაიჯანელი ესწავლებინა, მას ღელა ენასთან ერთად კარგად უნდა სცოდნოდა რუსულიც. იმხანად რუსული ენა განათლებული აზერბაიჯანელების ძალიან მცირე ნაწილში იცოდა, მხოლოდ ამ ნიშნის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ლერმონტოვის მასწავლებელი განათლებული კაცი იყო. იმხანად თბილისში ძალიან ცოტა იყო განათლებული აზერბაიჯანელი. ზევნიცი, რომ ლერმონტოვი თბილისში ხვდებოდა სწავლულ თათარ ალის. სწავლული აზერბაიჯანელები, რომლებსაც ალი ერქვათ, თბილისში კიდევ უფრო ცოტანი იყვნენ. 1837 წელს ბესტუფე-მარლინსკი, რომელიც თბილისში ცხოვრობდა შტაბს-როტმისტრ პოტოცკისთან, აზერბაიჯანულსა და სპარსულს სწავლობდა ფრიად განათლებული აზერბაიჯანელისაგან. მის მასწავლებელსაც ალი ერქვა: მირზა ფეტ ალი ანუ უბრალოდ მირზა ალი. ეს იყო შესანიშნავი აზერბაიჯანელი პოეტი მირზა ფატალი ახუნდოვი (1812—1878 წ. წ.), რომელიც იმ დროს ის იყო იწყებდა თავის ლიტერატურულ მოღვაწეობას. შეიძლება დავინტერესდეთ, რატომ დაანაწევრა ლერმონტოვმა მისი სახელი და რატომ გამოყო „ალი“? მაგრამ თვითონ ახუნდოვიც რუსულად ასე აწერდა თავის სახელს. დაცულია მისი ავტოგრაფი რუსულ ენაზე, სადაც ასეთი ხელრთვაა „მირზა ფეტ ალი ახუნდოვი“.*

„არაბული, სპარსული, თურქული და თათრული ენის კარგი მცოდნე“ (ასეა ნათქვამი მის სამსახურის ფორმულარში). მირზა ფეტ ალი 1834 წლიდან ცხოვრობდა თბილისში და მსახურობდა აღმოსავლური ენების თარჯიმნად მთავარმმართველის ბარონ როზენის კანცელარიაში.**

პირველი ლექსი, რომელმაც ახუნდოვს სახელი გაუთქვა

* მირზა ფატალი ახუნდოვის ავტოგრაფი არის იმ წიგნზე, რომელიც მან აჩუქა ი. პ. ბოლონსკის. აღდგენილია წიგნში: Микаэл Рафили. Мирза Фатали Ахундов. Баку, издательство „Азернешр“, 1969, стр. 96-97. შეად.: სახელის დაწერილობა გ. მინაზოვის სტატიაში „Мирза Али Ахундов“. „Тифлисский листок“, 1903, № 249.

** А. П. Берже. Восточная поэма на смерть А. С. Пушкина. „Русская старина“, 1874, № 9, стр. 76.

კავკასიის საზღვრებს იჭით, მან 1837 წელს დაწერა. პუშკინის დაღუპვის ცნობამ შთააგონა პოეტს დაეწერა დიდი გლეგიური პოემა. პოეტმა საკუთარი ნაწარმოების ბწყარვდი თარგმანი გააკეთა და გაუგზავნა „Московский наблюдатель“-ის რედაქციას. პოემა გამოქვეყნდა ჟურნალის აპრილის ნომერში. „ყოველი წარმატება გვისურვებია შესანიშნავი ტალანტისათვის, — ნათქვამი იყო სარედაქციო შენიშვნებში, — მითუმეტეს, რომ მასში ვხედავთ რუსული განსწავლულობის თანამგრძნობსა“.*

მართლაც, აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე ახუნდოვი ჩინებულად იცნობდა რუსულ ლიტერატურასაც. მის პოემაში გვხვდება ლომონოსოვის, დერეჟავინის და კარამზინის — „პოეტთა საკრებულოს მეთაურის“ — პუშკინის წინამორბედთა სახელები. მთლიანად პოემა წარმოადგენს დიდებულ ნაწარმოებს, რომელიც ლერმონტოვის ლექსის შემდეგ სამართლიანადაა მიჩნეული პუშკინის სიკვდილის ყველაზე მნიშვნელოვან პოეტურ გამოხმაურებად თანამედროვეების კალამის ნაწარმოებთა შორის.

ამ ქვეყნისა აღარა ზარ? არაფერი შევიტყვია?

პოეზიის თავი არ გვყავს, გულს ახალეს ცხელი ტყვია.

ვინ არ იცნობს პუშკინს, პუშკინს ვინ არ აქებს, არ ადიდებს,
მოლილედივე მისი ლექსი მოფენილა კიდით-კიდეს.

თვით ჭაღალდსაც უზაროდა დაეკარგა სპეტაკობა,
ოღონდ პუშკინს აღებგუდა ზედ თავისი სიტყვის წყობა.

მისი სიტყვის ცისარტყელა ევლებოდა მთებს და სერებს,
ფარშავანგის ბოლოსავით გამოსცემდა ნაირ ფერებს.

ლომონოსოვს უთბრეს: შენ ზარ სადარბაზოდ ლექსთა ბაში!
პუშკინი კი საბოლოოდ მტკიცედ დარბა ამ დარბაზში.

დერეჟავინმა პოეზიის სასახლეში ჰპოვა ბინა,
მაგრამ ყველას პირველობა კვლავ პუშკინმა აგრძნობინა.

კარამზინმა ცოდნის ლეინით ამოავსო მზის სასმისი,
პუშკინმა კი მთლად ძირამდე გამოსცალა ჭიჭა მისი...

* М. Рафили. Пушкин и Мирза Фатали Ахундов. „Пушкин“. Временник Пушкинской комиссии. М.—Л., изд. Академии Наук СССР, 1936, II, стр. 248—250.

აბლა მითბარ, ის მშობელი ჩაითვლება კაცურ-კაცად,
ვინც გასწირა გუნდისი ასე უღუთოდ, ასე მკაცრად?

გმინავს მიწა რუსეთისა, ჰგოდებს ხმითა დამდაღველით:
— ჯალათების წმინდა მსხვერპლო, შენ დაეცი მტრების ხელით!

შენ დასტოვე მეგობრები, გაემგზავრე სადღაც შორეთს,
დაე, ზეცამ გიმეგობროს, შეეყარო სულის სწორებს.

ბაღმისარის სადრევანი შენი ვარდის ნექტრის ნობას
გაზაფხულის სიოთ გაფრქვევს უკვდავ ნეტის შესამკობად.

და ჰალარა კავკასია, კრძალვითა და მოწიწებით,
მწირ საბუხის ლექსით გლოვობს შენს უდროოდ დამიწებას*.

საბუხი ახუნდოვის ლიტერატურული ფსევდონიმი.

გარდა ამ ბწყარედი თარგმანისა, რომელიც ახუნდოვა
„Московский наблюдатель“-ის რედაქციაში გაგზავნა, არ-
სებობს პოემის მეორე თარგმანი. ეს თარგმანი შესრულებუ-
ლია ბესტუშევი-მარლინსკის მიერ პოეტის დახმარებით. ბეს-
ტუშევი ფრიად სერიოზულად ეკიდებოდა ახუნდოვის გაკვე-
თილებს. მისი აზრით, მწერალმა უნდა შეისწავლოს „ამიერ-
კავკასიის მხარის თათრული ენა“, რომლის მეოხებით ისევე,
როგორც ევროპაში ფრანგულის მეოხებით, აზიის ერთი კი-
დიდან მეორე კიდეში გავა კაცი.**

ეს წინადადება საოცრად ჰგავს იმას, რასაც „თათრული
ენის“ შესახებ წერდა ლერმონტოვი („ენა, რომელიც აქ და,
საერთოდ, აზიაში ისევე აუცილებელია, როგორც ფრანგული
ევროპაში“). საეჭვოა, რომ აქ შემთხვევითს დამთხვევასთან
გვექონდეს საქმე.

ბუნებრივი იქნება ვივარაუდოთ, რომ მარლინსკის ეს
წინადადება ლერმონტოვმა გაიგონა თბილისში სწავლულ
თათარ ალისაგან.

მარტო ბესტუშევი როდი სწავლობდა მირზა ფეტ ალი
ახუნდოვთან. იაკობ პეტრეს-ძე პოლონსკიც, რომელიც თბი-
ლისში დასახლდა 1846 წელს, მალე გაეცნო ახუნდოვს და
აზერბაიჯანული ფოლკლორის შესწავლა დაიწყო. იგი იწერდა

* თარგმანი ი. გრიშაშვილისა.

** А. Б(естужев). Красное покрывало. „Тифлисские ведомости“,
1831, № 6 и 7, стр. 45.

ხალხურ სიმღერებს, ანდაზებს, თქმებს, ცალკეულ გამოთქმებსა და სიტყვებს. პოლონსკის არქივში დაცულია ბწყარედი თარგმანებიც და აზერბაიჯანული ტექსტები, ჩაწერილი რუსული ასოებით და არაბული ტრანსკრიფციით. აზერბაიჯანული ლიტერატურისმცოდნის მ. რაფილის აზრით, პოლონსკის მუშაობაში შველოდა მირზა ფატალი ახუნდოვი.*

აი, რატომ ვფიქრობთ, რომ მირზა ფატალი ახუნდოვი იყო ლერმონტოვის აზერბაიჯანულის მასწავლებელი, რომ სწორედ ახუნდოვი იყო ის პიროვნება, რომლის მეშვეობით ლერმონტოვმა ჩაიწერა აშიკ-ქერიბის ზღაპარი.

პუშკინის მკვლევლობის ცნობამ თბილისში უდიდესი მღელვარება და რისხვა გამოიწვია. „როცა მე წავუკითხე შენი წერილი მამუკა ორბელიანოვს, — წერდა ბესტუჟევ-მარლინსკი ძმას, — მას წყევლა-კრულვა აღმოხდა. „მოვკლავ იმ დანტესს, თუკი როდისმე ვნახავო“, — თქვა მან. მე, — წერს ბესტუჟევი, — შევნიშნე, რომ რუსეთში საკმაოდ იქნება თვით რუსები, რომლებიც შურს იძიებენ ფასდაუდებელი სისხლისათვის“.**

მამუკა ორბელიანმა, „ფიცხმა, მამაცმა და კეთილშობილმა ადამიანმა“, — როგორსაც მას წარმოგვიდგენს თანამედროვე, — ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ალექსანდრე ჰავკავაძის მეგობარმა და ნათესავმა, გამოთქვა ის, რასაც ამბობდა და ფიქრობდა კავკასიის ყველა მოწინავე ადამიანი. ამიტომაც შეუძლებელი იყო ლერმონტოვის თბილისში ჩამოსვლა არ შემეჩნიათ, მით უმეტეს, რომ 1837 წელს აქ სულ 25000 მცხოვრები იყო. ქალაქი დღევანდელ რაიონულ ცენტრს არ აღემატებოდა.*** მთელი თბილისი იცნობდა ყველა გამორჩეულ პირთა და ყოველი ჩამოსული ყურადღების საგანი ხდებოდა ხოლმე. როგორღა შეეძლო პოეტს, პუშკინის სიკვდილზე და-

* Микаэль Рафили. Мирза Фатали Ахундов. Баку, изд. „Азер-непр“, 1939, стр. 101—103.

** Письмо А. А. Бестужева к брату П. А. Бестужеву. „Отечественные записки“, 1860, VII, стр. 71-72.

*** Акад. С. Джанашиа. Тбилиси. Краткий исторический очерк. ნაბ. წიგნი: „1500 лет Тбилиси“. Тбилиси, изд. „Заря Востока“, 1946, стр. 28.

წერილი ლექსების გამო გადასახლებულს, ამ ქალაქში არ შეხვედროდა მეორე ახალგაზრდა პოეტს, რომელიც იმავე მოვლენას შესანიშნავი სტრიქონებით გამოეხმაურა.

ჩვენთვის ნათელია, რომ მათ ერთმანეთი გაიცნეს, რომ დიდმა რუსმა პოეტმა ლერმონტოვმა და დიდმა აზერბაიჯანელმა განმანათლებელმა ახუნდოვმა ერთმანეთს ხელი გაუწოდეს და პირველთაგან ჩაუყარეს საფუძველი ამ ორი ხალხის მეგობრობასა და კულტურულ კავშირს.

ამას ადასტურებს ლერმონტოვის ჩანაწერი, რომელშიაც მოხსენებულია „სწავლული თათარი აღი“.

სწავლული თათარი აღი

მკვლევარი ი. კ. ენიკოლოპოვი თავის წიგნში „ლერმონტოვი კავკასიაში“ იძლევა ლერმონტოვის მიერ მოხსენებულ სახელთა სულ სხვა ახსნას.

„იმ დროს, — წერს ენიკოლოპოვი, — თბილისის მუსლიმანურ მოსახლეობაში ყველაზე განათლებული კაცი იყო მაჰმედ-აღი — თბილისელი ახუნდი, სალიანის მკვიდრი. მას ჰყავდა ძმისწული აჰმედი, რომელმაც 1852 წელს ბიძის თანამდებობა დაიკავა... თბილისის გაზეთ „Закавказский вестник“-ში ჩვენ ვხვდებით მაჰმედ-აღის ცნობებს: „ბრძენი დედოფალი, აღმოსავლური ზღაპარი“, „ყაზისა და სწავლული ქურდის შეხვედრა“ და სხვა მრავალი“.*

სამწუხაროდ, ეს ყურადსაღები ცნობები ვერ დასტურდება. ენიკოლოპოვის წიგნის არც ერთ სენსაციურ ცნობას (ასეთი ცნობები კი მრავლადაა) არ ახლავს სათანადო მითითება რომელიმე წყაროზე. ამიტომაც მისი აღმოჩენა უნებლიეთ გაკვირვებას იწვევს, ნიშნავს თუ არა — „იმ დროს“ — „1837 წელს“? საიდანა აქვს აღებული ენიკოლოპოვს თავისი ცნობები მაჰმედ-აღიზე და აჰმედზე? სადაა საბუთი იმისა,

* И. Эниколов. Лермонтов на Кавказе. Тбилиси, изд. „Заря Востока“, 1940, стр. 30—31.

რომ ორივე ზემოხსენებული პირი იმ დროს თბილისში იყო? რამდენად სარწმუნოა ის, რომ თბილისში მცხოვრებ მუსლიმანთა შორის ყველაზე განათლებული იმ დროს იყო მაჰმედ-ალი მაშინ, როცა არავის ეეჭვება, რომ შირვა ფატილი ახუნდოვი ეკუთვნოდა თავისი დროის უგანათლებლეს ადამიანებს.

თუმცა ენიკოლოპოვი არ ასახელებს იმ გაზეთის არც წელსა და არც ნომერს, საიდანაც ეს ფაქტები აიღო. პოეტ-დავად ამისა, ჩვენთვის ცნობილია, რომ ენიკოლოპოვის მიერ დასახელებულ ზღაპართა ავტორი არის შირვა-მაჰმედ-ალი საფიევი — გაზეთ „Закавказский вестник“-ის ფელეტონისტი. ამასთანავე მისი ზღაპრები სულაც არ იბეჭდებოდა „იმ დროს“, როცა ლერმონტოვი თბილისში იყო, არც 1830-იან წლებში, არამედ გაცილებით გვიან — 1853-55 წლებში.*

რაც შეეხება თბილისელ ახუნდს, ეს სულ სხვა პიროვნებაა — მოლა მაჰმად-ალი-ახუნდი ქალბალაი-ჰუსეინ-ოღლი. ენიკოლოპოვი ამ შემთხვევაში არ ასახელებს წყაროს, მაგრამ გვაცნობა, რომ ხელთ აქვს საქმე, რომელსაც ეწოდება „შეიხ-ულ-ისლამის არჩევისათვის, ნაცვლად ამ პატივიდან გადამდგარი მამად-ალისა“. საქმე მიეკუთვნება 1846—1852 წლებს.** დოკუმენტებიდან ჩანს, რომ თბილისელ ახუნდს მამად-ალის, რომელსაც 25 წელი უტარებია ეს პატივი და ღრმა მოხუცებულობას მიუღწევია, გადადგომა მოუსურვებია.

* Мирза Мамед-Али Сафиев. 1. „Мудрая царевна“. Восточная сказка. Фельетон. „Закавказский вестник“ (შემდგომი — „ЗКВ“). 1853, № 38, 2. „Встреча вазии с ученым вором“. „ЗКВ“ 1853, № 44, 3. „Мечеть Баба-Самеда“. Фельетон. „ЗКВ“ 1853, № 19, 4. „Нетто о шахе Гюджаке“. „ЗКВ“, 1853, № 28, 5. „Предрасудок“. „ЗКВ“. 1853, № 10, 6. „Мусульманская свадьба в Ленкорани“. „ЗКВ“, 1854, № 12, 7. „Исповедь пилигримки“. Восточное сказание. „ЗКВ“, 1854, № 10, 8. „Щедрый ниогинто“. „ЗКВ“. 1854. № 31, 9. „Восточные любовники“. „ЗКВ“. 1855. № 19 და ა. შ.

** „Дело об избрании шейх-уль-ислама на место уволенного в отставку от этой должности Мамада Али“. ЦГИА Грузинской ССР, фонд № 120, опись 5, № 61. „Дело о представленной Тифлисским ахундом алиевой секты Мамад Али книге Шарната под названием Шар-ауль-ислам“. Там-же, фонд № 120, опись 8, № 117.

თხოვნაში
ნაში — სალ
დაენიშნათ
მელსაც ი
ეკავა.

ქარვა
ტიკური
მადიანთა
ნამდებობ
იგი არ

როგო
იყო სალ
იქაური
წავლებლ
ანში დ

ენიკოლ
არავით
ლისში
რაც შ

ერთი
იცოდ
მეში,
დინა

მონტ
არ ?
ლებ
მასწ

ზლა
რო
ლე
და
ღვ
რე
დ
ჩა

თავისი იგი წერდა, რომ განუზრახავს მშობლიურ ქვეყ-
ანაში — სალიანში დაბრუნება. შეამდგომლობდა მის ადგილზე
დანიშნულ დისწული — ახუნდ მოლა აქმედ ჰუსეინოვი, რომ-
ელიც იმჟამად სალიანის მთავარი ყადის თანამდებობა
კავდა.

კარგა ხანი გაჰიანურდა აქმედის პიროვნებისა და პოლი-
ტიკური ორიენტაციის გამოკვლევა. აქმედს თბილისელ მაქ-
სიმდიანთაგან არავინ იცნობდა. მოლა მაქსიმად ალი თავის თა-
მამდებობაზე რჩებოდა, ვინემ 1852 წელს ბოლოს და ბოლოს
კი არ შესცვალა ზემოდასახელებულმა მოლა აქმედმა.

როგორც ნათქვამია ერთ დოკუმენტში, ახუნდი აქმადი
ყო სალიანის უბნის მთავარი ყადი „ძველთა დროთაგან“,
ქართი შაროს სასამართლოს წევრი და მაქსიმდიანური სას-
ჯუნების ზედამხედველი. ამრიგად, იგი ცხოვრობდა სალი-
ანში და არა თბილისში. ისე, რომ მისი სახელის მოხსენება
ენიკოლოპოვის წიგნში სრულებით არაფერს არ ხსნის.
რავითარი ცნობა არა გვაქვს, რომ 1837 წელს იგი თბი-
ლისში იყო და პოეტის ნაცნობების წრეს ეკუთვნოდა. ბოლო
აქც შეეხება მაჰმად ალის, ლერმონტოვთან მის ნაცნობობას
რთი არცთუ უმნიშვნელო გარემოება ელოდება წინ. მან არ
ცოდა რუსული ენა. მისი თხოვნა, დაცული საარქივო საჭ-
ეში, უთარგმნია სწორედ მირზა ფატალი ახუნდოვს. გამომ-
ინარე აქედან, მაჰმად ალის არ შეეძლო დახმარებოდა ლერ-
მონტოვს აზერბაიჯანული ზღაპრის რუსულად თარგმანში,
რ შეეძლო მიეცა მისთვის აზერბაიჯანული ენის გაცნობი-
ერები და, საერთოდ, ძნელი დასაშვებია, რომ ლერმონტოვის
სწავლებელი იყო სასულიერო პირი, რომ სასიყვარულო
დაპარი თბილისელმა ახუნდმა უამბო მას. ენიკოლოპოვი,
როგორც ჩანს, იმასაც კი არ ჩაუფიქრებია, თუ რატომ უწოდა
ლერმონტოვმა მუსლიმანურ სასულიერო პირს „სწავლული“
და არა ახუნდი. ენიკოლოპოვის ვერსიის მიხედვით, მეორე
ეთისმსახური აქმედი — ლერმონტოვის ჩანაწერში მოხსენიებული
ის როლს ასრულებს („ჩვენ ვეუბნებით აქმედს გაიგოს...“
და ა. შ.). აქმედი სახლის გარშემო დადის და იგებს, რომ
ამოვიდა საიდუმლოებით მოცული ქართველი ქალის ქმარი.

ამიტომ ჩვენსავე აზრს ვიცავთ: „სწავლული თათარი ალა-
არის დიდი დემოკრატი, აზერბაიჯანელი განმანათლებელი
მირზა ფატალი ახუნდოვი.

საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილება

1923 წელს პარიზში მცხოვრებმა ვ. ნ. არლუთინსკ-
დოლგორუკოვმა ხელოვნებათმცოდნის ს. ნ. ტრონიცკის საშუ-
ალებით სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის პუშკინის
სახლს გადასცა მისთვის კუთვნილი ლერმონტოვის ნახატები
„ნანგრევები მდინარე არაგვის ნაპირზე“ და „ლეკური“.
1918 წლამდე ნ. ვ. არლუთინსკ-დოლგორუკოვი პეტროგრად-
ში ცხოვრობდა და დედაქალაქის ცნობილ კოლექციონერთა
რიცხვს ეკუთვნოდა. სხვათა შორის იმ დროისათვის ეს ფაქ-
ტები ვერაფერს ეტყოდა ლერმონტოვის მკვლევარებს.

1950 წელს საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ არ-
ქივში ვმუშაობდი. ვიმედოვნობდი აღმოჩენილი მასალები
იმის შესახებ. თუ როდის შეერქვა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას
ლერმონტოვის სახელი. ამ მიზნით თბილისის საქალაქო საბ-
ჭოს საქმეთა და ოქმთა აღწერილობას ვათვალიერებდი და
იქ ზოგიერთ უცნობ მონაცემს წავაწყდი.

აღმოჩნდა, რომ 1891 წელს თბილისის ქალაქის საბჭომ,
რომელსაც ლერმონტოვის გარდაცვალების 50 წლისთავის
აღნიშვნა განეზრახა, საბჭოს მდივანს დაავალა: „გაეგო შტა-
ბის არქივში და ეკითხა ძველი მცხოვრებლებისათვის და გა-
მოერკვია, რომელ ქუჩაზე ცხოვრობდა პოეტი ლერმონტოვი
და, თუ შესაძლებელია, სახლი, სადაც იგი ცხოვრობდა.“*

რვა წლის შემდეგ, 1898 წელს, საქალაქო საბჭოს ქუ-
ჩების სახელების გადარქმევის აღმასრულებელი კომისიის
წევრი, ვინმე ნ. ზ. თუმანოვი ამ კომისიის თავმჯდომარეს მო-
ახსენებდა: „მრავალნი იყვნენ დაინტერესებული იმის გამო-
კვევით, თუ სახელდობრ რომელ სახლში ცხოვრობდა პოეტი

* ЦГИА Грузинской ССР, ф. 192, опись 5/1898, л. 35-36.

ლერმონტოვი“, და რომ „შეგროვებული ცნობები მოწმობს, რომ ლერმონტოვი ცხოვრობდა თავის ნათესაერთან სადოვიაის ქუჩის მეოთხე უბანში... უფრო ზუსტი ცნობები პოეტის საცხოვრებელი ადგილის შესახებ სადოვიაის ქუჩაზე, — აბოლოვებდა თავის მოხსენებას თუმანოვი, — აქვს ხმოსანთაჲდს ნიკ. ვას.-ძე არლუთინსკ-დოლგორუკოვს“. ამის საფუძველზე მოხსენების შემდგენელი თხოულობდა გადაედოთ სადოვიაის ქუჩისათვის ბებუთოვის ქუჩის შერქმევა, სანამ გაერკვეოდნენ იმ მასალებში, რომლებიც არლუთინსკ-დოლგორუკოვის განკარგულებაში იყო.*

მაგრამ კომისიამ იმის გამო, რომ სადოვიაის ქუჩა ბებუთოვის ქუჩის გაგრძელებას წარმოადგენდა (ასე ერქვა ახლანდელ ენგელსის ქუჩის ქვემო ნაწილს, ვინემ ილია ჭავჭავაძის ქუჩის კუთხემდე), რვა წლის უმოკმედობის შემდეგ აღარ დააყოვნა და სადოვიაის ქუჩის სახლებს ახალი ნომრები მიაკრა და თან ფირფიტა წარწერით „ბებუთოვსკაია“, ხოლო ორი წლის შემდეგ ლერმონტოვის სახელი უწოდეს ნაგორნაიას, რომელიც ისტორიულად არ იყო დაკავშირებული პოეტის სახელთან.

როგორი „დაწვრილებითი ცნობები“ ჰქონდა არლუთინსკ-დოლგორუკოვს ლერმონტოვის ცხოვრების შესახებ სადოვიაის ქუჩაზე — ჩვენ არ ვიცით. საქმეები თბილისის ქუჩების სახელების ხელახლა შერქმევის შესახებ არაა დაცული: ქალაქის საბჭოს ოქმების მინაწერებიდან და ძველი სიებიდან ჩანს, რომ ყველა მასალა, რომლის შესახებ წერდა თუმანოვი, არლუთინსკ-დოლგორუკოვის ხელში დარჩა.

მაგრამ თბილისის საქალაქო საბჭოს ეს მინაწერი ახალმნიშვნელობას იძენს, თუ ერთ გარემოებას გავითვალისწინებთ: თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსანი ნიკ. ვას.-ძე არლუთინსკ-დოლგორუკოვი იყო მამა სწორედ იმ ვლ. ნიკ.-ძე არლუთინსკ-დოლგორუკოვისა, რომელმაც პარიზიდან პუშკინის სახლს გამოუგზავნა ლერმონტოვის ნახატები — ლექური ქართულ ბანიან სახლზე და არაგვის ნაპირის ნანგრევები. ამრიგად,

საბჭოს ხმოსანს ჰქონდა ნივთიერი საბუთი, რომელიც მისი ცნობების უქვეყნლობას ამტკიცებს.*

ვისგან შეედლო მიეღო ეს ცნობები?

ახლა ამის გამორკვევა შეუძლებელია. არლუთინსკი-მამა გარდაიცვალა 1907 წელს, არლუთინსკი-შვილი—1940 წ. მაგრამ ყველაზე უფრო საფიქრებელია, რომ ეს ცნობები მიღებული აქვთ ძველ მკვიდრთაგან. 70 წლის თბილისელებს 1890-იან წლებში შეედლოთ კარგად ხსოვდოდათ ლერმონტოვი. ეს ცნობები შეედლო მიეღო იმათგანაც, ვის სახლშიც ინახებოდა ლერმონტოვის ნახატები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ ადამიანთა წრეს, რომელსაც ხედებოდა ლერმონტოვი თბილისში, ეკუთვნოდა „პატარა თავადის ქალი არლუთინსკაია“, პოეტის მეგობარი მონგო სტოლიპინი რომ იგონებს წერილში. არაგვის ხეობისა და მოცეკვავე ქართველ ბანოვანთა ნახატი ლერმონტოვს შეედლო მისთვის ერუქებიანა. შესაძლოა ეს რელიქვიები დაცული ყოფილიყო არლუთინსკების ოჯახში, ყოველ შემთხვევაში თბილისის საქალაქო საბჭოს ცნობებს სრული ნდობით უნდა მოვეყიდოთ, მით უნეტეს, რომ ლაპარაკია სადოვაიას ქუჩის შესახებ, რომელიც, როგორც ვიცით, წარმოიშვა იქ, სადაც ცხოვრობდნენ ახვერდოვები. მართალია, 1837 წელს პრასკოვია ნიკოლაევნა ახვერდოვა პეტერბურგში იყო, მაგრამ თბილისში ქართველ გრენადერთა პოლკში მსახურობდა მისი გერი—პორუჩიკი ეგორ ახვერდოვი.** თბილისის ძველ მკვიდრთა თვალში თუნდაც არამკვიდრი დეიდის გერი მაინც ნათესავი იყო. ჩვენ ვიცით, რომ იმ დროს ოფიცრები კერძო სახლებში ცხოვრობდნენ. ამიტომ შეიძლება უცილობლად ვთქვათ, რომ ლერმონტოვი ახვერდოვთან დაბინავდა.

1831 წელს ახვერდოვების დიდი ქვის სახლი და მის გარშემო მდებარე ვრცელი ხეხილის ბაღი და ვენახი ლატარეაში გათა-

* ნ. ვ. და ვ. ნ. არლუთინსკების ნათესაობა და მათი სიკვდილის წლები ჩემ მიერ დადგენილია თბილისში სოფ. ვას. ასულ არლუთინსკაია-დოლგო-რუკოვას მეოხებით.

** „Грузинцы в Закавказье. Боевая летопись 14-го Гренадерского Грузинского генерала Котляревского полка“. Составил штабе-капитан Махлаюк. Тифлис, 1900. Приложение, стр. 21.

მამა და ვინმე მადამ კასტელას (გრიბოედოვის ნაცნობს) შეხვდა. აქ მან შემდეგში ქალთა პანსიონი მოაწყო. * 1840 წელს ეს პანსიონი ხაზინას გადაეცა. ** მაგრამ, გარდა სახლისა, ჩვენ ვიცით, რომ იყო ფლიგელიც, რომელიც წინათ კავკავაძიანთ ეჭირათ. აღნიშნულ კარ-მიდამოსთან იყო ერთ-სართულიანი სახლი და სხვა ნაგებობანი. — ვკითხულობთ „ახვერდოვის სახლისა და ბაღის ლატარეით გათამაშების“ საქმეში. — იქვე, — ნათქვამია ქვემოთ, — არის ცარიელი ადგილი, რომელიც ეკუთვნოდა მისი, ახვერდოვის, გემკვიდრებს, მაგრამ ლატარეით არ იყო გათამაშებული ისევე, როგორც ზემორე დასახელებული სახლი ***.

ეს ფლიგელი ისევ ეგორ ახვერდოვის საკუთრება იყო. იგი ამ დროს სრულწლოვანი გახდა და მსახურობდა ქართველ გრენადერთა პოლკში, რომელიც თბილისში იყო დაბანაკებული.

1833 წელს მისი სახელი შეტანილი იქნა იმ პირთა სიაში, რომლებიც მონაწილეობდნენ 1832 წლის შეთქმულებაში. დაკითხვებზე ახვერდოვს იმათ შორის ასახელებდნენ, რომელთა იმედიც ჰქონდათ აჯანყების შემთხვევაში. ძიებამ არ დაადასტურა ეს მოსაზრება და ეგორ ახვერდოვი კომისიამ დაუსჯელი დატოვა. მთელი ეს წლები იგი, როგორც შინაური, ისე სტუმრობდა წინანდალში და კავკავაძეების ოჯახში ისვენებდა. ****

ამრიგად, ლერმონტოვი სადოვიას ქუჩაზე ცხოვრობდა.

ახლა უნდა გამოვარკვიოთ, რა იყო მაშინ სადოვიას ქუჩა?

* „Тифлисские ведомости“, 1831, № 2 и 3, стр. 16, 24. Из записок Н. Н. Муравьева. „Русский архив“, 1894, 1, стр. 39.

** Я. П. И(оанн)овский. Статистический очерк г. Тифлиса. Без года издания, стр. 23.

*** „Дело о разыгрании в лотерею дома и сада, принадлежащего детям умершего генерал-майора Ахвердова“. На 305 листах. ЦГИА Грузинской ССР, ф. 2, опись 1, № 854, л. 42 об. ამაზე მიმითითა ი. კ. ენიკოლოპოვმა.

**** ЦГИА Грузинской ССР, фонд, ОВД, дело № 166, л. 61; дело № 167, л. л. 454—457.

უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ 1830-იან წლებში ეს ქუჩა ის-ის იყო იქმნებოდა. როგორც ნათქვამია 1831 წლის დოკუმენტში, განსვენებული გენერალ-მაიორის ახვრდოვის სახლი და ფლიგელი მდებარეობდა „ტფილისის მიდამოებში“ და მახლობლად არავითარი შენობა არ აკრავდა. 1850 წელს, ლერმონტოვის გამგზავრებიდან ცამეტი წლის შემდეგ, მთელ სადოვიაის ქუჩაზე მხოლოდ ექვსი სახლი იყო. ძნელი წარმოსადგენია, რომ 1837 წელს ამ ქუჩაზე სახლი ეპირა ლერმონტოვის მეორე ნათესავსაც.

პოეტი ეგორ ახვრდოვთან ცხოვრობდა.

შესაძლოა წარმოიშვას სრულიად სამართლიანი გაკვირვება: რატომ არ დაასახელეს თბილისის საქალაქო საბჭოს წევრებმა იმ ნათესავის გვარი, რომელთანაც ცხოვრობდა ლერმონტოვი სადოვიაის ქუჩაზე.

თუმცა ჩვენ ხელთ არა გვაქვს არც ერთი დოკუმენტი, გარდა ზემოდასახელებული თუმანოვის მოხსენებებისა, მაგრამ გასაგებია, რომ საქალაქო საბჭომ დამატებითი ძიების გარეშე ვერ გაბედა ლერმონტოვის ნათესავად გამოცხადებისა არარუსული გვარის ადამიანი — ქართველი სომეხი. ამიტომ ეს საკითხი ღიად დატოვეს „მომავალში ცნობების შეკრებაში“. ** ახლა შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ლერმონტოვისა და ახვრდოვის ნათესაური კავშირი დადგენილია. მისამართი გამორკვეულია, და, რაც მთავარია, ნაპოვნია კიდევ ერთი ძაფი, რომელსაც ქავჭავაძისავენ მიუყვართ.

1837 წლის შედეგები

1838 წლის დამდეგს ლერმონტოვი რუსეთში დაბრუნდა. გადასახლება კავკასიაში დამთავრდა, მაგრამ ხეტიალი კავკასიასა და საქართველოში ხორცს ისხამს ლექსებსა და პოე-

* „Дело о разыгрании в лотерею...“, т. 86.

План г. Тифлиса с окрестностью. Приложение к „Кавказскому календарю на 1851 год“.

** „Кавказ“, 1898, № 143.



ნინო ჭავჭავაძე — გრიბოედოვა
მხატვარ ლესინის პორტრეტი

მემა პიოზაში — „ჩვენი ღროის გმირი“. 8 სექტემბრის
თარიღი აქვს „დემონის“ მეხუთე კავკასიურ რედაქციას.
ამი თვის შემდეგ, 1838 წლის 4 დეკემბერს მეშვიშა „დე-
მონი“ საბოლოოდ დამთავრდა.* ამ მეცხვსე რედაქციით
გაფრცვლდა ასობით გადაწერილი პოემა მოელს რუსეთში.
ამ რედაქციით შეიქმნა იგი ცნობილი თანამედროვეთათვის.
ეს არის ძირითადად „დემონის“ საბოლოო რედაქცია, რად-
გან ტექსტის ამალი შესწორებანი, რომელთაც პოემა
1841 წლის მეშვიდე ვარიანტად აქციეს, როგორც ცნობილია,
მაბლა ცენზურის თვალსაზრისით. მაგრამ, როგორც ყოველ-
თვის, ამაღაც ლერმონტოვი ანგარიშს უწყევდა რა ცენზურას,
არა მარტო გადაკეთებას ახდენდა, არამედ შეტქონდა ტექსტში
მატერული დამატებანი, ამიტომაც „წინარესაცენზურო“
ტექსტის დაბეჭდვანი შენადა არა მარტო თავდაპირველი იდე-
ური ჩანაფიქრის გადაკეთების უარის თქმას, არამედ უკანას-
კნელი გადამწევაების მატერულ სრულყოფაზე უარის თქმა-
საც. მიუხედავად ამისა, როცა „დემონის“ დაწერის თარი-
ღად 1841 წელს ვიღებთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ პოე-
მის მეცხვსე რედაქცია, რომლითაც პოეტს უნდოდა გამო-
ვეჭვებინა „დემონი“, დაწერილი იყო 1838 წელს, საქარ-
თველოდან დაბრუნების შემდეგ.

1838-39 წლებში ლერმონტოვმა დაიწყო და დამთავრა
მეშვიშა „ჩვენი ღროის გმირზე“. ამასთანავე 1839 წელს
დაიწყო პოემა მწიორის შესახებ. ამავე ღროს შეიქმნა ლექსები:
„პოეტი“, „თერგის საჩუქრები“, „ა. ი. ოდოვესკის ხსოვნას“,
„კახაკური იავნანა“ და, როგორც ჩანს, ლექსი „ჩემო პატა-
რავ, ნუ სტირი, კმარა“ — თემები და საბეები, რომლებიც
ჩაისაბა 1837 წლის მოგზაურობაში. მაგრამ ნამდვილ შემო-
ქმედებითს შედეგს ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ, რადგან თითქ-
მის ყველა ლექსი, დაწერილი იმ ღროს კავკასიაში, დაიღუპა,
„როგორც კი დაამთავრებდა თავისი ლექსების რვეულს.
გადახედავდა და შეასწორებდა, პოეტი მას პეტერბურგელ
მეგობრებს უგზავნიდა, — წერდა 1858 წელს პოეტი ქალი

* А. Михайлова. Последняя редакция „Демона“. „Литературное
наследство“, № 45-46, М., изд. Академии Наук СССР, 1948, стр. 13.
11. ი. ანდრონიკაშვილი

რასტოპჩინა, რომელმაც იმხანად რუსეთში მყოფ ალექსანდრე დიუმას გაუგზავნა წერილი ლერმონტოვის შესახებ, — ეს გაგზავნები გახდა მიზეზი იმისა, რომ იძულებული ვართ მისი რამდენიმე საუკეთესო ნაწარმოები გამოვიტვიროთ. შიკრიკებს, რომლებსაც თბილისიდან აგზავნიდნენ, ხშირად თავს ესხმოდნენ ჩეჩნელები და ყაბარდოელები. ხშირი იყო მთის ნაკადებში ჩაყარდნის საფრთხე. ეს ნაკადები უნდა გაეფლოთ ფიცრებზე ან ფორნით, ამ დროს თავის გადასარჩენად წყალში აგდებდნენ ხოლმე ჩაბარებულ პაკეტებს. ასე დაიღუპა ლერმონტოვის ორი თუ სამი რვეული*.

რასტოპჩინას მიერ გადმოცემული ისტორია ლერმონტოვის რვეულების დაკარგვის შესახებ ექვს არ იწვევს, მით უმეტეს, რომ 1837 წელს დაწერილ ლექსთაგან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა — „როცა დავშორდი შორეულ საზღვრებს“. ამ ლექსის 1837 წლის დათარიღების სასარგებლოდ ლაპარაკობს არა მხოლოდ თვით ტექსტი, რომელშიაც პოეტი ცდილობს წარმოიდგინოს რა მოელის მას მშობლიურ ქვეყანაში, არამედ ქალაქის მეორე მხარეზე აღნიშნული სახელები: „მაიკო მაია“. მართალია, 1837 წელს მიაკუთვნებენ ლექსს „ხანჯალს“, მაგრამ იგი დაწერილია, როგორც ჩანს, 1838 წელს. ამ ლექსის დედნის მეორე მხარეს მიწერილია ლექსი — მიძღვნა ტამბოვის ხაზინადრის მეუღლისადმი, ხოლო მიძღვნა ამ პოემისა კი, უეჭველად, დაწერილია 1838 წელს.

„ბეზია რომ არ ყოფილიყო, მე, მართალი ვითხრა, დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი აქ“, — წერდა ლერმონტოვი საქართველოდან სვიატოსლავ რაევსკის. ეს ფრიად საყურადღებო თქმაა. ჯერ კიდევ საქართველოს ფარგლებს არგაცილებულ პოეტს კარგად წარმოუდგენია, თუ რა ბევრი რამ მისცა ამ ერთმა წელმა, როგორ გააფართოვა მისი თვალთახედვა, როგორ შეუწყო ხელი მის მომწიფებასა და ზრდას.

ლტოლვა კავკასიისაკენ დედაქალაქში დაბრუნების შემდეგაც არ შეწყვეტილა. „ვითხოვე კავკასიაში გაგზავნა, —

* Е. П. Растопчина. Записка о Лермонтове. წიგნში: Е. Сушкова, „Записки“. „Academia“, 1928, стр. 346.

სწერდა ლერმონტოვი მ. ა. ლოპუხინას 1838 წელს, — უარი
მითხრეს“.

კავკასიური მასალა ლერმონტოვის ნაწარმოებებში გადა-
სახლებული ოფიცრის შემთხვევითი დაკვირვების შედეგი
როდღი იყო: ეს იყო შედეგი ლერმონტოვის ინტერესისა
კავკასიისადმი, მისი პოეზიისადმი, მისი ისტორიისა და
კავკასიელი ხალხის ბედ-იღბლისადმი.

ამიტომაც პოეტის ცნობა იმის შესახებ, რომ მან დაიწყო
თათრული ენის შესწავლა, ძალზე მნიშვნელოვანია.

კავკასიის ომის დროს ეს იყო ენა, რომელიც მრავალ
ეროვნებას აკავშირებდა („როგორც ფრანგული ევროპაში“).
მწერალს, რომელსაც განუზრახა კავკასიური თემების ასახვა,
აუცილებელივ უნდა შეესწავლა სწორედ ეს ენა. ლერმონტო-
ვის სიტყვები: „სამწუხაროდ ვერ მოვასწარ, შემდეგში კი
გამომადგებოდა“ — ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ 1837 წელს
მას რაღაც ჩანაფიქრი დაებადა, რომლისთვისაც საჭირო იყო
აზერბაიჯანული ენის ცოდნა.

ეს იყო კავკასიის ომის ჩანაფიქრი.

განუხორციელებელი განზრახვა

მეორე სტატიაში „ჩვენი დროის გმირის“ შესახებ, რო-
მელიც იმავე დროს ლერმონტოვის ნეკროლოგს წარმოადგენ-
და, ბელინსკი გულისტკივილით იუწყებოდა:

„ის თვითონ გვეუბნებოდა ჩვენ, რომ განუზრახავს ტრი-
ლოგიის დაწერა, სამი რომანისა რუსული საზოგადოების
სამი ეპოქის შესახებ (ეკატერინე II, ალექსანდრე I და დღე-
ვანდელობის შესახებ). ამ სამ რომანს ექნებოდა კავშირი და
გარკვეული ერთიანობა...“.

ამ გეგმათა შესახებ ლერმონტოვი ელაპარაკა ბელინსკის
უკანასკნელად პეტერბურგში ყოფნისას.

ამ გეგმებზე ფიქრობდა ლერმონტოვი პიატიგორსკშიაც,
როცა მარტინოვთან დანიშნული დუელის ადგილზე მიდიოდა,
გზაში სეკუნდანტს, კორნეტ გლებოვს, გატაცებით უამბობდა

მის მიერ მოფიქრებულ ორი რომანის შესახებ. „ერთი იქნება ორი დიდი ნაციის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა, კვანძი შეიკვრება პეტერბურგში, მოქმედება გაიშლება შიდა რუსეთში და პარიზთან, კვანძი კი გაიხსნება ვენაში. მეორე — კავკასიური ცხოვრებიდან — ერმოლოვის დროის თბილისზე, მის ლიტერატურაზე და კავკასიის სისხლიან დამორჩილებაზე, რუსეთ სპარსეთის ომზე და იმ კატასტროფაზე, რომლის მსხვერპლი შეიქნა გრიბოედოვი თეირანში“.

გეგმები, რომლებიც ლერმონტოვმა გლებოვს გაუზიარა, ესაა იმ ტრილოგიის მეორე და მნიშვნელოვანი რომანის ჩანაფიქრი, რაზედაც ლაპარაკობდა ბელინსკი.

გლებოვთან საუბრიდან რამდენიმე წუთი გავიდა და ეს ჩანაფიქრი ჩაკვდა მარტინოვის დამბაჩის ტყვიით. ვერ განხორციელდა შესანიშნავი ეპოპეა, რადგანაც სამიდან მხოლოდ ერთი რომანი — ორი ნაციის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის რომანი, აისახა ლ. ტოლსტოის „ომსა და მშვიდობაში“.

ბოლო რომანის ჩანაფიქრი დაკავშირებულია თბილისთან, ჭავჭავაძისა და წინანდლის სახელთან, ნიჟეგოროდის პოლკთან. ერმოლოვის დროის თბილისი წარმოდგა ახვერდოვას, ჭავჭავაძის, ძველი კავკასიელების (რომელნიც ლერმონტოვს საქართველოში დახვდნენ) ნაამბობით. თანაპოლკელთა ნაამბობით კი რუსეთ-სპარსეთის ომი. ნიჟეგოროდელებმა თავი ისახელეს ამ ომში. გრიბოედოვის დაღუპვის შესახებ ლერმონტოვმა იცოდა ნინო ალექსანდრეს ასულ გრიბოედოვასაგან, ახვერდოვასაგან, ჭავჭავაძისაგან და ყველა იმათგან, ვისაც ახსოვდა გრიბოედოვი თბილისიდან და შეეძლოთ დაემატებიათ ძვირფასი რამ ცნობა.

გადაქარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით: ლერმონტოვს რომ ამ ტრილოგიის განხორციელება მოესწრო, არა მარტო გაამდიდრებდა რუსულ ლიტერატურას შესანიშნავი ნაწარმოებით, არამედ უდიდეს გავლენას მოახდენდა რუსული ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე. ძნელია დავასახელოთ მეორე ეპოპეა, რომელიც ესოდენ ფართო ისტორიულ მასალას მოიცავდეს.

ტრილოგიის პირველ ნაწილში („ეკატერინე მეორის ხანა“) ლერმონტოვი, ალბათ, აღწერდა სუვოროვის ლაშქრობებს

და დაუბრუნდებოდა პუგაჩოვის თემას, რომელსაც სიკაბუ-
ში დაწერილ „ვადიშში“ შეეხო. მეორე ნაწილი უნდა
კოფილოვო რომანი სამამულო ომზე, ლერმონტოვს, როგორც
მან. ამ რომანში უნდოდა გაეშალა მოვლენები, დაკავშირებუ-
ლი პოტოლდინოს ბრძოლასთან და მოსკოვის დატოვებასთან
(მოქმედება ზიდა რუსეთში) და პარიზის აღება. რომანი,
აღბათ, დასრულდებოდა ვენის კონგრესით („კვანძი გაიხსნება
გენაში“). შესაშვ რომანს უნდა მოეცვა კავკასიის ომის ამბები,
რომლებიც მოჰყვებოდა 1825 წ. 14 დეკემბრის აჯანყებას
ერმოლოვი, რუსეთ-სპარსეთის ომი, გრიბოედოვის სიკვდი-
ლი). ამრიგად „რუსული საზოგადოების სამი ეპოქის სამი
რომანი“, რომელთა შესახებ ბელინსკის ეუბნებოდა ლერმონ-
ტოვი, დაკავშირებული იყო პუგაჩოვის აჯანყებასთან, სამა-
მულო ომთან და დეკაბრისტების გამოსვლასთან. ამის მი-
ხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტრი-
ლოგია მოფიქრებული იყო, როგორც ეპოპეა სამი თაობის
შესახებ, რომელსაც მონაწილეობა მიუღია უდიდეს ისტო-
რიულ მოვლენებში.

კავკასიაში მსახურობდა სამამულო ომისა და საზღვარ-
გარეთული ლაშქრობის ბევრი მონაწილე, ჯარისკაცულ ცხოვ-
რებას ეწეოდნენ დეკაბრისტი-ოფიცრები, მსახურობდა ასო-
ბით რიგითი ჯარისკაცი — დეკაბრისტების ამბოხის მონა-
წილენი — გვარდიის ეკიპაჟის მეზღვაურები, იმ პოლკის
საღდათები, რომლებიც სენატის მოედანზე გამოვიდნენ, და
აგრეთვე ჩერნიგოვის პოლკისა. ამ პოლკის ჯარისკაცები,
რომლებმაც აჯანყების დროშა ააფრიალეს უკრაინაში, ჯერ
შპიცრუტენით დასაჯეს და მერე კავკასიის ჯარების კორპუს-
ში შერეკეს. კავკასიის არმიებს შემოენახა ცოცხალი გადმო-
ცემები რუსეთის ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებებისა და იმ
ტრაგედიის შესახებ, რომელიც სენატის მოედანზე გათამაშდა
პეტერბურგში. კავკასიის არმიაში არ გამკრალა სუფოროვის
ტრადიციები. ერმოლოვის სახელს, როგორც დემოკრატიზ-
მისა და თავისუფალი აზროვნების სიმბოლოს, დიდი პატივის-
ცემით იხსენიებდნენ.

ლერმონტოვმა კავკასიის ფოლკლორზე მუშაობა დაუკავ-
შირა ისტორიულ თემაზე მუშაობას. კავკასია ლერმონტოვი-

სათვის იყო მასალისა და შთავონების დაუშვრეტელი წყარო.
ლერმონტოვმა გაიარა გზა ისტორიული თბრობისაყენ, გზა,
რომელშიაც კავკასიური თემა უნდა ყოფილიყო ახალი ამბე-
ზის საფუძველი. შესაძლოა, ისტორიული დაპირისპირების
სინათლეზე თანადროულობა კავკასიის ომის შესახებ რო-
მანში ისტორიულად გააზრებული ყოფილიყო.

ახლა ჩვენთვის ნათელია, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა
ამ ჩანაფიქრს და რა დიდი როლი ითამაშა მის წარმოშობა-
ში ლერმონტოვის ყოფნამ საქართველოში.

სტანია შედგოვსკაია

იმ დოკუმენტთა შორის, რომლებიც თბილისის ისტორიულმა არქივმა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-ისტორიული განყოფილებიდან მიიღო, ინახება ძველი კაზაკური გადმოცემების გამოუქვეყნებელი ხელნაწერი. ამ ხელნაწერს უშუალო კავშირი აქვს ლერმონტოვის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსის „თერგის საჩუქრების“ შექმნასთან.

მაგრამ სანამ ხელნაწერის შინაარსზე გადავიდოდეთ, საჭიროა მოვითხროთ გრებენის კაზაკებზე, მათს სიმღერებზე და იმაზე, თუ როგორ გაეცნო ლერმონტოვი გრებენის კაზაკების ფოლკლორს. მაგრამ ჯერ თვით ლერმონტოვის ცხოვრების რამდენიმე შეუსწავლელი ეპიზოდი გავარკვიოთ.

პირველად ლერმონტოვი კავკასიაში ჩამოვიდა პატარაობისას, როცა ბებიაშვილმა ელიზაბედ ალექსის ასულმა ჩამოიყვანა კავკასიის წყლებზე თავისი დის — ეკატერინე ხასტატოვას მამულში.

სამჯერ მოინახულა მაშინ ლერმონტოვმა კავკასია — 1818, 1820 და 1825 წლებში. ყველგან კაზაკური საგუშაგოები იდგა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა ზარბაზნის საფარქვეშ ხდებოდა. ბავშვი ხედავდა ნაბდიანსა და ფაფახიან ზღერქეზებს, ჯიგიტების დოღს, მგზნებარე ციკვებს, ფერხუ-

ლებს, ბაირამობის რელიგიურ დღესასწაულს. ესმოდა მთი-
ელთა სიმღერები, ლეგენდები, გადმოცემები.

ჩვენ საკმაოდ ნათელი წარმოდგენა გვაქვს იმაზე, თუ რას
წარმოადგენდა იმდროინდელი კავკასიის წყლები. შეიძლება
ითქვას, რომ ლერმონტოვის პირველი შთაბეჭდილებანი,
რომელიც მან კავკასიაში მიიღო, დაწვრილებით არის გა-
მორკვეული. მაგრამ ლერმონტოვის მიერ ხასტატოვას მამულ-
ში ყოფნისა და თვით იმ მამულის შესახებ თითქმის არა-
ფერი ვიცით.

გენერლის მეუღლის ხასტატოვას მამული ჩეჩნეთის საზღვ-
რად მდებარეობდა, თერგის მარცხენა ნაპირზე, სტანიცა
ჩერვლენაიას ჩრდილოეთით და „შელკოზავოდსკი“ ანუ „შელ-
კოვოდსკი“ და უფრო ხშირად კი შელკოვია ეწოდებოდა.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საფარ ვასილევმა,
ყიზლარელმა სომეხმა ვაჰარმა, აქ ქარხანა ააშენა აბ-
რეშუმის პარკის გადასამუშავებლად. ქარხანასთან დაბი-
ნავდნენ და მის გარშემო დაბა შექმნეს ყიზლარის ქართვე-
ლებმა და სომეხებმა, რომლებიც XVIII საუკუნის 20-იან წლებ-
ში იძულებული იყვნენ დაეტოვებიათ საქართველო ირანელ-
ოსმალ დამპყრობთა გამუდმებული რბევა-თარეშის გამო.
სხვა ცნობებით, ესენი იყვნენ ირანის ტყვეობაში განაწამები
ქართველები და სომეხები, რომლებიც იქიდან პეტრე პირველ-
მა სპარსეთში ლაშქრობის დროს გადმოიყვანა და თერგზე
დაასახლა.

1764 წლიდან ქარხანა ობერ-დირექტორის, სომეხი ხასტა-
ტოვის საკუთრება გახდა, ხოლო შემდეგ ხაზინას გადაეცა.
შემდეგში აქ მომუშავე ქართველები და სომეხები სახელმწიფო
გლეხებად ჩარიცხეს, ობერ-დირექტორის შვილი, იოაკიმე
ვასილის ძე ხასტატოვი კი შელკოზავოდსკელი მემამულე
გახდა. * ეკატერინე მეორის მეფობის უკანასკნელ წლებში
მან მოსკოვში ცოლად შეირთო მდიდარი სიბირსკელი გემა-

* П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722
по 1803 год. СПб, 1869, т. I, стр. 159-160. შეად.: В. А. Мануйлов.
ციტირებული ნაშრომი, გვ. 123.

ქალის ქალი — მკაცრი — ხასტატოვმა გენერალ-მაიორის წო-
ლოვს მიმართა. გარდაიცვალა 1809 წელს პეტერბურგში
დაკრძალულია დედაქალაქში, სმოლენსკის სომხების სასაფ-
ლაოზე. **

ცნობილია, რომ ხასტატოვი მონაწილეობდა იზმაილის აღე-
ბაში, კინბურნის, ფოქშანის, რიმნიკის ბრძოლებში და თავით
სუროვის ქება დაიმსახურა.*** იზმაილის აღებაში ხასტა-
ტოვთან ერთად მონაწილეობას იღებდა ნ. დ. არსენიევი —
ახვერდოვის მამა. თითქმის დაბეჯითებით შეიძლება ითქვას,
რომ არსენიევი ახვერდოვებს ხასტატოვების მეშვეობით
გაეცნენ.

ერმოლოვის დროს შელკოზავოდსკოე კაზაკურ სოფლებ-
თან იყო გათანაბრებული, ხოლო მისი მოსახლეობა — კა-
ზაკურ წოდებას მიკუთვნებული.****

მაგრამ შელკოზავოდსკოელ ქართველებს მთელმა საუკუ-
ნენახევარმა ვერ დაავიწყა დედა ენა და საკუთარი სიმღერე-
ბი. 1904 წელს კომპოზიტორმა დ. არაყიშვილმა, რომელმაც
სპეციალურად იმოგზაურა თერგის მხარის ქართველებით და-
სახლებულ კაზაკურ სოფლებში, სტანიცა შელკოვსკაიაში ანუ
სარათანში, როგორც მას იქაური ქართველები ეძახიან, ჩაი-
წერა რამდენიმე კახური პელოდია: „ალილო“, „ფერხული“,
„სუფრული“, „სათამაშო“, „შავლეგო“, „ავთანდილ გადვინა-
დირე“ და საალერსო სიმღერა „თეთრო ქალო, თეთრო
მტრედო“.

კომპოზიტორმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ შელკოვს-
კოელი ქართველები, გარდა ქართულისა და რუსულისა, ლა-
პარაკობდნენ სომხურად და ნოღაიურად.
ყიზლარის მახლობლად მდებარე სტანიცა ალექსანდროვს-

* Записки А. М. Тургенева. „Русская старина“. 1885, № 11,
стр. 297.

** „Петербургский Некрополь“, т. IV.

*** С. А. Андреев-Кривич. Кабардино-черкесский фольклор и
творчестве Лермонтова. Нальчик, 1949, стр. 76-78.

**** Г. А. Ткачев. Гребенские, терские и кизлярские казаки. Вла-
диавказ, 1911.

კაია თავდაპირველად სასოფლედ ანუ საფლედ იწოდებოდა (ქართული სიტყვიდან „სოფელი“) და ისიც დასახლებული იყო ქართველებით, რომელთაც მშობლიური ენა შეენარჩუნებინათ.* ქართველები ცხოვრობდნენ სტანიცა ნოვოგლადავსკაიაში.**

ახლა გასაგებია, რატომ მიაწერა 15 წლის ლერმონტოვმა კარგა ხნით ადრე საქართველოში ჩამოსვლამდე თავის ლექსს „ქართული სიმღერა“ და, გარდა ამისა, იქვე შენიშნა: „რალაც მსგავსი მომისმენია კავკასიაში“. მსგავსი მას მოესმინა სტანიცა შელკოვსკაიაში, სადაც იმ დროს რუსი კაზაკების გარდა 200-მდე ქართველი და 500-ზე მეტი სომეხი ცხოვრობდა.***

1830-იან წლებში რუსმა სამხედრო ტოპოგრაფმა, რო. მელმაც კორდონის ხაზის გრებენის უბანი შეისწავლა, ჩაიწერა, რომ სტანიცა შელკოვსკაიაში არის ერთი ბერძნულ-რუსული, ერთი სომხურ-გრიგორიანული ეკლესია და მემაღულე ქალის ხასტატოვას სპირტის სახდელი ქარხანა. გენერალ-მაიორის ხასტატოვის ქვრივს ეპირა სტანიცა ჩერვლენაიას გრებენის კაზაკური პოლკის მომიჯნავე მიწები. იგი სოფლის მეურნეობასა და მეღვინეობას ეწეოდა. ყოველწლიური შემოსავალი მეღვინეობიდან 6000 კასრ ღვინოსა და 700 კასრ ჭაჭის არაყს შეადგენდა. მას ჰქონდა ათას-ნახევარი დესეტინა კარგი მიწა, რომელსაც ორასი გლეხი ამუშავებდა.****

ხასტატოვას პატარა სახლი სტანიცას მახლობლად იდგა და კაზაკური საგუშაგოების მსგავსად გამაგრებული იყო

* Д. И. Аракчиев. Посадка к казакам грузинам в терскую область „Этнографическое обозрение“. 1904, №4, стр. 164—168.

М. А. Караулов. Говор гребенских казаков. СПб, 1902, стр. 2.

** „Терские казаки со стародавних времен“. Исторический очерк. Сочинение Ивана Попко, вып. 1. Гребенское войско. СПб, 1880, стр. 419, прим. 209.

*** Г. А. Ткачев. Гребенские, терские и кизлярские казаки. Владикавказ, 1911, стр. 229-230.

**** „Описание гребенского участка Кордонной линии, сделанное штабе-капитаном Келмбергом в 1834 году“. წიგნში: И. Д. Попко. „Терские казаки со стародавних времен“, вып. 1. „Сборник Общества любителей казачьей старины“. Владикавказ, 1912, № 4, стр. 33 и 50.

მიწერილთა და კონსტრუქციით. აქვე იყო მცირე ყალიბის ქვეშე-
ბი, რომელსაც ლულები თერგისაჲენ ჰქონდა მიწვერილი. თერ-
გის იქითა ნაპირზე კი ჩეჩენთა აული აგებულია ტიურტა მო-
ხანდა.*

გრებენის კაზაკური სტანიცების მცხოვრებნი მუდამ თავ-
დასხმებს ელოდნენ, ამიტომ ღლედალამ დარაჯებად ედგნენ
თავიანთ ნაპირს. ხშირად უხდებოდათ „აბრაგების“ დიდი თუ
მცირე ჯგუფების მოგერიება. „განსაკუთრებით უჭირდათ,—
წერს გრებენის კაზაკების ისტორიკოსი,— გრებენის სამ სტა-
ნიცას: ჩერვლენაიას, შჩედრინსკაიას, შელკოვსკაიას“.**

მაგრამ ეს გარემოება ეკატერინე ალექსის ასულს ხასტატო-
ვას სრულებით არ აცბუნებდა, მთიელების ღამის თავდასხ-
მებს იგი სრული დამშვიდებით ხედებოდა. ნათესავეების გად-
მოცემით, როცა მას ღამის ნაბათი გააღვიძებდა, მხოლოდ
იმას იკითხავდა: „ხანძარი ხომ არ გაჩენილაო“, და რაკი უარ-
ყოფით პასუხს მიიღებდა, ისევ ძილს მისცემდა თავს. მთელ
კორდონის ხაზზე იგი „ავანგარდის მემამულე ქალის“ სახე-
ლით იყო ცნობილი და ქვრივიც სიამაყით ატარებდა ამ ტი-
ტულს.***

ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა იყო გრებენის კა-
ზაკური სტანიცები, საკმარისია გავიხსენოთ ლ. ნ. ტოლს-
ტოის მოთხრობა „კაზაკები“, რომელშიაც ასახულია 1850-იანი
წლების სტანიცა სტაროგლადოვსკაიას ცხოვრება. ამასთანა-
ვე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ლერმონტოვმა პირ-
ველად ოცდაათი წლით ადრე ნახა ყოველივე ეს. ოცდაათი
წლით ადრე, ერმოლოვის დროს, როცა თერგის სიმაგრეთა
ხაზს მხოლოდ საფუძველი ეყრებოდა და კაზაკური სტანიცე-
ბი მეწინავე სადარაჯოებს წარმოადგენდა თერგზე და გაცი-
ლებით ძლიერი თავდასხმების მოგერიება უხდებოდათ.

По камням струится Терек,
Плещет мутный вал;

* Г. А. Ткачев. Гребенские, терские и кизлярские казаки, стр.
9 и 14-15.

** Г. А. Ткачев. Гребенские, терские и кизлярские казаки, стр.
9 и 14-15.

*** ა. დ. სტოლიპინის ნაამბობიდან, ჩაწერილი პ. ა. ვისკოვატოვის მიერ.

„კაზაკურ იაენანაში“ ლერმონტოვმა ხორცი შეასხა იმ წარ-
მოდგენებსა და სახეებს, რომლებიც ბავშვობიდანვე ჰქონდა
შეთვისებული. მაგრამ ამ წარმოდგენებისა და სახეების უბ-
რალოდ და ზომიერად, ზედმეტი რომანტიკული აღფრთოვა-
ნების გარეშე გადმოცემა მხოლოდ მაშინ შესძლო, როცა მო-
წიფული პოეტი გახდა.

სტანიცა შელკოვსკაიას ახლო მდებარეობდა „სუნჯენო გო-
როდიშჩე“. ამ პუნქტზე ძველად გადიოდა სავაჭრო გზა „კუ-
მიკიდან მაჯარისაკენ“. ეს გზა ყირიმს „ყიზილბაშებთან“
(ირანთან) აკავშირებდა.

სტანიცა შელკოვსკაიას ახლოს ჩანდა რაღაც თავისებური
თხრილებით შემოფარგლული ძველებური ციხე-სიმაგრის ნან-
გრევი. ამ შენობიდან გადარჩენილა ორი დიდი, თორმეტი
მცირე კოშკისა და წყალსადენის თხრილის ნაშთები. კაზაკე-
ბი ამ ადგილს უწოდებდნენ „ნეკრასოვის ციხე-სიმაგრეს“, ანუ
„მამაის ქალაქს“. ნოღაელები მას უწოდებდნენ „ჩიგიმ-ყალას“
ანუ „მიტოვებულ ციხეს“. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ზოგ-
ჯერ ღამით აქ მიწისქვეშა გუგუნს გაიგონებთ, თუკი ყურს
მიწას დაადებთ.*

ნამდვილად ეს იყო პირველი რუსული ციხის—თერგის ცი-
ხის ნანგრევები.

1559 წელს, მას შემდეგ, რაც „პიატიგორსკელმა ჩერქე-
ზებმა“ რუსეთის მეფის ხელდებულების ფიცი მიიღეს, ივანე
მრისხანემ თერგზე ყაბარდოელი ბატონის თემურყვას და-
სახმარებლად სამეფო ჯარი გაგზავნა. ვოევოდებმა დააშოშ-
მინეს ტარკოს შამხალი და დაიმორჩილეს ტიუმენის თავადი
აგიშა.

როცა ივანე მეოთხემ თემურყვას ქალი გუაშა შეირთო
(ნათლობის შემდეგ მარიამი შეარქვეს), მან კვლავ გაგზავნა
ჯარი—ამჯერად თემურყვას დასაცავად ქვეშევრდომებისაგან.

* Г. А. Ткачев. Гребенские, терские и кизлярские казаки, стр.
14-15.

ერთად ამ დროს ახერხებს რუსებმა თერგზე, მდინარის მარჯ-
ვენა ნაპირზე, სუნჯას შესართავის პირდაპირ, ატელმწიფის
სამხედრომხედროში* მარჯული რუსული ქაღალცი.

არ ნახვეთარ საუკუნის მანძილზე მთის დამრეც ფერდო-
ვებზე მტებში აღიშარათ, მაგრამ თუ მთის წვერზე ახუალთ,
თერგის ღრუბლის გაყოლებით 40 კილომეტრის მანძილზე, რო-
ბელი ამ ადგილას რკალს ჰქმნის, დამინახეთ გრებენის კა-
სეტის სტანიცებს.

ვერ კიდევ 1555 წელს გრებენის კახაყებმა იუანე მრისბა-
ნის მოსკოვში თაყიანთი რჩეულები გაუგზავნეს. ჩვეუმი ამატია
კახაყებს რიასანთან წასული და მუდმივ საკლთრებად უბოძა
თერგის მიწები, როგორც კახაყების სამღერა აღასტერებს,
უწყოლომა მათ „მნაყი თერგი შენაკადებიოთრთ ვიდრე ლა-
ყარდ ზღუამდე კასპიისა“. და სტანიცებში გაისმოდა და დღე-
საუ გაისმის ძველებური სიმღერები იუანე მრისბანეზე, მის
ერმაცზე, სტეპან რაზინზე და „ქვის მოსკოვზე“.

ბავშვობაში გაიგონა ღერმონტოვმა ძველებური კახაყური
სიმღერები. მან ხალხის ეს ცოცხალი ისტორია გარემო-
ცხოვრების მარჯულ წარმოდგენებთან ერთად შეითვისა,
შეუზარდა და ზოლოს რაღაც საოცარი მიუწვდომელი სი-
მარნართთ აღადგინა არა მარტო ამ ხალხური, ისტორიული
და კახაღური სიმღერების სტილის მომიბღაობა, არამედ
მათი სულიც „სიმღერაში მეფე იუანე ვასილევსზე...“ ახლა უკვე
საყვირული არ არის, რომ ღერმონტოვმა იცოდა მეფის ცო-
ლის ძმის მასტრუქვა თემურჯის ძის ისტორიული სიმღერე-
ბის რამდენიმე ვარიანტი. იგი ზომ, შეიძლება ითქვას, მის
წინანდელ სამფლობელოში ცხოვრობდა.

სულ ადრეულ ბავშვობიდანვე ღერმონტოვს ანცვიფრებ-
და მოთხრობები მთიელების ზნეთა და ჰვეულებათა შესახებ,
სისხლის იღების, სისხლისმღერელი ბრძოლებისა და შეტაკე-
ბის, ჩასაფრებათა შესახებ, რასაც კახაყებს ყოველ ნაბიჯზე
უწყობდნენ თერგის ახლო აუღების აგბულატი-თერტას, ახალ
თერტასა და აზამატი-თერტას მცხოვრებნი. ამიტომ ზომ არ
შეგარქვა ღერმონტოვმა ბელას ძმის აზამატი, რომელმაც მო-
ტაცებული ქალი ჰეგორინს მიჰგვარა, ანდა აღბულათი თავისი
ყრმობის პოემის „აუღ ბასტუნჯის“ ერთ-ერთ გმირს.

კავკასიური შთაბეჭდილებანი

ახლა უკვე საბოლოოდ ნათელია, საიდან ჰქონდა მიღებული ლერმონტოვს ახალგაზრდობის დროის ნაწერებში გამოყენებული ასეთი მდიდარი კავკასიური მასალა და კავკასიის ომის ზუსტი ცოდნა. ს. ანდრეევ-კრივიჩმა „იზმაილ-ბეისა“ და „აულბასტუნჯის“ ტექსტებით დაამტკიცა, რომ ლერმონტოვის განკარგულებაში იყო მდიდარი კავკასიური ფაქტიური მასალა, ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ თერგისგანმეღ მთიელთა ყოფასა და ცხოვრებას ლერმონტოვი აღწერდა არა საკუთარი თვალთ ნახულის მიხედვით, არამედ სხვათა ნაამბობიდან და ეს სხვები, მართალია, ფრიად გათვითცნობიერებულნი იყვნენ ამ საკითხებში, მაგრამ ყოველივე ამას სულ სხვა თვალთ უყურებდნენ. და რაოდენ დიდი ფანტაზია იყო საჭირო, რარიგ უნდა ემოქმედა ჯერ კიდევ სულ მთლად ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებითს აზრს, რომ ყველა ეს შთაბეჭდილებები ერთად მოეყარა და კავკასიის ომის სრულიად ახალი, დამოუკიდებელი გააზრება მოეცა! ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ პუშკინი. როცა არზრუმს მიმავალს საქართველოს სამხედრო გზის ერთ-ერთ სადგურში შემთხვევით ხელში ჩაუვარდა „კავკასიის ტყვე“, გაუკვირდა: „გამოვტყდები, სიამოვნებით გადავიკითხე, — წერს პუშკინი, — ყველაფერი ეს ახალია, ბევრია სისრულეს მოკლებული, მაგრამ ბევრია მიკვლეული“, და შემდეგი სიტყვები ხელნაწერში წაშლილია: „თვითონ არ მესმის, როგორ შევძელი ასე სწორად, თუმცა სუსტად, მეჩვენებინა ზნენი და ბუნება ჩემგან შორიდან ნახულისა“.*

თუკი ეს აკვირვებდა პუშკინს „კავკასიის ტყვეში“, მით უფრო უნდა გაგვაკვიროს ჩვენ ლერმონტოვის ყრმობის პოემებში. თავის პოემებში ლერმონტოვმა უფრო კონკრეტულად მოგვცა კავკასია, ვიდრე პუშკინმა „კავკასიის ტყვეში“. ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეეძლო პოეტს ასე მართლად, ასე ზუსტად დაეხატა შორიდან ნახული ზნე-ჩვეულებანი, ბუნება,

* Пушкин. Полное собрание сочинений. Изд. Академии Наук СССР, М., 1940, т. 8, полутом 2, стр. 1040.

ყმაწვილობაში დაწერილ ლერმონტოვის კავკასიურ პოე-
მებსა და ლექსებს საფუძვლად უდევთ ეს პირველი შთაბეჭ-
დილებანი—ბავშვობაში ნახული მხარე, მხარე ბრძოლებისა
და თავისუფლების, ეს ნამდვილი მემამბოხე კავკასია.

ომის, მთიელების, მათი ზნე-ჩვეულებებისა და ყოფის ამ-
ბები ლერმონტოს სმენია სტანიცა შელკოვსკაიას მცხოვრებ-
თაგან და თვით ხასტატოვებისაგან — ეკატერინე ალექსის ასუ-
ლისაგან, მისი შვილის იოაკიმ იოაკიმის ძისგან, რომელიც პო-
ეტს ბიძად ეკუთვნოდა, და დეიდებისაგან. ერთი იმათგანი, ანა
აკიმოვნა, მოზდოკის კაზაკთა პოლკის უფროსის პავლე ივა-
ნეს-ძე პეტროვის მეუღლე იყო. ეს პეტროვი სწორედ ის გახ-
ლავთ, რომელმაც შემდეგ კავკასიის ხაზისა და შავი ზღვის
პირის შტაბის უფროსობა მიიღო და პოეტს მფარველობდა,
როცა ეს უკანასკნელი პირველად გადაასახლეს კავკასიაში.
ხასტატოვას მეორე ქალი მარია აკიმოვნა მისთხოვდა „ყიზ-
ლარელ გადამდგარ შტაბს-კაპიტან პავლე პეტრეს-ძე შანგე-
რეის“. სხვათა შორის თვით გენერალი ხასტატოვი წარმო-
შობით ყიზლარიდან იყო. და ჩვენ კვლავ ვრწმუნდებით, რომ
„ყიზლარელი“ ახვერდოვები სტოლიპინებმა და არსენიევებმა
ხასტატოვების მეშვეობით გაიცნეს.

ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებანი, როცა იგი სტუმ-
რად იყო შელკოზავოდსკოეში, შემდეგში ივსება ხასტატოვე-
ბის ნაამბობით, ეს მაშინ, როცა მისი კავკასიელი მასპინძლე-
ბი მოსკოვსა და პეტერბურგში ჩამოდიოდნენ (იოაკიმე იოაკი-
მეს-ძე 1828 წლიდან დედაქალაქში წსახურობდა ლეიბ გვარ-
დიის სემიონოვის პოლკში) და ეწვეოდნენ ხოლმე ბებიის
„ტარხანს“ ან ათანასე ალექსის-ძე სტოლიპინის „ნეელოვკას“,
ანდა მოსკოვის ახლო მდებარე „სერედნიკოვოს“, იმავე
სტოლიპინების კუთვნილ მამულს, უფრო გვიან კი შან-გირეე-
ბის პენზის მამულს „აპალიხას“. ელისაბედ ალექსის ასულმა
არსენიევამ დაიყოლია თავისი დისწული მარიამ იოაკიმეს
ასული და ისიც კავკასიიდან რუსეთში გადმოვიდა და თა-
ვისი დეიდის მეზობლად დასახლდა,

ისტორია, ისიც ბავშვობაში ნახული. ეს, ცხადია, იმას არ
ნიშნავს, რომ თავისი მხატვრული ღირსებით ლერმონტოვის
ყრმობის პოემები პუშკინის „კავკასიის ტყვეს“ შეედრება. არა,
თუმცა ბევრი რამ „აულ-ბასტუნჯში“, „პაჯი-აბრეკში“ და გან-
საკუთრებით „იზმაილ-ბეიში“ შესანიშნავია. მიუხედავად ამისა,
ისინი ძალიან შორს არიან პუშკინის სრულყოფილი პოემისაგან
და თვით ლერმონტოვის მომწიფებულ ნაწარმოებთაგან.

მაგრამ აი, 1837 წელს ლერმონტოვი კვლავ კავკასიაშია.
ამჯერად იგი მოწიფული ვაჟაკია, მისი საზოგადოებრივ-
პოლიტიკური შეხედულებები ჩამოყალიბებულია. იგი კავკა-
სიის ხალხებში მოყვა, მათ ზნე-ჩვეულებებს აკვირდება, უშუა-
ლოდ ეცნობა მათ ისტორიასა და პოეზიას და, როგორც
პოეტი და ომის მონაწილე, ახლა უფრო ღრმად შეიცნობს
ამ მხარეს. იგი კვლავ იქაა, სადაც, ოგარევის სიტყვებით
რომ ვთქვათ, „ერმოლოვის დროიდან არ მოშლილა რუსული
თავისუფალი აზროვნების თავშესაფარი“, სადაც მთავრობის
ნებით თავს იყრიდნენ განდევნილები.* ამჯერად იგი დაუახ-
ლოდვა კავკასიის ხალხებს. იგი იყო კაზაკურ სტანიცებსა, კა-
ზაკურ პროვინციულ ქალაქებსა, საბრძოლო ხაზის სიმაგ-
რეებში, ყიზლარისა და ტამანის შუა მდებარე გზაზე, რო-
მელსაც იგი ხან ფოსტის ცხენებითა და ხან საკუთარი ბედა-
ურით სერავდა, შემდეგ ამიერკავკასიაში იგი ახალ ადამია-
ნებს ხედავდა. ისინი განსხვავდებოდნენ იმათგან, რომელთა
შორისაც მოუხდა თავისი ყრმობის წლების გატარება პოეტს.
მისი უკანასკნელი წლების შთაბეჭდილებები ხომ ლეიბ-ჰუსართა
პოლკის ყაზარმებითა და პეტერბურგის დიდკაცობის სა-
დარბაზოებით განისაზღვრებოდა. ამან განსაზღვრა ერთგვა-
რად მისი პოეზიის მხატვრული ხერხები, და თუ ლერმონტოვმა
ფრიად კონკრეტულად წარმოსახა ბატონკაცური ცხოვრება
„მასკარადსა“ და „თავადის მეუღლე ლიგოვსკაიაში“, „ბოი-
არინ ორშაში“, ყველაფერი პირობითია — ადათ-წესები, კოს-
ტუმები, გრიმი, XVI საუკუნეცა და რუსეთ-ლიტვის საზღ-
ვარიც.

* Н. Огарев. Кавказские воды. „Полярная звезда“. Лондон. 1861.
№ 6, стр. 345.



მარიამ (მამიკო) კიბიშვილის ასული ორბელიანი.
მხატვარ გაგარინის პორტრეტიდან

კავკასიის დამსახურებით ლერმონტოვმა ცოცხალ სიწმინდე-
 ლეს დაუტოვებია „ლერმონტოვის“ და „მწიბრის“ სანაღებო. კავ-
 კასიამ შეთავაზონა მას „ჩვენი ღროის გზითა“, კავკასია გახდა
 მწიგნობროვნის საფუძვლი ლერმონტოვის ბეჭდისტური შე-
 მოქმედებითი გზისა. კავკასიამ განსაზღვრა მრავალი მისი მო-
 ზიარული ნაწარმოების თემა. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა,
 რომ 1837 წელს იწყება ლერმონტოვის შემოქმედებითი სიმ-
 წიფის ხანა. რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, სიმწიფე შე-
 დგები იყო არაბეულებრივად გამაყვანებული საზოგადოებრივ-
 პოლიტიკური შეგნებისა, ამასთანავე დიდმა რაოდენობაში
 ბუშკინის დაღუპვამ, პოეტის სურვილმა თამამად გაელაშტა
 ამ მკვლელობის წინააღმდეგ, გადასახლება და იმან, რომ
 ლერმონტოვმა საბოლოოდ გადაწყვიტა გამოტყვევებინა თა-
 ვისი ნაწარმოები, ე. ი. გადაწყვიტა შენაგანი ბრძოლიდან
 გადასულიყო აქტიურ ბრძოლაზე ლიტერატურულ-საზოგადო-
 ებრივ ასპარეზზე. ხშირად ვამბობთ ჩვენი ღროის აღმომჩენ-
 ზე, რომ ისინი „მუშაობაში იზრდებიან“. იქნებ წარსულის
 არც ერთ მწერალზე ეს ისე ნათლად არ ჩანს, როგორც ამას
 ლერმონტოვის შემოქმედება გვიდასტურებს. როგორ გაიზარ-
 და, დაეყვაცა და განმტკიცდა იგი, როცა მისი პოეზია
 საზოგადოებრივი მოვლენა გახდა, როცა მისი ხმა მთელს
 რუსეთს მოეფინა, ხოლო მის ნაწარმოებთა საზოგადოებრივ-
 თა თართო წრეების შეხედულება შეიქნა და არა მისი სა-
 კუთარი აზრი, ან კიდევ აზრი მეგობრების ვიწრო წრისა!

ამის გარდა, სიმწიფის ხანა იმიტომ დადგა, რომ ლერ-
 მონტოვი კავკასიიდან დაბრუნდა ახალი უმდიდრესი შეთბე-
 დილებებით აღსავსე. ამიტომ წერდა სწორედ ბელინსკი, რომ
 კავკასია გახდა „მისი პოეზიის სამშობლო, რომელიც მას
 მხურვალედ უყვარდა“, რომ „კავკასიონის მიუწვდომელ მწვერ-
 ვალებზე, რომელთაც მუდმივი თოვლის გვირგვინი ამკობს,
 იპოვა მან თავისი პარნასი და მრისხანე თერგი, მთის ნაქა-
 დები, კავკასიის სამკურნალო წყლები გახდა ლერმონტოვი-
 სათვის კასტალის წყარო და იპოვრენა“.*

* В. Г. Белинский. Полное собрание сочинений, под редакцией
 С. А. Венгова. СПб, 1903, т. VI, стр. 60.

ბელინსკის ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონდა არა ლერ-
მონტოვის ყრმობის ნაწარმოებები, რომელთაც იმხანად არ
იცნობდა, არამედ მოწოდებულობის ხანის ნაწარმოებები. მის-
თვის ნათელი იყო, რომ კავკასია გახდა ლერმონტოვის პოე-
ზიის აკვანი მას შემდეგ, რაც პოეტი იქ გადასახლეს პუშ-
კინის სიკვდილზე დაწერილი ლექსების გამო. ასეთი აკვანი
იყო ლერმონტოვის პოეზიისათვის საქართველოც. იგი იმ-
დროინდელ მკითხველთა თვალში განუყოფელი იყო კავკასიის
მცნებისაგან. ასე რომ, როცა დიდი კრიტიკოსი წერდა, თუ
რა მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიურ შთაბეჭდილებებს ლერ-
მონტოვის ნიჭის განვითარებისათვის, ამით იგი საქართველოს
მნიშვნელობასაც ჩასწვდა.

კვლავ თერგზე

1837 წელს იოაკიმე იოაკიმეს ძე ხასტატოვი, რომელსაც
იმხანად ლეიბ-გვარდიის სემიონოვის პოლკის პორუჩიკის ჩინი
ჰქონდა, სტავროპოლში იყო კავკასიის ხაზის ჯარების შტაბის
უფროსის ადიუტანტად. აქ, როგორც ჩანს, შეხვდა მას ლერ-
მონტოვი, როცა იგი სტავროპოლის გავლით ნიჟეგოროდის
დრაგუნთა პოლკში მიემართებოდა.

ხასტატოვმა პეტერბურგში რამდენიმე წელი დაჰყო სე-
მიონოვის პოლკში და შემდეგ სამსახურიდან გადადგა.
1832-35 წლები მან გაატარა თავის მამულში შელკოზა-
ვოდსკოეში და გულადი და თავზეხელაღებული კაცის სა-
ხელი გაითქვა, რადგან ყოველი განგაშისთანავე კაზაკები-
თურთ საბრძოლო ხაზზე გადიოდა. ტყვიას უშენდნენ და ის
კი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი იჯდა ცხენზე,
თავზე ჩაღის ქუდი ეხურა, უიარაღო, მხოლოდ და მხოლოდ
მათრახი ეჭირა ცხენის დასატუქსად. ძალზე აკვირვებდა
კაზაკებს და, ალბათ, კიდევ უფრო მეტად ჩეჩნებს, რომელ-
თათვის ჩინებულ სანიშნოს წარმოადგენდა. ხასტატოვს თავი
მოსწონდა იმითი, რომ წინა ხაზზე ცხოვრობდა და თავის

სავეზი
იმპერო
დოტო
18
სახაზი
როპო
იყო
ა.
წულ
სახლ
სკოე
მოინ
გირე
რომ
ცხო
„ფა
ტატ
სად
მთვ
არ
რა
რო
კო
რო
თა
ტ
ამ
„
—
18
V
I

საეკლესიო მართლებს წოდების ნაცვლად აწერდა— „რუსეთის იმპერიის მეწინავე მემკვიდრე“. საერთოდ მასზე პვერი ანგე-დოტია.

1835 წელს იგი კვლავ სემიონოვის პოლკში განაწესეს და საბაზო ჯარის შტაბის უფროსის ადიუტანტად დანიშნეს სტავ-როპოლში.* შტაბის უფროსი, როგორც ვიცით, იმ დროს იყო პავლე ივანეს ძე პეტროვი, ხასტატოვის დის ქმარი.

ა. პ. შან-გირეიმ, რომელიც ხასტატოვის მედიდრი დის-წული იყო, პ. ა. ვისკოვატოვს უამბო, რომ პირველი გადა-სახლების დროს ლერმონტოვი ხასტატოვს შელკოვსკოდ-სკოეში ეწვია. ამრიგად, 1837 წელს ლერმონტოვი კვლავ მოინახულა ის ადგილები, სადაც ბავშვობისას ყოფილა. შან-გირეის უამბნია, რომ „ბელას“ საფუძვლად დაედო ამბავი, რომელიც გადახდა თავს ხასტატოვს. ხასტატოვთან მართლა ცხოვრობდა მთიელი ქალი ბელა. შან-გირეის უთქვამს, რომ „ფატალისტში“ აღწერილი ამბავი მართლაც შევსებულა ხას-ტატოვს სტანიცა ზერვლენაიაში, როცა იმ ქობში შეიპრა, სადაც ჩაკეტილი იყო დამბალითა და ხმლით შეიარაღებული მთვრალი კაზაკი.**

ზემრთქმელის გარეშეც ნათელი უნდა იყოს, რომ პოეტს არ შეეძლო არ მოენახულა ზერვლენაია და შელკოვსკაია, რაკი ყიზლარიდან ხაზის გაყოლებით გამოემგზავრა. ხაზი, როგორც ცნობილია, გასდევდა თერგს. ყიზლარიდან შელ-კოვსკაიამდე სტანიცებზე გავლით 58 ვერსია, ზევნ კი ვიცით, რომ იგი ეწვია ხასტატოვს. შესაძლებელია, იგი მასთან ერ-თად გაემგზავრა ხასტატოვის მამულში.

იმ მოგზაურობას უნდა უმადლოდეს რუსული ლიტერა-ტურა „კაზაკურ იავნანასა“ და „თერგის საჩუქრებს“, გარდა იმისა, ამ მოგზაურობამ ლერმონტოვს მისცა მდიდარი მასალა „ბელასა“ და „ფატალისტისათვის“.

* П. Дирин. История лейб-гвардии Семеновского полка. СПб, 1883, т. II. Приложения, стр. 173.

А. М. Дондуков-Корсаков. Воспоминания. „Старина и новизна“, VI, стр. 90.

Г. А. Ткачев. Гребенские, терские и кизлярские казаки, стр. 69.

** Полное собрание сочинений М. Ю. Лермонтова, под редакцией П. А. Висковатова. М., 1891, т. VI. Биография, стр. 263.

„მე როგორღაც შემთხვევა მომეცა ორი კვირა გამეტარებინა კაზაკურ სტანიცაში, მარცხენა ფლანგზე. აქვე ფეხოსანთა ბატალიონი იდგა. ოფიცრები ერთმანეთისას იყრიდნენ ხოლმე თავს და ქალაქს თამაშობდნენ“.

ასე იწყება „ფატალისტი“.*

ლერმონტოვის ყოფნას ჩერვლენაიასა და შელკოვსკაიაში უნდა ვუმაღლოდეთ, რომ მოთხრობაში მოხსენებულია კაზაკები, „რომელთა სიმშვენიერეს ძნელად ჩაწვდება ადამიანი, ვისაც ისინი არ უნახავს“, და სტანიცის ღამის აღწერილობა, იმ ღამისა, როცა პეტროვინი შინ დაბრუნდა მას შემდეგ, რაც ვულიჩთან დასდო სანაძლეო; მთვარის აღწერილობაც, რომელიც იყო „სავსე და ხანძარივით წითელი“, „სახლების კბილოვან ჰორიზონტზე რომ გამოჩნდა“.

კაზაკური სტანიცა პოეტს „ფატალისტში“ მეტისმეტად ძუნწად აქვს აღწერილი, მაგრამ მაინც ლერმონტოვისეული აღწერილობა სამუდამოდ რჩება მეხსიერებაში და სხვა რამით არ გამოიძევება.

„მკვლელი ცარიელ ქოხში ჩაკეტილიყო, — წერს „ფატალისტის“ ავტორი, — ჩვენ იქითკენ მივდიოდით, მრავალი დედაკაცი შირბოდა იქით ტირილით. დროგამოშვებით რომელიმე ჩამორჩენილი კაზაკი გამორბოდა ქუჩაში, საჩქაროდ ხანჯალს ირტყამდა წელზე და სირბილით წინ გვისწრებდა“.**

ორივე მოთხრობას საფუძვლად უდევს შთაბეჭდილებანი, მიღებული ხაზზე მოგზაურობისას, კერძოდ, შელკოვსკაიასა და ჩერვლენაიაში ყოფნისა, სადაც პოეტი გაემგზავრა ხასტატოვთან ერთად.

„ბელას“ მოქმედება თერგს გაღმა იშლება, კორდონის ხაზის მარცხენა ფლანგზე, „ქვის ფონის მახლობელ ციხე-სიმაგრეში“.

ეს ლიტერატურული ხერხი როდია. ლერმონტოვი კონკრეტულ ადგილს ასახელებს. ციხე-სიმაგრე მდებარეობდა აქსაიზე, 16 ვერსის დაშორებით სტანიცა შელკოვსკაიადან, გადასასვლელს გადაღმა და „ტაშ-კიჩუდ“ ანუ „ქვის ფონად“ იწოდებოდა.

* „ჩვენი დროის გმირი“, გვ. 165.

** იქვე, გვ. 173.

ეს ლერმონტოვისათვის კარგად ცნობილი რაიონია — გრებენის კაზაკური სტანიცების რაიონი. ტყუილად ხომ არაა, რომ პეტრორინი საჩუქრებისათვის შიკრიკს გზავნის ყიზლარში („ბელა“), ხოლო შემდეგ თვითონაც კაზაკურ სტანიცაში მიდის („ფატალისტი“).

გრებენის კაზაკობაზე დაწერილ წიგნთა და ხელნაწერთაგან, კავკასიის ომის მონაწილეობა მოგონებებიდან მდიდარი მასალის შეგროვება შეიძლება, მაგრამ არ შეიძლება ნათლად წარმოიდგინოს ადამიანმა, რა ახლოა ყოველივე ეს ერთმანეთთან — ყიზლარი, შელკოვსკაია, ჩერელენაია, ქვის ფონის იქითა ციხე-სიმაგრე, არღუნისა და ასას ველი, აღწერილი „იზმაილ-ბეიში“, გროზნაია, საიდანაც ლერმონტოვი კაზაკურ სტანიცაში წავიდა 1840 წ.

ეს ჩემთვის განსაკუთრებით ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც თერგზე მოგზაურობა მომიხდა, რაც სტანიცების გავლით ყიზლარში ვიყავი, მოვისმინე დროული კაცების ნაამბობი, განსაკუთრებით ექიმ სტეფანე პეტრეს-ძე ლარიონოვისა სტანიცა შელკოვსკაიაში.

აწინდელი შელკოვსკაია იქ აღარ მდებარეობს, სადაც ლერმონტოვის დროს იყო. მისმა მცხოვრებლებმა ახალ ადგილზე გადაინაცვლეს — ოთხი კილომეტრით დაშორდნენ თერგს 1885 წლის წყალდიდობის შემდეგ. იოაკიმე იოაკიმეს-ძე ხასტატოვის მემკვიდრეებმა მაშინ მამული ახალმოშენებებს მიჰყიდეს და ხასტატოვებისეული კარ-მიდამოს მიწაზე წარმოიშვა ხუტორი ხარკოვსკი. მაგრამ ახლაც, ხშირ ტყეში ადამიანი მიაგნებს ადგილებს, სადაც იყო შელკოზავოდსკოეს დასახლება, სტანიცა, სასაფლაო, ხასტატოვების კარ-მიდამო.

ქადრისა და თელას ტყეში ხეებს უსურვაზი შემოხვევია, დასასრული არ უჩანს უღრანს, მუქ სიმწვანეს, ველებს, ძეძვითა და მაყვალნარით გადავლილ ტყეს. იქვე ადამიანზე მაღალი, მშრალსაგველიანი ლერწმები ყელყელობენ. უეცრივ მოულოდნელი სივრცე იშლება: დიდებული, თანაბრად მდინარი თერგი, ფართო როგორც წყალსავსობის დროს, ლაპებს მძიმე, თითქოს სქელი წყლის კრიალა ზედაპირი. თერგს გაღმა კი მთებია, ცნობილი ჩვენთვის ჯერ ლერმონტოვის, ხოლო შემდეგ ლევ ტოლსტოის მეოხებით.

ტყუილად ხომ არ ერქვა „შელკოვსკოეს“ ამქვეყნიური სამოთხე. გასაგებია, რად შეიყვარა ლერმონტოვმა ეს ადგილები და რად გაჰყვა ეს გრძნობა სამუდამოდ.

გადმოცემით ლერმონტოვმა „კაზაკური იავნანა“ დაწერა სტანიცა ჩერვლენაიაში. გადმოგვცემენ, რომ როცა პოეტი მისთვის განკუთვნილ ქოხში შევიდა, იქ დახვდა ლამაზი კაზაკი ქალი დუნკა დოგადიხა, რომელიც თავისი დისწულის აკვანთან იავნანას მღეროდა, თითქოს ამ შეხვედრამ შთააგონა ლერმონტოვს ეს შესანიშნავი ლექსი.*

შესაძლებელია ეს არც იყო ასე. და თუნდაც ასე იყოს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სიმღერების გარდა ლერმონტოვმა იცოდა ადათები და ყოფა გრებენის კაზაკებისა, რომ მისი „იავნანა“ ხალხური სიმღერის მიბაძვა კი არ არის, არამედ მრავალფეროვანი შთაბეჭდილებების განზოგადება. მაგრამ, უეჭველია, ეს შთაბეჭდილებანი ხორცშესხმულია ხალხური პოეზიის მიხედვით. ტყუილად როდი თვლიდნენ ჩერვლენაიას მცხოვრებნი, რომ ლერმონტოვმა „კაზაკური იავნანა“ დაწერა მას შემდეგ, რაც მან სტანიცაში ნამდვილი კაზაკური სიმღერები მოისმინა. მათ რომ არ ეგრძნოთ საკუთარი პოეზიისა და ლერმონტოვის სიმღერის შინაგანი მსგავსება, როდი შეიქმნებოდა თქმულება, რომ ლერმონტოვი, როგორც კი მოისმინა კაზაკი ქალის სიმღერა, უმაღლეს, სანამ ქოხში მისი ბარგი შემოჰქონდათ, მიუჯდა მაგიდას და დასწერა ქალადის ნაკუწზე „კაზაკური იავნანა“ და კიდევ კაზაკ ბარისკინს დაუძახა და წაუკითხა ის, რათა მისი აზრი მოესმინა.**

ამ გადმოცემას რამდენიმე ვარიანტი აქვს, ამრიგად იგი ძალზე მყარია და, როგორც ჩანს, ნამდვილ ამბავზეა დაფუძნებული.

გრებენის კაზაკებში ფრიად პოპულარულია ლერმონტოვის

* Г. А. Ткачев. Станица Червленная. Владикавказ, 1912, стр. 116-211-212.

** П. Кулебакин. Из местных воспоминаний о М. Ю. Лермонтове. „Терские ведомости“, 1886, № 14, стр. 2. გადაბეჭდილია: „Петербургская газета“, 1886, № 63.

Г. А. Ткачев. Станица Червленная, стр. 116. შეად.: А. Семенов. Лермонтов и Лев Толстой. М., 1914, стр. 119, 423-424.

მონტოვი და ლევ ტოლსტოი“ ლერმონტოვის „კაზაკური იაენანა“ გრებენის ერთ-ერთ სიმღერას შეადარა. ამ სიმღერაში გადმოცემულია კაზაკის დედის ამბავი, რომელიც შვილს აკვანს ურწევს:

გახსოვს, ასე მოხდა წყნარი დონის პირას,
სად ჰყვოდნენ ზენი ამწვანებულ ბაღში,
სად დაჰქროდა სიო მწვანე მსხლელების ძირას,
სად ტოტები თრთოდნენ თმაბუტუტა ვაშლის.
სად ყვავილებს დაჰქრავს ფერი ფირუზისა,
სადაც მოლი ლელავს მწვანე აბრეშუმად,
სადაც ტაბტი ვიწრო იყო თბილი მიწა
და ბუმბული—მდელო მობიბინე ჯემად.
დედამ ვაჟი შობა იქ, იმ ლამაზ ბაღში,
ბროლის ძუძუებით გამოკვება ბავშვი.
შეკრა არტახებით, ლამითა თუ დღისით
ყრმას არწევდა მწვიდად ტოტზე კიპარისის.
არიდებდა პირშოს ჭარს და ჭარიშხალსა,
იფარავდა წითლად მოგიზგიზე მზიდან.
კოკისპირულ წვიმას არიდებდა ბავშვსა,
ხელმწიფის სამსახურს კი ვერ მოარიდა*.*

სემენოვის აზრით. ლერმონტოვის „კაზაკური იაენანა“ „როგორც სტილით, ისე შინაარსით“ ძალიან ახლოა ამ კაზაკურ სიმღერასთან.**

ამ აზრის გაზიარება საკმაოდ ძნელია.

მკვლევარი სავსებით მართალია, როცა ამტკიცებს, რომ ლერმონტოვის ლექსის შექმნაში დიდი როლი ითამაშა კაზაკურმა სიმღერებმა, მაგრამ მისი მაგალითი სრულიად დაუჯერებელია.

უპირველეს ყოვლისა, საჭირო არ არის ლერმონტოვის ლექსის ერთი რომელიმე განსაზღვრული წყაროს ძებნა, რაც უფრო მეტად ვეცნობით გრებენის კაზაკების სიმღერებს, მით უფრო ნათელი ხდება ლერმონტოვის სიახლოვე ამ სიმღერებთან. მაგრამ, როგორც ერთი რომელიმე განსაზღვრული

* თარგმანი გ. ხუბაშვილისა.

** Л. Семенов. Лермонтов и Лев Толстой. М., 1914, стр. 442, შეად. მისივე: „Лермонтов на Кавказе“. Пятигорск, 1939, стр. 80.

სიტყვებზე შექმნილი სიმღერები, მათ შორის „კაზაკური იაენანა“. როგორც ცნობილია, პოეტთა სიმღერების უცნობი სიტყვები და მწიგნობრული თქმები ხალხში შეცვლას ან გადაკეთებას განიცდის, რათა ხალხის ცოცხალ ენასა და სიმღერას დაუახლოვდეს. მიუხედავად ამისა, „გრებენის კაზაკების სიმღერების“ კრებულის შემდგენელი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ლერმონტოვის ლექსების ტექსტებს ფოლკლორში არსებითი ცვლილებები არ განუცდია.“* ეს ახალი საბუთია იმისა, რომ ლერმონტოვის ლექსების სახეები და ეპითეტები გრებენის სიმღერებს ენათესავება.

გრებენის კაზაკების რომელ სიმღერებს ენათესავება ლერმონტოვის „კაზაკური იაენანა“? ამისათვის გადავათვალიეროთ პოეტის თხზულებათა სრული კრებულის შენიშვნები და სპეციალური ლიტერატურა ლერმონტოვის შესახებ.

„კაზაკური იაენანა“

„კაზაკური იაენანას“ მთავარ წყაროდ სულ უკანასკნელ ხანამდე პოეტის თხზულებათა სრული კრებულის შენიშვნებში ითვლებოდა ვალტერ სკოტის „სიმღერა ბელადის შვილის აკვანთან“. პირველად ამის შესახებ განაცხადა ს. შევირევა ლერმონტოვის წინააღმდეგ მიმართულ წერილში. ეს წერილი ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში დაიბეჭდა.** ამის შემდეგ მთელი საუკუნის განმავლობაში წიგნიდან წიგნში გადადიოდა შევირევის „დაკვირვება“. ფრანგი მკვლევარი ე. დიუშენი სრული დარწმუნებით, თითქოს ეს მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად დაემტკიცებინოს, თავის წიგნში აცხადებს, რომ ლერმონტოვის ამ სიმღერის შთამავრთბელი უმთავრესად ვალტერ სკოტია. ეს „უმთავრესად“ დიუშენს იმიტომ წა-

* „Песня гребенских казаков“. Публикация текстов, вступительная статья и комментарии Б. Н. Путилова. Грозный. 1946, стр. 303, прим. 79.

** „Москвитини“, 1841, ч. II, № 4, 534.

მოცდა, რომ იგი ვალტერ სკოტის გარდა ამ ლექსის შთაბე-
გონებლად სთვლიდა პოლეჟაევისაც.*

ვალტერ სკოტისა და პოლეჟაევის გარდა, „კაზაკური იაგ-
ნანას“ წყაროდ სთვლიდნენ პუშკინის „კავკასიის ტყვეს“, გო-
გოლის „საშინელ შურისძიებასა“ და „ტარას ბულბას“. ამ
ორ უკანასკნელს იმიტომ, რომ მათში გადმოცემულია კაზაკი
დედის სახე, რომელიც ომში აცილებს შვილს.**

ამ შემთხვევაში ლიტერატურული წყაროების დამოწმება
განსაკუთრებით უაზროა, რადგან ლექსში ხორცშესხმულია
ის, რაც ლერმონტოვისათვის ცნობილი იყო ყოველგვარი ლი-
ტერატურული წყაროების გარეშე. სავსებით ნათელია, რომ
კავკასიელ ოფიცერს, ლერმონტოვს, კაზაკი დედის სახე შეეძ-
ლო შეეჭმნა გოგოლის მოთხრობებისა და მით უმეტეს ვალ-
ტერ სკოტის კითხვისაგან დაშოუკიდებლად. პუშკინისაგან კი
არა, არამედ სინამდვილისაგან აქვს აღებული მას „ბოროტი
ჩენის“ სახე, რომელმაც თერგი გადასცურა. როგორც უკვე
დავინახეთ, ლერმონტოვს ბავშვობიდანვე უფრო ზუსტი წარ-
მოდგენა ჰქონდა „ბოროტ ჩენებზე“, ვიდრე პუშკინს.

ლერმონტოვის სხვა მკვლევარებმა, რომლებმაც მისი პოე-
ზია შეისწავლეს რუსულ ფოლკლორთან კავშირში, სამართ-
ლიანად აღნიშნეს, რომ „კაზაკური იაგნანას“ შექმნაში დიდი
როლი ითამაშა იმან, რომ პოეტი იცნობდა კაზაკურ ხალხურ
სიმღერებს. ჯერ კიდევ 1914 წელს ნ. მ. მენდელსონი, ავ-
ტორი ჩინებული სტატიისა — „ხალხური მოტივები ლერმონ-
ტოვის პოეზიაში“, წერდა: „პოეტი, რომელიც კაზაკების,
ძველი სიმღერების ამ ერთგული მცველების წრეში ტრია-
ლებდა, კვლავ დაეწაფა ხალხური პოეზიის ანკარა წყაროს და
შექმნა „კაზაკური იაგნანა“ და „თერგის საჩუქრები“*** იმავე
დროს მეორე მკვლევარმა ლ. პ. სემენოვმა წიგნში „ლერ-

* Э. Дюшен. Поэзия М. Ю. Лермонтова в ее отношении к русской и западноевропейским литературам. Перевод с французского. Казань, 1914, стр. 25. (ფრანგულად წიგნი გამოვიდა პარიზში 1910 წელს).

** Лермонтов, т. II, 202.

*** Н. М. Мендельсон. Народные мотивы в поэзии Лермонтова. „Венок Лермонтову“. М., 1914, стр. 193.

მონტ
იაგნან
რაში
აკვან

ზა

მ

ვ

მ

სიმღერით შემოვიფარგლებით — მსგავსება ერთბაშად ხელ-
შეუხები ხდება. გრებენის კაზაკების სიმღერები რომ გადა-
ვიკითხოთ, თვალნათლივ წარმოგვიდგება მთელი მათი წარ-
სული ცხოვრება — სამხედრო სამსახური, ოჯახთან განშორე-
ბა, ლაშქრობანი და ბრძოლები, გმირობა და მამაცობა, და-
ლუბვა მშობლიური სტანიცისაგან მოშორებით. სწორედ ამას
მიაგნო ლერმონტოვმა თავის „კაზაკური იავნანასა“ და „თერ-
გის საჩუქრებში“, მაგრამ შეცდომა იქნებოდა ლერმონტოვის
სტრიქონები:

მე საომარ უნაგირსა
აბრეშუმით ამოვჭარგავ...

გრებენის სიმღერებიდან გადმოტანილად მიგვეჩნია. აბრე-
შუმით ნაკერი უნაგირები და ყორანისფერი მერნები ლერმონ-
ტოვს საკუთარი თვალთ უნახავს გრებენის სტანიცებში,
მაგრამ საგულისხმოა, რომ თავისი შთაბეჭდილებებიდან ლერ-
მონტოვმა სწორედ ის აიღო, რაც აუღია ხალხურ სიმღერას:

წარმოგზავნის სატრფო,
ჩემთვის არჩეული,
ყორანისფერ მერანს
და უნაგირს ჭრელად
შემეყულს აბრეშუმით —
ძღვენი გრებენების
მამაც ასეულის.*

ამას ჩერვლენაიაში იმღერიან, მაგრამ ლერმონტოვის ლექ-
სებისა და კაზაკური სიმღერების მსგავსება შეიძლება გან-
საზღვრული იყოს მთელი გრებენის კაზაკების სიმღერებით,
ვინაიდან „კაზაკური იავნანა“ წარმოადგენს მხატვრულ გან-
ზოგადოებას და ჰგავს არა ერთსა და ორს, არამედ მრავალ
კაზაკურ სიმღერას.

* „Песни грёбенских казаков“. Грозный, 1946, стр. 123, 181-182.
თარგმანი გ. ხუბაშვილისა.

„თერგის საჩუქრების“ წყაროები

აი რას წერს ზემოხსენებული ე. დიუშენი: „თერგის საჩუქრების“ შესახებ:

„ცნობილია ვიქტორ ჰიუგოს მიდრეკილება თვალხილული ბუნების გასულიერებისაკენ: ტყეების, გორაკების, მდინარეების, მთების გასულიერებისაკენ. ყოველივე ამას ჰიუგოსთან საკუთარი ხმა აქვს. მსგავსი წინასწარი განწყობილება ყოველთვის იყო მითების დაუშრეტელი წყარო. ამ გასულიერებით, რომელიც ჰიუგოს გენიის მეშვეობით დაცულია იმ სიმშრალისაგან, რაც კლასიკურ ლიტერატურას ახასიათებს, მწერალს სცენაზე გამოჰყავს მდინარე, მთა, ალაპარაკებს მათ... ლერმონტოვის ორ ლექსზე „თერგის საჩუქრებსა“ (1839 წ.) და „დავაზე“ (1841 წ.) თვით ჰიუგოც არ იტყოდა უარს. ჩვენ გვგონია, — დაასკენიდა დიუშენი, — რომ ეს ორი ლექსი დაწერილია ჰიუგოს გავლენით, რომ ლერმონტოვს ეს ლექსები შთააგონა და უკარხაბა ფრანგი მწერლის ბაღადამ „გაფთრებული ღუნაი“.*

ამ „ქებას“ („თერგის საჩუქრებსა“ და „დავაზე“ თვით ჰიუგოც კი არ იტყოდა უარს) მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება მოჰყვეს: ლერმონტოვი ვიქტორ ჰიუგოს ნიჭიერი მოწაფე იყო.

ლერმონტოვის მკვლევართ ლ. პ. სემენოვს და ბ. მ. ეიხენბაუმს არ უარყვიათ დიუშენის დასკვნა, მაგრამ იმას კი ამტკიცებენ, რომ ლერმონტოვის ბაღადას საფუძვლად უდევს ადგილობრივი ფოლკლორიც, რომ „თერგის საჩუქრებს“ გრებენის კაზაკების სიმღერებთან მივყავართ.** მაგრამ საკითხის ამგვარად დაყენებამ თვით ფოლკლორი ლიტერატურულ წყაროს ერთ-ერთ სახესხვაობად აქცია. ამასთანავე სავსებით გაურკვეველი რჩება, რომელ სიმღერებამდე მივყა-

* ე. დიუშენი. ციტირებული შრომა, გვ. 139.

** Лермонтов. Стихотворения. შესავალი წერილი, რედაქცია და კომენტარი ბ. მ. ეიხენბაუმისა, ტ. I. („Библиотека поэта“. Большая серия). Л., „Советский писатель“. 1940, стр. 334.

Л. П. Семенов. Лермонтов и фольклор Кавказа. Пятигорск. 1941, стр. 44.

ვართ ლერმონტოვის ლექსს და, რაც მთავარია, რაში გამო-
იხატება ფოლკლორთან სიახლოვე. ეს საკითხი სპეციალურ
ლიტერატურაში კარგა ხანია დასმულია, მაგრამ სავსებით
დაუმუშავებელია.

ნ. მენდელსონმა სტატიაში „ხალხური მოტივები ლერმონ-
ტოვის შემოქმედებაში“ მოიტანა გრებენის სიმღერა თერგ
გორინიჩზე, რომელმაც „გასჩეხა და გაანგრია გრეხილი მთები,
ბნელი ტყეები და გადაეშვა ლურჯად ელვარე კასპიის ზღვაში“:

ო, ჩვენი მამავ,
ჩქარმდინარო თერგო გორინიჩ!
კეთილი სატყით მოიპოვე დიდება შენი,
კეთილი სიტყვა შენზე თქმული ამიტომ გშვენის.
შენ გასჩეხე და გაანგრიე გრეხილი მთები,
ბნელი ტყეები;
თერგო ძლიერო, გადაეშვი ლურჯად ელვარე
კასპიის ზღვაში.
ბაგებიდან გამოტყორცნე თეთრი ცხელი ქვა.
იქ მიდიოდნენ გრებენელი კახაყებიცა,
რომ შეხვედროდნენ გზაზე თურქებს ბრძოლით და რისხვით.
თეთრ ქვასთან სანამ მივიდოდნენ, შეჩერდებოდნენ,
შეჩერდებოდნენ, თვალებიდან რისხვას აფრქვევდნენ,
თითო მათგანი ზუთას მანეთს თუ იშოვიდა,
ატამანსა და იასაულს ათასს აძლევდნენ.
ერთი მამაცი გულკეთილი გაასულელებს.
სადღაც უშოვეს ქალიშვილი ლამაზი, ტურფა,
მისი მოკაზმეა დაუფასეს ზუთას მანეთად.
ქერა ნაწნავი მისი ღირდა ათას მანეთად
და ქალიშვილს კი ლოყებშითელს არ ჰქონდა ფასი.*

ლ. პ. სემენოვი ასახელებდა სხვა სიმღერას, რომელშიც
იმაზეა ლაპარაკი, როგორ გაემზადნენ თავადები საომრად.**

იცვამდნენ უზდენ-თავადნი ჯაყმანსა სამმაგ დაწნულსა,
სანიდაყვესა ძვირფასსა, მოოჭრულსა და მაგარსა.

ორივე სიმღერა საკმაოდ დაშორებულია ლერმონტოვის
ბალადას და, რაც მთავარია, შეიცავს ისეთ ზოგად ამბებს,

* „Венок Лермонтову“. М., 1914, стр. 194-195.

Л. Семенов. Лермонтов на Кавказе. Пятигорск, 1939, стр. 79-80.
მისივე: Лермонтов и фольклор Кавказа. Пятигорск, 1941, стр. 43-45.

** იქვე, გვ. 45.

რომლებიც ლერმონტოვს შეეძლო ცოდნოდა ამ სიმღერების გარეშეც: ყაზარდოელები მხოლოდ სიმღერებში კი არა, არამედ ნამდვილად ატარებდნენ მოოქრულ სანიდაყვეს. ყაზახ ქალებს ნამდვილად ქერა თმები აქვთ, ხოლო თერგი მარტო სიმღერებში როდი შეერთვის კასპიის ზღვას. ამის მიხედვით, ლერმონტოვს „თერგის საჩუქრებში“ შეეძლო თავისი უშუალო განცდები აღეწერა, ლექსს შეიძლება არც ჰქონოდა ფოლკლორული წყარო.

არსებითად მკვლევართა დაკვირვებანი სწორია, მაგრამ მათ არ გააჩნდათ საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტები. ამასთანავე არსებობს, მართალია არაპირდაპირი, მაგრამ მაინც ზუსტი მითითება იმისა, რომ რიგ დაკვირვებებთან ერთად ლერმონტოვისათვის შთაგონების წყაროს ხალხური პოეზიაც წარმოადგენდა.

მაგრამ ვიდრე ხალხური შემოქმედების ამ ნაწარმოებებს გავეცნობოდეთ, შევეცდებით გავარკვიოთ, ვინ ჩასწერა ეს სიმღერები.

გრებენის კაზაკობის ისტორიკოსები

1876 წელს გრებენის კაზაკობის მეისტორიე ი. დ. პოპკო, რომელიც მასალებს აგროვებდა თავისი წიგნისათვის „თერგის კაზაკები ძველთა დროთაგან“, იყო სტანიცა ესენტუკსკაიაში დიდგვარიან გრებენელ კაზაკთან, ჩერვლენაიას მკვიდრთან. ეს გახლდათ კაზაკი გენერალი ფედულ ფილიპეს-ძე ფედლიუშკინი. იგი იყო კაზაკურ სიძველეთა დიდი მოყვარული. წინათ გრებენის პოლკის ადიუტანტი იყო და მრავალი წლის განმავლობაში აგროვებდა სამხედრო რელაციების, ბრძანებების, კაზაკი მხედართმთავრების წერილების პირებს, — ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რაც ეხებოდა გრებენის კაზაკთა ჯარის ისტორიას.

ფედლიუშკინის საოჯახო ბიბლიოთეკაში პოპკომ იპოვა კაზაკური გადმოცემების ხელნაწერი კრებული. „ეს კრებული, — წერს თვითონ პოპკო, — დაგვიტოვა მეცნიერმა კაცმა, რომ-

შელიც ჯარისკაცის რუხ მაზარას ატარებდა და რომელიც დაიღუპა თერგს გაღმა ველიამინოვსკის ერთ-ერთი იქსპედიციის დროს 1830-იან წლებში*.

ხელნაწერი გადავიდა პოპკოს განკარგულებაში, მანაც გამოიყენა იგი თავის წიგნზე მუშაობის დროს და წყაროდ დაასახელა ნაშრომის წინასიტყვაობასა და შენიშვნებში*.

თავისი გამორკვევის პირველი ტომის გამოცემის შემდეგ მან განიზრახა გრებენის ფოლკლორის ჩანაწერების გამოცემა ცალკე წიგნად: მოამზადა ტექსტები, დაურთო დაწვრილებითი შენიშვნები, მაგრამ ხელნაწერი რატომღაც გამოუცემელი დარჩა. პოპკოს გარდაცვალების შემდეგ იგი კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-ისტორიულ განყოფილებაში აღმოჩნდა და ამჟამად მიკვლეულია საქართველოს სსრ ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდებში**.

კრებულის წინასიტყვაობაში პოპკო აღნიშნავს, რომ წიგნების გარდა მუშაობისას ისარგებლა „ბ-ნ რაზდორსკის ჩანაწერებით, რომელიც 1843 წელს აგროვებდა მასალებს გრებენის კაზაკებისა და ტიუმენის ურდოს ისტორიისათვის, მაგრამ რაზდორსკის გარდაცვალების გამო ეს ჩანაწერები დაუსრულებელი დარჩა და განსვენებულის სხვა ქალაქლებთან ერთად გაეგზავნა მის ნათესავებს“.

შენიშვნაში ნათქვამია, რომ ყაბარდინის ეგერთა პოლკის პორუჩიკი იგნატი რაზდორსკი მოკლული იქნა ბრძოლაში მთიელების მიერ, ყუმბიკის ზეგანზე, სოფელ ანდრევიას მახლობლად, 1844 წელს.

თითქოს ისე გამოდის, რომ პოპკოს ხელთ ჰქონდა „კაზაკური გადმოცემების ხელნაწერი კრებული“, რომელიც დოგვიტოვა „შეცნიერმა კაცმა“, ჯარისკაცის მაზარას რომ ატარებდა და, გარდა ამისა, „რაზდორსკის ჩანაწერები“, რომელიც მასალებს აგროვებდა გრებენის კაზაკობის ისტორიისათვის.

* И. Д. Понко. Терские казаки состароданных времен, вып. 1. Гребенское войско. СПб., 1880, стр. ХLI.

Г. А. Ткачев. Станица Червленная. Владикавказ, 1912, стр. 8.

** Песни гребенских казаков, собранные Понко*. ЦГИА Грузинской ССР, фонд 1087/4, № 727.

მაგრამ ეს ასე არაა. ყველაფრიდან ჩანს, რომ პოპკოს ჰქონდა არა ორი, არამედ მხოლოდ ერთი ხელნაწერი. ალბათ, თავდაპირველად მან არ იცოდა, ვინ შეადგინა კრებული, რომელიც ფედიუშკინის ბიბლიოთეკაში იყო დაცული. შემდგომ მუშაობის დროს დაადგინა რაზდორსკის გვარი და გამოარქონისკა ცურ მაზარას*, არამედ ყაბარდინის პოლკის პორუჩიკი იყო და თერგს გაღმა დაიღუპა, მაგრამ არა 1830-იან წლებში, არამედ 1840-იანი წლების დასაწყისს. თუ გავითვალისწინებთ, რომ გრებენის ყაზახობის შესწავლასთან ერთად, რაზდორსკის იინტერესებდა ტიუმენის ურდოს ისტორია, რომელიც თერგზე მკვიდრობდა აქ რუსი ყაზაქების მოსვლამდე, ნათელი გახდება, რომ პოპკოს სრული უფლება ჰქონდა ყაზაქური გადმოცემების კრებულის შემდგენლისათვის „მეცნიერი კაცი“ შეერქვა.

შეიძლება დადგენილად მივიჩნიოთ, რომ „გადმოცემათა ხელნაწერი კრებული“ და „ბ-ნ რაზდორსკის ჩანაწერები“, რომლებითაც უსარგებლია პოპკოს, ერთი და იგივეა. თბილისის არქივში დაცულ ხელნაწერს აქვს პოპკოს შენიშვნა: „მიღებულია გენერალ ფ. ფ. ფედიუშკინისაგან 1876 წლის 1 დეკემბერს, სტანიცა ესენტუქსკაიაში“.*

ისე რომ ეს ჩანაწერები ეკუთვნის 1840-იანი წლების დასაწყისს. მაგრამ იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ვიფიქრებთ, რომ ფედიუშკინმა პოპკოს რაზდორსკის ჩანაწერის გარდა სხვა ხელნაწერიც გადასცა და ის ხელნაწერი იყო გადმოცემათა კრებული, შედგენილი პოლიტიკური გადასახლებულის მიერ, ჯარისკაცის რუხ მაზარას რომ ატარებდა, ამ შემთხვევაში კი თბილისის არქივის ჩანაწერები უნდა მივაკუთვნოთ კიდევ უფრო ადრეულ პერიოდს — 1830-იან წლებს.

თბილისის არქივის ხელნაწერი

პოპკოს კრებულს შეადგენს გალექსილი ისტორიული ამბები. ერთ-ერთი მათგანი — ქალაქ ჩერვლენის ამბავი იწყება

* „Песни грёбенских казаков, собранные Попко“, т. 2.

გახრისხებული თერგის აღწერილობით, რომელსაც * წარუღ-
ვნია კაზაკური ქოხები და ვენახები:

კლდოვან ნაპირს ლოკავს ბრაზით,
თერგი ღმუის გამძაფრებით.
ძრწიან შიშით მის ნახვავზე
გრებენელი კაზაკები.

უკვე პირველი სტრიქონები უნებლიეთ აღადგენენ მეხსი-
ერებაში ლერმონტოვის ლექსს „თერგის საჩუქრებს“:

ველური და გულმორისხანე
ღმუის თერგის ტალღა ვრცელი,
გრიგალსა ჰგავს მისი კვნესა
და შხეფებად სცვივა ცრემლი.

ამ ჩერვლენ-ქალაქის თქმულებაში ისევე, როგორც ლერ-
მონტოვის ბალადაში, თერგს ადამიანის ენა აქვს ამოდგმუ-
ლი, ხალხურ ფაბტაზიას მისთვის ხასიათი და სახე² მიუცია:

თერგი ბორგავს, თერგი ავობს,
აზლოს ვერვინ ეკარება,
ქალიშვილთა გუნდი ლამობს
თხოვნით მისვლას ნება-ნება.
იმ ადგილას, სად ვარსკვლავთა
ბალი ჰყვავის საარაკო,
ლამაზმანთა გუნდი თხოვნას
თერგთან ასე ლაპარაკობს:
— გამარჯვება, ჩვენო თერგო,
გორინიჩო, მშობლიურო.
გვედრებით, რომ წყალობით
გული ჩვენსკენ მოიბრუნო.
შეგვისმინე, გორინიჩო,
საშინელი ატალღებით
ჩვენ ქალაქი წაგვიღვე,
გადათქერე მთლად ბაღები.
ჩვენ ზომ შენი შვილები ვართ
და შენს საბელს ვიფერებდით,
ვით საკუთარ ბედნიერ დღეს,
გადიდებდით სიმღერებით!*

* თარგმანი გ. ზუბაშვილისა.



მირზა ფატალი ახუნდოვი.

ლითოგრაფიიდან

ქალწულები ტალღებში გვირგვინებს აგდებენ და პასუხს
როდესმან, მაგრამ თერგი „მრისხანებს, კოპებს შეიკრავს“
და მაშინ ქალწულები საჩუქრებს სთავაზობენ:

და სანაცვლოდ წაიყვანე
რომელიც გსურს ქალიშვილი,
შავთვალემა და ტანწერილი,
ცისკარივით აღეწილი.

წვენიშნავთ, რომ ლამაზი კაზაკი ქალის სახე, რომელსაც
სთავაზობენ საჩუქრად თერგს, გაცილებით უფრო ახლოა
„თერგის საჩუქრების“ სახეებთან, ვიდრე კაზაკები, რომლე-
ბიც თურქეთის ლაშქრობიდან ბრუნდებიან და ალაფს იყოფენ.
თერგი უარს ამბობს შემოთავაზებულ საჩუქარზე, იღიმება,
გრძელ უღვაშს მალლა იშვერს, ხელს წვერებს შეახებს და
პასუხობს, რომ იგი მიიღებს გვირგვინს, ხოლო ქალწული
მას, მოხუცს, არა სჭირდება. კაზაკ ქალებს სთხოვს, მოუხმონ
პაპებს და მამებს, რათა მის სიტყვას მოუსმინონ:

ისევ შეყრის თერგი წარბებს,
ფუტრებს, სანამ გაავდება.
ასე მოსდევს დაქუბება
მოულოდნელ გაავდრებას.

კაზაკები ნაპირზე გამოდიან, ნახევარ წრეს კრავენ და პა-
ტივისცემით მიმართავენ თერგს.

„თერგი განრისხებულია და საშიში“, შუბლშეკრული მრის-
ხანედ იყურება, მერე ასწევს მძიმე წარბებს და თვალებს გა-
აღებს, კაზაკებს მოუბრუნდება და იმას გაიხსენებს, რაც მათ
უწყებინებიათ:

ხარბად სვამდნენ ჩემს ტყბილ წყალსა,
აეარები, ზაზარები,
ბერძნები და მაჯარები,
ხარბად, განა დაზარებით.
ყივჩალების ურდოები,
მონღოლები და თათრები,
ჭუნები და სკვითნი მასთან
მოსულები გააფთრებით.
და სლავებიც არა ერთხელ
ჩემთან სტუმრად მოდიოდნენ,

წყალს სვამდნენ და ბრუნდებოდნენ,
ბუზუნებდა ლოდი ლოდზე.
და მას შემდეგ, რაც ხანია
მე ბაბუა თერგი მქვია,
თქვენს დიდებულ წინაპართა
საძმოდ კარი გამიღია.
ისინი მე მმორჩილებდნენ,
ჩემით იყვნენ კმაყოფილნი.
წყალს ვასმევდი, თევზს ვაჭმევდი,
არ გვქონდა რა გაყოფილი.

• • • • •
თქვენ ჩემს წყალსა განუდევით,
წვენს ხვრიპავთ და არა ძლებით.
მთელი ზალხის სასაცილოდ
არა რას იქმთ ზარმაცები.*

მას შემდეგ, რაც გრებენის კაზაკებმა საცინლად აიღეს,
რომ ის „ბებერია და კუზიანი“, რაც მის წყალს დაუწყეს გი-
ნება, თერგი წყალდიდობას აღარ აკლებს მათ.

ხანგრძლივი დავა კაზაკებთან იმით გათავდა, რომ კაზაკმა
ანდრონ დმიტრიჩმა თერგში ჩააფურთხა.

ოხრავს თერგი, რადგან ზედაეს
სამარცხენო შვილიშვილებს.
ატალღდა და აბობოქრდა,
აკრაჭუნებს ბრაზით კბილებს.
წარბი შეკრა და ღრუბლები
თითქოს თვალებს დაახურა.
გაიფლვა, აღმუფლებით
ბაგე ქუზდა არნახულად.
აბობოქრდა და ტალღები
ნაპირებზე გადარგა.
გრებენელთა ბაღებისა
და ქალაქის წასაღეკად.
წაილგკოს მთლად ჩერვლენი,
ნუ დაინდობთ,—ქუზდა თერგი,—
აღმოსავლით, კასპის ზღვამდე
გაიყოფეთ, როგორც მსხვერპლი.

მაგრამ მას შემდეგ, რაც თერგი ისტუმრებს ტალღებს
შვილიშვილების ქალაქისა და ბალთა წასაღეკად, რათა აღ-

* თარგმანი გ. ზუბაშვილისა.

მოსავლით, კასპიის ზღვამდე გაიყოლონ, როგორც მსხვერპ-
ლი, მან:

თვასი ჭედი აჩქარებით
თვალეზამდე ჩამოსწია,
არ აჩვენოს შვილიშვილებს,
ცრემლები რომ ჩამოსცვივა,
არ შენიშნონ წუთიერად,
შეღაბული მისი გრძნობა.

სიმღერის ბოლო ნაწილი იმას წიგნდევნება, რომ თერგთან
მოვიდა „ძველთაძველი პაპა“:

კვლავ შშობლიურ ჩერვლენ-ქალაქს
ესტუმრება შორ ჭეცნიდან,
რომ დასტოვა, აღმოსავლით
როს წარგზავნა პეტრე დიდმა
ოქროს ფსკერის საპოვნელად.

1714 წელს ციმბირის გუბერნატორმა პეტრე პირველს
მოახსენა ოქროს ქვიშის შესახებ, „მცირე ბუხარაში რომ მო-
იპოვება“. თავის დაუმთავრებელ „პეტრე I-ის ისტორიაში“
პუშკინი წერდა: „შესახებ ამისა პეტრემ აცნობა ელჩსა ხი-
ვისა, რომელიც იმხანად იყო პეტერბურგს. მან დაადასტურა
ქალაქ ტობოლსკის ცნობა და დაურთო: დიდ ბუხარაშიც,
ამუ-დარიის ნაპირებზე, მოიპოვება ეგვევ ოქროს ქვიშა. ამან
საბაბი მისცა ამ მხარის შესწავლას და შემდგომად ამისა იშვა
აზრი ინდოეთთან ვაჭრობისა“.*

1716 წელს პეტრე პირველმა მოაწყო გრებენის 500 კაზა-
კის ექსპედიცია ხივის ხანთან, რათა გამოერკვია წყალსავალი
სავაჭრო გზის შესაძლებლობა ინდოეთისაკენ. ექსპედიციის
ხელმძღვანელად დანიშნა თავადი ბეკოვიჩ-ჩერკასკი. მას ევა-
ლებოდა „გულმოდგინედ დაეთვალიერებინა“ ამუ-დარიის მდი-
ნარება და დაედგინა „უკეთუ არის შესაძლებელი დაუბრუნონ
წყალი ძველ კალაპოტს, სხვანი ნაკადნი, რომელნი შეერთვიან
ზღვასა არალისა, ჩაკეტონ“.**

* Пушкин. История Петра. Полное собрание сочинений. М., изд.
Академии Наук СССР, 1938, стр. 10.

** И. Голиков. Деяния Петра Великого, изд. 2-е, М., 1838, т. VI,
стр. 87-88.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პეტრე პირველს, რომელსაც აინტერესებდა სამდინარო გზა ინდოეთამდე, უნდოდა გაეგო, ხომ არ შეიძლება ამუ-დარიას უზბოიში დაბრუნება და კასპიის ზღვისაკენ მოქცევა.

ბეკოვიჩ-ჩერკასკის ექსპედიცია ცუდად დამთავრდა. თვით ბეკოვიჩს ცოცხლად ტყავი გააძვრეს და თავი მოჰკვეთეს, დანარჩენები დახოცეს, გადარჩა მხოლოდ ორი ტყვედ ჩავარდნილი გრებენელი, რომლებიც ხიველებმა მონებად სპარსელებს მიჰყიდეს. ეს ორი კაზაკი დიდი ხნის შემდეგ გამოიქცა სამშობლოში.

და, აი, ჩერვლენ-ქალაქის კაზაკი ივანე დემუშკინი თერგის ნაპირებამდე მივიდა და თავისი საცხოვრებელი კი ვერ იპოვა:

ბერიკატი ქალაქს ეძებს,
რამე ნიშანს ეძებს იგი,
და მოხუცის სამწუბაროდ
არაფერი მოჩანს ირგვლივ.

მგზავრი პაპა გორინიჩს მიმართავს, ეკითხება, რა იქნა ქალაქი. საპასუხოდ თერგი შესჩივლებს დაუჯერებელ შვილიშვილებზე, რომლებიც განდევნა. იგი იმ იმედითლა სულდგმულობს, რომ

ხივის ქვეყნით მალე მოვლენ
ჩემთან ჩემი შვილიშვილნი.

თერგი იგებს მოხუცი კაზაკისაგან იმ სავალალო დასასრულის შესახებ, რაც მის შვილიშვილებს გადახდათ.

სიმღერა დაწერილებით გადმოგვცემს ხივის მთელ ლაშქრობას. ასე ამთავრებს მოხუცი კაზაკი თავის ნაღვლიან თხრობას:

რაც ვნახე, რაც გავიგონე,
ყველა გითხარ მწუხარებით.
ხივის ქვეყნით შვილიშვილებს
ნურასოდეს ნულარ ელი.—
ბაგეშვარულ ბერიკაცმა
მოკლულებზე შეთხზა ლოცვა,
გორინიჩი ცრემლებად სდის,
შვილიშვილებს სტირის, მოთქვამს.

პოპკომ შეცდომით უწოდა ამ ნაწარმოებს სიმღერა. სიმღერაში ეს არის გალექსილი ამბავი, რომელშიაც, ცხადია, ფართოდაა გამოყენებული გრებენის სიმღერების სახეები.

„ჩერვლენ-ქალაქი“ 900 სტრიქონზე მეტს შეიცავს. აქედან ჩვენ მოვიტანეთ ასამდე სტრიქონი, გამოთქმულია იგი ჯარისკაცული და ქალაქის ხელოსნების ამბის მკაფიო ტრადიციების მიხედვით. ეს ჟანრი ცნობილია ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში და გასდევს მთელ XIX საუკუნეს. ეს ნაწარმოები ნამდვილია, ხალხურია, გამოთქმული ვინმე წიგნიერი კაზაკის მიერ, შესაძლებელია იმავე ივანე დემუშკინის სახლიკაცისაგან, რომელიც ძველთაძველ პაპად დაუბრუნდა სამშობლოს 60 წლის შემდგომ, რაც გრებენის 500 კაზაკი ხივას წავიდა.

მის დაბრუნებამდე ცოტა ადრე, 1767 წელს, თერგის უეცარმა წყალდიდობამ, რომელიც მთებში თოვლის დნობამ გამოიწვია, წალეკა ჩერვლენ-ქალაქი, ბაღები და გამოიწვია დიდი ნგრევები. „10 ივლისის ღამეს, — ეწერა ოფიციალურ მოხსენებაში, — ანაზღეულად ღვთის ნებით თერგის წყალმა იმატა, გადასერა ტრამალი, სადაც ოდითგანვე არც მდინარეა და არც საფრთხე არ არსებობდა და არც ვის ახსოვდა“.*

მართალია, ახალ საცხოვრებელ ადგილს ჩერვლენელები გადავიდნენ მხოლოდ 1813 წლის წყალდიდობის შემდეგ, როცა „ძველთაძველი პაპა“ ვერაფრით ვერ იქნებოდა ცოცხალი, მაგრამ ასეთი ანაქრონიზმი ხალხურ პოეზიაში ხშირი მოვლენაა. ყოველ შემთხვევაში ნათელია, რომ ამბავი წარმოიშვა გადასახლების შემდეგ, რაც 1816 წელს მოხდა.

ამრიგად, ამ ნაწარმოების საფუძველი ნამდვილი ამბებია სტანიცა ჩერვლენაიას ცხოვრებიდან და იგი წარმოიშვა სწორედ იმ წლებში, როცა ლერმონტოვი ბავშვობისას შელკოზავოდსკოეში იყო, ხასტატოვებთან. ადვილი წარმოსადგენია, რამდენი რამ გაუგონია მას უკანასკნელი წყალდიდობის შესახებ, რომელმაც რამდენიმე სტანიცა ახალ ადგილზე დაასახლა. ამრიგად, არა მარტო ხალხური პოეზიის ნაწარმოებია, არამედ თვითმხილველთა ცოცხალი ნაამბობი შეიქნა ის

* Г. А. Ткачев. Гребенские, терские и кизлярские казаки, стр.

საფუძველი, რომელზეც წარმოიშვა შემდეგში „თერგის საჩუქრები“.

წერილობითი გალექსილი ამბები ხალხური შემოქმედების ნაკლებად შესწავლილი დარგია. მიუხედავად ამისა, ცნობილია, რომ ისინი ჩნდებიან სასიმღერო სახეების გამოყენებით. შეუძლებელია ექვი ვიქონიოთ, რომ აქ მიბაძვია. პოეტები და შემგროვებელნი ცდილობდნენ მიეზიდათ სიმღერებისათვის, ხოლო ხალხური შემოქმედებისა ეს ენარი ლიტერატორებისა და მეცნიერთა მოწონებას ვერ იმსახურებდა.

დავუშვათ, რომ ამ ამბის ტექსტი ზუსტად არ არის ჩაწერილი ან ის ჩამწერისაგან არის შესწორებული: იქნებ ვინმე დააეჭვოს „სკვითებმა“, „ხაზარებმა“, „ჭუნებმა“. მიუხედავად ამისა, ამ ლექსური გადმოცემის ხალხური საფუძველი არავითარ ეჭვს არ იწვევს.

შეიძლება დავუშვათ ლერმონტოვის ბალადების გავლენა ამ ამბავზე? არა, არ შეიძლება, თუმცა იგი იქნებ 1843 წელს იყოს ჩაწერილი, ე. ი. იმის შემდეგ, რაც „თერგის საჩუქრები“ გამოქვეყნდა. მაგრამ საკმარისია გავიხსენოთ მისი ფორმა, მოცულობა, მოვლენათა ისტორიული სანდოობა, რომ ექვი უარყოფილ იქნას.

ვისაც არ უნდა შეეკმნა ეს თქმულება და როგორიც არ უნდა იყოს ჩანაწერის ღირსება—ერთი უმეპეელია: ეს ამბავი დამყარებულია ადგილობრივ გადმოცემებსა და ლეგენდებზე.* ეს კი ჩვენთვის უმთავრესია.

როცა პოპკო თავის წიგნში „თერგის კაზაკები“ აღწერს თერგის წამლეკელ წყალდიდობას, იგი აღნიშნავს, რომ ხალხური ფანტაზია აძლევს ამ ამბებს პოეტურ განსახიერებასა და გასულიერებას. „ასე, მაგალითად, სტანიცა ჩერვლენაიაში, — წერს იგი, — ცოცხალია მოთხრობა ყველაზე უფრო წამლეკი წყალდიდობის შესახებ, მისთვის დამახასიათებელია ეპოპეის მთელი მომხიბვლელობა. თქვენ შეგიძლიათ ყური მოჰკრათ მას საღამოს ზეიმის დროს, მიწაყრილზე, დროგადასული ლამაზი ქალისაგან, რომელიც ახალგაზრდობის წლებს

* ვ. ი. ჩიჩეროვს საყურადღებო რჩევებისა და ახსნა-განმარტებებისათვის მადლობას მოვახსენებ.

დასტირის, მზესუმზირას აღარ ჰამს, და რომელიც უმადურ
სატრფოებს დაუვიწყებიათ.*

პოპკომ ეს მოთხრობა დაბეჭდა თავის წიგნში შემდეგი
სათაურით: „თერგი გორინიჩის რისხვა (ლეგენდა)“.

„ადრეული გაზაფხულიდან, — იწყება ეს ლეგენდა, — დაიწყო
გორინიჩი თერგმა თავისი რისხვა შვილებისადმი, გრებენელე-
ბისადმი: განდიდდნენ, ამბობს, უცხო ნამცხვარი მოინდომეს,
ძველებურად აღარ ცხოვრობენ. და ბოლოს, მოთმინების ნა-
პირებს გადმოსცდა, გადაწყვიტა განედევნა ისინი, ის კი არა
რომ ღვთისნიერად მოეშორებინა, დაჯილდოებულნი, არამედ
კინწისკერით გაეგდო. აქოთქოთდა, ქაფი მოიღო, ტალღა
ტალღაზე მოუვლინა საყვარელ ჩერვლენ-ქალაქს. კარსა და
ფანჯარაში იჭრება, ღობეს, ჰიშკარს ამტვრევს, ხავს სდებს
ვენახებს, თვით წმიდა სავანეს სწვდება. მისი ტალღები ჩეჩნურ
აბრეკზე ნაკლებ როდი მოქმედებენ...“

მეტს აღარ მოვიყვანთ ამ ლეგენდას. ამბავთა განვითარება
მასში და კამათი თერგისა გრებენელებთან სავსებით ემთხვევა
ლექსურ ამბავს და მხოლოდ დეტალებშია სხვაობა.

როგორც გალექსილ ამბავში, ლეგენდაშიც თერგი გაპი-
როვნებულია. როცა ქალიშვილებმა თავმდაბალი სალამი უძღვ-
ნეს, ჰაღარა, აბურძგვილ თავზე გვირგვინი დაადვეს, საზა-
რელია, როგორ გაბოროტდა და გაავდა, არ უთქვამს „ამინ“
და გვირგვინებიც გადაისროლა.

საინტერესოა, რომ თერგის გულის მოსაგებად კაზაკები
შეახსენებენ, სიმღერაში ქება-დიდებას გასხამთო. ამას ლე-
გენდაში მოჰყვება ჩვენთვის ცნობილი სიმღერა:

ო, ჩვენო მამავ,

ჩქარმდინარო თერგო გორინიჩ!

კეთილი საქმით მოიპოვე დიდება შენი,

კეთილი სიტყვა შენზე თქმული ამიტომ გშენის.

ლეგენდის გადმოცემა მთლიანად პოპკოს სინდისზეა და-
მოკიდებული, მით უმეტეს, რომ მან იგი ჩაიწერა, როგორც
„თვითონ ამბობს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ.“* მაგრამ ამ შემთხვევაშიც
ჩვენთვის ჩაწერილის ავტარგიანობა არაა არსებითი. მთავარია,

* ი. დ. პოპკო. ციტირებული წრომა, გვ. 223—241.

** იქვე, გვ. 222.

რომ ლეგენდა მკვიდრობდა სტანიცა ჩერვენაიაში, რომ ჰა-
ზაკური პოეზიის ნაწარმოებებში — ლეგენდასა და ამბავში,
თერგი გასულიერებულია, მას აქვს გონება, ადამიანური ხმა,
ადამიანური გრძნობები. გრებენელების პოეტურ წარმოდგე-
ნაში თერგი საშიშიცაა და ბოროტარიც, ავიცა და მკაცრიც,
ხან ქუდს თვალებზე ჩამოიდებატავს, კოპებს შეიკრავს, გლე-
ცვივა თვალთაგან, ბაგე უქუხს. ხან ატირდება — თვალთაგან
ცრემლი დაედინება, სულ ისე, როგორც ოსურ ლეგენდაში
მოტირალ მაჰკინანს, რომლის ცრემლები შეხეებად ცვივა
თერგში. ასეთია ლერმონტოვის თერგიც — „მელური“,
„ავი“, „შმაგი“, „ბრაზიანი“. კასპიის ზღვას იგი მოფერებით
ელაპარაკება — „ეშმაკურად“, თავაზიანად. გაჯავრებული ისიც
ტირის, ცრემლი წვიმს მის თვალთაგან.

ამრიგად, მრისხანე მდინარის ალეგორიული დახატვა ვიქ-
ტორ ჰიუგოს ბალადებით კი არაა ნაკარნახევი, არამედ შთა-
გონებულია ხალხური სიმღერებითა და გადმოცემებით.

სულ ერთია რა იცოდა პოეტმა, ლეგენდა თუ მოთხრობა,
ბავშვობის წლებში გაიგონა მრისხანე თერგ გორინიჩის ამბავი,
თუ 1837 წელს კავკასიაში მოგზაურობისას. ახლა უკვე სა-
ბოლოოდ გამოირკვა, რომ პოეტმა აამღერა მხცოვანი კასპია
და შმაგი თერგი, გადმოგვცა მათი ვნებები და საუბრები,
შთაგონებულმა გრებენის კაზაკობის პოეზიით:

და მოხუცმა იგრძნო ძალა,
ადგა, როგორც რისხვა მუხის,
მუკ ლაქვარდფერ მის თვალებში
ატიმციმდა ცვარი ვნების.
ათამაშდა, გაბალისდა,
კმაყოფილი არის ახლა
და ვნებიან დუდუნითა
გულს ჩაიკრა თერგის ტალღა.

ამასთანავე, თუ გავიხსენებთ, რომ ყიზლარში და ყაზახურ
სტანიცებში გავრცელებული იყო ლეგენდა, რომელიც, რო-
გორც ჩანს, არც ჩაიწერება, დამხრჩვალ ქალიშვილის შესა-
ხებ, საიდანაც წარმოდგა სიტყვა „ყიზლარ“, — თერგის ჩრდი-
ლო ნაწილის სახელწოდება (ყიზ — ქალი, ლარ — დამხრჩვალ),*

* И. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа 1722 по
1803 год. СПб, 1869, т. I, стр. 151.

მაშინ ღმერთი უფრო თვალნათელი გახდება:
კლორთან კიდევ უფრო თვალნათელი გახდება:

კახაჯ ქალის მომატეს გვაში,
მოვაქროლებ ტალღა-ჩქერით,
გულ-მკერდი ატეს შავგვრემანი,
ნაწნაფები ოქროსფერი.
სახეს დაჰკრა მკრთალმა ბინდმა,
მოსდებია თვალზე რული,
მკერდის მცირე ჭრილობიდან
მოჩქეფს სისხლის ნაკადული.*

თერგის პოეტურ სახესთან ერთად, თერგისა, რომელიც
კასპიის ზღვაში ეზიდება თავის მსხვერპლს, ლერმონტოვის
ლექსში დაისახა კავკასიის თავისუფლებისმოყვარე მთიელების
სახეები:

მოგიტანე საჩუქარი!
საჩუქარი ფეხომ კარგი:
ყაბარდოდან გმირი ვაჟი,
მამაცი და მეტად მარდი.
ტანთ აცვია მას ჯავშანი,
სანიდაყვე ნაწრთობ რკინის,
ზედ ყურანის ლექსებია,
ზარნიშული, გასაკვირი:
შეკუმხნილი დარჩა წარბი
კეთილშობილ და გმირ ვაჟკაცს,
უღვაწების ბოლოები
შეუღებავს სისხლის ნაკადს,
თვალი ღია და მდუმარე—
ძველი მტრობით სავსე ისევ,
მომხიბლავი თმა, ქოჩორი
ფაფარივით ჰფარავს კისერს.

კავკასიის სახე სრული არ იქნებოდა, რომ ლერმონტოვს
„თერგის საჩუქრებში“ მეორე დევგმირული ხასიათი არ მო-
ეცა, რომელმაც განასახიერა ბრძოლაში გამობრძმედილი კა-
ზაკური ჯარი:

მზეთუნახავ ნორჩ ასულსა
არ იდარდებს ერთი კაცი—
გრებენელი მეომარი

* თარგმანი მ. პატარიძისა.

და კაზაკი, გულით მკაცრი.
მან შეკაზმა თავის ლურჯა,
სტანიცაში ველარ დარჩა,
და ბრძოლაში სადმე ლაშით
თავს შეაკლავს ბოროტ ჩაჩანს.

ლერმონტოვს არ გადაუღია ხალხური სიმღერები, არც
გადმოუცია ისინი და არც მიუბაძნია მათთვის, მაგრამ როცა
გრებენის კაზაკური სტანიცების ცხოვრებას ახლო გაეცნო,
დააკვირდა ამ მამაც ხალხს, რომელთა ხასიათი წარმოადგენ-
და რუსული თვისების კავკასიის ხალხთა საუკეთესო თვისე-
ბათა შერწყმას, პოეტი შეეთვისა მათ სიმღერებსა და გად-
მოცემებს, ხალხური პოეზიის სულთან სრული თანხმობით
გაასულდგმულა ბუნების მოვლენები და, ბელინსკის თქმით,
„უტყვ და გათიშულ მოვლენებს ხალხური პოეზიის სახე და
პიროვნება მისცა და შექმნა მაღალპოეტური ნაწარმოები“.

ტყუილად კი არ შეარქვა ბელინსკიმ „თერგის საჩუქრებს“
„კავკასიის პოეტური აპოთეოზი“.

ნარკვეთი „კავკასიული“

1841 წლის დამდეგს ლერმონტოვმა კავკასიის ჯარების რაზმად წაიყვანა პატარა ნარკვევი „კავკასიელი“. * ნარკვევი განმარტებული იყო ი. პ. ბაზუკაის კრებული — „ქვეყნები, გადასადგმულნი ნატურიდან რუსთა მიერ“ მეორე ტომისათვის. კრებული, როგორც ჩანს, ცენტრის მიზნით ვერ გაშვიდა, ლერმონტოვის ნარკვევი გამოქვეყნებული დარჩა და მხოლოდ 1929 წელს იქნა მიკვლეული.

და მხოლოდ 1929 წელს იქნა მიყვანილი.
* ჯერ ერთი, — ასე იწყებს ლებონტოვი, — რას წ.რ.მა-
დგენს ვაცკასიფლი, როგორი არიან ხოლმე ვაცკასიფლები.*

კავკასიელი, რომელიც არაა მხოლოდ კავკასიელი, არამედ კავკასიელი სანახევროდ რუსია, სანახევროდ აზიელი; მისი მრსებებში სტარობობს მიდრეკილება აღმოსავლური ადამიკებისადმი, მაგრამ ამ მიდრეკილებების სააშკარაოზე გამოტანას უცხოთა, ე. ი. რუსეთიდან ჩამოსულთა წინაშე ერიდება. მეტწილად რუსეთიდან რომოცდაბუთამდე წლისაა, სახე მზესკონილებული აქვს, ოდნავ დაკნეილი, თუ შტაბს-კაპიტანი არაა, უმჯერდია, მაიორის ზინი აქვს. ნამდვილ კავკასიელებს თქვენი შეხედებით საბრძოლო ხაზზე, მოებს გადაღმა, საჭარბველოში, იმათ სხვა ელფერი დაქრავთ. სამოქალაქო ნი კავკასიელთა შორის იშვიათად არიან. ესენი მეტწილად

ნამდვილი კავკასიელების უხერხულ მიმსგავსებას წარმოადგენენ, და თუ მათ შორის კეშმარიტ კავკასიელს შეხვდებით, ეს იქნება ვინმე პოლკის მკურნალთაგანი“.

უკვე ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ლერმონტოვს განზრახული ჰქონდა თავის ნარკვევში განევრცო შტაბს-კაპიტნის მაქსიმ მაქსიმოჩის სახე, რომელშიაც მან კავკასიის ოფიცრობის საუკეთესო თვისებები ასახა.

ლერმონტოვმა შეგნებულად გახაზა ეს მსგავსება. კეთილი შტაბს-კაპიტნის მსგავსად მისი კავკასიელი ჩუმი, „ზის თავისთვის და პატარა ჩიბუხს აბოლებს“, როგორც მაქსიმ მაქსიმოჩი, თან მხოლოდ ჩაიდანს დაატარებს. „სულ ერთია სიცხეა, თუ სიცივე“, სერთუკის ქვეშ დაბამბული ახალუხი აცვია და თავზე ფაფახი ხურავს. ლერმონტოვის სიტყვით რომ ვთქვათ, დაცინვით უყურებს შინელს და ნაბდის ტარება ურჩევნია.

კავკასიელის ამ ტიპური პორტრეტით, ისევე, როგორც მაქსიმ მაქსიმოჩის სახით, ლერმონტოვმა დაგვიხატა ომის თავმდაბალი მაშვრალი — რუსი ოფიცერი. მან იგი დახატა დამოუკიდებელი აზროვნების, დიდი ბუნებისა და ცხოვრების ღრმად მცოდნე ადამიანად, გვიჩვენა მისი რომანტიული სიყვარული კავკასიისადმი, ის ცხოველი ინტერესი, რასაც რუსი ოფიცერი იჩენს იმ ქვეყნისა და იმ ადამიანების მიმართ, რომელთა შორისაც უხდება ცხოვრება.

„მან არ იცის რუსეთის ისტორია და ევროპის პოლიტიკა, — ამბობს მასზე ლერმონტოვი, — და მეომარი ხალხის პოეტური გადმოცემებითაა გატაცებული. მან სრულიად შეიცნო მთიელთა ზნენი და ჩვეულებანი. გაიგო მათი დევ-გმირების სახელები, დაიმახსოვრა დიდგვაროვანი ოჯახების შთამომავლობა. იცის, რომელი თავადია სანდო და რომელი გაიძვერა; იცის, ვინ ვის მეგობრობს, და ვის ვისი სისხლი მართებს. ცოტ-ცოტა თათრულიც ესმის...“

მთიელთა შესახებ იმავე აზრისაა, როგორისაც მაქსიმ მაქსიმოჩი: „კარგი ხალხია, მაგრამ ისეთი აზიელები არიან!..“

„ჩვენი დროის გმირში“ კავკასიელი მაქსიმ მაქსიმოჩი შემთხვევითი თანამგზავრია. იგი წარმტაცად ჰყვება თავის თანამოსამსახურე პეჩორინზე, გულამაჩუყებლად გადმოგვცემს

ბელას სევდიან ამბავს, მაგრამ მკითხველმა ცოტა რამ თუ იცის მისი საკუთარი ბიოგრაფიიდან.

ნარკვევში ლერმონტოვი თავიდან ბოლომდე აწვევებს კავკასიელი ვეტერანის სამსახურებრივ გზას, ავსებს იმას, რაც „ჩვენი დროის გმირში“ არ უთქვამს.

კავკასიის სიყვარული ამ ოფიცერს ჯერ კიდევ სიკბუჯეში ჩაენერგა: „თერამეტ წლამდე იგი კადეტთა კორპუსში იზრდებოდა, იქიდან ჩინებული ოფიცერი გამოვიდა. მეცადინეობაზე ჩუმ-ჩუმად „კავკასიის ტყვეს“ კითხულობდა და კავკასიისადმი მზურვალე ვნებით აენთო.

ათიოდე მეგობრითურთ იგი ხაზინის ხარჯზე კავკასიისაკენ გამოემართა „დიდი იმედებითა და პატარა ჩემოდნით“. დაბოლოს იგი პოლკში გამოცხადდა.

„აი, ექსპედიციაში გაემართნენ: ჩვენი ახალგაზრდა იქით ეცემა, საითაც თუნდაც ერთი ტყვია გაიზუზუნებს. ჰგონია, რომ ხელით ერთ-ორ ათეულ მთიელს დაიჭერს, გულამაზრზენი ბრძოლები, სისხლის მდინარეები და გენერლის ეპოლეტები ეზმანება“.

მაგრამ მტერი არსაით ჩანს. შეტაკებები იშვიათია, მთიელები ხიშტებს ვერ უძლებენ, ტყვედ არ ნებდებიან, მოკლული თავისიანები თან მიაქვთ. ასე გაირბინა 5-ნ წელმა. სულ ერთი და იგივე. იგი გამოცდილი ხდება. იგი რაღაც ცივ სიმამაცეს იძენს: დასცინის ახლებს, ყოველგვარი საჭიროების გარეშე რომ უშვერენ ტყვიას შუბლს, „თუმცა კავკასიელს დროდადრო სამსახური მძიმე უჩანს, მაგრამ წესად აქვს დადებული კავკასიური ცხოვრების ქება: ვისაც გნებავთ იმას ეტყვის, რომ კავკასიაში სამსახური ფრიად სასიამოვნო რამ არის“.

თავის ნარკვევში ლერმონტოვმა კეთილი იუმორით იმდენად ტიპიური სახე დაგვიხატა, რომ ბიოგრაფიები რეალურად არსებული კავკასიელებისა, როგორიცაა, მაგალითად, თბილისის გვარდიის პოსპიტლის შტაბ-მეურნალი, რომელიც „კავკასიაზე რომანტიკულმა წარმოდგენამ გაიტაცა“ და პოლკის ექიმში გახდა, ეს ბიოგრაფიებიც კი ამ განზოგადებული პორტრეტის მსგავსებას წარმოადგენს.

ცენზურის გამო ლერმონტოვმა სტრიქონებს შუა მეტად

მოხერხებულად გააპარა უმთავრესი რამ თავისი აღწერილობისა, მაგრამ ამასთანავე ყურადღებით ჩაკვირვება ტექსტისა ნათელს ხდის, რომ, თუ 1840 წელს კავკასიელი „ოცდაათიდან ორმოცდახუთამდე წლისა“ იყო, ნამდვილი კავკასიელი ლერმონტოვისათვის ის ოფიცერია, რომელიც მსახურობდა ჯერ კიდევ ერმოლოვის დროს.

ერმოლოვი კავკასიაში 1816 წელს დანიშნეს და აქ იყო 1827 წლამდე. იმ კავკასიელ ოფიცერს, რომელიც 1840 წელს ოცდაათი წლისა იყო, ერმოლოვი ჯერ კიდევ კავკასიაში დახვდა; რაც შეეხება ორმოცდახუთი წლისას, იგი პირადად იცნობდა ერმოლოვს. შემთხვევითი არ არის, რომ ნარკვევში ნათქვამია: „ნაბადი, რომელსაც სახელი გაუთქვა პუშკინმა, მარლინსკიმ და ერმოლოვის პორტრეტმა, არ შორდებოდა მის მხრებს“.

ერმოლოვი კარგა ხანი იყო შერისხული. მისთვის ქებადიდების შესხმა არ შეიძლებოდა. ლერმონტოვმა სარდლის ნაბადი ახსენა და ამით უხერხულობიდან გამოვიდა.

„ჩვენი დროის გმირში“ ლერმონტოვმა აღნიშნა, რომ ძველი კავკასიელი მაქსიმ მაქსიმოვი სიამაყითა და პატივისცემით იგონებს შერისხულ ერმოლოვს და სახელითა და მამის სახელით იხსენიებს მას:

„—დიდი ხანია თქვენ რომ აქ მსახურობთ?

— დიახ, მე აქ უკვე ალექსეი პეტროვიჩის დროს ვმსახურობდი, — მიპასუხა მან და წელში გასწორდა“, — წერს ლერმონტოვი „ბელაში“.

ამ სიტყვებით „წელში გასწორდა“ და „ალექსეი პეტროვიჩის“ გულითადი ხსენებით ლერმონტოვმა შესძლო დაენახვებინა, რას წარმოადგენდა ერმოლოვი რიგითი კავკასიელისათვის.

„—როცა ის ხაზზე ჩამოვიდა, მე პოდპორუჩიკი ვიყავი, — დაუმატა მან, — და მის დროს ორი ჩინი მივიღე მთიელების წინააღმდეგ ბრძოლისათვის“.*

ერმოლოვი ოფიცერს მას შემდეგ დააჯილდოებდა ხოლმე, რაც ეს უკანასკნელი რამდენიმეჯერ გამოიჩენდა თავს.

* მ. ლერმონტოვი. „ჩვენი დროის გმირი“. თბილისი, 1946, გვ. 9.

ამიტომაც ესოდენ ძვირფასი. ზუამდგომლობით მი-
ღებული, ესოდენ ძვირფასი.

ნიკოლოზ პირველმა სპეციალური დავალებით გამოგზავ-
ნა დიმიტრი, — გადაეყენებინა ერმოლოვი საქართველოში სამო-
ქალაქო საქმეთა მმართველობიდან და კავკასიის კორპუსის
სარდლობიდან. იგი იძულებული იყო მეფისათვის ეცნობებინა,
რომ აქ მას „სუვოროვის სულით აღფრთოვანებული“ ჯარი
დახვდა.*

ამრიგად მაქსიმ მაქსიმიჩი და ნარკვევის კავკასიელი
ოფიცრები ერმოლოვის სკოლის ოფიცრები არიან. აი, ვინ
იყო ლერმონტოვისათვის ნამდვილი კავკასიელი. „ნამდ-
ვილი კავკასიელი, — წერს იგი, — საოცარი, ყოველგვარი
პატივისცემის ღირსი ადამიანია“.

როცა პეტერბურგიდან მოემგზავრებოდა, ლერმონტოვმა
ნარკვევი ბაშუცკის დაუტოვა. ხოლო რამდენიმე დღის შემ-
დეგ, 1841 წლის აპრილში, როცა უკანასკნელად ტოვებდა
მოსკოვს, ი. ფ. სამარინს „Москвитянин“-ის რედაქციისათვის
გადასცა თავისი ახალი ლექსი „დავა“, დაწერილი პეტერ-
ბურგიდან წამოსვლის შემდეგ, და სთხოვა დაებეჭდა „უბ-
რალოდ, გამომცემლის ყოველგვარი შენიშვნების გარეშე,
მისი ხელმოწერით“.**

ახლა დასტურდება, რომ ნარკვევსა და „დავას“ შორის
ღრმა შინაგანი კავშირია.

გენერალი ერმოლოვი

ისტორიულ მოვლენათა განვითარების მსვლელობამ
XVIII საუკუნეში კავკასიის ხალხთა წინაშე განსაკუთრე-
ბით მწვავედ დააყენა მათი მომავალი ბედის საკითხი. ისი-

* „Алексей Петрович Ермолов. Материалы для его биографии, собранные М. Погодиным“. М., 1864, стр. 337.

** Н. Барсуков. Жизнь и труды М. П. Погодина. СПб, 1892, кн. 6-я, стр. 206.

ნი ან უნდა შეთანთქათ და დაემონებინათ ჩამორჩენილ, ფეო-
დალურ თურქეთსა და სპარსეთს, ან შეერთებოდნენ რუსეთს.
რუსეთთან შეერთება კავკასიის ხალხების მეურნეობისა და
კულტურის განვითარების ერთადერთი შესაძლებელი გზა იყო.
რუსეთის შემადგენლობაში მოქცევა ქმნიდა პირობებს კავკასი-
ის ხალხთა ეკონომიური და პოლიტიკური დაქსაქსულობის
ლიკვიდაციისათვის. რუსეთთან შეერთებით კავკასიის ხალხებს
გარეშე მტრებისაგან აღარ მოელოდა საფრთხე.

მეფის კოლონიზატორთა თვითნებობისა და სისასტიკის
მიუხედავად, რუსეთთან კავკასიის შეერთებამ კავკასიის ხალ-
ხებისათვის დადებითი, პროგრესული როლი შეასრულა და
მომდევნო მოვლენებმა სავსებით გაამართლეს ეს შეერთება.

ლექსი „დავა“ მოწმობს, რომ კავკასიაში მომხდარი მოვ-
ლენების შეფასებისა და რუსეთ-კავკასიის ისტორიული გან-
ვითარების პერსპექტივის გაგების მხრივ ლერმონტოვი ბევრ
რამეში უსწრებდა თავის დროს. და განსაკუთრებულ შორს-
მჭვრეტელობას იჩენდა.

ცნობილია, რომ „დავაში“ ლერმონტოვი ალეგორიულ
ფორმაში გადმოგვცემს კავკასიის ომის ამბებს.

1841 წელს ლერმონტოვისათვის გადაწყვეტილი იყო სა-
კითხი იმის შესახებ, დაემორჩილებიან თუ არა „ჩრდილოეთს“,
ე. ი. რუსეთს, კავკასიელი მთიელები. ვის გაჰყვებიან ისტო-
რიული განვითარების გზაზე, რუსულ „ჩრდილოეთს“ თუ
მუსლიმანურ აღმოსავლეთს. ლერმონტოვის სიმპათიები ძვე-
ლებურად „პირქუში ყაზბეგის“ მხარეზეა, რომელიც ლექსში
ანსახიერებს კავკასიელი მთიელების ბრძოლას. მიუხედავად
ამისა, რუსეთის წინსვლა კავკასიაში მას კანონზომიერ, ისტო-
რიულ აუცილებლობად ესახება, რამდენადაც რუსეთი ანსა-
ხიერებს „მრეწველობის საუკუნეს“ — ეკონომიური, პოლიტი-
კური და კულტურული განვითარების უფრო მაღალ საფე-
ხურს. სწორედ ესაა დამორჩილებული შათას კამათი ჯერ
კიდევ დაუმორჩილებელ ყაზბეგთან. ბრძოლები კავკასიაში
გრძელდებოდა, მაგრამ კავკასიის ბედი წინასწარ გადაწყვე-
ტილია. ისტორიული განვითარების მსვლელობამ გააქრო
მითი „მიუდგომელი ყაზბეგის“ შესახებ. ან რუსეთთან ერთად,
ან მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან, „მიხრწნილი აღმო-

საველეთის" ქვეყნებთან ერთად, როგორც თვითონ ლერმონტოვი უწოდებდა, მესამე გზა კავკასიის ხალხებისათვის არ არსებობდა.

ეს დავა ყაზბეგსა და შათას მთას შორის მთავრდება რუსთა ძღვეამოსილი ჯარის კავკასიაში შემოსვლის სურათით, ამ ჯარს ერმოლოვი წინამძღოლობს.

ერმოლოვის სახელი ლექსში მოხსენებული არ არის, მაგრამ თანამედროვენი ადვილად იცნობდნენ მას შემდეგი სტრიქონების მიხედვით:

და ეს მოჰყავს თმათეთრ სარდალს,
რისზეთ ელავს თვალი;
მხნეა, ბევრჯერ განიცადა
ბრძოლის ჭარიშხალი.

ეს სტრიქონები თანამედროვეებს გაახსენებდა ჯ. დოუს გრავიურას, რომელზეც გამოხატულია წარბებზექრული და ნაბადწამოსხმული ერმოლოვი.

ლექსში ერმოლოვი წარმოგვიდგება როგორც კავკასიის დამორჩილების სიმბოლო, მაგრამ სრულიად გაუგებარია, რად გაახსენდა ლერმონტოვს ერმოლოვი 1841 წ., როდესაც იგი კავკასიიდან კარგა ხნის გადაყვანილი იყო და უკვე 14 წელი, ყოველგვარ საქმეებს ჩამოშორებული, ცხოვრობდა რუსეთში. ლერმონტოვმა მისი სახელი არ ახსენა და რატომღაც სთხოვა „Москвитянин“-ის რედაქციას დაებეჭდა ლექსი უბრალოდ, შენიშვნების გარეშე. თითქოს დარწმუნებული იყო, რომ გამომცემელი უსათუოდ მოინდომებდა ლექსისათვის დაერთო რაიმე განმარტებანი.

აქამდე არ იყო არავითარი პასუხი ამ საკითხებზე. ამასთანავე ლერმონტოვი ამ ლექსს მძაფრ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევდა, როცა 1841 წელს კავკასიის დამორჩილებას ერმოლოვის სახელს უკავშირებდა. ამ ლექსს სწორედ იმან მისცა პოლიტიკური აზრი, რომ ერმოლოვი ამ დროს შერისხული იყო.

ერმოლოვი, სუვოროვის მოწაფე და 1812 წლის სამამულო ომისა და რუსეთის ჯარის საზღვარგარეთული ლაშქრობის ერთ-ერთი სახელგანთქმული მონაწილე, კუტუზოვისა და ბაგრა-

ტიონის სიკვდილის შემდეგ, უმკველია, გახდა რუსეთის არ-
მიის უპოპულარესი პიროვნება. პოლიტიკური თავისუფალი
აზროვნება, სიძულელი ბატონყმური წყობილებებისადმი, ზიზღი
სასაზღვროსა და დედაქალაქის ბიუროკრატიისადმი გახდა მო-
ვარი მიზეზი ერმოლოვის კავკასიაში გადმოყვანისა. ალექსან-
დრე პირველის მთავრობას ეშინოდა მისი პოპულარობისა
და ცდილობდა იგი დედაქალაქისათვის მოეშორებინა.

1816 — 1827 წლებში, ერმოლოვის კავკასიაში ყოფნისას,
რუსთა ჯარებმა ყველაზე დიდი წარმატებები მოიპოვა
ბრძოლებში. ხოლო იმ დემოკრატიულმა წესებმა, რომლე-
ბიც ერმოლოვმა ჯარში გაატარა, მას უდიდესი ავტორი-
ტეტი შეუქმნა ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის. კავკასიის
კორპუსში ყველასათვის ცნობილი იყო, რომ ერმოლოვი ფეხზე
აღგომათ ეგებებოდა მასთან მისულ უფრო მცირე საარმიო
პატივის პირს. ერმოლოვის პოპულარობა რუსეთის არმიაში
იმდენად დიდი იყო, რომ 1830-31 წლებში ამბოხებულმა
პოლონელებმა პროკლამაციები რუსეთის ჯარების მიმართ
მისი სახელით შეადგინეს.*

დეკაბრისტები იმედოვნებდნენ, რომ ერმოლოვი კავკასიის
კორპუსითურთ მათ მხარეს დაიქვრდა. რილევი და კიუხნელ-
ბეკერი ლეკებს უძღვნიდნენ ერმოლოვს. როცა პეტერბურგში
საიდუმლო საზოგადოების სხდომაზე ხდებოდა უმაღლესი
ხელისუფლების შემადგენლობის დადგენა, რომლის ხელ-
შეიკ უნდა გადასულიყო ძალაუფლება გადატრიალების შემ-
დეგ, მორდინოვისა და სპერანსკის გარდა, შეთქმულნი ისაბე-
ლებდნენ აგრეთვე ერმოლოვსაც.**

ერმოლოვის ბრწყინვალე დაბასიათება ეკუთვნის გრი-
ბოედოვს, რომელიც საქართველოში მის ხელქვეით მსახუ-
რობდა. „პატრიოტი, მაღალი სული, გეგმები და ნიჭი
ნამდვილად სახელმწიფოებრივი, კემმარიტად რუსული ღრმა
გონება“. ერმოლოვი თავის მხრივ უაღრესად აფასებდა

* М. В. Нечкина. А. С. Грибоедов и декабристы. М. Гослит-
издат, 1947, стр. 187—190.

„Александр Петрович Ермолов. Материалы для его биографии,
собранные М. Погодиным“. М., 1864, стр. 391.

** В. С. Иконников. Граф Н. С. Мордвинов. СПб., 1873, стр. 441.

გრიბოედოვის. და როცა სენატის მოედანზე დეკემბრის შეი-
არაღებული აჯანყების დამარცხების ამბავი გაიგო, წინასწარ
აქნობა მოსალოდნელი დამატებების შესახებ. ამის შემდე-
გით გრიბოედოვი მოასწრო იმ ქაღალდების დამწვა. რასაც
შეუძლო გამოცხადებას მისი ყველაზე საიდუმლო ორგანი-
ზაციასთან. „ერმოლ [ოქმა], ორლ [ოქმა], კისელ [ოქმა].—
ჩაუწერია 1837 წელს აღმკვეთი ტურგენეცს პუშკინის სიტყ-
ვები. — დეკემბერი და ელოდნენ: უზენაოდ ვერ ჩაივლისო.
ერმოლ [ოქმა], რათა საკუთარი თავი გადაერჩინა, გრიბოე-
დოვი გადაარჩინა, გაიგო და ორი საათის წინ გადურბი-
ლა“.*

დეკაბრისტების საქმის საგამომძიებლო კომისია მონდო-
რებით ემყდრა ერმოლოვის მონაწილეობის კვალს. „თქვენ
გიატყვით რილევებისათვის, — ეუბნებოდა ნიკიტა ბურავიოვს
ბენკენდორფი, — რომ გენერალ ერმოლოვი შეხვედრისას
პოლკოვნიკ გრაბეს უთხრა: თავი დაანებეთ სისულელეს, ბელ-
მწიფემ იცის თქვენი საზოგადოების შესახებ. მართალია თუ
არა ეს, საიდან გაიგეთ თქვენ ერმოლოვის ეს აზრი? რა მო-
ნაწილეობის ღებულობდა ეს უკანასკნელი საზოგადოების საქ-
მიანობაში და ვისი საშუალებით?“

დამატებებულთა ზეგნებიდან კომისიამ გვეი აიღო, რომ
არსებობდა გეგმა ერმოლოვის შეთაერთებით კავკასიის კორ-
პუსის ჯარების გამოსვლის შესახებ.

დეკაბრისტთა შორის ერმოლოვის პოპულარობამ გამო-
იწვია ძლიერი უკმაყოფილება ნიკოლოზ პირველისა, რომელიც
გამეფებამდისაც ერმოლოვისადმი უნდობლობასა და შიშს
იჩენდა. „ამ აღმზიანს გააჩნია არაჩვეულებრივი გავლენა კავ-
კასიის ჯარებზე, — ამბობდა ნიკოლოზ პირველი ჯერ კიდევ
აღმკვეთი პირველის სიტყვებში, — ძალიან ვშიშობ,
აზრად არ მოუვიდეს განდგომა“.**

* Из дневника А. И. Тургенева. В книге: П. Е. Щеголева. Дуэль
и смерть Пушкина. Исследование и материалы. Изд. 3-е, М.-Л., ГИЗ,
1928, стр. 285.

** „Восстание декабристов“. Материалы, т. I, Л., ГИЗ, 1925,
стр. 298.

*** „Из анекдотов об А. П. Ермолове“. „Русский архив“, 1893,
№ 2, стр. 180.

მალე, დეკაბრისტების გასამართლების შემდეგ, ერმოლოვი პასკევიჩმა შესცვალა და იგი კავკასიიდან გაიწვიეს. მას აქეთ ერმოლოვს აღარ უმსახურია. ცხოვრობდა ორიოლში, შემდეგ მოსკოვში და მოსკოვის ახლო მდებარე სოფელში. ყველგან მას რუსი საზოგადოების პროგრესული ნაწილის თანაგრძნობა ხედებოდა. მრავალი წლის განმავლობაში იგი შეგნებულად გაუბოდა მთავრობისაგან მისი სამოქალაქო სამსახურში მიზიდვის ცდებს და შეგნებულად ეჭირა სამსახურიდან შორს-თავი. ამით ერმოლოვი გამოხატავდა თავის ოპოზიციურ დამოკიდებულებას ნიკოლოზ პირველის პოლიტიკისადმი.

მისი სახელი პროტესტის სიმბოლო იყო. 1827 წელს მოსკოვში ჩამოყალიბებული სტუდენტთა საიდუმლო საზოგადოების ერთ-ერთი ორგანიზატორი ვასილ კრიტსკი დაკითხვაზე აჩვენებდა: „იმედი გვქონდა, ჩვენს საზოგადოებას სათავეში ჩაუდგებოდა ერმოლოვი“.*

შერისხული გენერლის პიროვნებას მხურვალე თანაგრძნობით ეკიდებოდა პუშკინი, როცა 1829 წელს ის კავკასიაში მოემგზავრებოდა, პასკევიჩის განკარგულებაში, არზრუმისაკენ მიმავალმა პოეტმა ზედმეტი ორასი ვერსი გაიარა, რათა ერმოლოვი ენახა, რომელიც იმხანად ორიოლში იმყოფებოდა. „პირველი გაცნობით ადამიანს ისე ვერ დაუახლოვდები, — სწერდა ამ შეხვედრის შემდეგ ერმოლოვი დენის დავიდოვს, — მაგრამ უღრმესი ნიჭის რა ვეება ძალაა ამ კაცში, უნებური პატივისცემის გარდა გრძნობითაც გავიმსჭვალე მისდამი“.**

პუშკინი დიდ ინტერესს იჩენდა ერმოლოვის პიროვნებისადმი, საქართველოში მისი მოღვაწეობისადმი. ამის გამო იყო, რომ მისწერა მან ერმოლოვს წერილი, რომელშიც პოეტი გამოთქვამდა სურვილს დაეწერა ერმოლოვის ბრძოლების ისტორია კავკასიაში, ანდა გამოეცა სარდლის ჩანაწერები: „ამაოდ ველოდი, რომ გამოვიდოდა ამიერკავკასიაში თქვენი [ომების] საგმირო საქმეთა აღწერილობა, — გვაუწყებს ერმოლო-

* М. К. Лемке. Тайное общество братьев Критских. „Былое“, 1906, № 6, стр. 47.

** Д. Давидов—П. А. Вяземскому. „Старина и новизна“, кн. XXII, стр. 38-39.

ვისადმი შევად დაწერილი ბარათი. — ... ნება მიბოძეთ [რომ] თქვენი მეისტორიე ვიყო. და თუკი მოცლის ცაში თქვენი დიდებული მოგონებებისათვის დაგიტმიათ და გაქვთ ამ ომების ჩანაწერები, გთხოვთ პატივი დამდოთ და მათ გამომცემლად მიგუწოდოთ.*

ცხადია, პუშკინს, უპირველეს ყოველისა, მზედველობაში ჰქონდა ერმოლოვის ბრწყინვალე გამარჯვება რუსეთ-სპარსეთის ომში.

1826 წლის ივლისში სპარსეთმა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ინგლისი, ომის გამოუცხადებლად გაილაშქრა რუსეთის წინააღმდეგ. სანამ რუსეთის სარდლობა მოასწრებდა კავკასიის კორპუსის ჯარების სპარსეთის საზღვრებთან შემოკრებას, სპარსთა არმია, პრინცი აბას-მირზას სარდლობით, ამიერკავკასიაში შემოიჭრა. მომხდურთა ჯარი ჯერ თვე-ნახევარი შუშის სიმაგრის მეციხოვნეთა გმირულმა თავდაცვამ შეაჩერა. ხოლო ამის შემდეგ მან სასტიკი დამარცხება იწვნია შამქორსა და ელიზავეტოპოლთან. აბას-მირზა გადაჩენილი ჯარითურთ ამიერკავკასიიდან უკუიქცა.

საომარი მოქმედება 1827 წლის გაზაფხულზე განახლდა. მაგრამ რუსთა ჯარს უკვე ერმოლოვი არ წინამძღოლობდა: მას უბრძანეს მთავარსარდლობა პასკევიჩისათვის გადაეცა და კავკასია დაეტოვებინა.

1826 წლის ბრწყინვალე გამარჯვებების შემდეგ საომარ მოქმედებათა მტრის ტერიტორიაზე გადატანა პასკევიჩისათვის განსაკუთრებულ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა. რუსეთის არმიამ გაათავისუფლა ნახიჭევანი, აბას-აბადი, ერევანი და 1827 წლის ოქტომბერს თავრიზში შევიდა. თეირანისაკენ გზა ხსნილი იყო, 1828 წლის 10 თებერვლისათვის სპარსეთის მთავრობა იძულებული შეიქნა მიეღო თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით რუსეთს უნდა მიეღო სომხეთის მიწების ნაწილი. ამ ახლად ჩამოყალიბებული სომხური მხარის მმართველად დაინიშნა გენერალი ალექსანდრე გარსევანის-ძე ჭავჭავაძე.

აბას-მირზასთან მოლაპარაკება და მომავალი საზავო ხელ-

* Пушкин. Письма под редакцией и с примечаниями Л. Б. Модзалевского, 1831—1833, М.—Л., „Academia“, 1935, т. III, стр. 90-91.

შეკრულების პირობების მომზადება რუსეთის მთავრობამ დააკისრა ა. ს. გრიბოედოვს. იმავე წლის სექტემბერში გრიბოედოვი, როგორც უფლებამოსილი მინისტრ-რეზიდენტი, სპარსეთს გაემგზავრა, ხოლო ოთხი თვის შემდეგ თეირანში დაიღუპა რუსეთის მისიაზე თავდასხმისას, რაიც მოაწყვეს სპარსეთის კარის რუსეთისადმი მტრულად განწყობილმა მმართველმა წრეებმა ინგლისელების დახმარებით. ასე განვითარდა საგარეო პოლიტიკის მოვლენები კავკასიაში, რომელთა დასაწყისი დაკავშირებულია ა. პ. ერმოლოვის სახელთან.

ამასთანავე საჭიროა ისიც გვახსოვდეს, რომ ერმოლოვმა კავკასიაში ყოფნისას სახელი მოიხვეჭა არა მარტო აბას-მირზას ჯარის დამარცხებით. იგი ცნობილია, როგორც მეფის რუსეთის მკაცრი კოლონიზატორი, რომლის სახელით მთებში ბავშვებს აშინებდნენ. განსაკუთრებული სიმკაცრით ჩააქრო მან 1816—20 წლების საქართველოს გლეხთა ამბოხებანი, როცა გურიისა და იმერეთის გლეხობა აღდგა თავისი საუკუნოვანი მზავრელების — თავადების წინააღმდეგ.

ამ ფაქტების სინათლეზე ახლებურად ჩანს ლერმონტოვის განზრახვა, დაეწერა რომანი კავკასიის ომზე, ერმოლოვის დროის თბილისის, მისი დიქტატურის, კავკასიის სისხლიან დამორჩილებაზე, რუსეთ-სპარსეთის ომისა და, ბოლოს, თეირანის კატასტროფის მოხსენიებით, რომლის მსხვერპლი შეიქნა გრიბოედოვი. თუმცა ისიცაა, რომ ამის შესახებ სხვათა ნაამბობიდან ვიცით და თანაც სიტყვები „დიქტატურა“, „კავკასიის სისხლიანი დამორჩილება“ თვით ლერმონტოვს არ ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, ადვილი მისახვედრია, რომ ლერმონტოვის დამოკიდებულება ერმოლოვისადმი. ისევე, როგორც პუშკინისა, რთული იყო, მაგრამ ერმოლოვის დროის კავკასიის სამოქალაქო და სამხედრო ცხოვრების ყოველმხრივი ასახვა, იმ მოვლენათა ჩვენება, რომლებიც დაკავშირებულია რუსეთ-სპარსეთის ომთან და ამის მომდევნო თეირანის კატასტროფასთან. იმის მომასწავებელია, რომ მოფიქრებული რომანის გმირი ლერმონტოვს წარმოედგინა როგორც ერმოლოვთან და გრიბოედოვთან ახლო მდგომი პიროვნება.

თუ გავიხსენებთ, რომ ცხოვრების უკანასკნელ წელს ლერ-

მონტოვი კავკასიაში დაუმეგობრდა ლევ სერგის-ძე პუშკინს და ხშირად ხვდებოდა მას და რომ ლევ პუშკინი რუსეთ-სპარსეთის ომის დროს „ლერმონტოვის“, ე. ი. ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის იუნკერი იყო და ამ ომში მონაწილეობას იღებდა, თითქმის სრული დარწმუნებით შეგვიძლია დავასკვნათ: ისინი საუბრობდნენ ამ თემის გარშემო და ლერმონტოვმა ლევ სერგის-ძისაგან იცოდა პუშკინის აღსრულებელი სურვილი დაეწერა კავკასიაში ერმოლოვის ბრძოლების ისტორია. როგორც ჩანს, მისი საკუთარი ჩანაფიქრი თითქოსდა პუშკინისაგან მიღებული „შემოქმედებითი ესტაფეტა“ იყო.

სულ უკანასკნელ დროს ისეთი ფაქტები დადგინდა, რომლებიც ახალსა და ნათელ სხივსა ჰყენენ ამ ჩანაფიქრის ისტორიას.

შერისხული გენერალი და შერისხული პოეტი

დღემდე თითქმის არავისთვის იყო ცნობილი, რომ „კავკასიელი“ და „დავა“ ლერმონტოვმა დასწერა ერმოლოვთან შეხვედრის შემდეგ.

ერმოლოვს ლერმონტოვი შეხვდა 1841 წლის ზამთარში. ამას ცხადპყოფს პავლე ქრისტეფორეს-ძის გრაბეს — კავკასიის ხაზისა და შავი ზღვისპირეთის ჯარების მთავარსარდლის შავად დაწერილი ბარათი ალექსეი პეტრეს-ძის ერმოლოვისადმი. ეს წერილი, 1841 წლის 15 მარტით დათარიღებული, ახლახან იქნა მიკვლეული მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში ს. ა. ანდრეევ-კრივიჩის მიერ.

„[17 აპრილის წერილში] — ეს სტრიქონები შემდეგ წაშლილია გრაბეს მიერ — თავადმა ერისთოვმა წარსულ კვირას მომიყვანა თქვენი კაცი, რომელმაც თქვენი წერილი გადმომცა, გასული თვის 17-ს დაწერილი. ამ ბარათში ახსენებთ ბ-ნ ბიკოვს, რომელიც ამაზე სამი დღით ადრე [გამომიგზავნეთ]. მწერდით [ერთი სიტყვა წაშლილია, არ გაირჩევა]. მის მოლოდინში პასუხი დაგიგვიანეთ, რადგან არ ვიცოდი მიიღეთ თუ არა ჩემი ორი წერილი. ერთი ფოსტით გამოგიგზავნეთ

და მეორე კი ბ-ნ ლერმონტოვს გამოვატანე [ამის პასუხს მოველოდი...], მაგრამ არც ბიბიკოვისა და არც ამ ცნობისა არაფერი ისმის. მეტი პასუხის დაგვიანება არ ძალმიძს და არცა ვაუბრდავ*.

ეს დოკუმენტი კიდევ დამატებით შესწავლას მოითხოვს, მაგრამ ერთი რამ ახლაც ნათელია, რომ გრაბესა და ერმოლოვის არაოფიციალური დამოკიდებულება, რომელშიაც ლერმონტოვს თუნდაც არაპირდაპირი მონაწილეობა მიეღოს, ძალზე საინტერესოა, მით უმეტეს, რომ გრაბე, როცა 1841 წლის 15 თებერვალს ერმოლოვთან სხვა ოფიცერს შტაბს-კაპიტან მილიუტინს გზავნიდა, სწერდა: „დაუყვავეთ და რაც გნებავთ ის გამოჰკითხეთ. იგი... ზეპირად უკეთ და უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ, ვიდრე ამის საშუალებას წერილი იძლევა“.**

როგორც ჩანს, ლერმონტოვსაც დაევალა ზოგი რამ ზეპირად გადაეცა ერმოლოვისათვის.

ამრიგად, ლერმონტოვმა მოსკოვს წარიტანა გრაბეს წერილი, ერმოლოვის წრისა და ერმოლოვის აზრების პიროვნების წერილი. გრაბემ სამსახური 1805 წელს დაიწყო და სამი წლის შემდეგ ერმოლოვის ადიუტანტად იქნა განწესებული, მასთან ერთად მონაწილეობდა ბოროდინოს ბრძოლაში. „ნამდვილმა მამობრივმა მზრუნველობამ მისი მხრივ ჩემში შვილობრივი გრძნობა აღძრა“, — წერდა გრაბე თავის „ჩანაწერებში“. „ჩემი დამოკიდებულება ერმოლოვისადმი ადიუტანტობის დროს, — წერდა იგი შემდეგში, — ოჯახურ ურთიერთობასა ჰგავდა“***.

იაკუშკინმა გრაბეს გააცნო საიდუმლო საზოგადოების

* С. А. Андреев-Кривич. Кабардино-черкесский фольклор и творчестве Лермонтова. „Ученые записки Кабардинского научно-исследовательского института“, вып. 1, Нальчик, 1946, стр. 260.

Иракий Андроникашвили. Лермонтов и Ермолов. „Смена“, 1949, № 19, стр. 13-14.

** Письмо П. Х. Граббе к А. П. Ермолову от 15 февраля 1841 г. из Ставрополя. „Алексей Петрович Ермолов. Материалы для биографии, его рассказы и переписка“. „Русская старина“, 1893, № 10, стр. 107.

*** „Из памятных записок графа Павла Христофоровича Граббе“. М., 1873, стр. 17, 106.

მიზანი და 1820 წელს იგი ფონვიზინმა კეთილმოკმედთა კავშირში მიიღო.*

როცა ერმოლოვმა ვაიგო იმის შესახებ, რომ ალექსანდრე პირველს შეატყობინეს საიდუმლო საზოგადოების არსებობის ამბავი, მან, როგორც ვიცით, შეტყმულნი გრაბეს საშუალებით გააფრთხილა. გრაბე „ურჩობის სულისკვეთების“ გამოაშკარავებისათვის გადაასახლეს, ხოლო დეკემბრის აჯანყების შემდეგ ოთხი თვით ჩასვეს პეტრეპავლეს ციხეში. მერე გაანთავისუფლეს და კვლავ სამხედრო სამსახურში აღადგინეს.**

გრაბე, როგორც უამბობდა ხოლმე მისი შვილი პ. ა. ვისკოვატოვს, ფრიად აფასებდა ლერმონტოვის ჰეკუა-გონებას,*** უყვარდა მისი საუბარი, მფარველობდა პოეტს, როცა კავკასიას ხელახლა გადასახლებული გამოცხადდა მის მთავარ ბინაში. დაცულია ცნობები იმის შესახებ, რომ 1840—41 წლის ზამთარს სევასტოპოლში ლერმონტოვი და ლევ პუშკინი სრულიად შინაურულად დადიოდნენ გრაბესას.****

პირველად ლერმონტოვი ერმოლოვს შეხვდა 1841 წელს, თებერვლის პირველ რიცხვებში, პოეტის მოსკოვს ჩასვლისთანავე.

რაზე უნდა ესაუბრათ შერისხულ პოეტსა და შერისხულ გენერალს? თუმცა პუშკინი თავის „გამგზავრებაში“ წერს, რომ მასა და ერმოლოვს შორის მთავრობასა და პოლიტიკაზე არც ერთი სიტყვა არ თქმულა, ნამდვილად როგორც იმავე „გამგზავრების“ ტექსტიდან ჩანს, მათი საუბარი სწორედ პოლიტიკას ეხებოდა: რუსეთ-სპარსეთის ომი, პასკევიჩი, კურბსკის მემუარები, გერმანელების მოზღვაება სასახლის კარზე. გარდა ამისა, ლაპარაკობდნენ გრიბოედოვზე. გრიბოე-

* Н. Д. Якушкин. Записки, изд. 7-е, 1926, стр. 26, 63-64.

М. В. Нечкина. А. С. Грибоедов и декабристы. М., Гослитиздат, 1947, стр. 202.

** „Восстание декабристов“. Материалы, т. VIII, Л., 1925. „Алфавит декабристов“, стр. 73.

*** И. А. Висковатов. Михайл Юрьевич Лермонтов в действующем отряде генерала Галафеева во время экспедиции в Малую Чечню в 1840 году. „Русская старина“, 1884, №1, стр. 65.

**** А. И. Дельинг. Мои воспоминания. М., 1913, 1, стр. 287.

დოვის დიპლომატიური სამსახური და სიკვდილიც პოლიტიკა იყო მათთვის.*

მეოთხედი საუკუნის შემდეგ, 1854 წელს ერმოლოვი ინახულა იმხანად ახალგაზრდა ისტორიკოსმა და პუშკინის ბიოგრაფმა პეტრე ივანეს-ძე ბარტენევმა. საუბარი ჩამოვარდა მოსკოვის ჩაბარებაზე, ფილეს სამხედრო საბჭოზე, ერმოლოვმა გაიხსენა გრაფ როსტოპჩინი, ეუკოვსკი, რომელიც ეხმარებოდა 1812 წელს სამხედრო ბიულეტენების შედგენაში, გაიხსენა კუტუზოვის სიყვარული ეუკოვსკისადმი.

იმაზეც ილაპარაკეს, რომ რუსთა მხედართმთავრებს ბრწყინვალე განათლება ჰქონდათ და შერისხულმა გენერალმა გატაცებით მოუთხრო ბარტენევს სუვოროვზე, რომელთანაც მსახურობდა. „მისი ისტორიის დაწერას ვერავინ შესძლებს, — ამბობდა იგი, — მისი ხასიათი აღწერილობას უსხლტება“. მოიგონეს როგორ მიიღო სუვოროვმა პრალის აღების შემდეგ პეტერბურგში ღერქავინი, შემდეგ გადავიდნენ პუშკინზე, ლერმონტოვზე, სინანული გამოთქვეს მისი უდროო დაღუპვის გამო.**

საინტერესოა, რომ ერმოლოვმა მაშინ გაიხსენა ლერმონტოვი, როცა იმაზე ლაპარაკობდა, ვისაც პირადად იცნობდა. თუ გავიხსენებთ, რომ ნაპოლეონის ომებისა და ერმოლოვის ომების შესახებ რომანის დაწერის იდეას ლერმონტოვი ატარებდა თვით ერმოლოვთან შეხვედრის შემდეგ, უფრო დავრწმუნდებით, რომ სახელმოხვეჭილ მხედართმთავართან საუბრისას პოეტს აინტერესებდა მისი აზრები კავკასიის დამორჩილებაზე, რუსეთ-სპარსეთის ომსა და გრიბოედოვზე. არანაკლები ინტერესით უნდა მოესმინა ლერმონტოვს მოგონებანი სუვოროვზე, ბოროდინოზე, მოსკოვის დატოვებაზე, პარიზის აღებაზე. ყველა ეს მოვლენა ერმოლოვის სამხედრო დიდების ეტაპი იყო და იგივე თემები აისახა ლერმონტოვის უკანასკნელ ჩანაფიქრში.

პოეტი უკვე პეტერბურგში იყო, როცა იქ ჩავიდა ერმოლოვი „მემკვიდრე ალექსანდრ ნიკოლაევიჩის ქორწინებასთან“

* პუშკინი. არზრუმში გამგზავრება, თავი პირველი.

** П. Б(артенев). Разговор с А. П. Ермоловым. (Из недавних записок). „Русский архив“, 1863, стр. 436—441.

დაკავშირებით და უმაღლეს სიბოცე სამხედრო მინისტრს ჩერ-
ნაშევს, როგორც გადმოცემის ბიოგრაფი, მოგხსენებნათ
ხელმწიფისათვის მისი ჩამოსვლა.

დღე დღეს მასდევდა, ქორწინების წინაღუდე დადგა,
მაგრამ პასუხი არ ისმოდა... ერმოლოვმა კვლავ შეორთქლ მის-
წერა ჩერნაშევს და ხელმწიფეზე ბოლოს და ბოლოს მიიღო
იგი. უკვე ქორწინების დღეს, განსაკუთრებული აუდიენციის
გარეშე, პოლკების დაყოფის წინ, კარისკაცთა შორის, რო-
მელნიც თავიანთი პარტივისციების გამოსახატავად მოვიდნენ.*

ეს იყო 1841 წლის 16 აპრილს, ლერმონტოვის პეტერ-
ბურგიდან გადასახლების მომდევნო დღეს. გადიოდა ვადა,
რომელიც ლერმონტოვს მისცეს ბედიასთან შეხვედრისათვის.
და ბენცენდორფმა და კლეინმხელმა ტახტის მემკვიდრის მო-
მავალი ქორწინების გამო იჭქარეს დედაქალაქისათვის მოგშო-
რებნათ პოეტი. მოსკოვისაგან დიდიგანსით მიმავალმა, ალ-
ბომში (ეს იყო ოდოევსკის საბუქარი) დასწერა „დავა“, რო-
მელშიც ასახა რუსთა არმიის ძღვეამოსილი მსვლელობა კავ-
კასიაში გენერალ ერმოლოვის ხელმძღვანელობით. ლექსმა
სწორედ იმიტომ მოიპოვა ღრმა აზრი, რომ კავკასიის დამ-
პყრობთა შორის ლერმონტოვმა იმ სარდლის პიროვნება
აირჩია, რომელიც აბლო იყო დეკაბრისტებთან.

ურალიდან ფუნაიმდე,
ამ დიდ მდინარემდე,
ჩაბმნი ვლეთ წარმოვიდნენ,
მერდებს მოარბევდნენ.
ვაციწერას ჯილა უფათ,
რომ ირბევა ქარში,
უღანები ტანმსუბუქად
ქრიან მტფერთა აწლით.
ათასეფლთ მწყობრი ღალი
მწყრივებს ფელზე გაფენს,
სულ წინ მოაქვს ბაირალი,
სცემენ, სცემენ დაფებს.
მოგრუბუნებს ბორბლის ხმებით
ქუმ ხარბაზანთ წყება.

* „Алексей Петрович Ермолов. Материалы для его биографии, собрание М. Погодиним“. М., 1864, стр. 403.

აკვამლეულან პატრუქები,
ბრძოლა თუ იწყება...
და ეს მოჰყავს თმათეთრ სარდალს,
რისთვის ელავს თვალი;
შინა, ბევრჯერ განიცადა
ბრძოლის ჭარიშხალი.
ძლევიტ მოდის რაზმზე რაზმი,
აღმოსავლეთს მართლა,
ღრუბლის მზირავ ნელი ზღაზენით,
გრგვინვით ნიაღვართა.

ამ კონტექსტში ცენზურა არასოდეს არ გაუშვებდა ერმო-
ლოვის სახელს, და თუკი გაიგებდა, ვისზე იყო ლაპარაკი,
ნამდვილად აკრძალავდა ლექსს. გამომცემლის შენიშვნებს
საქმისათვის მხოლოდ ზიანის მიყენება შეეძლო.

ლერმონტოვის დაღუპვის ცნობამ გააფთრა ერმოლოვი.
ჭარმაგი სარდალი მიხვდა, რომ ბოროტმოქმედი სასჯელს
მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ მეფისა და სამეფო კარის
არისტოკრატიის დიდი ხნის სურვილი განახორციელა. „მე
არ შევარჩენდი მარტინოვს! — ეუბნებოდა ერმოლოვი ბარ-
ტენევს და თან სიბრაზით ფეხებს აბაკუნებდა. — კავკასიაში
რომ ვყოფილიყავი, კარგ ადგილს გავისტუმრებდი, იქ ისეთი
იდგილებია, რომ თუ იქ კაცს გაგზავნი, შეგიძლიათ საათი
ამოიღოთ და დრო ჩაინიშნოთ, რაიც წარგზავნილის სიკვდილს
მოუწოდება. ყველაფერი კანონის ფარგლებში მოგვარდებოდა.
ჩვენგან თავს ვერ დაიძვრენდა. ყოველი კაცის სიკვდილი
შეიძლება, თუნდაც იგი დიდებული და დიდგვარიანი იყოს.
ასეთები ხვალ ბლომად იქნებიან და ლერმონტოვისთანას
კი მალე ვერ მოვესწრებით“.

„კარგი სანახაფი იყო ჭაღარა გმირი კავკასიისა, — შენიშ-
ნავდა ბარტენევი, — როცა ამბობდა, რომ პოეტები ერის
სიამაყენი არიან“.*

* П. Б(артенев). Разговор с А. П. Ермоловым. (Из недавних записок). „Русский архив“, 1863, стр. 441.

3. ა. ვისკოვატოვი, რომელიც მასალას აგროვებდა ლერ-
მონტოვის შესახებ და ამის გამო 1830-იან წლებში ხშირად
დადიოდა ა. ა. კრავესკისთან, ამტკიცებს, რომ კრავესკის
ქმონდა ზეთის საღებავებით შესრულებული სურათი — „მწი-
რის“ მოქმედების ადგილი მდინარე არაგვის ნაპირზე და
რომ „ეს სურათი ლერმონტოვს ნატურიდან გადაუღია“.

1890-იან წლებში კრაევსკის შემოქმედებებმა ლერმონტოვის მუშეუშის გადასცეს პოეტის ორი სურათი: „იალბუზის ხედი“ და „კავკასიის ხედი სახლითურთ“. ეს სურათი ხომ არ ჰქონდა მხედველობაში ვისკოვატოვს?

თუ ამ ტილოს კარგად ჩაეუყვრებოდა, სრულიად გასაგები გახდება, რომ მასზე გამოხატულია არა სახლი, არამედ კოშკის ნანგრევი. ამ ნანგრევზე მოდგმულია პატარა ბანიანი სახლი. მდინარის გაღმა, მთაზე, მოჩანს ქართული საყდრის კონტურები. მართლაც, ყველა, ვინც კი მცხეთაში ყოფილა, უმაღლესე შეიძნობს ამ გამოსახულებაში ჯვარს — ძველ ტაძარს, რომელიც აზიდულა მტკვრისა და არაგვის შესართავთან. მცხეთის შენობები სურათზე დაუფარავს კოშკსა და მახლობელ მთას. მაგრამ კოშკის ხელმარჯვნივ, მდინარის პირას, გამოჩანს შორეული გამოხატულება სვეტიცხოვლისა, მცხეთის დიდი ტაძრისა, სადაც დაკრძალულია ირაკლი მეორე და გიორგი მეთორმეტე და სადაც ლერმონტოვს უკანასკნელ მეფეთა საფლავზე ამოუკითხავს წარსული დიდება და ის, თუ როგორ გადასცა რუსეთს თავისი ხალხი საკუთარი გვირგვინით განაწამებმა საქართველოს უკანასკნელმა მეფემ. ადგილი, სადაც ერთმანეთს შეერთვიან მტკვრისა და არაგვის ტალღები, ლერმონტოვის სურათზე ნაწილობრივ დაფარულია მაღალი ნაპირის კიდი. სურათის უკანა ნახარე არაგვის ქალაქი. წინა პლანზე გამოსახული ადამიანები თბილისისაკენ მიემართებიან საქართველოს სამხედრო გზით. ლერმონტოვი ამ სურათს ხატავდა ნატურიდან, მთის ფერდობზე მჯდომი, მუხათგვერდის ზემო მხარეს. ახლა იმ ადგილის მისაკვლევად, სადაც ლერმონტოვს დაუწერია თავისი ეტიუდი, გზატკეცილს ზაქესამდე არ უნდა ჩაყვეს კაცი, უნდა შეჩერდეს, რკინიგზის ლიანდაგი გადაიაროს და ლერმონტოვის სურათის რეპროდუქცია თვალწინ გადაშლილ პანორამას შეუდაროს. ამ ადგილიდან ახლა ჩანს შემონახული ნაწილი სწორედ იმ კოშკისა, რომელიც აუსახავს ლერმონტოვს. იგი ამოშვებულია როგორც ქუშუბი ზედ მტკვრის პირას, საქართველოს სამხედრო გზის ხელმარჯვნივ. საინტერესოა, რომ პოეტს ის ადგილი აურჩევია, სადაც მოუკლავთ ლეგენდარული არსენა. ასე დადგინდა, რომ ლერმონტოვის ერთი საუკეთესო

ბით შესრულებულ სურათზე, რომელიც ამჟამად ინახება ლერმონტოვის სახლ-მუზეუმში, პენზის ოლქში. საკვირველია, რომ სურათზე არ არის ტაძარი, პოეტმა მხოლოდ მაღალ კლდეზე მდგომი კოშკი გამოსახა. ეს შემთხვევითი როდია. საჭმე ის არის, რომ ჩვენამდე მოღწეულ ყველა ცხრა ნახატსა და სურათზე, ჩვენ ვხედავთ საგუშაგო კოშკებს ან ციხე-სიმაგრეებს. პირდაპირ საკვირველია, როგორ მართლად იგრძნო ლერმონტოვმა სპეციფიკა ქართული პეიზაჟისა, რომლისაგან განუყრელია ეს უტყვი მოწმენი ქართველი ბაღის გარდასულ ბრძოლათა უცხო დამპყრობების წინააღმდეგ და რომლებიც იმდროის მოგონებად დარჩნენ, როცა უკუნ ლანით ხეობაში, კოშკზე აენთებოდა ხოლმე კოცონი, მეორე, მესამე და ასე ცეცხლის ესტაფეტად მოედებოდა ქვეყნის ცნობა ახალი უბედურების—მტრის ახალი შემოსევის შესახებ.

როცა ლერმონტოვმა მთის მკაცრი პეიზაჟის ფონზე მხოლოდ სიონის კოშკი დატოვა, ამით მან რომანტიკულ ელფურში გააბეია იგი. წარმოსახა უდაბური და ვერანი, აჩვენა ისეთივე, როგორიც „დემონში“:

ნისლში მოჩანდნენ ზანზონათევი
ციხე-კოშკები მტკიცენი, ზეარნი,
მოფარულე გოლიათები,
კაცკასიონის კარებთან მდგარნი!
იყო საკვირველ, იყო ღიაღი
ქვეყანა ღეთისა...

კვლავ ირკვევა, რომ პოეტი მიისწრაფოდა ფანქრითა და ფუნჯით გადმოეცა ის შთაბეჭდილებანი, რომელთაც შთაგონეს მას „დემონი“ და „მწირი“, და რომ ლერმონტოვმა მხატვრის მახვილი თვალის მეოხებით შესძლო შეეჭმნა გენიალური პეიზაჟები პოეზიაში.

როცა პოეტის სამოგზაურო ჩანაწერებს ვუკვირდებით, კვლავ ვხედავთ, რაოდენ დიდი ყურადღებით სწავლობდა იგი სინამდვილეს, რაოდენ მართლად ესმოდა მისთვის ახალი ქვეყნის ხასიათი, რაოდენ დაეინებოდა ცდილობდა გაეგო მისი ისტორიული წარსული. ისევე, როგორც ლერმონტოვის პოეტური შემოქმედება, მისი ფერწერითი სამუშაოც სერიოზული სისტემატური შრომის შედეგია.

დღარწობის წამებში დაკავშირებულია „მწირის“ ჩანაფიქრთან და წარმოქმნილია მაშინ, როცა პოეტი მეტყველების მიდამოებში ლიტერატურული ტილოთა და საღებავებით. (ამის გამოტყვევებაში დაშვებულია ვ. გოლცვეი).

ლერმონტოვის ნაბატების სილუეტები რომ გამოგვეჩვენა, ნაჭირო გახდა მისი მოგზაურობის 1837 წლის კავკასიური მარშრუტის გამგორებები, უპირველეს ყოვლისა, ამ მიზნით კაბეტის მოვლა და მოგზაურობა საქართველოს სამხედრო გზის ძველი ტრასით.

კაბეტში მოგზაურობამ 1952 წელს საბოლოოდ დამარწმუნა, რომ სურათზე „კავკასიის ზედი აქლემებითურთ“ ლერმონტოვმა გამოხატა დღემდე დაცული ნანგრევები, ცნობილი ზორნაბუჯის ანუ თამარის ციხის სახელით, რომლებიც აგვირგვინებენ ნიკორაძის მწვერვალს. ეს მთა, აზიდული ყარაღაჯზე, ჩანს რამდენიმე ათეულ კილომეტრზე ალაზნის ველის მარცხენა ნაპირიდან. ლერმონტოვის დროს აქ სავაჭრო გზა გადიოდა და აქლემების ქარავანი შემახიდან, ნუხიდან და ზაქათალიდან ნიკორაძის ჩაფვლიდა და დედოფლის წყაროსა და თბილისისაკენ მიემართებოდა.

უფრო ძნელი იყო იმის მიკვლევა, რომელი ადგილი აღბეჭდა ლერმონტოვმა თავის სურათში „კავკასიის ზედი ურმითურთ“. ნუხა-კახი-ზაქათალა-ყარაღაჯის გზაზე, რომელიც გამოიარა შემახიდან კაბეტის მიმავალმა ლერმონტოვმა 1837 წელს, ასეთი ადგილი არ აღმოჩნდა. არაფერი მოგვცა აგრეთვე საქართველოს სამხედრო გზაზე მანქანით მოგზაურობამ. საქართველოს სამხედრო გზაზე არ აღმოჩნდა ასეთი ხეობა: არც ღართისკარ-დუშეთ-ანანურის მიდამოებში, არც კაიშა-ურის ველის აღმართზე სადგურ ქვეშეთიდან, ვინემ სოფელ სერამდე, არც საქართველოს სამხედრო გზის ტრასაზე, დარიალის ხეობაში, რომელიც გასული საუკუნის შუა წლებამდე თერგის მარჯვენა ნაპირს მიჰყვებოდა. ბოლოს მაინც მოხერხდა ამ ადგილის მიკვლევა: ლერმონტოვმა ასახა საქართველოს სამხედრო გზა სოფელ ჩმასა და სადგურ ბალთას შორის. პოეტი სანხრეთისაკენ ზურგიით მდგარა და ისე დაუბატავს ეს პეიზაჟი თერგის კლდოვანი კალაპოტის შუა ადგილიდან. მდინარის დინება იმ დროს მარჯვენა ნაპირისაკენ

უხვევდა. ჩვენ ნახატზე ვხედავთ ხეობას, ურემს, რომელშიც
ორი ხარი შეუბამთ, ერთ პატარა ოსურ წისქვილს, პუშკინმა
რომ თავის „მგზავრობაში“ ძაღლის ხუხულას შეადარა.
წორს გადაშლილა სადგურ ბაღთას შენობები. ამ ადგილის
მიკვლევაში დამეხმარენ ი. ვარდიძე და ს. ალიბეგაშვილი, ყაზ-
ბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.

„თამარის ციხე“ დარიალის ხეობაში მთლად ის ვერაა,
რასაც ჩვენ სინამდვილეში ვხედავთ, მაგრამ ლერმონტოვის
დროს კლდეს სხვა სახე ჰქონდა. 1870-იან წლებში აქ ჩაიარა
სამხედრო ნაწილმა, ერთმა მთვრალმა არტილერისტმა პირ-
დაპირ ციხე-კოშკს დაუმიზნა და ძირამდე დაანგრია. ესეც
რომ გავითვალისწინოთ, მაინც არცთუ ისე იოლი მისაკვლე-
ვია ის ადგილი, საიდანაც ლერმონტოვი ხატავდა კლდესა
და ციხე-კოშკის ნანგრევებს. თურმე იგი ადიოდა გვერდის
კოშკში, რომელიც დარიალის სიმაგრესთან მდებარეობდა.
მხოლოდ იქიდან შეიძლება კლდის, კოშკისა და თერგის იმ
რკურსში დანახვა, რომლითაც დაუხატავს პოეტს.

ეს ნახატი „თამარის ბაღადის“ ზუსტი ილუსტრაციაა.
ერთ-ერთი ჩანახატთაგანი, რომელიც პოეტს საქართველოს
სამხედრო გზაზე გაუკეთებია, საკუთრივ გადაუტანია ქვაზე
და ლითოგრაფია დაუბეჭდავს. დაცულია ოთხი ანაბეჭდი.
ორი მათგანი ფერადი ფანქრითაა შეფერადებული, ერთს
ლერმონტოვის ხელით აწერია: „ჯვრის ხედი კობის მახლო-
ბელი ხეობიდან“. საქართველოს სსრ ოცდაათი წლისადმი
მიძღვნილ ალბომში მოცემულია ამ ნახატის უფრო სწორი
ანოტაცია: „სოფელი სიონის მახლობლად. მთების ხედი,
ყაზბეგის რაიონი“. როცა ამ ილუსტრაციას ვათვალიერებთ,
მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ლერმონტოვს თავისი
სურათის ლითოგრაფიულ ქვაზე გადატანისას არ შეუტრია-
ლებია გამოსახულება, ამიტომ თვით ლითოგრაფიაზე „შებრუ-
ნებული აღმოჩნდა“ პეიზაჟი. ქაბარჯინის მთა, ფლატეებიანი
კლდე, რომელზეც აღმართულია სიონის ტაძარი და ძველე-
ბური კოშკი, ნამდვილად მარცხნივ უნდა იყოს, ხოლო თერგი
მარჯვნივ, რადგანაც ლერმონტოვი ამ ხედს ხატავდა ყაზბე-
გიდან.

იგივე პეიზაჟი ლერმონტოვმა გაიმეორა ზეთის საღებავე-

ლერმონტოვის სურათების სიუჟეტის გამორკვევა საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ მეორე, ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნა: ოთხი მათგანი ყაზბეგის რაიონშია შესრულებული. ვისკოვატოვს ეკუთვნოდა კიდევ ერთი ნამუშევარი — სურათი შესრულებული ზეთის საღებავებით — „ჯვრის მთის ხედი“. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ კოლექციისა, რომელზეც ლაპარაკია რაევსკისადმი მიწერილ ბარათში. აქედან ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ ლერმონტოვმა არა მხოლოდ გზად გაიარა დარიალსა და ხევში, არამედ იქ ცხოვრობდა, მოიარა სოფელ სტეფანწმინდის მიდამოები და მართლაც შეძლო ფართოდ გაცნობოდა ყაზბეგის რაიონის ფოლკლორს.

სამაგიეროდ ახლა არცთუ ისე ცოტა მოგვიხდა ხეტიალი საქართველოს სამხედრო გზაზე, რათა გამოგვერკვია წარმოშობა მისი ნახატებისა, განსაკუთრებით კი „ნანგრევები მდინარე არაგვის ნაპირებზე“.

უკვე ეს წარწერა იწვევს გაკვირვებას. მით უმეტეს, რომ იგი ლერმონტოვის ხელით არ არის დაწერილი. ნახატზე ვხედავთ არა ნანგრევებს, არამედ ძველ ციხე-სიმაგრეს, მის მაღალ გალავანს, აქეთ-იქით კუთხეებში აღმართულ ბურჯებს და ქართული ეკლესიის დამახასიათებელ გუმბათს. საქართველოს სამხედრო გზის ტრასაზე ვერ მოვახერხეთ ისეთი გამაგრებული ადგილის პოვნა, რომელიც არაგვის დამრეც ნაპირზე მდგარიყო, კლდეებით შემოგარული, და თანაც მის პირდაპირ ყოფილიყო ძველი კოშკი. მაშინ ლერმონტოვის ნახატი კვირა დღეს ვუჩვენეთ ადგილობრივ მცხოვრებთ ხალხის თავშესაყარ ადგილას — ფასანაურში, ქვეშეთში, შემდეგ ზაქანსა და კაიშაურში. საინტერესოა, რომ ყველა ადგილობრივი მცხოვრები ერთში შეთანხმდა, რომ ნახატზე გამოსახულია ანანურის ციხე. და მართლაც, მთლიანად აღებული ნახატი გვაგონებს დუშეთის გზის მხრიდან დანახულ ანანურს, მაგრამ ლერმონტოვის ნახატზე არ ჩანს ანანურის დიდი ტაძარი. ესეცაა, რომ აქ არაგვის ხეობა გაცილებით უფრო ფართოა, მდინარე კლდეებით არაა გარშემორტყმული. სად არის ძველი კოშკი და გალმა ნაპირის სოფელი?

სხვა აზრისა იყო მხოლოდ ზაქანელი კოლმეურნე რუსუ-

დან ზაქაიძე, რომელიც სხვებთან ერთად ქვეშეთის მაღაზიის წინ იდგა. აღგილმდებარეობა ლერმონტოვის ნახატზე არაგვის სათავეების ლუდას ხეობის მსგავსად მოეჩვენა. სხვები დაეპყდნენ, იქ არავეითარი ეკლესია არაა, მხოლოდ ნანგრევებიღააო. «ვინ იცის, — შეეპასუხა ახალგაზრდა ქალი, — ასი წლის წინათ, როცა აქ სტუმრად იყო ლერმონტოვი, ეგების კიდევ იდგა ეკლესია». ეს ვარაუდი, როგორც გამოიკვია, არ იყო საფუძველს მოკლებული.

ყაზბეგში ჩავედი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ს. ალიბეგაშვილი ეთანხმება ზაქაიძეს და მირჩევს წავიდე ლუდას ხეობაში, რათა დავათვალიერო ხატის სოფლის ნანგრევები.

მე ამ კეთილ რჩევას მივპყე და გუდაურის კოოპერატივის დარაჯის ნიკო კაიშაურის თანხლებით გვერდნელიდან ლუდას ხეობაში დავეშვი ბილიკით, სწორედ იქ, სადაც იწყება უხსოვარი დროიდან ვინ იცის საიდან გადმოგდებული გრანიტის ნანგრევები, რომლებიც გადმოცემით გამძვინვარებულ ლუდას დაუნარცხებიო. ბილიკმა დაბლა ჩამიყვანა, ხეობაში, ურმის სოფელთან. ამ სოფლის პირდაპირ, არაგვის მეორე ნაპირზე აზიდულა ზედ წყლის თავზე წინწამოწეული პიტალო მწვერვალი, მკვეთრი, სულ მთლად ხშირი ტყით შემოსილი შემოდგომის შეფერადება ფოთლისა: მეწამული, ყვითელი, ვარდისფერი, წითური, ქანგისფერი და ალისფერი — ისე საოცარია, რომ გეგონებათ ქალას ფერების ხანძარი მოსდებია, ან არა და მთაზე ვილაყას მდიდრული ხალი გამოუფენიაო, და ეს განსაკუთრებით საკვირველია იმიტომ, რომ ხეობა უტყეოა.

ასევე იყო ლერმონტოვის დროს. ის საქართველოში შემოდგომით ჩამოვიდა. გორაკის თხემზე მოჩანს ნაშთი ციხის გალავნის, ბურჯისა და ტაძრის ნაშთი და დანგრეული კიბის საფეხურები. ზევით თუ ახვალთ, დაინახავთ ძველ უსახურო სამლოცველოს და სამონასტრო ნაგებობათა საძირკველს. ეს ნანგრევები არაგვის არ აუწერია.

გალმა ფერდობზე საფეხურებად განლაგებული ხატის-სოფელი (ძუარი — ოსურად) — ბრტყელი შიფერისაგან ნაგები ბანიანი სახლებით.

მაგრამ ნაღვლობას იქ ზაქსონდელის
ციხე-დარბაზი, ბრწყინვალე ძეგლია,
როგორც საბრძოლო მომზადებული,
ახლობლები რომ დამარხა ყველა.

ყოველ კუთხეში იქ ისახება
გაველურება, გაპარტახება.
საუცუნეთა უჩინარ ხელებით
გადარეცხილა ცხოვრება ძველი.

პოეტმა მხოლოდ ერთი არ დაიკვა: კაიშაურის ველი
შქვია არა ღუდას ხეობას, არამედ კაიშაურის პლატოს, რო-
მელიც თქალწინ გადგეშლება მოგზაურს, თუკი ქვეშეთიდან
არაგვს გადავა და მთაზე აივლის იმ გზით, სადაც „ბელას“
ავტორს შეხვდა მაქსიმ მაქსიმიჩი. გარდა ამისა, იწერება
„კაიშაურის ველი“ და არა „კაიშაურის ველი“, როგორც ეს
სმენია ლერმონტოვს. ბუნებრივია, ეს უნებლიე შეცდომა გა-
მეორებულია „ჩვენი დროის გამირში“.

ასე რომ, ეს ნახატი ასახავს ხატის-სოფლის მწვერვალს
არაგვის ხეობაში და ამაღლების ტაძარს. ამრიგად, ნახატი,
ყველა ამის გარდა, დოკუმენტალურ მნიშვნელობასაც იძენს.
რამდენადაც მასზე გამოხატულია ქართული ხუროთმოძღვრე-
ბის უძველესი ძეგლი, უცნობი სამეცნიერო ლიტერატურაში
და დღეს უკვე არარსებული.

ხატის-სოფლიდან ხეობას ნახევარი კილომეტრით თუ
აჭყვება კაცი, მიადგება მდინარე არაგვს იმ ადგილს, სადაც
მას უსახელო მდინარე შეერთვის. ორი ხეობის შესარწყმის-
თან მთაა, ამ მთის ძირასაა სოფელი ერეთო, მწვერვალის
ვიწრო თხემზე მოჩანს ნანგრევები — ციხე-სიმაგრის თუ ტაძ-
რისა. როცა მალლა ავედით, იქ ნახევრად დანგრეული კოშ-
კის კედელზე ჯვარი აღმოვაჩინეთ და, გარდა ამისა, მარმარი-
ნაქერი — მსხვერპლის შეწირვის სიმბოლო. ეს ადგილი ხომ
წმიდად იყო მიჩნეული.

ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიაში“
არც ურმის-სოფელი, არც ხატის-სოფელი და არც ერეთო
მოხსენებული არ არის. მაგრამ ხელნაწერ რუკაზე, რომელიც
შედგენილია ვახუშტის მიერ 1735 წელს, ღუდას ხეობაში,
229

თუ ამ მთიდან კაცი არავის კლდოვან ნაპირზე ჩამოვა-
დინებას ერთი ნახევარი კილომეტრით ჩაჰყვება და ნეფის
კალოდან მარჯვნივ ორასი მეტრით დაიხვეს — აღმოჩნდება
ის წერტილი, საიდანაც ჩაუხატავს ლერმონტოვს თავისი ნა-
ხატი: ემთხვევა შორეული მთების კონტურები, ორი ხეობის
შერწყმა (ნაწილობრივ დამახინჯებული პერსპექტივაში), კოშ-
კიანი სოფელი მარჯვნივ და ტყით დასერილი დამრეცი მთა.
არა ჰგავს თვით ნანგრევები. როგორც ჩანს, ლერმონტოვის
დროს კოშკიც, ეკლესიაცა და გალავანიც ისე დანგრეული
არ იყო, როგორც ახლაა — სულ საძირკვლამდე. მაგრამ უკვე
მაშინ, — კარგად თუ ჩავუყვირდებით ნახატს, — კოშკის ნაწილი
დანგრეული ყოფილა და მონასტერიც გაუქმებული. პოე-
ტური წარმოსახვის ძალით გამოაცოცხლა ლერმონტოვმა
ეს პარტახი, დაასახლა და „ლუდალის ციხედ“ გარდაქმნა,
ხოლო პოემის დასასრულს ისე აღწერა, როგორც ნახატზე
აღბეჭდა.

კლდოვან მაღლობზე, რომლის წინ შემდეგ
კაიშაურის გაშლილა ველი,
აღმართულია ისევე დღემდე
ქონგურის ნანგრევი ძველი.
ბავშვებს აწინებს ამბავი მისი...
ვით მოჩვენება ჩუმი და მქისი.
მოწამე იმა თილისმურ დღეთა
იგი მაღალ და ჩრდილოვან ზეთა
დახრილ რტოებში გამოჩენილა.
ჰყვავიან ირგვლივ მინდვრები, მთები,
შორს იკარგება სხვადასხვა ხმები,
უწყსრიგო და ერთად რეული
გალაღებული თამაშობს ბანზე
მწვანე ხელიკების ოჯახი მთელი,
და ნაპრალიდან აიენის ქვაზე
ფრთხილი სრიალით გამოდის გველი.

ამ აღწერაში არის ყოველივე ის, რასაც ნამდვილად ვხე-
დავთ: „აული“ — ხატის-სოფელი, მთის ფერდობზე წმიდა
ქალა, რომელშიც ხის მოკრა არ შეიძლება იმიტომ, რომ
ბავშვებს ყვავილი შეეყრება, ძველი ნანგრევებიცა და ძველი
პარმალის ქვები, „და ნისლთა შორის ჩქარ ჩაქანებით ბრწყინ-
ნავს მდინარე ქაფმორეული“.

პო
ჰქვი
მელი
არავ
ავტო
„კაი
სმენ
მეო

არა
უკვი
რა
ბი
და

აქ
მ
ი

არაგვისა და უსახელო მდინარის შესარწყმისთან; ვპოულობთ
„ყოვლად წმიდა მონასტერს“.*

ეს უნდა იყოს ლერმონტოვისაგან აღწერილი ადგილი, სა-
დაც ლუდალმა თამარი მოიყვანა საჭმროს დაღუპვის შემდეგ.
დღემდე ლერმონტოვის ლიტერატურაში ეს არსებობდა
როგორც ვისკოვატოვის ვარაუდი. დღეს, როცა ჩვენთვის
ცნობილია ლერმონტოვის ნახატი, როცა ცნობილია რაა მასზე
გამოხატული — ეს დამტკიცებულად შეიძლება მივიჩნიოთ.
გაუგებარია მხოლოდ ერთი: საიდან იცოდა ვისკოვატოვმა,
რომ ლერმონტოვი ყოფილა არაგვის სათავეში და რომ მან
„დემონში“ ხატის-სოფლის მთის ნანგრევები აღწერა?

„ყოვლად წმიდა მონასტრის“ ადგილ-მდებარეობა ლერ-
მონტოვის ნახატზე რამდენადმე დავიწროებული აღმოჩნდა.
მწვერვალს ქარაფის სახე მიუღია, რომელსაც ორი მხრივ
მდინარე ერტყმის. სინამდვილეში ამ მწვერვალის ძირი უფრო
ფართოა. მაგრამ ლერმონტოვს რომ მწვერვალი უფრო კონუსი-
სებური დაეხატა (როგორიც სინამდვილეშია), მაშინ მეორე
მდინარე არ გამოჩნდებოდა.

ოთხი კილომეტრით არაგვის ჩამოყოლებაზე, ციცაბო
კლდეზე, სოფელ ქვემო-ლანისის პირდაპირ ჩანს გამოქვაბუ-
ლები, ერთ მათგანში, გადმოცემის მიხედვით, იტანჯება ამი-
რანი. შემთხვევითი როდია, რომ „დემონის“ მგზავრი, ვისაც
თამარის კენესა და ქვითინი ჩაესმის, მიჯაჭვულ ამირანზე
ფიქრობს: ეს ადგილები არაჩვეულებრივად ახლოა ერთმან-
ეთთან.

ამრიგად, კვლავ დასტურდება: რომ პოემის რომანტიკული
პეიზაჟიც, გავერანებული ნანგრევებიცა და მთელი დასკვნითი
ნაწილი „დემონისა“, — დაწერილი ძველი ლეგენდის ყაიდაზე, —
დაფუძნებულია გაცილებით უფრო კონკრეტულ მასალაზე,
ვინემ ეს შეიძლებოდა გვევარაუდნა.

მასალა ჯერ ამოწურული არ არის: სოფელ მლეთვის პირ-
დაპირ, ამირანის გამოქვაბულიდან ორი კილომეტრის მანძილ-

* ვახუშტის რუკა იწახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ
სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში და საქართველოს სსრ
ისტორიული არქივის ძველი აქტების განყოფილებაში.

ზე — ზედა
დროს ს
შეთიდან
ცაო. კო
რებში,
და ხოლო
მაცნობ
რომა ა
შეიქნებ
აქამ
შეეძლო
ტკიცდ
ლერმი
და არ
სახებ
ჩასულ
ბას ა
ხატი
ნელო
ბით
ნები
გან
დებ

ერ
ბა.

ვა
დ
ძ
შ

მ

უ

ზე — ზედ ხრამის პირას, სწორედ იქ, სადაც ლერმონტოვის დროს საქართველოს სამხედრო გზა გადიოდა, რომელიც ქვე-
შეთიდან კაიშაურის სადგურისაკენ მიიმართება, ჩანს სამლო-
ცაო. კოლმეურნე აბრამ ბურდულმა, სოფელ მღვთის მცხოვ-
რებმა, მითხრა, რომ ამ სამლოცაოში ლოცვა ღმერთს ახსნი-
და ხოლმე კაცსო. გაბყობა ნიკო კაიშაურმა კი სხვაგვარად
მაცნობა: «იხსნიდა ხოლმე იგი უაღაღთა თავდასხმისაგან. ვინც
რომა აქ დადგებოდა და სამლოცველოში შევიდოდა, მაშაყ
შეიქნებოდა, არადა დაიღუბებოდა».

აქამდე ჩვენ მხოლოდ ვვარაუდობდით — «ლერმონტოვის
შეძლო ენახა, შეეძლო გაეგონა», ახლა ყველაფერი დამ-
ტკიცდება. ნახატით ახლა უკვე ზუსტად ცნობილია, რომ
ლერმონტოვმა გვერდი აუარა საქართველოს სამხედრო გზას
და არა მარტო აფოფხდა ჯვრის მთაზე, როგორც ამის შე-
სახებ აუწყა რაევსკის, არამედ ღუდას ხეობაც მოინახულა:
ჩასულა იქ დაქანებული ბილიკით, ან არადა არაგვის დინე-
ბას აპყობია ოცი კილომეტრით ქვეშეთის სადგურიდან. ნა-
ხატი «არაგვის პირის ნანგრევები» არაჩვეულებრივად მნიშ-
ნელოვანია «დემონის» «კავკასიური» რედაქციის შემოქმედ-
ებითი ისტორიის დასადგენად. ახლა უფრო მართებული იქ-
ნებოდა ამ რედაქციისათვის «ქართული» შეგვერქმია, რად-
განაც იგი საქართველოშია მოფიქრებული და მისი მოქმე-
დებაც არაგვისა და თერგის ხეობაში იშლება.

ორჯერ მომიხდა ამ გზის გავლა აკად. ნიკო კეცხოველთან
ერთად, რომელმაც იცის აქ ყოველი მაღლობი, ყოველი ხეო-
ბა. ცოცხალ საუბრებში მან დამიხატა ამ ადგილების მომა-
ვალი, თვალწინ დამიყენა ისტორია ამ გზის ციხე-სიმაგრეების
და სოფლებისა — გზის, რომელიც მრავალი საუკუნის მან-
ძილზე ხიდად იყო გადებული რუსეთსა და საქართველოს
შორის.

მრავალი რამ შეიცვალა საქართველოს სამხედრო გზაზე.
მიუვალ ციხე-სიმაგრედ იქცა დარიალი სამამულო ომის წლებ-
ში. ძველ სიმაგრეთა გვერდით ახლები წარმოქმნილან. მრავალ
ასწლეულსა და ათასწლეულს გაძლებს დოტების ამბრა-
ზურები დარიალის მიუვალ ფრიალო კლდეებში, «ერმოლო-
ვის» ქვაზე, უზარმაზარ ვალუნზე, რომელიც თერგის შუა მდე-
ვისა

ბარეობს, კლდის ძირას, იქ, სადაც „თამარის ციხეა“ აღმართული. ვერ მიაღწიეს ფაშისტთა ურდოებმა ხეობამდე, ისინი განადგურებული იქნენ ძაუჯიყაუს მისადგომებთან, შავი სისხლისაგან დაიცალნენ სტალინგრადადთან.

ლამით დარიალში ელავს ხადეჭესის ნათურები. ოქროს კურსივით მიდის მთაში ელექტროგადაცემის ხაზი, იქ, სადაც მთავრებილში გვირაბი გაჰყავთ, იქ, სადაც მალე თერგის წყალი დაედინება, რათა ეზმქესის ახალი წყალსაცავი წარმოქმნას და მთის გაღმა მდებარე კოლმეურნეობანი გაანათოს.

გზის მაჩვენებლებზე ინთება ელექტრონის ბაცი ნაცრისფერი ასოები და ისრები, რომელთაც ავტომობილის შუქი მოფენია.

მანქანის შესახვედრად მიისწრაფიან კლდეები და სიბნელეც წინ გაიქრება ასფალტზე. და აი შუქი გაანათებს ნისლიან ხეობაზე და ლერმონტოვისეული დემონის სამფლობელოში ავტომობილი ახმაურდება.

ლამე ყაზბეგში გადის. წინ გავსწიეთ, უკან გვრჩება ყაზბეგის მუზეუმი, სასტუმროს ახალი შენობა, საცხოვრებელი სახლები, პარტკაბინეტი, რაიკომი... აი ანდუზიტის დამუშავების ადგილთან მდებარე დაბის სოფლებმაც იელვეს.

ახალი შუქი ფენია პეიზაჟებს, ოდესღაც ლერმონტოვმა რომ უმღერა. მაგრამ არ დაძველდა პოეზია, რომელმაც დროს გაუსწრო და ჩვენთან ერთად ცხოვრობს.



ჩვენ
ლერმონტოვის
წყარო
საქართველო
ესენ
გმირ
და
ზღა

ნი
თა
ევ
ლ
დ
ფ
ხ
ა
რ
ა
ა



2068360

1

ჩვენ შევესწავლეთ და ხელახლა გადავსინჯეთ საკითხი ლერმონტოვის მოწოდებულობის ასახვა დამწერელ ნაშარბოვების წყალობით შესახებ, ამ ნაშარბოვებისა, რომლებიც ზღაპრითა და საკითხავლოში და ზრდილობით გავსაძინებო მოგზაურობისას. ესენია „დემონი“, „მწიბრი“, ნაწილობრივ „ჩვენი დროის გმირი“, ლექსები: „თერგის საბუქრები“, „კახაკური იაენანა“, „დავია“, „თამარი“, „პაენანი“, ნარკვევი „კავკასიელი“ და ზღაპარი „იშვიტები“.

ახლა უკვე საბოლოოდ ნათელია, რომ „მწიბრი“, „დემონი“, „თერგის საბუქრები“ და „კახაკური იაენანა“, რომელთაც მთელი საუკუნე სწავლობდნენ მეტწილად დასავლეთ ევროპის ლიტერატურულ წყაროებთან მიმართებაში, ნამდვილად ხალხური პოეზიის თემებიათა გადღმთილი, „დემონი“ და „მწიბრი“ ასახულია კართული, ხევისტოური და რსები ფოლკლორი. „იშვიტები“ წარმოადგენს აზერბაიჯანული ხალხური ზღაპრის ჩანაწერს, ხოლო „თერგის საბუქრები“ და „კახაკური იაენანა“ წარმოადგენს გრებენის კახაკური სიმღერების ნიადაგზე. დღეს აღარავის მოეჩვენება, რომ „ბორბო-დინო“ და „სიმღერა მეფე ივან ვასილევინზე...“ ლერმონტოვის შემოკმედებაში შემთხვევით სტილიზაციას წარმოადგენს, როგორც ეს ეგონა არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ზოგიერთ მკვლევარს. სულ უფრო თვალნათელი ხდება, რომ ფოლკლორი იყო ლერმონტოვის პოეზიის მუდმივი ორგანული წყარო.

ლერმონტოვის პოეზიის წყაროს უპირატესად ცოცხალი

სინამდვილე წარმოადგენდა და არა წიგნი. ეს იყო პოეტის სა-
კუთარი დაკვირვებანი და განცდები. ხალხური გადმოცემები,
ლეგენდები და სიმღერები, ძველი კაცების ნაამბობი, კამათი
მეგობრებთან, მოსაზრებანი მშობლიური ხალხის დიდი ბედის
შესახებ. ლერმონტოვის ღრმა და დაძაბული ინტერესი რუ-
სეთის პოლიტიკური ცხოვრებისადმი, თანამედროვე საზოგა-
დოების მდგომარეობისადმი, რომელიც ესოდენ განსაცვიფ-
რებელი ძალით გამოამჟღავნა ცნობილ „ფიქრში“ — შეესა-
ბამებოდა ლერმონტოვის ასეთივე შეუწელებელ ინტერესს
მშობლიური ისტორიისადმი — ივანე მრისხანის ეპოქისადმი,
პუგაჩოვის აჯანყებისადმი, 1812 წლის სამამულო ომის ამბე-
ბისა, რუსთა არმიის საზღვარგარეთული ლაშქრობისა, კავ-
კასიის ომის ისტორიისადმი.

რომ ლერმონტოვის ცხოვრება 27 წლის ასაკში არ შეწყ-
ვეტილიყო, იმ სამ რომანში, რომლებშიც, მისი აზრით, ერთ-
მთლიანობაში უნდა ყოფილიყო მოცემული, მშობლიური ის-
ტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდები ერთმანეთთან და-
კავშირებული აღმოჩნდებოდა და მკითხველთა წინაშე თავის
განვითარებაში წარსდგებოდა. და კვლავ ხაზს გავუსვამთ იმას,
რომ ეს ჩანაფიქრი გარკვეული მხრივ წინ უსწრებდა ლევ-
ტოლსტოის ჩანაფიქრს.

ჩვენთვის ცნობილია, რაოდენ დიდი მუშაობა ჩაატარა ლევ-
ტოლსტოიმ, რათა „ომისა და მშვიდობისათვის“ ისტორიუ-
ლი მასალა შეეგროვებინა; რამდენი მრავალტომიანი ისტო-
რიული გამორკვევა და რუსებისა თუ უცხოელების მემუარე-
ბი გადაიკითხა, დოკუმენტები შეისწავლა, გრავიურები და
ლითოგრაფიები გადაათვალიერა; რამდენი უსაუბრნია ისტო-
რიკოსებთან და სამხედრო პირებთან, ერთი სიტყვით, რა დი-
დი წანაკითხი და გაგონილი გაიაზრა და განაზოგადა. ლერ-
მონტოვი, რომელიც იმავე ეპოქის ასახვას მოეჭიდა 25 წლით
ადრე, გაცილებით უფრო ძნელ მდგომარეობაში იყო. ჯერ-
კიდევ არ იყო სამხედრო ისტორიკოსთა მრავალტომიანი გა-
მოკვლევები, სამხედრო პირების—ლერმონტოვის თანამესაუბ-
რეების—მოგონებანი და მსჯელობანი, მართალია, ბევრით
უფრო ცოცხალი, უშუალო და სარწმუნო იყო, მაგრამ მათ-
ში მხოლოდ აქა-იქ აისახა დიდ ისტორიულ მოვლენათა მას-

შტამები. ტოლსტოისაგან განსხვავებით ლერმონტოვს უნდა შე-
ესაოგულებინა ისტორიკოსის სამუშაო. შეფუთვებშია ფაქტუ-
ში და არა მარტო გავიზარებინა, არამედ შეფუთი სამუშაო-
ველია მოგვითქვამინა მონაყოლიდან 1812 წლის სანა-
მულო ომის ისტორიის ამბებისა და რუსეთის ჯარების მიერ
1812-14 წლებში ევროპის განთავსდულების შესახებ (გაყვ-
სენით, რაგონი უნდა იყოს მის ერთ-ერთ თავის რომანში ალ-
წერა მოქმედება მაღა რუსეთში და პარიზში).

თუ საუბრადებით ლერმონტოვის განუყოფელი ტრილოგიის შესახებ ნაწილის სანაფიქრს, რომელშიც მას უნ-
დაოდა ესყენებინა ფრმოლოვის დროის თბილისი, ფრმოლო-
ვის ექსპედიციები ცენტრალურა კავკასიის მთიანეთში, რუ-
სეთ-სპარსეთის ომი და გრიბოედოვის სიყვდილი, ნათელი გაბ-
დება, რომ მას უნდაოდა ესყენებინა მოვლენები, რომლებსაც
იღვდილი ჰქონდა დეკემბრის აჯანყების მომზადებისა და და-
მარტყების დროს, ესყენებინა დეკემბრისტებთან ძილო მღვო-
მი იღვამიანები, ამას მოწმობს ფრმოლოვისა და გრიბოედო-
ვის პიროვნებანი. ამასთანავე ისიც ირყვევა, რომ ასეთი რო-
მანის დაწერის იღვა ლერმონტოვს საესახა ფრმოლოვთან
საუბრის შემდეგ, და რომ რუსთა ჯარის კავკასიაში ლაშქ-
რობის ალფგორითული აღწერა ლექსში „ღივა“ გაჯერებული
იყო ღრმა ისტორიული ძირით და უჩვეულოდ მძაფრი პო-
ლიტიკური შინაარსით.

ამ ისტორიული ტრილოგიის სანაფიქრი დღემდე არ იბე-
რობდა მკვლევართა სათანადო ყურადღებას უმთაყურესად იმი-
ტომ, რომ არ განიხილებოდა ლერმონტოვის შემოქმედების
ზოგად განვითარებასთან კავშირში და არ იყვებოდა კონკ-
რეტული ისტორიული შინაარსით.

ეს სანაფიქრი კი ამას იდასტურებს, რომ ლერმონტოვის
იღვურმა კავშირმა დეკემბრისტებთან და გრიბოედოვთან, რო-
მელიც პოეტის სიკაბუკის პირველ წლებშივე წარმოიშვა, მთა-
იგონა მას „ჩვენი დროის გმირის“ შემდეგ დაწერა რომანი.
ამ თაობის ბედზე, რომელიც ნაპოლეონის წინააღმდეგ ვა-
მართულ სამამულო ომში მომწიფდა და რომელიც 1825 წლის
კატასტროფით დაემხო. მისი მგზნებარე ბუნება უკვე დაღუ-
და, არწივისებური გამოხედვა უფრო მშვიდად სწვლებოდა.

ცხოვრების სიღრმეს. გონებაში, ცხოვრების ამოცანებით დაღ-
ლილ გონებაში უკვე ისახებოდა მოწიფული ნაწარმოებები...“—
წერდა ბელინსკი ლერმონტოვის სიკვდილის შემდეგ გამოცე-
მულ „ჩვენი დროის გმირის“ რეცენზიაში. ამ რეცენზიაში
ბელინსკი გადმოგვცემდა ლერმონტოვის ზრახვას შეექმნა სა-
მი რომანი რუსეთის საზოგადოების სამი ეპოქის შესახებ.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი ისტორიული კანონ-
ზომიერება: „ომისა და მშვიდობის“ იდეამდე ტოლსტოი მი-
ვიდა მაშინ, როცა „დეკაბრისტებზე“ მუშაობდა.

მშობლიური ხალხის ბედ-იღბალზე ფიქრი, სამშობლოს
სიყვარული, რომელიც, როგორც დობროლიუბოვი ამბობდა,
შას „კეშმარიტად“ წმიდად და გონიერად სწამდა, დაეხმა-
რა ლერმონტოვს შეეცნო რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვ-
რებ სხვა ხალხთა ღირსებანი. ამ წიგნში მოყვანილი ახალი
მასალის საფუძველზე ჩვენ ვცადეთ გვეჩვენებინა ლერმონტო-
ვის ცხოველი ინტერესი ქართველი ხალხის პოეზიისა და კულ-
ტურისადმი, აზერბაიჯანელი ხალხის ენისა და პოეზიისადმი.
ლერმონტოვის ნაცნობთა წრეში ახალი ადამიანები ჩნდე-
ბიან—წარჩინებული ქართველი პოეტი, გამოჩენილი აზერბა-
იჯანელი მწერალი და დემოკრატი-განმანათლებელი, დიდი
რუსი მწერლის ქვრივი, რომელმაც ხელი შეუწყო რუსული
და ქართული კულტურის დაახლოებას.

ამათი მეშვეობით ლერმონტოვმა კავკასია შეითვისა არა
როგორც ეგზოტიკა, არა ზედაპირულად, არამედ ღრმად და
ორგანულად. გრიბოედოვის გარდა, რომლის ქართულმა გან-
ზრახვებმა ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, წარ-
სულის რუს პოეტთაგან სხვას ისე სრულად, ისე ორგანულად
არ შეუცვნიო საქართველო—მისი პეიზაჟი, მისი ფოლკლორი,
მისი ისტორიული ძეგლები, როგორც ლერმონტოვმა. რუსი
მკითხველი საზოგადოებისათვის ძველთაგანვე წარმოდგენა სა-
ქართველოს სილამაზეზე უკავშირდება სახეს ლერმონტოვი-
სეული თამარისა და იმ უსახელო ქართველი ქალისას, რომე-
ლიც კოკით მთის წყაროსაკენ ეშვებოდა და რომლის უბრა-
ლო სიმღერამ მწირის გულში „ტკბილი სევდა“ გააღვიძა.
რუსი მკითხველისათვის საქართველოს წარმოდგენა განუყოფ-
ლადა დაკავშირებული „დემონსა“, „მწირსა“ და „ჩვენი

დროის
ლერმო
კავკასი
ისტორ
და მათ
გონები
ცა უკ
ლი სი
ამა

გორც
დამოკ
ციონ
მოწი
მელი
ნიშე
სიმპ
მხოლ
მახლ
ბის

წარ
არ
მის
ნაც
და
ორ
სუ

ვი
ლ
კა
მ
ბ
რ
დ

დროის გმირში" აღწერილ პატიული პუნების სუბიექტის. ლერმონტოვი, რომელიც ჯერ კიდევ პუშკინთან იტანდა კავშირს, შემდეგ უფრო ღრმად სასწავლო კავშირის ხალხების ისტორიულ ზედს, სულ უფრო და უფრო პეტ ანტერესს იტანდა მათი კულტურისადმი. „იქ, აღმოსავლეთში, მდიდარი შთაგონების კუნძულია“, — ეუბნებოდა იგი ა. ა. კრავსკის, რომელიც უკანასკნელად ტოვებდა პეტერბურგს, თავისი ტრავიკული სიკვდილის წინ სამი თვით ადრე.

ამასთანავე ლერმონტოვს, ისევე როგორც პუშკინს, როგორც გრაზოვს, ახასიათებდა უიღბოებად პოეტურად და მოკიდებულებად კავშირის ხალხებისადმი, ყოველგვარი ნაციონალური შეზღუდულობის გარეშე. ეს იყო ლერმონტოვის მოწინავე მსოფლმხედველობის ერთ-ერთი გამოვლინება, რომელიც მის რევოლუციონერ-დემოკრატიკულ აზროვნებად, ჩერნიშევსკის სიტყვებით ლერმონტოვი „თავის დამოუკიდებლად სიმპათიების მიხედვით ახალ მიმართულებას გუთვნოდა და მხოლოდ იმიტომ ვერ მონაწილეობდა ბელინსკისა და მისი მახლობლების შეგობარულ საუბრებში, რომ თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები კავკასიაში გაატარა“.

ბელინსკიმ პირველმა შეამჩნია, რომ ლერმონტოვის ნაწარმოებებს რაღაც თავისებურების ბეჭედი აზის, რომ ისინი არ ჰგავნდნენ არც პუშკინისა, არც მის წინანდელ და არც მისი შემდგომი დროის ნაწარმოებებს. სწორედ იმიტომ განაცხადა ბელინსკიმ, რომ „პუშკინი უმემკვიდროდ არ გაჩნდა“. ხოლო ლერმონტოვის დაღუპვის შემდეგ უმაღლესი პოეტი ერთმანეთს ამოუყვანა გვერდში, როგორც რუსული კულტურის ორი უდიდესი მოვლენა.

„განა დიდი ხანია, რაც ბ-ნი ბარატინსკი და ბ-ნი იაზიკოვი, — წერდა ბელინსკი 1842 წელს, — შეადგენდნენ ბრწყინვალე ტრიუმვირატს, რომლის თავი პუშკინი იყო? ამასთანავე კარგა ხანი გავიდა, რაც პუშკინის კოლოსალური აჩრდილი მარტოდმარტო დგას, თავის თანამედროვეებს და თანამემკვიდრეებს თვალს არიდებს და ახალ თაობას უწეღის ხელს, რომლის ნიჭი პუშკინმა ჯერ კიდევ სიცოცხლეში შეამჩნია და დააფასა“.

დღის ლექსონტოვას ლექსებში, ასევე ხის ხანგალი ნა-
სი პოეტის ერთ-ერთი ნაწარმოებია.

ხანგალი, ხოვადიკ პეტრეაშვილი დამატებული ნაწილი
და თავისუფლების სიმბოლო, ლექსონტოვას ლექსებში შე-
მოვიდა დეკანოზისტებისა და პეტრეაშვილის პოეზიად. პეტრე
ლექსონტოვას განათობის ეს სამე, პეტრე ცენტრულობა
მისცა მას — „ფიქრის ხანგალის ნათქვამი“. მას ხანგალი ფე-
თილწობილების, სინდისის, ბაღის, დამოუკიდებლობისა და
თავისუფლების ფართო სიმბოლოა. იგი პოეტის ნეკროპოია —
ერთგული და თანშეზიდილი ნეკროპოია, რომელსაც ლექსონ-
ტოვი საუკეთესო ლექსს მიუძღვნის:

სენი ხანგალი, „გაუთქმისა, ნათქვამი პეტრე,
ცოცხ, გულად მისაღო, შენ, ფიქრისათ,
შეზიდილობის ფიქრისა პოეტადი აქვს,
სამტრე პოეტისათ შენ გულადი ღარი სე-
პეტი.

პოეტი თვითმპყრობელურ ხელისუფლებისთან პოეტის
გზას აღგა, იგი მთელი თავისი შემოკლებით გამოხატავდა
პოეტის თავადიზმურულ-პატრიარქული რუსეთის საზოგა-
დოებრივ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ, ლაპარაკობ-
და თავისი გადამწყვეტილების სიმწიფეზე, რომელიც მახვილის
სიმტკიცის მიმსგავსებულია:

შენ თან დამეფი სიყვარულის პეტრე, სწიფობად
და მე ვარბი შენში ფიქრადი პეტრეს ნათქვამი
ფიქრადი, გულადი, სულით პეტრე ვიქვამი მათად
მათი რეზონანსი, შენებრი პეტრე, შენებრი მათად

ხანგალი საუკეთესო გრძნობათა — ფიქრის სიყვარულისა
და მეამბოხე ცხოვრებისადმი — თავისუფლებისადმი ღრულ-
ვის სარწყაოა.

ლექსში „პოეტი“ მოთხრობილია ერთი ქართული ხანგ-
ლის ისტორია, რომელსაც იწერია:

მეომარს მთებში ემსახურა წელი მრავალი,
არ უთხოვია მას სახუტარი.
არა ერთ მკვრადზე საშინელი გავლო კვალი
და არა ერთი გასკვეთა ფარი.
იყო ვით მონა, განუწყვეტი ქირსა და ღბინი,
მტერს სცემდა თავმარს პასუხი მისი

და იქნებოდა იმ ხანებში ოქროს ხარნიში
მისთვის სასიზრებო და უვარგისი.
მამაც ყაზაბმა თერგის იქით მტრუვებული
პოვეა ის მოკლულ გმირის მახლობლად;
და შემდეგ დიდბანს ეგდო იგი დავიწყებული
სომხის საღაშტრო დუქანში ობლად.
დღეს მშობლიური და ნაღეწი ომში ქარქაში
გმირის თანამგზავს არ ამკობს უკვე;
იგი კედელზე უვრებული ახლა კაშკაშებს,
ვით სათამაშო ურგი და უქმი!
ახლა არავინ შეჩვეული მზრუნველი ხელით
მას არ ეხება ალერსის ნაჩვევს,
და მის წარწერას, როს მლოცველი განთიადს ელის,
არვინ კითხულობს და არვინ არჩევს.

ხანჯალი ლერმონტოვისათვის იყო პოეტის ხალხისადმი სამ-
სახურის სიმბოლო. მის ბასრს ადარებდა ლერმონტოვი პოე-
ტური სიტყვის ძალას. პოეზიის დანიშნულებასა და პოეტის
საზოგადოებრივ მისიას იგი იმაში ხედავდა, რომ ლექსი უნდა
გატოლებოდა იარაღს—ხანჯლის მოქლარუნე ბასრს. პუშკინის
ეპოქის მომდევნო პოეტები უარყოფდნენ საზოგადოებრივ სამ-
სახურს, მაშინ ლერმონტოვი მიმართავდა პოეტ - ტრიბუნს,
პოეტ-მოქალაქეს და მასწავლებელს, იგონებდა რილევესა და
პუშკინს, ხალხს რომ თავისუფლების სახელით სიმამაცისაყენ
მოუწოდებდნენ, და ლერმონტოვი პოეტს ეკითხება:

დასძლე, პოეტო გაკიცხულო, ძილს, შენ რომ გტანჯავს,
თუ შურის მდომი, წინათ დიდებულს
ვლარ ამოგლეჯ ქარქაშიდან მღელვარე ხანჯალს
დღეს სამარცხვინოდ ჯანგმოკიდებულს?

საბჭოთა მკვლევარების ახალი ძიებანი ადასტურებენ, რომ
თავისი პოეტური ხანჯლის მახვილი კავკასიაში ლერმონტოვმა
მას შემდეგ ალესა, რაც თავისი ლექსით თამამად ამხილა პუშ-
კინის მკვლევები და რუსეთის თავისუფლებისა და დიდები-
სათვის აქტიურ მებრძოლთა რიგებში ჩადგა.

დ. თ. ხარლამოვა

კიდევ რამდენიმე სიტყვა გრიბოედოვზე

დ. თ. ხარლამოვას გამოუქვეყნებელ მოგონებებში არის ისეთი ფაქტები, რომლებიც ა. გ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიას შეეხება და წინამდებარე წიგნში გამოყენებული არ არის. ხარლამოვას მიერ ჭავჭავაძისა და ახვერდოვასთან დაკავშირებით პუშკინის, გრიბოედოვის, კიუხელბეგერის და გადასახლებულ დეკაბრიისტთა მოხსენებებში გადაგვაწყვეტინა დანატებაში სრულად გამოვაქვეყნოთ ეს მოგონებანი.

მოგონებათა ხელნაწერი—ინიციალებით „დ. ხ.“—ინახება მოსკოვის ა. ა. ბახრუშინის საბ. თეატრალურ მუზეუმში. სათაურად აქვს „კიდევ რამდენიმე სიტყვა გრიბოედოვზე“ (შიფრი ტმ, №163494). გარდა ხელნაწერისა, იმავე ბახრუშინის საბ. მუზეუმში არის მანქანაზე გადაბეჭდილი პირო, პრაქტიკობიანი შეცდომებითა და გამოტოვებებით (შიფრი ტმ, № 163456), რომელსაც აწერია: „დ. თ. ხარლამოვას მოგონებებიდან“.

ამ მოგონებათა არსებობის შესახებ წინათაც იყო ცნობილი. 1929 წელს ი. ს. ზილბერშტეინი თავისი წიგნის „თანამედროვეთა მოგონებანი გრიბოედოვის შესახებ“ ერთ-ერთ შენიშვნაში წერდა: „ჩვენ ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, ა. ა. ბახრუშინის საბ. სახელმწიფო თეატრალურ მუზეუმში არის პ. ნ. ახვერდოვას ქალის მოგონებათა ხელნაწერი, რომელიც მაღე გამოქვეყნდება“.

ამიტომ ზილბერშტეინმა გადაწყვიტა თავის წიგნში ის ცნობებიც კი არ მოეტანა, რომელიც თავის დროზე ნ. ვ. ლომიტოვმა მიიღო ხარლამოვასაგან.

მაგრამ არც 1929 წელს და არც იმის შემდეგ ხარლამო-

ვას მოგონებანი არ დაბეჭდილა. რამდენიმე სტრიქონი მან-
ქანაზე გადაბეჭდილი პირიდან გამოყენებული აქვს ნეჩკინას
თავის ნაშრომში „გრიბოედოვი და დეკაბრისტები“.

ჩვენ ხარლამოვას მოგონებებს ეწერთათვე შენიშვნებს, რო-
მელთა მიზანია არა მარტო ტექსტში მოხსენებული პირები-
სა და ფაქტების განმარტება, არამედ ამ ფაქტების უმჯველი
საზღოვობის დადასტურება და ამასთანავე აქა-იქ გაპარულ
არაზუსტობის აღნიშვნა.

რამდენიმე სიტყვა მემუარების ავტორის შესახებ. დარია
თედორეს ასული ახვერდოვა, ერთადერთი ქალი თედორე-
ესაის-ძე ახვერდოვისა და პრასკოვია ნიკოლაევნა არსენიე-
ვასი, დაიბადა თბილისში 1817 წლის 17 ივნისს. ცამეტი
წლისა იგი დედასთან ერთად პეტერბურგში გადასახლდა,
როგორც ამას მემუარები გვაუწყებს.

პრასკოვია ნიკოლაევნა ახვერდოვას სულ მთლად აწეწილი
მეურნეობა და დიდი ვალი, როგორც ჩანს, გახდა მიზეზი იმი-
სა, რომ დარია თედორეს ასული მხოლოდ 27 წლის ასაკში
გათხოვდა, 1845 წელს, ფსკოველ არცთუ ისე მდიდარ აზნაურზე
ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ხარლამოვზე. ეს მოხდა მაშინ, რო-
ცა დედამისი „შვედ დაუძღურებული და დამბლადაცემული
იყო“.

პ. ნ. ახვერდოვა გარდაიცვალა 1851 წელს. მომდევნო
წელს დ. თ. ხარლამოვა დაქვრივდა. რამდენიმე წლის შემ-
დეგ საჯარო ვაჭრობით გაიყიდა მისი მცირე მამული.

დარია თედორეს ასულს ჰყავდა ქალი—მარია ნიკოლაევნა.
შმიდტის მეუღლე. თეატრალურ მუზეუმში დაცულ ხელნაწერებ-
ზე ბაბრუშინის ხელით აწერია: „დარია თედორეს ასული ხარ-
ლამოვა, პ. ნ. ახვერდოვას ქალი. დაწერილი მისი ასულის
ნ. ნ. შმიდტის — ტაინი სოვეტნიკის შმიდტის ქვრივის მიერ“.

დ. თ. ხარლამოვა გარდაიცვალა 89 წლისა, პეტერბურგში,
1906 წლის 1 აპრილს. დაკრძალულია სმოლენსკის სასაფლაოზე.

კიდევ რამდენიმე სიტყვა გრიბოედოვზე

ლიტერატურაში ხშირად გამოქვეყნებულმა მოგონებებმა
ალექსანდრე სერგის-ძე გრიბოედოვზე აღმიძრა მე, 84 წლის

მომხრეს, სურვილი მუხსიერებაში აღმედგინა უოველივე ის, რაც მასზე მახსოვს და მოსაგონარი კი არის, რადგანაც იგი თბილისში დედამწემის უოველდღიური სტუმარი იყო. ჩვენსა და მისსა და განუყოფელად მისი სიუყუარული თავად გავგუთქმის ამჟღისიდან. ჩვენს სახლში დაიფიქრა მან ერთი ხნით თავისი იპოზონდრია და ბუნდოვრი სასიძო გახდა. სამწუხაროდ, ამ ამბების დროს სულ მთლად პატარა გოგო ვიყავი, 12 წლის თუ ვიქნებოდე, როცა იგი მოკლეს. ამ რატომაც ჩემი მოგონებანი შეზღუდული.

მე დავიბადე თბილისში 1817 წელს. მამამემი იქ არტილერიის უფროსი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ, 1820 წელს¹ დედა კვლავ თბილისში დარჩა, სადაც ჩვენ მთელ დედობაზე სადილაქის ნაჟდულთან გვჭონდა სახლი და საუცხოო პაღი.²

დედამემი სწორედ ის პრასკოვია ნიკოლაგენა ახვერდოვა გახლდათ, რომელიც ა. ს. გრიბოედოვის უველა ბიოგრაფიაშია მომხსენებული. იგი მეტად სტუმარმყოფი, თავაზიანი და ნიჭიერი ქალი იყო და მისი სახლი მთელი ათი წლის განმავლობაში წარმოადგენდა თბილისის კულტურული საზოგადოების თავშესაფარს³. მოდა და პარტიკულარობა ვწეოდა აბიღაზრდობის ნაღებს კავკასიისაკენ, იქ უოფილა თავადი აღ. არ. სუეოროვი⁴, (მახსოვს) სამოადოვი, ბუტურღინი, უერდიგინი, არსენიფვი, სიმბორსკი და მრავალი სხვა. ერთი სიტყვით, უოველი გვარდიის პოლკიდან ორი-სამი ოფიცერი მამინ. თვითველი მათგანი ვწეოდა ხოლმე დედაჩემს და ამას მოყოლებული თითქმის უოველდღე მოდიოდა.⁵ ღიბერალური სამოქალაქო აბაღაზრდობაც, მომავალ დგკაბრისტთაგან, ჩამოდიოდა კავკასიაში და ესტუმრებოდა ხოლმე დედაჩემს, განსაკუთრებით ხშირად ვ. კ. კიუხელბეკერი — ჩვენი ოჯახის ძველთაძველი მეგობარი; მე იგი არ მახსოვს, მის შესახებ

¹ თბილისიდან ჩვენი ხამოსელის შემდეგ ეს სახლი ხაზინამ შეისყიდა და თიღმობილ ქალთა ინსტიტუტისათვის, ამჟამად იქ საბაგო მოხელეები ცხოვრობენ.

² აღუქმანდრე არკადის-მე ნაბეგარი საუყუნის შემდეგაც, როცა უველი სულ მთლად მოხუცებული ვიყავი, მოდიოდა ქინობითი სახელით თუ მომართავდა ხოლმე.

სოცს, როცა გაფიცვა გამოცხადდა, რომ თურმე ნინოს ნატ-
ლებად ეწინააღმდეგებოდა მისი და გათხოვდა კიდევ მასზე. რა
თქმა უნდა, აღექმანდრე სერგევიჩის მთავარი უფრადლე-
ბა ნინოსადმი იყო მიპყრობილი, რომელიც მაშინ, მართლ-
აღ, 14 წლისა იყო, მაგრამ როგორც უფლა სამხრეთელი,
უკვე სავსებით დაქალებული¹². იგი ნინოს შესივას ასწავლიდა,
ფრანგულად ვლაპარაკებოდა და მაშინაც კი, როცა ნინოს
ხელი მოჰქიდა და ჩვენს ბაღში მოიყვანა, რათა ცოლობა
გთხოვია, ნინოს ვგონია, რომ როდიალთან მიყვანა სწავლიაო.

ყურ ვიტყვი, რომ დედამისს თავისი აღზრდილების
ბრწყინვალე განსწავლისა და გაწრთების საშუალება ჰქონდა.
ყურ ერთი, სოფის გარდა, სულ ერთთავად ზარმაცები ვი-
ყავით და თანაც არც მასწავლებლები გვყავდა პირველბარის-
ბოგანი¹³. არ ვიცო, სად მასწავლებლობდნენ, ან რა გვარისანი
იყვნენ, ვიცი, რომ ერთს აკაკი კონდრატიევი ერქვა, მეორეს
აქესენტი ტრიფონოვი და სხვის ადნასი ივანოვიც გიაცი-
ტოვი. შესივას კაპელნიტერი სოკოლოვსკი გვასწავლიდა,
მხოლოდ ნინო აღექმანდრეს ასულს თვით გრიბოედოვი აძ-
ლევდა რჩევა-დარიცხვას. როცა იგი წამოიზარდა და გრი-
ბოედოვიც თბილისში იყო. ფერწერას თვითონ დედა გვას-
წავლიდა, პორტრეტისტი და მინიატურების ზინებული მზა-
ტყარი. მაგრამ განსაკუთრებულ პატივში იყო ჩვენთან ფრან-
გული ენა. პატარა დავით ჭავჭავაძეს ჰყავდა გუვერნიორი
მ. რავერგი (M-r Ravergé). იმ ფლიგელის სიგიწროვის გამო,
რომელიც ჭავჭავაძეებს ეჭირათ, გუვერნიორი და მისი ქალი
ფოზეტინა (Josephine) ჩვენთან ცხოვრობდნენ და თვორიუ-
ლად და პრაქტიკულად გვამაყადინებდნენ ფრანგულ ენაში.
ამასთანავე, დაახლოებით 1826 წელს თბილისში ბევრი ფრან-
გი ჩამოვიდა, რომელთაც აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საპაიო
ამხანაგობა დააარსეს. მთავარი კამპანიონი მ. დიუელო (M-r
Duelle) ჩვენს სახლში იდგა, ხშირად შემოდისოდა ჩვენსა და
ამით ხელს უწყობდა ჩვენს წარმატებას ფრანგულ ენაში.
ცუკის სრულიად უანგაროდ მშვენიერი ქალბატონი კასტელა¹⁴
გვასწავლიდა (m-me Castella), ერთ-ერთი მსხვილი მეპაიეს
მეუღლე. ცხენოსნობას მთელი უფროსი ასაკი მისდევდა: თუ
246

იმყო
განკ
ფემდ
თით
საგ
ისტ
ნინ
ახად
ამ
გამ
მო
ბევ
თუ
არ

ნი
ფ
რი

მა
ან
რ
დ
მ
მ
ბ
ს
მ
ლ
რ
ც

სხვათა ნაამბობიდან ვიცი¹⁰. 25 წლის შემდეგ ბევრნი, ვინც ოდნავ მაინც იყო გარეული დეკაბრისტების ამბობში, კავკასიაში გაგზავნეს ჭკუის გასამწურებლად, მე მახსოვს ორი იმათგანი — რინკევიჩი და ისკრიცკი¹¹. 1829 წელს ჩვენ სადილად გვეწვია ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინი. მე იგი ძალიან კარგად მახსოვს, თუცა ეს იყო ჩემთვის მშფოთვარე დროს, გრიბოედოვის სიკვდილის შემდეგ. ნაამბობიდან ვიცი, რომ გრიბოედოვი თბილისში ჩამოვიდა 22 წელს და იმათავითვე ყურადღების საგანი შეიქნა, ჰქონდა ღუელი იაკუბოვიჩთან (მომავალ დეკაბრისტთან) და, უთუოდ, ჯერ კიდევ მაშინ გაეცნო დედაჩემს¹². შემორჩენილია 1827 წლის წერილი, რომელშიც იგი დედას სწერს: მაპატიეთ, ნერვიული შეტევის გამო თქვენი დავალება ვერ შევასრულეო¹³. მე იგი 9 წლისას მახსოვს, როცა კარგა ხნის თბილისის არყოფნის შემდეგ დაბრუნდა. თითქმის ყოველდღე სადილობდა ჩვენსა, და ნასადილეც ჩვენთვის, ბავშვებისათვის ცეკვებს უკრავდა. ბავშვები კი ჩვენსას ძალიან ბევრი იყო, იმდენი, რომ ერთ პატარა პანსიონს შეადგენდა — ორი ასაკის; უფროს თაობას ეკუთვნოდნენ: მამაჩემის უფროსი ქალიშვილი, პირველი ცოლისაგან ნაშობი, სოფია თედორეს ასული, შემდეგ რომ მურავიოვ-კარსკიზე გათხოვდა. ჩემი ძმა იაგორ თედორის-ძე¹⁴ და მამის ღარიბი ძმისწული ანა ანდრიას ასული ახვერდოვა, მოდიოდნენ საერთო სწავლისათვის ცნობილი თავადის ასული ნინო ჭავჭავაძე, თავადის ქალი მარია ივანეს ასული (მაიკო) ორბელიანი¹⁵.

თავადის ქალი ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე, შემდეგში რომ დადიან-მინგრელსკის ცოლი შეიქნა, თავადის ქალი სოფიო ივანეს ასული (სოფიკო) ორბელიანი, ვარენკა თუმანოვა და მე უმცროს თაობას შევადგენდით¹⁶.

თავად ალექსანდრე გარსევანის-ძე ჭავჭავაძეს, რომელიც დედაჩემთან ერთად ჩემი დის სოფიოს და ძმის ეგორუშკას აპეკუნი იყო, ეჭირა არც ისე დიდი ფლიგელი ჩვენი სახლის გვერდით. აქ ცხოვრობდნენ თავადის დედა, მეუღლე სალომე და შვილები ნინო, კატინკა და დავით. ბავშვები მთელი დღეობით იყვნენ ხოლმე ჩვენთან, ხოლო კატინკა კიდევაც ცხოვრობდა ჩვენსა. მე, მას და გუვერნანტ ქალს ნადეჟდა აფანასიევნას¹⁷ ერთი ოთახი გვქონდა. ეს ის გუვერნანტი ქალი, რომელსაც გრიბოედოვმა დედასთან მიწერილ ბარათ-

ეს არაერთგვაროვანი მთელი აკადემიკოსი უძლურა. ზაფხულობით ხშირად საფეხიკოდად ზაფხულობით შესანიშნავ მამულში, წინანდელში. ესაა ის რაც უპირისპიისაგან შედგენილი დაცვა ნაინც ჯვარდია ზოლზე მთელია. თავდასამის საშიშროების გამო. თავადი სხეულზე ნაგლებად მახსოვს, იგი ხშირად სახლში არ იყო. ზოლო ვრცელის დაბეჭობის შემდეგ, იქიური ვუბერნატორი გახდა, მაგრამ მისი თუხათი თბილისში დარჩა. აი სწორედ ზეწნათვის, უმცროსი თაობისათვის, უკრავდა გრიბოედოვი ცეკვებს. მისი ვუნება მეტად ცვალებადი იყო, ზოგჯერ დღეს სრულ დუმილში გაატარებდა, მაგრამ რაიმე ხელშესაზრვითი მოხერხების გარეშე სამე ვაუბრწყინდებოდა, გამზიარულ-ფეხობდა, აღაშთაყვებოდა (ლაპარაკობდა ყოველთვის ფრანგულად) და, თუ უკნო სტუმრები არ იყვნენ, სადილის შემდეგ სადილობაში ოთახში გავიდოდა და იტყოდა. „Enfants, tenez vous“. იქ ისე დაჯდებოდა, რომ ზეწნი მოუხეზავი ცეკვისათვის ეცქირნა. ცეკვები ყოველთვის მისი შეთხზული იყო. მათი მელოდია ახლაც მახსოვს, მაგრამ ეს ცეკვები ძალიან სასიამოვნო და რთული იყო. შემდეგ სხვა იმპროვიზაციებზე გადადიოდა და ზოგჯერ მთელი საღამო არ მოშორდებოდა ჩოთას. სოფიკო ორბელიანმა იცოდა ზოლზე კლავიშებთან ახლო მისვლა, ეს აღიზიანებდა გრიბოედოვს და იგი ფინალური აკორდის შემდეგ სოფიკოს წინწამოწყულ მუცელში საჩვენებელ თითს მიმართავდა, რაც გოგონას გაანაწყენებდა ზოლზე და ისიც გავეტეოდა. სამწყებაროდ, მე უმცროს თაობას ვეკუთვნოდი და ამიტომ მხოლოდ ის მახსოვს, რაც ზეწნ, ბავშვებს, გვეხებოდა და უფროსების საუბრიდან არაფრის გადმოცემა არ შემოძლია. ნინოს უმცროს ძმას გრიბოედოვი მისაღმების წილ ხუჭუჭა კულულებზე ხელს გადაუსვამდა ზოლზე. ერთ-ერთ წერილში დედისადმი გრიბოედოვი სწერს: დავითს თავზე ხელი გადაუსვითო. თუ რა საერთო შთაბეჭდილებას ახდენდა ზეწნე ეს აღერსიანი, მაგრამ თითქმის ყოველთვის სერიოზული, შუახნის სათვალისიანი ბატონი, რომლისადმი უღრმეს პატივისცემასთან ერთად სიმორცხვესაც ვგრძნობდი, კარგად მახსოვს. კარგად მახ-

იმყოფებოდა, იგი მისი თანმგლები იყო. ჩვენი, პატარების, განკარგულებაში ცხენები მხოლოდ კავალკადის დაბრუნების შემდეგ გადმოდიოდა, ცოტა ხნით ეზოში გასასვლელად¹⁶.

ჩემი და სოფი ლამაზი ქალი იყო. ნინოს არა ჰგავდა, მაგრამ თითქმის არ ჩამოუვარდებოდა მას. ეს სილამაზე დედამისისაგან, თავად იუსტინიანის ასულისაგან გამოჰყვა და თანაც ისეთი დიდებულება, რომ ძოწითმოსილს ეძახდნენ. ისა და ნინო ჰავჭავაძე საარაკო წყვილი იყო, მათ მთელი თბილისის ახალგაზრდობა ევლებოდა თავს. მახსოვს ერთი მასკარადიც. ამ მასკარადზე ნინო ჰავჭავაძე მოვიდა ძველ ქართულ კაბაში გამოწყობილი, კაბა მის ბეჭის, მარიამ ივანეს ასულს¹⁷ შემორჩენოდა. ეს ძველი ქართული კაბა ახალი ყაიდის სამოსზე ბევრად უფრო ლამაზი იყო და ნინოსაც ისე უხდებოდა, რომ თვალი იმასზე უკეთესს ვერას ნახავდა. არ მახსოვს იყო თუ არა ამ საღამოზე გრიბოედოვი.

თუმცა ეს გრიბოედოვს არ ეხება, არ შემიძლია არ აღვნიშნო რაოდენ მიყრუებული იყო იმ დროს თბილისი, ქალის ფეხსაცმელის ხეირიან მკერავსაც კი ვერ იპოვიდით, მის როლს დედაჩემის ლაქია ეგორ ტიტოვი ასრულებდა.

როცა რომელიმე ბალი ან ქორწილი იყო მოსალოდნელი, მას, რასაკვირველია, ყველა შინაურის, მათ შორის ჰავჭავაძიანთ და ორბელიანთ ქალების გამოწყობა უხდებოდა. მაგრამ უცხო თავადის მეუღლენიც მოდიოდნენ ჩვენსა, მოჰქონდათ რა გინდა რა ამბავი და დედაჩემს სთხოვდნენ, ნება მოგვეცით ეგორ ტიტოვს ჩვენი ქალებისათვის ფეხსაცმელები შეეუკეთოთ. უარის თქმა დედას არ ეხერხებოდა და ისე გამოდიოდა, რომ მისი ლაქია მთელ თბილისს უწევდა მომსახურებას, ხოლო მას კი სამსახურს აკლებდა. დღევანდელ დღეებში მახსოვს ის წითელი ატლასის ფეხსაცმელები, რომელიც ეგორმა მე და კატინკას შეგვიყვანა გრიბოედოვის ქორწილის დღისათვის. ჩვენ საერთოდ ცუდად გვაცმევდნენ, მეტ ყურადღებას ნინოსა და სოფის ტუალეტებს აქცევდნენ. სოფი დედას ჩემზე მეტად თუ არა, ნაკლებ როდი უყვარდა. ამიტომაც წითელი ატლასის ფეხსაცმელები მთელი ამბავი იყო ჩვენს ცხოვრებაში. სოფი ნინოზე ორი-სამი წლით უფროსი იყო და მასზე ცოტა ადრე გათხოვდა.¹⁸ მისი ქმარი ნ. ნ. მუ-

წემდეგ მისი უკუყვამურ საარსეთს გაემგზავრა, უკუღა, ვისაც
 კი ეკიპაჟები და ცხენები გააჩნდა, მათ გასაცილებლად გა-
 უვანივარ²⁰. გრიბოედოვმა თავის უკანასკნელ წერილში, რომ-
 ველიც თავრიზიდან მოიწერა, სადაც ცოლთან ერთად ცხოვ-
 რობდა, ვინემ საბოლოოდ განშორდებოდა მას და თავიანთს
 გაემგზავრებოდა, დედის სწერდა: Les conseils, que vous me
 donnez pour que je soigne les occupations de ma femme,
 sont très sages et salutaires, mais tout mon temps est pri par
 cette maudite contribution que je ne puis encore parvenir
 à tout de Persans.*

სამი თვე გავიდა ამ წერილის მოწერიდან და გრიბოე-
 დოვი მოკლეს²¹. ძალიან ბუნდოვნად მახსოვს გრიბოედოვის
 ნეშტის თბილისში ჩამოტანა, მისი დაკრძალვა, რადგან ამ
 დროს ავად ვიყავი. მაგრამ სამგლოვიაო პროცესია კი
 მაინც დავინახე ჩვენი სახლის აივნებიდან²². ამბობდნენ, გრიბოე-
 დოვის ცხედარი კარგა ხანი იყო კარანტინში²³. თავრიზიდან
 ჩამოსული ნინო ჭავჭავაძე თავისიანებითურთ ჩვენს ფლიგელში
 კი არ დასახლდა, არამედ ქალაქში. მას შემდეგ, რაც მას
 უნებურად სიმართლე უთხრეს, იგი ავად გახდა და ჩვენ სახლ-
 საც მძიმე ნალევლი აწვა²⁴ ვინემ 1830 წელს თბილისიდან არ
 გამოვემგზავრეთ. ნინო ჭავჭავაძე ერთჯერ მოსკოვშიც იყო
 თავის დასთან ეკატერინე დადიან-მინგრელსკაიასთან ერთად
 იმპერატორ ალექსანდრე II კორონაციასზე²⁵. მაგრამ ჩვენ ერთ-
 მანეთის შეხვედრა აღარ გვეწერა: მალე ამის შემდეგ იგი
 გარდაიცვალა. მთავრის მეუღლეს ეკატერინე დადიან-მინგ-
 რელსკაიას ხშირად შეხვედრივარ პეტერბურგში, ეს იმის
 შემდეგ, რაც თავისი სამფლობელო რუსეთს დაუთმო. ძალიან
 მეგობრულ დამოკიდებულებაში ვიყავით და მიწერ-მოწერაც
 მქონდა მასთან მის სიკვდილამდე. ეკატერინე ჭავჭავაძე-და-
 დიანისა გარდაიცვალა თავის სასახლეში სამეგრელოში ზუჟ-
 ზიდში²⁶.

* „თქვენი რჩევანი იმაზე, რომ ვიზრუნო და ჩემი მეუღლისა-
 თვის რაიმე საქმე გამოვძებნო, გონიერულია, მაგრამ მთელი ჩემი დრო
 ამ წვეულ კონტრიბუციას მიაქვს, რომელიც ვერა და ვერ ამიცილია სარს-
 თაგან“.

რავიოვ-კარსკი რატომღაც ვერ რიგდებოდა გრიბოედოვთან და არც იმის მოსურნე იყო, რომ გრიბოედოვს მისი მეუღლის მეგობარი ქალი შეერთო. ცდილობდა ნინო გაჰყოლოდა მის მეგობარს სერგი ნიკოლოზის-ძე ერმოლოვს, მაგრამ ნინო ჭკვევადე ყოველთვის მტკიცე ხასიათისა იყო, სხვას არ აუვებოდა ხოლმე და თავს იმისათვის ინახავდა, ვინც ესოდენ ძლიერ უყვარდა¹⁹.

იმის შემდეგ, რაც გრიბოედოვი ნინოს საქმრო გახდა, იგი დაუყოვნებლივ პასკევიჩის არმიას უნდა დასწეოდა. 12 ივნისს ყარაბაღიდან დედაჩემს ბარათს უგზავნის, რომელშიაც სამხედრო მოქმედებებს აუწერს და თან დაურთავს: „Dites à Nina, que cela ne durera pas et bientôt dans deux ans tout aux plus jé deviendrai l'hermite de Zinondal“. იმავე წერილში წერია: „Parlez à Nina, de moi, beaucoup, toujours, quand vous n'aurez rien de mieux à faire“. ხელრთვა ასეთია: „Rappelez vous, que nous vous cherissons tout les deux, comme une tendre mère; vous couple d'adoption, vos enfants, c'est elle et moi“.*

მაშინ გრიბოედოვი პასკევიჩთან კი არ იყო მივლინებული, არამედ ელჩად იყო, ამიტომ საფიქრებელია, რომ არმიასთან დიდი ხნობით არ ჩერდებოდა, თბილისში დაბრუნების შემდეგ ციებამ შეიპყრო. დედაჩემს თავისი ბინიდან, მთავარმართებლის სახლიდან, წერდა:

Mon très chère amie. Vous m'avez vu au commencement de mon paroxisme. Embrassez la bien tendrement ** ციება ქორწინების დღესაც არ შეშვებია, გვირგვინქვეშ ისე აკანკალებდა, რომ ხელიდან ბეჭედი გაუვარდა „c'est de mauvaise augure“ *** უთქვამს გრიბოედოვს. როცა ქორწილის

* „უთმართ ნინოს, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდება. მალე, დიდა-დიდი ორი წლის შემდეგ, მე წინანდლის განდევნილი გავხდები... ხშირად ვლაპარაკობ ზემოე ნინოს, როცა სხვა უკეთეს საკმეს ვერ მოიგონებთ... გასთვდეთ, რომ ზევნ, ორივეს გვიყვარხართ, როგორც ზევნი სათნო დედა. ზევნ, მე და ნინო, თქვენი აღზრდილები, თქვენი შვილები ვართ“.

** ზემო ძვირფასო მეგობარო, თქვენ გინახივართ ზემი შეტყვის დასაწყისს. აყოცეთ მას ზემთან ძალიან ნაზად“.

*** ეს ცუდი ნიშანია.

დღეაჩემს გრიბოედოვის 9 წერილი ჰქონდა, რომელიც მე, ვგონებ, 1888 წელს გადავეცი საჯარო ბიბლიოთეკას¹⁷. ერთი ამ წერილთაგანი 1827 წლისაა, სრულიად უმნიშვნელო, ოთხი წერილი 1827 წლისა, იმ დროისაა, როცა გრიბოედოვი თავად პასკევიჩთან მსახურობდა. შეიცავს სამხედრო მოქმედებათა აღწერას, შეუკავებელ ლტოლვას ქორწინებისაკენ და ყველაფრით უკმაყოფილებას. 1828 წლის სამი წერილი იმ დროისაა, როცა გრიბოედოვი უკვე ელჩი იყო, მაგრამ მაინც თავად პასკევიჩის არმიაში იმყოფებოდა. ამ წერილებში აღწერილია სამხედრო მოქმედებანი. ბევრია ნათქვამი მის საცოლზე. უკანასკნელი წერილი თავრიზიდან არის მოწერილი, გრიბოედოვი უკვე ცოლიანი იყო, სიკვდილამდე სამი თვით ადრე.

იძულებული ვიყავი ეს მოგონებანი მეკარნახა, რადგან თვალს დამაკლდა და გაურკვეველად ვწერ.

11 ნოემბერი, 1901 წელი.
უდელნაია.

დ. ბ.

1.

2.

3.

4.

მეფისთვისაც არაფერს იკლებდა, ყველაფერი თან დაჰქონდა. უსა-
ღილეს მასთან ისე, თითქოს პეტერბურგში ყოფილიყავ. ცნობილია
რომ მეფემ არმაში ბეტერლინი თავის გამოჩენისათვის გაძევსა-
რა მღვდელმთავრის დაძვლებით პასუხიბა შენიშვნა მიიღო იმა-
ზე, რომ მისი ზღუდვითი დგაბრისტები ძალიან დიდი თავისუფლებით
სარგებლობდნენ.

ნიკოლოზ დამიტრის-ძე ა რ ს ე ნ ი ე გ ი — აბერდოვას ღვიძლი ძის-
წელი, მუშაობის ავტორის ბიძაშვილი. 1723 წელს წავიდა იტალი-
კლას ჰესარია პოლენო კაცისაში დიბიზის ადოტანტი იყო. მას-
კლასი მისდამი მტრულად იყო განწყობილი. „მე 1730 ყველაფერი გა-
ვაცოცხლე, რაც საჭირო იყო თქვენი ძმისწულისათვის, — სწერდა გრიბო-
დოვი აბერდოვას 1828 წელს, — მაგრამ როგორღაც გრადი არცთუ ისე
კეთილად ფიქრობს“. ამრიგად დასტურდება, რომ ბარლამოვას მიერ
დასაბუთებული გვარდიის არისტოკრატიული აბალგაზრდობა 1820-იან
წლებში მართლაც იმყოფებოდა თბილისში ან ზნობად წამოდიოდა აქ
ეს იდეოლოგია აბერდოვასთან მოდიოდნენ ბოლშე და ზნობად ზედა-
ბოდნენ ქვედაკლას ტყუილად როდი დამამსოვრდა გრიგოლ დადიანს,
„აინე კი მოვიდოდა პეტერბურგიდამ, გვარდიიდან და სხვა დიდგვარ-
თა უმცირესიანი, აქ მადიდებდნენ და აქედამ... ფეოდალ-ადოტანტები,
ღვთა-ბრძოლები, პრეობრაჟენსკოები“. აბლა ზნენ ბარლამოვას მოგონ-
ებადგან მათ საბუღებს გტყობილობით.

აბერდოვას საბუღის ზნობ სტუმართა რიგს უნდა მიეკუთვნოთ ნი-
კოლოზ ნიკოლოზის-ძე მ თ რ ა ვ ი ო ვ ი, რომელიც 1818 წლიდან და-
დიოდა ბოლშე აბერდოვასთან, ბოლო 1827 წელს შეირთო მისი გერი
სოფია თეოდორეს ასული მეზავიოვმა, 1812-1814 წლების ომების მონა-
წილემ, სამხატვრო კაცისაის კორპუსში დაიწყო გრიგოლოვის დროს და
აქ დარჩა პასუხიბის დროსაც. შემდეგში, 1853-56 წლების რუსეთ-
თურქეთის ომის დროს დანიშნული იყო მეფისნაცვლად კაცისაში,
ზღაპრულადგა რუსის უარს დარსის აღებისას, რომლის აღვის
დროს უკრ კიდევ 1828 წელს გამოიბინა თავი. ამასთან დაკავშირებით
მოდო მეზავიოვ-კარსკის წოდება.

თავის „მანწერებში“, რომელიც 1820-იან წლებშია შედგენილი,
მეზავიოვი ბრალს სდებს პრასკოვია ნიკოლაევენას, რომ იგი „ჭვი-
ფდნ მართებს და ზღაპრული ცნობები. იღებს ფართო წრეს ფო-
ფოფორო ადამიანებისა, რომლებითაც სავსეა მისი საბუღი“. მეზავიოვის
აღმწერებში იწვევდა დედაჭალაქის გვარდიის აბალგაზრდობა, „ნაწილო-
ბოლო ბოლო აბალგაზრდობი, რომელთაც პრასკოვია ნიკოლაევა გარფნუ-
ლი წესმადგამით იწვევდა და აფასებდა“. აუცილებელია დავუშვათ,
რომ მეზავიოვს ამოძრავებდა პირადი მოსაზრებანი. ეს აბალგაზრდო-
ბა უარს ურტყა მის საცოლეს, ჭეფობდა იმ საბუღში, რომელიც შემდეგ
მისი უნდა წამდარიყო და საიდანაც თავიდანვე სურდა უსამიერო
ზღაპრულ მომართება.

ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ა რ ს ე ნ ი ე გ ი — თბილისში იმყოფებოდა
1821 წელს ოქტომბრიდან 1822 წლის 29 აპრილამდე, როცა მას „გარ-

თავისუფლ
სამხატვრო
მოსწავლის
მასწავლ
წლისა იყო
აღმწერად
ცნობისა
ფიქრობდა
წელს ბო
როცა ბო
სამხატვრო
ბოლო ან
და არბრ
შედეგად
ბ რ ბ რ
ოქტომბ
გრიგოლ
ეს წერი
ნ. გ. თ
მეფედგა-
ფად ანდ
ში. გარ
მოსწავ
10. „მანწინ
დამიტ
ფარსკე
დ რ ე ს
მ ა რ ი
თავად
სკი, რ
თბილი
ლამაზ
ბეღლი
წერს,
რისთ
მოდო
რეს
მონაწ
შეიღ
ლის
თო
16. 28

11. სოფიკო ორბელიანი—მაიკო ორბელიანის უმცროსი და. გადასახლებული გრიგოლ ორბელიანი 1830-იანი წლების წერილებში მას თავის საცოლეს უწოდებდა, შემდეგში სოფიო ორბელიანი თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის მეუღლე გახდა. ბეზაკის მეუღლე ვარუნკა თუმანოვმა—პოეტ გიორგი თუმანიშვილის და მარიამ თუმანიშვილის ქალი, გათხოვდა იქიმ ე. ს. ანდრეევსკიზე.
12. ნადეჟდა აფანასევნა იუდიწა—„შინაბერა, რომელიც ძველთაგან ამ ოჯახში ცხოვრობდა და თითქმის ბავშვების გამდელი იყო“,—წერს მურავიოვ-კარსკი, თავდაპირველად მეფის დის ეკატერინე პავლოვნას მიერ ახვერდოვას ძმისწულებზე, მისი ძმის დიმიტრი ნიკოლაევიჩ არსენიევის ბავშვებზე იყო მიზნად. შემდეგ ცხოვრობდა თბილისში, ახვერდოვებისას. გრიბოედოვი 1827 წლის 28 ივნისის წერილში იხსენიებს მას და „მოკითხვათა და საღმის მთელ აკაფისტას“ უთვლის ნადეჟდა აფანასევნას, ანა ანდრეევნა ახვერდოვას, სოფია ფედოროვნა მურავიოვას, მარია ივანოვნა ორბელიანს, ეკატერინა აკაიოვნა სნაკარევას, ყველა მის ნაცნობ პრინცესებს, ე. ი. ალექსანდრე კავკაზის სამ ქალს. ამავე წერილში იგი კოცნას უგზავნის „დაშენკას“ და „პატარა სოფი ორბელიანს“.
13. დ. თ. ხარლამოვა წერს, რომ 9 წლისას ახსოვს გრიბოედოვი, ე. ი. 1826-27 წლიდან. მართლაც, ამ დროს, 1826 წლის სექტემბრიდან 1927 წლის აპრილამდე, გრიბოედოვი თბილისში იყო. ეს აგრეთვე ემთხვევა ხარლამოვას მეორე მტკიცებასაც, რომ ნინო კავკაზამდე ამ დროს თოთბეტი წლისა იყო.
14. თვითონ ეგორ ახვერდოვი (დაიბადა 1808 წლის ახლო ხანს) პეტერბურგში გაგზავნეს, რათა პაეტა კორპუსში შესულიყო, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, იგი გვარდიის პოდპორუჩიკებისა და კავალერიის იუნკრების სკოლაში შევიდა, რომელიც დასტოვა 1827 წელს კურსის დაუმთავრებლად „მეცნიერებაში უნიჭობის გამო“. როცა პასკევიჩთან მოვიდა, სპარსეთთან საომარი მოქმედება იყო გაშლილი, იგი კარაბინერთა მე-7 პოლკში ჩაირიცხა და მურავიოვს თავრიზის ლაშქრობაში ახლდა. 1830-იან წლებში მსახურობდა ქართულ გრენადერთა პოლკში. ხარლამოვას ბარტენევისათვის უთქვამს, რომ ეგორ ახვერდოვი „ჰქუანაყლული“ გარდაიცვალა.
15. 1830 წელს „აბრეშუმის ფაბრიკის პატრონმა“ ცოლმა მატ ილ დაკასტელამ (ანუ კასტელასმა) უფლება მიიღო, რათა მცირეწლოვან კეთილშობილ ქალთა პანსიონი გაეხსნა. მურავიოვის გადმოცემით, კასტელამ „ჩვენი გამოგზავრების შემდეგ დაისაკუთრა ჩვენი დიდი სახლი“. შემდეგში ეს პანსიონი გადაკეთდა აკ კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტად.
16. ქეთევან ორბელიანი იგონებს, რომ ერმოლოვის დროს მთელ ქალაქში ეტლი სულ ოთხ ოჯახს ჰყავდა: თელე ბატონიშვილს, ვაჟარ გრიგოლ სარაჯიშვილს, გიორგი ორბელიანს და გიორგი თუმანიშვილს. „ქალაქში ცხენებით მიმოდიოდნენ, —წერს იგი,—საცხენოსნო სამოსი განსაკუთრებული იყო. ალექსანდრეს [კავკაზამდის] საუკეთესო ცხენები ჰყავდა“.

17. მარიამი
18. სოფი
- 1827
- მთელი
- საკუთარი
19. მურავიოვ
- საღმის
- „ჩანაწერი“
20. მეფის
- ჩაპუტინი
21. მცირე
- ბოლო
- ეს
- იჩნებოდა
- მოწვევა
- მაღალი
- ტოპოგრაფი
- არა
- ბა
- გრ
- ან
- რ
- თ
22. ა
- ს
- რ
- წ
- მ
- ი
- მ
- რ
- ა
23. ზ
- ზ
- ზ

თავისუფლების ატესტატი* მისცეს. ცნობილია, რომ ამ პერიოდში იყო გარსკვალბები — პ. ნ. აბდოშვილის და მისი თბილისელი მე-
პაისის და არც შეუძლო მსოფთაოდა კონტრბუტორი: იგი მაშინ 4

6. ალექსანდრე ვეტოშინსკი (რენევი) — ლიბ-გვარდიის
ცენტროსთან პოლკის კორნეტი, დეკაბრისტების ზრდილოვითი საზოგა-
დოების წევრი. გადმოცემილი იქნა კავკასიაში ბატონის საგარნიზონო
ბატალიონში, ბშორად უბნებოდა თბილისის ყოფნა. გარდაიცვალა 1826
წელს პოდპორუჩიკის წინის მქონე. დემიან ალექსანდრეს-ძე ისე-
როცა — გვარდიის გენერალური შტაბის პორუჩიკი, ზრდილოვითი
საზოგადოების წევრი. გადმოცემილი იყო ორსკის სიმაგრის გარნიზონში,
ბოლო ამის შემდეგ საქართველოში. აქ 1829 წელს დაავალეს აბაღიბისა
და არზრუმის საფაროების სამხედრო-ტოპოგრაფიულ აღწერილობათა
შედგენა. გარდაიცვალა 1831 წელს.
7. გრიბოედოვიკსა და იაკუბოვიჩის დედილი მოხდა 1818 წლის
ოქტომბერში. როგორც ჩანს, თბილისში პირველი ჩამოსვლისთანავე
გრიბოედოვი გაეცნო აბდოშვილებს, როგორც ეს მ. გ. ნეტუნას ჰგონია.
8. ეს წერილი მიეცუთუნება 1828 წელს.
9. ნ. გ. იუსტინიანისაგან (1783-1811) თ. გ. აბდოშვილს კიდევ ერთი ჭალი
ჰყავდა — ნინო თედორეს ასული, რომელიც 1805 წ. დაიბადა. 1824 წ. თა-
ვად ანდრია ბორისის-ძე გოლიცინს მითხოვდა. ცხოვრობდა პეტერბურგ-
ში. გარდაიცვალა კურსკში 1823 წ. აბდოშვილის ეს უფროსი ჭალი
მოხსენებული ჰყავს ნ. ნ. მურავიოვს თავის ჩანაწერებში.
10. „მაშინდელი განათლებული“ ქალების მეორეცხოვან წრეში — წერს
დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანი, — თბილისში, როგორც ყველაზე ნათელი
ფარსკვლავები ისე ბრწყინავდნენ თავადის ასულნი ნინო ალექსან-
დრეს ასული ქავჭავაძე, შემდგომ გრიბოედოვის მეუღლე და
მარიამ ივანეს ასული ორბელიანი, შემდგომ ფელდმარშალ
თავად ა. ი. ბარიატინსკის მეუღლის დედა*. რუსი მოხელე ვ. იმერ-
სკი, რომელიც 1840-იან წლებში აქ ცხოვრობდა, გადმოგვცემს, რომ
თბილისში ჩამოსულ ყოველ ადამიანს სამი ლამაზი ჭალი ატყუვებდა სი-
ლამაზით: ნინო და გვარტრინე ქავჭავაძეები და მარიამ ივანეს ასული ორ-
ბელიანი. ინსარსკი თვითონ მაიკო ორბელიანის სიტყვებს იმეორებს და
წერს, რომ თავადის ჭალი 1832 წლის შეთქმულების მონაწილე იყო,
რისთვისაც „ვორონეჟსა თუ იაროსლავში“ გადაასახლეს. ეს ცნობა სულ
მთლად ზუსტი არაა. 1832 წელს მაიკო ორბელიანი მითხოვდა მოგვა-
რეს დიმიტრი ვაბტანგის-ძე ორბელიანს. 1834 წელს შეთქმულებაში
მონაწილეობისათვის დიმიტრი ორბელიანი დედით თვალე ბატონი-
შვილითურთ კალუგაში გადაასახლეს. მას ცოლიც გაჰყვა. 1835 წ. ცო-
ლის თხოვნით ვაბტანგ ორბელიანს „უმაღლესი ბრძანებით“ ნება დაერ-
თო თბილისში გამოჰყოლოდა ცოლს და იქ სამი თვე დარჩენილიყო.
(გ. გვიდენბაუმის ამონაწერი თბილისის საპოლიციო არქივის საქმე-
თაგან).

Handwritten text in German script, likely from a manuscript or early printed book. The text is written in a cursive hand and appears to be a list or index of items, possibly related to a collection or inventory. The entries are numbered and include descriptions of various objects or locations.

1. ...
2. ...
3. ...
4. ...
5. ...
6. ...
7. ...
8. ...
9. ...
10. ...

24. შესაძლებელია პრასკოვია ნიკოლოზის ასულის რუსეთს გამგზავრება დაკავშირებულია მისი სიძის ნ. ნ. მურავიოვის გადაწყვეტილებასთან ზამოეშორებიანა აზვერდოვა სოფიოსა და ეგორის მემკვიდრეობისაგან. „იგი ნაწყენი და მოტყუებული იყო იმათგან, — წერდა მურავიოვი, — ვისაც მიანდო თავისი მამულის მართვა რუსეთში. უკვე კარგა ხანია, რაც იგი ობლების (სოფიოსა და ეგორის) ბარჯზე ცხოვრობს და ძლიერ მოულობს ყოველდღიურ საბარჯოს თავისათვისა და თავისი ოჯახისათვის. მიუხედავად ამისა, ძველებურად იმართებოდა საღამოები, ბალები, სტუმრობანი, იბარჯებოდა ტანისამოსზე. ამან გაამრავლა მისი ვალები“.
25. ეს არაა მართალი: ნინო ჭავჭავაძე რუსეთში მანამდის იყო 1847 წელს, თავისი ძმის დავით ჭავჭავაძის ქორწილთან დაკავშირებით.
26. ეკატერინე ალექსანდრეს ასული დადიანი მას შემდეგ, რაც სამეგრელოში რუსული მმართველობა საბოლოოდ დამყარდა, პეტერბურგში გადასახლდა. „ზეზიდი“ — მოგონებათა ავტორის ლაპსუსია, მას უნდოდა ეთქვა ზუგდიდი.
27. გრიბოედოვის წერილები პ. ნ. აზვერდოვასადმი, — დ. თ. ბარლამოვას დეიდასადმი უკანასკნელმა საჯარო ბიბლიოთეკას გადასცა არა 1888 წელს, არამედ 1881 წელს, მას შემდეგ, რაც მათი გამოცემის უფლება პ. ი. ბარტენევის დაუთმო.

შენიშვნები

თავი პირველი

დღეების დისკონსი	35
მეტილი სფიატონსლავ რავესკის	36
კეცისილური მარშოტები	37
გამონაშვარავესლული ლეგენდა	38
ლუდის სივედარული	39
მეფის სივედარილი ქორწილის დღეს	40
მეფისლული გოლიათი	41
მონასტერი მონივარწვერზე	42
თამარ ცბიერი	43
პოლმე და ვეფხები	44
მეტილი	45
მედი მწიროსა	46
„მწიროს“ შეფების მონტდელით	47

თავი მეორე

სტუმართმოყვარე საბლა	53
აბერადოვები	57
წინანდალი	72
მაიკო მაია	83
ალექსანდრე კაცებაძის პოლიტიკური საზე	92
მოწინავე პოეტები რუსეთისა და საქართველოს კავშირის შე-	
საბებ	104
ძველი თბილისი. გრიბოედოვის საფლავი	108

თავი მესამე

„მე თფილისში ვარ“	116
დაჭარაგმებული გვარები	123
ძველი კაცასიელები	130
აშვი-ჭერიბის ზღაპარი	135
თათრული ენის მასწავლებელი	148
სწავლული თათარი ალი	153
საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილება	156

1837 წლის შედეგები	160
განუზოციელებელი განზრახვა	163

თავი მეოთხე

სტანცია შელკოვსკაია	167
კავკასიური შთაბეჭდილებანი	175
კელაე თერგზე	178
„კახაყური ივენანა“	183
„თერგის სარტყლების“ წყაროები	187
გრებენის კახაყობის მეთვრამე	189
თბილისის არქივის ბელაწერი	191

თავი მეხუთე

ნარკვევი „კავკასიელი“	203
გენერალი ერმოლოვი	207
შერისბული გენერალი და შერისბული პოეტი	215

თავი მეექვსე

თერგისა და არაგვის ხეობაში	221
დასკნა	223
დამატება	
დ. თ. ბარლამოვა	241
შენიშვნები	251